

სალომე ბახია - თერაპევტი

აფხაზურ - ქართულ ეთნოგრაფიულ
თერმინთა განმარტებითი
ლექსიკონი



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სალომე ბახია-ოქრუაშვილი

აფხაზურ-ქართულ ეთნოგრაფიულ
ტერმინთა განმარტებითი
ლექსიკონი



თბილისი
2020

UDC(უკ) 81` 374.822=352.2=353.3

ბ - 372

რედაქტორი:

თეიმურაზ გვანცელაძე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
აფხაზური ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი.

რეცენზენტები:

როლანდ თოფჩიშვილი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ზურაბ პაპასკირი,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

კახა კვაშილავა,

ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

ტექ. რედაქტორი:

გიგი გელაშვილი

ISBN: 978-9941-9653-4-0

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

© სალომე ბახია-ოქრუაშვილი

მკითხველისათვის შემოთავაზებულ შრომი აფხაზურ-ქართული ეთნოლოგიური განმარტებითი ლექსიკონის შესავალი და გამოქვეყნების პირველი ცდაა.

ლექსიკონში 1500-მდე ეთნოგრაფიული ტერმინია თავმოყრილი. ლექსიკონისათვის ჩვენ აფხაზური ენის დამწერლობის თვალსაზრისით უფრო შესაფერისი ქართული შრიფტი გამოვიყენეთ. ტერმინები აფხაზურად არის მოცემული, განმარტებები ქართულად არის წარმოდგენილი.

ლექსიკონისათვის ძირითადად ვიყენებთ და ვყვრდნობთ ჩვენ მიერ წლების მანძილზე აფხაზეთში, ველზე, აფხაზ მთხრობელებთან მუშაობის დროს მოპოვებულ საკუთარ მასალას. ამა დროს გამოვიყენეთ უკვე არსებული ლექსიკონები¹ და ასევე სხვადასხვა სამეცნიერო სპეციალური ნაშრომები.² ბარათებზე გადმოტანილი ტერმინების შედარება-შეჯერებას სამეცნიერო ნაშრომებთან და ლექსიკონებიდან ამოწერილ ტერმინებთან ვახდენდით, რაც ვფიქრობთ, სასარგებლო აღმოჩნდა.

გამოცემაში თავმოყრილია ყოფითი, მითოლოგიური, სამეურნეო, სოციალური, ნათესაობითი, რელიგიური და სხვა ტერმინები და მათი განმარტებები. ლექსიკონთან ურთიერთობა მკითხველს შესაძლებლობას მისცემს, წარმოდგენა შეიქმნას აფხაზთა ტრადიციულ წეს-ჩვეულებებზე, მათ კულტურასა და მსოფლმხედველობაზე. ვფიქრობთ, ლექსიკონი აფხაზთა ტრადიციული კულტურის მესხიერებაში შენახვასაც ისახავს მიზნად.

ლექსიკონის მომზადების პროცესში ტექნიკური დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვასხენებთ ენათმეცნიერ ნათია ფონიაევას და ეთნოლოგ მარიამ ჭინჭარაულს. რაც შეეხება წიგნის რედაქტორს, კავკასიოლოგს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძეს გვინდა გაწვეული სიკეთისა და ფასდაუდებელი დახმარებისათვის მადლობა მოვასხენოთ, რომელიც მან აფხაზური ტერმინების ნაწილის ახსნასა და სალექსიკონო მასალის მართლწერის დახვეწის საქმეში გაგვიწია.

ბუნებრივია, ნაშრომი უნაკლო ვერ იქნება, ამიტომ ავტორი დიდი მადლიერების გრძნობით მიიღებს სასიკეთო შენიშვნებს.

¹ ვ. რომანოვი, აფხაზური ენის პირველი ლექსიკონი, თბ., 2014 (წინასიტყვაობა და გამოკვლევა თ. გვანცელაძისა); ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954; Русско-абхазский словарь, Сухуми, 1964 (რედაქტორი ხ. ზღაბა); Генко А.Н. Абхазско-русский словарь, Сухуми, 1998; Харания В.Л. Словарь юридических терминов (Русско-абхазский, абхазо-русский), Сухуми, 2002; Касландия В.А. Абхазско-русский словарь, т. I, II, Сухуми, 2005; თ. გვანცელაძე, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2012 და სხვ.

² Инал-ипа Ш.Д. Абхазы, Сухуми, 1965; Аджинджал И.А. Из этнографии Абхазии, Сухуми, 1969; Джанашия Н.С. Статьи по этнографии Абхазии, Сухуми, 1960; Цулая Г.В. Абхазия и абхазы в контексте истории Грузии, М., 1995; Малия Е.М. Народное изобразительное искусство Абхазии, Тб., 1970; Акаба Л.Х. Из мифологии абхазов, Сухуми, 1976; Малия Е.М., Акаба Л.Х. Одежда и жилище абхазов, Тб., 1982; Бигвава В.Л. Современная сельская семья у абхазов, Тб., 1983; Аншба А.А. Абхазский фольклор и действительность, Тб., 1982; Инал-ипа Ш.Д. Очерки об абхазском этикете, Сухуми, 1984; Приключения Нарта Сосрыквы и его девяносто девяти братьев, М., 1962; თ. გვანცელაძე, ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის, აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998, 14-63; ხ. ზახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2010; ხ. ზახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნოლოგია, თბ., 2011; და სხვ.

აფხაზურ-ქართულ ეთნოგრაფიულ
ტერმინთა განმარტებითი
ლექსიკონი

წინამდებარე ლექსიკონს ქართველი და აფხაზი ხალხების მშვიდობიან მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას ვუძღვებით. ეს მშვიდობიანი ურთიერთობა ამ ორ ხალხს შორის საბჭოთა იმპერიის მცდელობით XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. რუსეთის მმართველმა წრეებმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სათავეში მოკლავთავეულმა, ეთნიკური შუღლით დაბრმავებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა ჯერ „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის“ ინსპირირება მოახდინეს, თავისთავად რუსების წაქეზებით, შემდეგ ქართველი და აფხაზი ხალხების მჭიდრო მშვიდობიანი ურთიერთობა დაარღვიეს. პოლიტიკური დაძაბულობის გადავივების შემდეგ ჩრდილოელი „გულშემატკიერების“ დახმარებით საქმე შეიარაღებული დაპირისპირებამდე მიიყვანეს. საბჭოთა წყობილების ბოლო პერიოდში რუსეთმა „აფხაზური პრობლემა“ თანდათანობით გააშწავა და ადგილობრივი ქართული მოსახლეობის შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევაც მოახერხა. ბოლოს რუსებმა და აფხაზებმა ერთად ქართველები საკუთარი საცხოვრებლებიდან იძულებითი დეპორტაციის გზით განდევნეს. დეპორტაციის დროს მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით ფიზიკური განადგურების ფაქტები ხშირი იყო. ქართველი ხალხის ტრაგედია, ეთნოწმენდა და გენოციდი დღემდე გრძელდება.

2008 წლის აგვისტოში კი რუსეთი თავისი იმპერიული ზრახვებით მშვიდობიან საქართველს თავს დაესხა და ომით, ძალადობრივი გზით, ძირძველი ტერიტორიების 20% (შიდა ქართლი – ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი) წავლიჯა და არაკანონიერი გზით მიითვისა. ოკუპანტმა ქვეყანამ ჯერ კიდევ უძველეს დროს წარმოქმნილი „გათიშე და იბატონეს“ მიზანმიმართული პოლიტიკა კარგად გამოიყენა.

არავის სჯერა აფხაზი სეპარატისტების მცდელობის, რომ ქართველები მხაგრელებად წარმოაჩინონ. საქართველოში ოდითგან მრავალი ერის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ, მაგრამ ჯერ არავის გასჩენია პრეტენზია ქართველებისაგან ჩავვრის თაობაზე.

რა მიიღეს ჩრდილოელი „მეგობრების“ დახმარებით აფხაზებმა – დამოუკიდებლობის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ნაცვლად, მხოლოდ რუსული სამხედრო ბაზები, ახალგაზრდების გარუსება და სხვ. ნუთუ ეს იყო აფხაზების ოცნება?

ქართველებისა და ქართული სახელმწიფოებრიობისადმი რუსეთის აგრესიის, მისი პოლიტიკური, დანაშაულებრივი ქმედებების, პიბრიდული ომის, დეოკუპაციასთან დაკავშირებული გართულებების, ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტების სამართლებრივი ანალიზი მოცემულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ წიგნში „აფხაზეთის, საქართველო, ტრაგედია: ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები“ (თბ., 2017 წ.). ამდენად, ვისაც დაინტერესებს რუსულ-ქართული პოსტსაბჭოთა ურთიერთობები (აფხაზეთის მონაწილეობით), საქართველოსა და ქართველი საზოგადოების წინააღმდეგ კრემლის მიერ ჩადენილი დანაშაულის, აგრესიული ქმედებების ქრონიკები, ვურჩევდი ამ ნაშრომის ღრმად გაცნობას. სადაც თავმოყრილია – დასაბუთებული, დოკუმენტური მასალა, სასამართლო პროცესის საერთაშორისო პრინციპების საკითხები და სხვ.

დღევანდელი აფხაზეთი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდ. ფსოუსა (რომლითაც იგი რუსეთის ფედერაციისაგან გამოიყოფა) და მდ. ენგურს შორის მდებარეობს. აფხაზეთი როგორც გეოგრაფიულად, ისე კულტურულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი, ისტორიული მხარეა.

ბოლო დროის ეთნოპოლიტიკურმა პროცესებმა, თავისთავად ცხადია, საქართველოს და კერძოდ, აფხაზეთის ისტორიული წარსულის სამეცნიერო სამართლებრივ, არგუმენტირებულ კვლევას პრობლემები შეუქმნა. ზოგიერთმა აფხაზმა და არააფხაზმა ე.წ. „ისტორიკოსმა“, დრო იხელთა და ობიექტური კვლევის ნაცვლად ისტორიის მონაცემთა ფალსიფიცირებას მიჰყო ხელი, რაც აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტის მიზნით კეთდებოდა და კეთდება. ამის თაობაზე ნ. ლომოური წერს, რომ საბჭოთა წყობილების დროს „დიდი ხნის მანძილზე აფხაზეთის ისტორიის კვლევითი სფერო (ფართო გაგებით) ცრუ პოლიტიკურ მიზნებს და გაგებას ექვემდებარებოდა. კვლევის მეცნიერულ ობიექტურ შეფასებას ცოტას თუ აქცევდნენ ყურადღებას. ამან სამეცნიერო კვლევაშიც და პოლიტიკურ ურთიერთობაშიც უარყოფითი შედეგი მოგვიტანა“.¹ ე.წ. „ქართულ-აფხაზეთი“ კონფლიქტის ჩამოყალიბების შემდეგ კი ე. ხოშტარია წერდა: „ანტიკური პერიოდის კლხეთში ეთნიკური „აბაზგების“ წარმოშობის საკითხმა და მათმა თავდაპირველმა განსახლების ადგილმა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, პოლიტიკური სიტუაციის გამწვავების გამო დღეს აფხაზეტსა და პროაფხაზეტად განწყობილ მეცნიერებს შორის დიდი აქტუალობა შეიძინა, ისინი საკმაოდ ადვილად და უბრალოდ, სრულიად თვითნებურად, ყოველგვარი მტკიცებულებებისა და სპეციალური წყაროთმცოდნეობითი ანალიზის გარეშე, ბერძენ-რომაელი და ბიზანტიელი ავტორების მიერ ამ ტერიტორიაზე დასახელებულ თითქმის ყველა ტომს აფხაზეტ-ადიდურ ეთნიკურ სამყაროს უკავშირებენ“.²

ამიტომ, ჩვენ ლექსიკონის შესავალში მიზნად დავისახეთ, მკითხველს აფხაზეტის ეთნიკური წარმომავლობის, ეთნიკური ვინაობის, მათი საქართველოში განსახლების შესახებ მოკლე ინფორმაცია მივაწოდოთ. უპირველეს ყოვლისა, სწორედ უბრალო აფხაზი ხალხის მიერ გამოთქმული და შექმნილი ზეპირსიტყვიერი ძეგლების³ და ეთნოლოგიური მასალების მოხმობით. ხალხურ შემოქმედებაში არსებულ ფაქტებს ჩვენ სამეცნიერო ობიექტურ კვლევით

¹ Ломоури Н. Некоторые вопросы ранней истории Абхазии, „მაცნე“, ისტორიის სერია, №3, 1990, 158.

² Хоштария-Броссе Э.В. История и современность, Абхазская проблема в конфликтологическом аспекте, Тб., 1996, 35.

³ Приключения нарта Сосрыквы и его девяти братьев, М., 1962; Абхазские сказки, Сухуми, 1935. ს. ზუხბა, აფხაზეტური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988; Аншба А., Абхазский фольклор и действительность, Тб., 1982. აფხაზეტების ენა ახლო წარსულამდე უმწერლობო იყო. ამიტომ აფხაზეტებს არ მქონდათ საშუალება ისტორიული წარსულის წერილობითი აღნუსხვისა. პირველად აფხაზეტური ანბანი 1862 წ. პ. უსლარმა რუსული გრაფიკის გამოყენებით შექმნა. 1926 წ. იგი ნ. მარმა ანალიტიკური ანბანით შეცვალა, რომელსაც ლათინური გრაფიკა დედოფალ საფუძვლად. 1928 წლიდან გამოიყენებოდა ნ. იაკოვლეს ჯგუფის მიერ შექმნილი ლათინური დამწერლობა. 1938 წ. იგი ქართულმა ანბანმა შეცვალა, რომელიც აფხაზეტური ენის ბგერათა სპეციფიკურ ხასიათს ყველაზე უკეთ გადმოსცემდა, მაგრამ 1954 წ. იგი კვლავ სლავური გრაფიკული ნიშნებით შეიცვალა.

ნაშრომებსა და წყაროებში არსებულ ფაქტებს დავუპირისპირებთ და გავარკვევთ რამდენად ემთხვევა ისინი ერთმანეთს.

აფხაზების ეთნიკური ვინაობისა და ეთნიკური წარმომავლობის საკითხები საკმაოდ ნათლად არის წარმოდგენილი „ნართების ეპოსსა“ და ეთნოგენეტიურ და გენეალოგიურ თქმულებებში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აფხაზურ გადმოცემებში ჩამოსახლების პერიოდის სსონა კარგადაა შემორჩენილი.

აფხაზური „ნართების ეპოსის“ განხილვა, აუცილებელია, რადგან ჩვენი ვარაუდით იგი ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი საგულისხმო ისტორიული წყაროა. აფხაზ ეთნოლოგებსა და ფოლკლორისტებს იგი, ყველაზე მნიშვნელოვან, ზეპირ ძეგლად მიაჩნიათ. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ნართების ეპოსის“ აფხაზური ვერსიის არქაული პლასტის არც გეოგრაფიული გარემო პირობები, ადგილ-სამყოფელი, მცენარეული და ცხოველური სამყარო, მატერიალური კულტურა აფხაზეთის ბუნებასა და ადგილობრივი ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელ ელემენტებს არ მიესადაგება.

„ნართების ეპოსი“, რომ ჩრდილოეთკავკასიური წარმომავლობისაა, ამას ჯერ კიდევ ვ. მილერი, პ. უსლარი, მ. კრუპნოვი, მ. მაგომაევი, ბ. დაღვატი და სხვ. ადასტურებდნენ. აფხაზი ნართები ერთი დედის – სათანეი გვაშას, ერთი გვაროვნული ოჯახის შვილები იყვნენ, რომლებიც მესაქონლეობით, მონადირეობით ირჩენდნენ თავს. მათი სამყარო მწვემსებისა და მეჯოგებისა იყო.¹

ჟ. დიუმევილმა, ვ. აბაევმა, გ. წულაიაშ და სხვებმა ჩრდილოეთკავკასიური „ნართების ეპოსისათვის“ საერთო ამოსავლად აღანური ეპოსი მიიჩნიეს, რომლის ძირი სკიფურ-სარმატულ ტომთა შემოქმედებაში იღებს სათავეს. საგულისხმოა დიუმევილის დაკვირვება აფხაზურ მითებზე. მისი ვარაუდით, „ისინი ჩერქეზულ ვერსიას იმეორებენ, მაგრამ მათი გარკვეული რაოდენობა ჩერქეზული შუამავლობის გარეშე, პირდაპირ ოსური ორიგინალიდანაც უნდა იყოს შესული.“²

ბუნებრივია, ისმის კითხვა: სად შეიძლება აეთვისებინათ მიგრანტებს „ოსური ორიგინალიდან“ ეს გადმოცემები? ფაქტობრივად, საქართველოსა და აფხაზეთში მსგავსი „ნართების ეპოსი“ გავრცელებული არ ყოფილა. ბუნებრივია, მხოლოდ მჭიდრო კონტაქტის მქონე, ტერიტორიულად ერთ სივრცეში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს თუ შეეძლოთ სესხების შედეგად მსგავსი ერთგვაროვანი ეპოსი ჩამოყალიბებოდათ. ვფიქრობთ, შემთხვევითი არც ის უნდა ყოფილიყო, რომ V-X სს-ში მდ. თურგის ზემოწელსა და მდ. ყუბანის შენაკადებს შორის, ადიღური წარმომავლობის ტომთა მეზობლად, საკმაოდ ვრცელი ტერიტორია სწორედ აღანებს ეკავათ.³ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თავის დროზე

¹ Инал-ипа Ш.Д. Абхазы, Сухуми, 1965, 595-598; Салакая Ш.Х. Абхазский народный героический эпос, Тб., 1966, 3; Аншба А. Из мифологии абхазов, Сухуми, 1976, 67; ს. ზუზუა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988.

² Дюмезиль Ж. Скифы и нарты, М., 1990; მიხევე, Осетинский эпос и мифология, М., 1976; Абаев В.И. Нартский эпос, ИСОНИИ, т. X, вып. I, 1945; Чулая Г.В. Следы религиозно-мифологических представлений в абхазском эпосе, СЭ, 1966.

³ Дюмезиль Ж. Скифы и нарты, М., 1990, 38, 74-75, 92.

⁴ ს. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოღოშვილი, მ. ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. I, თბ., 1964, 41.

ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები და შემდგომ თურქეთში გადასახლებული უბიხების „ნართების ეპოსს“ თქმულებები აფხაზთა თქმულებების მსგავსია.¹

აფხაზურ „ნართების ეპოსში“ აფხაზი ნართების სამოსახლო ტერიტორია მდ. ყუბანის ხეობაა.² ეპოსში გვხვდება ტოპონიმები, როგორცაა – იალბუზი, მდ. ყუბანი, ყუბანის ველი, თებერდის ტრამალი, ქლუხორისა და ნახარის გადასახველები და ა.შ.

ნართები საზოგადოებრივი ორგანიზაციის თვალსაზრისით განვითარების ადრეულ საფეხურზე, დაბალ დონეზე იდგნენ. ეპოსის საზოგადოება სოციალურად ერთგვაროვანი იყო. მათ შინაგანი სტრუქტურის არანაირი ნიშანი არ გააჩნდათ. როგორც ჩანს, ადრეული მიგრაციული ტალღის მიერ ჩრდილოეთიდან ჩამოტანილი არქაული თქმულებები უცხო ეთნიკურ გარემოში კონსერვაციას განიცდიდა. „აფხაზი“ ნართები ერთი დედის, ერთი გვარის, ერთი ოჯახის შვილები იყვნენ. მათი საზოგადოება დაუყოფელი იყო. მათ შორის ქონებრივი მდგომარეობით, სოციალური ნიშნით გამორჩეული პიროვნება არ არსებობდა. ნართების დედა სათანეი-გვაშა³, მისი ასი ნართი შეილით, ფუძე სახლით, ნართების მჭედელ აინართ, ნართების მწყემს ზართიყვით და სხვა წევრებით სწორედ მდ. ყუბანის ხეობაში სახლობდნენ. ეპოსის მთავარი გმირი, ნართების უმცროსი ძმა – სასრიყვა ამ მდინარესთან ახლოს აღმართულ ციხე-სახლში ცხოვრობდა. საკუთარ სახლში დაბრუნებულ სასრიყვას, მდ. ყუბანზე გადებულ ჩაბნელებულ ხიდზე გადასვლისას, მისი გრძნეული ცოლის ნეკა თითი უნათებდა ვაზს⁴.

აფხაზ ნართებს გმირული საქმეებისა და ლაშქრობების დროს მეზობელ ქვეყანაში მცხოვრები გოლიათებისადმი (ხალხისადმი) ინტერესი უჩნდებათ. გოლიათების ქვეყანა მათ მოსწონთ, იგი თბილი მხარეა, მიწა იქ კარგია, ბალახიც უფრო ნოყიერია საქონლისთვის. ამ ქვეყანაში განსხვავებული მცენარეულობაა გავრცელებული, რაც მთავარია იქ ვაზი ხარობს. ყველაფერ ამისათვის ისინი გოლიათებს აგრესიითა და ძალადობით უპირისპირდებიან. ნართები თავს ესხმიან მშვიდობიან გოლიათებს და ტერიტორიის ნაწილს ითავისებენ. ამის შემდეგ მათ მოძრავი ცხოვრების წესი უყალიბდებათ. ისინი გოლიათების ქვეყანასა და მდ. ყუბანის ველს შორის მოძრაობენ. სათანეი-გვაშა რიწის ტბაზე ხშირად ბანაობს, მაგრამ შემდეგ კვლავ შინ, ყუბანის ველზე ბრუნდება; ნართი სასრიყვა არწივს სთხოვს ქვესკნელიდან „თავის აფხაზეთში“ დაბრუნებას,⁵ მაგრამ ამით ისევ და ისევ მისი ძირითადი სამოსახლო ადგილი (მდ. ყუბანის ველი) არ იცვლება, უფრო მეტიც, იგი თავის სამშობლოში, ყუბანის ველზე კვდება; ნართი დიდ მთა დიდრიფშზე, სოფ. აჭანდარის ჩრდილოეთ მხარეს მკვიდრდება, თუმცა მას ბრძოლის გარეშე ვერ ევატრონება. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ამ მთაზე „დაჯდომისას იგი ჭექა-ქუხილს იწყებს, რითაც ქვეყანას

¹ Салакая Ш.Х. Абхазский народный героический эпос, Тб., 1966, 37.

² Приключения нарта Сосрыквы и его девяти братьев, М., 1962, 16-17, 30-35, 46-47, 136-137, 188, 252-254, 266-262 და შემდგ.

³ სათანეი-გვაშა – დედამთილი, ქალბატონი, განმანაწილებელი, ოჯახის დიასახლისი – ადიღურად, Русско-адыгейский словарь, М., 1960, 308.

⁴ Приключения..., 182-186.

⁵ Приключения..., 165.

ამცნობს, რომ მის ხალხთან ერთად ახალ ტერიტორიას ეუფლებოდა. მაგრამ მასაც ცხოვრების მოძრაი წესი უყალიბდებოდა, იგი ყუბანის ველსა და დიდრიფშს შორის ხშირად მოგზაურობს, ე.ი. თავის სამშობლოსთან კავშირს არ წყვეტს.¹

ნართები საკვებად მარცვლეულს მოიხმარენ, მაგრამ არ ჩანს, რომ ისინი მიწათმოქმედებით იყენებდნენ დაკავებულნი. არქაული პლანტის მატერიალური ყოფა ძველის წარმომავლობის საკითხს ნათელს ჰყენს. აფხაზურ ვერსიაში, ნართები ქვის საცხოვრებლებში, ციხე-სახლებსა და კოშკებში ცხოვრობენ, რაც არც ადიღეველთა და არც აფხაზთა ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა. მათი ტრადიციული საცხოვრებელი იმ დროისათვის წნელისაგან დაწნული, თიხით შეღესილ-კედლებიანი მიწური ფაცხები იყო. რაც შეეხება ციხე-სახლებსა და კოშკებს, მათში სწორედ ოსი ნართები ცხოვრობდნენ.

ამრიგად, საკითხს, თუ საიდან მოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზები, „ნართების ეპოსმა“ გასცა პასუხი. აფხაზური „ნართების ეპოსი“ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა საერთო კუთვნილება აღმოჩნდა, აქედან გამომდინარე ნათელი გახდა ისიც, თუ არქაული ნაწილი საიდან უნდა მოხვედრილიყო მიგრანტებში.

როგორც დაინახეთ, თანამედროვე აფხაზთა წინაპრების წარმოშობა ჩრდილოეთ კავკასიის ტომებთან არის დაკავშირებული. ცხადია, მათი საერთო წარმოშობა და ერთიანი ფესვები იმაზე მეტყველებს, რომ მათ ძველად ერთ ტერიტორიაზე, გვერდი-გვერდ უნდა ეცხოვრათ, ე.ი. ისინი ჩრდილოეთ კავკასიელი ტომების ჩამოსახლებისა და თავდაპირველად ქართველ მოსახლეობასთან ასიმილაციის, ხოლო XV საუკუნიდან ქართველებთან ინტეგრაციის შედეგად არიან ჩამოყალიბებულნი. ეთნონიმი „აფხაზი“ ქართველების მიერაა შექმნილი.

ახლა ვნახოთ, რას გვიამბობენ ეთნოგენეტიკური და გენეალოგიური ლეგენდათქმულებები. აფხაზური ეთნოგენეტიკური თქმულებების შინაარსი თითქმის მსგავსია: აბისინიაში (ანუ ეთიოპიაში) ოთხი არაბული ტომი ცხოვრობდა, სამი შავკანიანი და ერთი თეთრკანიანი, რომელიც აფხაზთა წინაპარი აბაას ტომი იყო. არაბებიდან ისინი ჯერ მდ. ყუბანის ნაპირზე, ხოლო შემდეგ უკუთესი ადგილის ძებნაში ქართველების ქვეყანაში დასახლდნენ. თბილი ჰავის გამო იქ დარჩენა გადაწყვიტეს. აბაას ტომის ბელადს აუბლაას ქალიშვილი შეეძინა. მამამუქების წესის თანახმად, ბავშვი გააძიძავეს. იგი ლამაზ ქალად იქცა. არაკეთილსინდისიერმა მამამუქემ საკუთარი გაზრდილის დამორჩილება განიზრახა, მაგრამ საწადელს ვერ მიადწია. ქალი შუა ზღვაში გაიყვანა და ნავში დატოვა, აუბლაას კი შეუთვალა, შენი ქალიშვილი სადღაც გაიპარაო. წყალმა ნავი სამხრეთის ქვეყანაში გამოიყვანა. ამ ქვეყანაში ქალი ყმაწვილ კაცს შეხვდა. მათ ერთმანეთი მოეწონათ და დაქორწინდნენ. მამამთილმა რომ გაიგო, ქალი დიდგვაროვანის შვილი იყო, მისი გაცნობა მოინდომა. ქალი ურემზე დასვეს, გამყოფი მიუჩინეს და თვითონ უკან გაიყვანა. გზაში ახლა გამყოლმა მოინდომა ქალის დამორჩილება, რომელმაც გაქცეული უშველა თავს. გაჟურად გადაცემული ქალი ერთ დიდებულს მწყემსად დაუდგა. აუბლაას – შვილის, და ქალის ქმარს – ცოლის ძებნა არ შეუწყვეტიათ. შემთხვევით ორივე იმ სახლში მოხვდა, სადაც ქალი მუშაობდა. სიმართლე გამოაშკარავდა. დანაშაულის

¹ Приключения..., 66.

ჩამდენნი დაისაჯნენ. მამამ სიძე და ქალიშვილი სახლში წაიყვანა. მათ მალე ვაჟი ეყოლათ. აფსკა დაარქვეს. სწორედ ის იყო აფხაზეთში დაბადებული პირველი აფხაზი. აფსკა მთავარი გახდა და აბაას ტომი, რომელსაც აფსუა ეწოდა, ზღვის სანაპიროზე გადასახლდა.¹

ლეგენდებში აბაას ტომი ხან ეგვიპტიდან, მცირე აზიიდან, მესოპოტამიიდან და ზოგჯერ აფრიკიდანაც მოდის. ზოგიერთი ლეგენდიდან ჩანს, რომ ისინი „კაკასიის მთების იქითა მხრიდან“ სახლდებიან საქართველოში. ეს ლეგენდები თითქმის ერთგვაროვანია.²

აფხაზები აფსკასაგან წარმოიშვნენ, ისინი მისი მემკვიდრეები არიან.³ სხვადასხვა ლეგენდებში სიმართლე გამჟღავნებულია, აფხაზეთის მკვიდრი გვარები არიან ანუა და ჯოჯუა, ე.ი. მეგრელები. გადმოცემით, ისინი „აფსკას“ ეპოქამდეც ამ მიწაზე ცხოვრობდნენ. ერთხელ, ჩრდილოეთის მთებიდან ანბა, ადლება და ინაფშმა ჩამოვიდნენ. „მშობილობის“ ჩვეულების თანახმად, მკვიდრი და მოსული მოსახლეობა დანათესავდა. მოსულებმა აფხაზეთში დაიწყეს ცხოვრება.⁴

ერთ-ერთი თქმულების ვერსიით, საკმაოდ ნათლად იკვეთება ჩრდილოეთ კავკასიიდან ორი, ადრეული და გვიანი პერიოდის, „აფსკასა“ და „ძმები ანბების“ ტალღები, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან კიდევ. ამ თქმულების შინაარსი ასეთია: აფსკა ბერძენი იყო. მას შვილი არ ჰყავდა ურჩიეს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, იმ იმედით, რომ შვილი შეეძინებოდა. ჩამოვიდა იმ ქვეყანაში, რომელსაც დღეს აფხაზეთი ეწოდება. იგი ქალაქ გაგრასთან მთებში დასახლდა. მისი ცოლი დაორსულდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან ვინმე ანბა ჩამოვიდა. მთის წვერიდან ზღვა დაინახა. გადაწყვიტა „წყლის დიდ აუზთან“ მისვლა და „ფონის მოძებნა“. ფონს ვერ მიაგნო, მაგრამ ხეტიალის დროს აფსკას სახლს მიაღვა. სტუმარი კარგად მიიღეს. იმ ღამეს აფსკა მემკვიდრის დაბადებას ელოდა. ანბა ტყეში დაიმაღლა და გამთენიისას ბავშვი გაიტაცა... ბავშვის გამზრდელეებმა, ანბამ და მისმა სამმა ძმამ, მოგვიანებით მოზრდილი ყმაწვილი კაცი აფსკას ჩამოუყვანეს და გაუჩხილეს, რომ იგი მისი შვილი იყო. შვილის გაზრდის საფასურად, ანბებმა აფხაზეთის მიწა-წყალზე დასახლება მოითხოვეს. აფსკა დიდხანს არ თანხმდებოდა, მაგრამ შვილის სიყვარულის, მემკვიდრის გამოჩენის გამო დათმობაზე წავიდა. აფსკამ ოთხივე ძმა ანბას სამოსახლო გამოუყო. ერთს – ქ. სოჭის ახლო-მახლო, მეორეს – სოფ. აჭანდარაში, მესამეს – სოფ. ლიხნში, ხოლო მეოთხეს – აბჟუის სოფ. ანარქთში (ანბების სოფელი). გარკვეულ თქმულებებში გვიან ჩამოსახლებული ანბები „აფსკას“ მიმართ აგრესიულად არიან განწყობილი და აიძულებენ დტოვოს ტერიტორია. იგი სოფ. მოქქში გადადის საცხოვრებლად. თუმცა, გადმოცემის ერთ-ერთი ვერსიით, ანბა მისი ოთხი ძმა და მათი ხალხი, ღვენილ „აფსკას“ თავს ესხმინ. ამ თავდასხმის შედეგად ოჯახით, მოსახლეობით იგი მდ. ენგურისკენ

¹ Абхазские сказки, Сухуми, 1935, 165-173.

² Инал-ипа Ш.Д., Страницы исторической этнографии абхазов, Сухуми, 1971, 222, 227; Абхазские сказки, 170-173.

³ Инал-ипа Ш.Д., Страницы... 223.

⁴ Инал-ипа Ш.Д., Страницы... 228, 229.

ინაცვლებს. ანბები მათ სოფ. ოცარცემდე მისდევენ, მაგრამ მდ. ენგურზე ვერ გადადიან. აფსპას მიერ დატოვებულ ტერიტორიას ძმები ანბები ინაწილებენ.¹

ამრიგად, აფხაზური ეთნოგენეტიკური თქმულებები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ორი დიდი ტაღლის შემოჭრას ადასტურებენ, რომელიც ერთი „აფსპას“ და მეორე – „ძმებ ანბებს“ უკავშირდება.

ჩრდილო კავკასიიდან მიგრაციულ პროცესებზე მიუთითებენ აფხაზეთში გავრცელებული გვარების გენეალოგიური თქმულებებიც. გადმოცემები გვარების შესახებ ტრადიციულია და ერთმანეთს ჰგავს. რესპონდენტები მასალის ჩაწერის დროს ჩამოსახლების სხვადასხვა მიზეზებს – სტუმარ-მასპინძლობას, სისხლმესისხლეობას, ქორწინებას და სხვას ასახელებდნენ. ზოგიერთი მათგანის მასსოვრობას პირვანდელი სამშობლოს კონკრეტული სოფლის სახელიც კი ჰქონდა შემორჩენილი. თითოეული გვარსახელის წარმომადგენლები, რომელი მხრიდანაც იყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული, მთაში და გადმოსასვლელებზე მფარველ სალოცავებს აფუძნებდნენ. მაგალითად მთა ფსჰუს (აფხაზეთის ცენტრალური მთიანი მხარე) ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ყველაზე მეტი გვარი უკავშირდება. უდელტეხიდის გადმოლახვის შემდეგ ისინი ფსჰუს ტაფობში სახლდებოდნენ. ეს მთა მათი წარმართული სალოცავი ხდებოდა. მადლობას სწირავდნენ „ფსჰუს ნისას“ (ანუ „ფსჰუს სალოცავს“) უდელტეხიდის გადმოლახვისათვის, მშვიდობიანი თავშესაფრისათვის და რაც მთავარია, ახალი ცხოვრების დაწყებას, ახალ მხარეში, ახალ სალოცავს გვარის წარმოშობასაც უკავშირებდნენ. ფსჰუს მთასთანაა დაკავშირებული პტიშის, ხვატიშის, აძინბას,² ადლეიბას, ბაგაფშის,³ აშუბას, კიახირიფას, სიმსიმის, სამბას, ჩინბას,⁴ ამიჭბას, ჩეგემის, ინალ-იფას,⁵ არძინბას, ბაზბას, სამბას, თრაფშის, ზუხბას⁶ და ა.შ. გვარების წარმოშობა. საგვარო სალოცავები ფუნდებოდა სხვადასხვა გადმოსასვლელებზეც – ხიმსა და ძინაზე,⁷ სანწარაზე,⁸ მდ. ბიოფსა და მდ. ზელენჩუკის სათავეებზე⁹ ვინც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან მოსულად თვლიდა თავის გვარს, მათ საგვარეულო დეოთაება სოფ. კაღდახვარას მახლობლად ბუნებაში ჰქონდათ სალოცავი დაფუძნებული, იქ, სადაც მათი პირველი ჩამოსახლება იგულისხმებოდა¹⁰ და ა.შ.

ამრიგად, თქმულებების შინაარსიდან გამომდინარე, ჩვენ კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ თანამედროვე აფხაზების წინაპარი ტომები ჩრდილოეთკავ-

¹ Инал-ипа Ш.Д. Страницы... 228-229.

² Ногмов Ш.Б. История адыгейского народа, Тифлис, 1861, 70-71.

³ Чурсин Г.Ф. Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1957, 34.

⁴ Инал-ипа Ш.Д. Вопросы этнокультурной истории абхазов, Сухуми, 1976, 175; Бжания Ц.Н. История хозяйства и культуры абхазов, Сухуми, 1973, 59, 61, 63, 305.

⁵ Броневский С. Новейшие географические и исторические известия о Кавказе, М., 1823, ч. II, 229; Лавров Л.И. Историко-этнографические очерки Кавказа, Л., 1978, 41-47.

⁶ Бгажба Б.Х. Бзыбский диалект абхазского языка, Тб., 1964, 244-246.

⁷ Альбов Н. Описание новых видов растений найденных в Абхазии 1889-1890 гг. ЗКОИРГО, кн. XVI, 145-146.

⁸ В горах Абхазии, «Кавказ», 1894, №32.

⁹ Чурсин Г.Ф. Материалы... 37; Басария С. Нарзан на лугах Шхაпидга и путь к нему. Известия абхазского научного общества, Сухуми, 1925, 124-125.

¹⁰ თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის მიხედვით, კრებ. „ქართველური მეტეკოდრობა“, ქუთაისი, 1996, 214-215.

კასიური წარმოშობისაა. ცხადია, აფხაზი მკვლევარების თვალსაზრისი, დღევანდელი აფხაზებისა და ადიღურ-ჩერქეზული „საერთო წარმოშობის, ერთიანი ეთნიკური მასის“, თავისი ერთ, კულტურითა და სამეურნეო ყოფით, იმაზე მეტყველებს, რომ მათი ბინადრობის ისტორიული ადგილიც ძველად საერთო, ჩრდილო-დასავლეთ კავკასია უნდა ყოფილიყო. აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში ფიქსირებული ცნობები აშკარად მიანიშნებს, რომ „აბაზგები“/აფხაზები საქართველოს და კერძოდ, აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა არ არის. გადმოცემების თანახმად, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ორი ძლიერი მიგრაციული – „აფსჰასა“ (ადრეული) და „ძმები აზბების“ (გვიანი, შუა საუკუნეების) ტალღა დასტურდება. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი აფხაზი მეცნიერს მიერ ხალხის ზეპირსიტყვიერი შემოქმედების არაობიექტური კვლევა და არგუმენტაციის არაკეთილსინდისიერი გამოყენება, ფართო საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება. მთელი ეს მასალა მიზანმიმართულად არაკორექტულად აქვთ გამოყენებული, რომ როგორც კოლხეთში, ისე „აფხაზეთის სამეფოში“ ქართული მოსახლეობის როლი მიჩქაღვნი და იგი „საკუთრად აფხაზების ფეოდალურ სამეფოდ“ წარმოაჩინონ. თუმცა, როგორც დავინახეთ, სიმართლის მიჩქაღვა არც თუ ისე ადვილია, თუ კარგად შევისწავლით მათ. ამჟამად ჩვენს მიზანს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში დაგროვილი ფაქტებისა და სამეცნიერო-კვლევითი შედეგების შეჯერება-შედარება წარმოადგენს, ემთხვევა თუ არა ისინი ერთმანეთს. რაც შეეხება ხსენებულ აფხაზურ სამეცნიერო ეთნოლოგიური კვლევის უზუსტობებს, ვფიქრობთ, ამაზე პასუხი უკვე გაცემულია.¹

ქართველი მკვლევარები, რომლებიც წერილობით წყაროებს საკმაოდ ობიექტურად და დიდი სიფრთხილით იკვლევდნენ და იკვლევენ, ძვ.წ. VIII საუკუნიდან I საუკუნის ჩათვლით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ მოსახლე ტომთა შესახებ წერენ, რომ აქ „ოდითგანვე მხოლოდ კოლხური ტომები იყვნენ გავრცელებული“. კოლხურ ტომებში ისინი მხოლოდ ქართველურ (მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ტომებს გულისხმობენ. ამის თქმის საშუალებას მათ ძველი ბერძნული წყაროები, ენობრივი (ტოპონიმიკური), არქეოლოგიური მასალა აძლევს. მათი შესწავლის შედეგებმა კოლხური კულტურის ერთიანობა დაადასტურა. ჰეკატეოს მილეტელის (ძვ.წ. V ს.), ფსევდო-სკილაქს კარიანდელის (ძვ. წ. IV ს.) ცნობების განხილვიდან, ირკვევა, რომ კოლხურ ტომებს – კოლებსა და კორაქსებს ეკავათ ქ. დიოსკურიის (სოხუმის) ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორია მდ. ბზიფსა და დღევანდელ სოხუმს შორის, როგორც სანაპირო, ისე მთიანი რეგიონები.²

¹ იხ.: ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2010, 9-28, 31-57, 60-94.

² იხ.: გ. მელიქიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, 50-93; Меликишвили Г. А. К истории древней Грузии, Тб., 1959, 62 და შემდეგ; ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, მსკი, ნაკვ. XXXV, თბ., 1968, 2-95; მისივე, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, 5 და შემდეგ; მ. ინაძე, ეთნოლოგიკური ისტორიის საკითხები, ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ., 2009, 24-48, 396-437; მისივე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994, 13-53 და სხვ.

დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთავორიანი ადგილები, სანაპირო ზოლიც ადრეანტიკურ ხანაში ქართული წარმომავლობის ტომებით იყო დასახლებული. აქ პოლიტიკურად და ეთნიკურადაც წამყვანი კოლხური ელემენტი ჩანს... დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის აღმოსავლეთის სექტორის ძველი მოსახლეობა ადრეანტე კოლხური კულტურის არეალში იყო მოქცეული და ასე გრძელდებოდა ადრეანტიკურ ხანაშიც... კოლებისა და კორაქსების მეზობლად, მათ აღმოსავლეთით კავკასიონის ფერდობებთან განსახლებული იყვნენ სვანური ტომებიც, რომელნიც სტრაბონისა და მისი წყაროს – პოსიდონიოსის ჩვენებით ქალაქ დიოსკურიის ზემოთ (უთუოდ ჩრდილო-აღმოსავლეთით) მდებარე მთიან ადგილებს ფლობდნენ.¹ „კოლხეთის სამეფოს ძლიერება იმითაც დასტურდება, რომ ძველ ბერძნულ წყაროებში, სახელდობრ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ დაცულია ცნობა, ქართველური, კოლხი მოსახლეობის დამწერლობის შესახებ: „კოლხებს შენახული აქვთ თავიანთ მამა-პაპათაგან ნაწერი კვირბები (მაგარ საგნებზე ამოკვეთილი ნიშნები - ს.ბ.), რომლებზეც ნაჩვენებია გზები ზღვათა და ხმელთა“. რამდენიმე ავტორის ცნობით, კოლხეთში ინახებოდა არა საწმისი, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელშიც ოქროს მოპოვების ხერხები იყო აღწერილი. ამრიგად, დასავლეთ საქართველოში, კოლხეთში, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ანტიკურ ხანაში დამწერლობაც არსებულა. თუმცა, ზემოხსენებული ცნობებიდან არ ჩანს, რა სახის იყო ეს დამწერლობა და აქვს თუ არა მასთან რაიმე საერთო დღევანდელ ჩვენს ანბანს.“² ნიკო მარი თანამედროვე ქართული ენის შესახებ წერდა: „ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და ცოცხალი სამწერლობო ენაა“. შ. ძიძიგურის აზრით კი, „ქართული ენა მიეკუთვნება „ქართველურ ენათა ჯგუფს“, იგი ქართველი ხალხის საერთო ენაა, აერთიანებს ქართველური წარმოშობის – ქართვეს, მეგრულ-ჭანებს და სვანებს. იგი „სამხრეთულ კავკასიურ ენათა ჯგუფად“ ჩამოყალიბდა. ეს არის უძველესი სამი უმთავრესი „ტომის“ ერთობლიობა. მაგრამ ქართული ენის კულტურულ-ისტორიული ცნება. ქართული ენა, როგორც საკუთრივ ქართულს, ისე ზანურს (ანუ კოლხურს) და სვანურს აერთიანებს, მაგრამ მეგრულ-ჭანური და სვანური „შინა ენებადაა“ მიჩნეული. ქართული ენა ისტორიულად ეროვნული კონსოლიდაციის ყველაზე მძლავრ ბერკეტს წარმოადგენდა.“³ აფხაზი ეთნოლოგი თ. აჩუგბა კი წერს: „... მეგრული ენა მართალია, ქართველურად ითვლება, მაგრამ არასგზით ქართული არ არის.“⁴ სამწუხაროდ, თანამედროვე აფხაზი მკვლევარები იმაზე არ ფიქრობენ, რომ არასწორი, გაყვალბებული ცნობებით ვერც ქართულ ენას და ვერც საქართველოს ამით ვერაფერს უშაგებენ, თავისი ნაციონალური ბოღმით, შურით თუ უვიცობით კი მხოლოდ საკუთარ თავს აზარალებენ, რადგან შესანიშნავად იციან, რომ ენისა და დამწერლობის გარეშე

¹ მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები, ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ., 2009, 399.

² ზ. ჭუმბურიძე, ქართული ენა, დამწერლობა, ხელნაწერები, თბ., 2016, 10.

³ შ. ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1990, 3,7.

⁴ Ачугба А.Т. О проблемах национального самосознания населения Юго-восточной Абхазии. Газета «Республика Абхазия», №44, 45, 46 (апрель), 2006.

სახელმწიფოებრიობა ვერ იარსებებდა, აფხაზურ ენას კი დამწერლობა გამართული სახით მხოლოდ XIX საუკუნეში ჩამოუყალიბდა.

ახლა გვინდა ვანვენთო, წყაროების შესწავლის შედეგად სამეცნიერო ლიტერატურაში როდის აღინიშნა „აბაზგების“ საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩენა. ახ. წ. II საუკუნეში, 131 წელს თავის „პერიპლუსში“ რომელი დიდმოხელე და მემბტანე ფლავიუს არიანე აფხილეებისა და სანიგების მეზობლად პირველად იხსენიებს აბაზგებს „აბასკოი“ ფორმით. კვლევის შედეგად აბაზგების თავდაპირველი ბინადრობის ადგილი აფხაზეთის მთიანი მხარე უნდა ყოფილიყო. მათ პოლიტიკურ არენაზე გამოჩენას რომაელები სათავეს იყენებდნენ და მათ გააქტიურებას ხელს უწყობდნენ მკვიდრი ადგილობრივი მოსახლეობის საწინააღმდეგოდ. ამის შედეგად აბაზგებმა თავიანთი პოლიტიკური გავლენა სანიგების სამთავროზე თანდათანობით გააძლიერეს. შედეგად ანონიმი ავტორის (ახ. წ. V ს.) და პროკოპი კესარიელის (ახ. წ. VI ს.) ჩვენებით, თუ ახ. წ. II საუკუნეში სანიგებს ზღვისპირეთი სებასტოპოლიდან აქეუნტამდე (მდ. შახე) ტერიტორია ეკავათ, შემდგომში მათ ზღვისპირეთის მხოლოდ ნაწილი ეჭირათ სებასტოპოლიდან მდ. აბასკოსამდე (მდ. ბზიფი), ხოლო აბასკების ერთეულს (ანონიმი, პერიპლე) მდ. ბზიფიდან აქეუნტამდე. ახ. წ. V საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ახალი ტაღლის ჩამოსახლება ფიქსირდება. ამის გამო, ადრეული აბასკები დასავლეთისაკენ ინაცვლებენ. ახ.წ. VI საუკუნეში აბაზგების ტომობრივი ორი პოლიტიკური ერთეული იკვეთება, რომელიც ორი არქონტი (ადმოსავლეთის და დასავლეთის) იმართება, სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით ეს ორი გაერთიანება ერთნაირი არ ყოფილა. აბაზგები, რომლებიც დასავლეთში, დაბლობ რაიონებში სახლობდნენ, გვიან ჩამოსახლებულებზე განვითარებული და უკვე გაქრისტიანებული იყვნენ. აღმოსავლეთის აბაზგების ხელში კი ძირითადად სამხედრო ძალა ყოფილა თავმოყრილი.¹

პროკოპი კესარიელის (ახ. წ. 490-504 წ.) ცნობით, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა „თაყვანს სცემდა ჭაღებსა და ტყეებს. ხეები... რაღაც გულუბრყვილობის გამო... ღმერთებად მიანდათ“, ე.ი. თუ ადრეულ ხანაში ჩამოსახლებული აბაზგები, მისი ცნობით, ქრისტიანები იყვნენ, გვიან ჩამოსახლებულები ჯერ კიდევ წარმართები რჩებოდნენ. პროკოპის გადმოცემით, „მათი მთავარი თავის ხალხს ჩაგრადა“. ტომში კარგი გარეგნობის, ლამაზი ტანის ყმაწვილებს მშობლებს ართმევდა, ასაჭურისებდა და რომაელთა ქვეყანაში, განსაკუთრებით მეფის სასახლეში გზავნიდა. ზოგიერთი აბაზგი მამები თავიანთ შვილებს დიდ ფულზე ჰყიდდნენ.“ ბიზანტიაში იუსტინიანეს გამეფების შემდგომ, მან ეს ჩვეულება აკრძალა. ამავე დროს აბაზგებს „აბაზგიის საღვთო ჭალაში ღვთის ტაძარი აუშენა“, სადაც „დაღვინილ იქნენ მღვდელ-მსახურნი და ამგვარად, უადრესად ბარბაროსული ტომი ქრისტიან ტომად იქცა“.²

¹ Инадзе М. Вопросы этнополитической истории древней Абхазии, в кн. Разыскания по истории Абхазии/Грузия, Тб., 1999, 78-82.

² გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი და განმარტებები ს. ყაუხჩიშვილის, ტ. II, თბ., 1965, 133-135. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი და განმარტებები ს. ყაუხჩიშვილის, ტ. VI, თბ., 1966, 229-230, იხ.: Инадзе М. Вопросы... 78-80.

ამრიგად, ადრეული ტაღლის, ე.ი. ახ.წ. II და V საუკუნეების ჩრდილო კავკასიელები ქართველ ხალხთან კულტურული ურთიერთობის შედეგად გაქრისტიანდნენ, ხოლო ის, ვინც ქრისტიანდებოდა, თანდათანობით „ქართველდებოდა“¹ კიდევ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა კვლევა, რომლის თანახმად, აფხაზურ ენაში ბერძნული წარმოშობის ქრისტიანული ტერმინები არა უშუალოდ ბერძნული ენიდან, არამედ მთლიანად ქართველური ენის მეგრული დიალექტისაგან არის შეთვისებული.²

ახ. წ. V საკუნისათვის ჩამოსახლებულ აბაზგებს დასახლების ფორმა, წყაროს თანახმად მომთაბარული და გვაროვნული ტიპის უნდა ყოფილიყო. პროკოპი კესარიელის ცნობით, აბაზგები ჯგუფურად ყოფილან დასახლებული, მათი ხის წნული საცხოვრებლები გვერდი-გვერდ წრიულად მდგარა. შუაში საქონლის დასაცავად, მოღვანი ყოფილა გამოყოფილი. ქოხები გარშემო, ყოველი მხრიდან, „ციხის მსგავსად“, ხის წნული კედლით ყოფილა შემოზღუდული.³ რაც შეეხება, ამ დროისათვის კოლხების სამშენებლო კულტურასა და განსახლებას, ბევრად მაღალი საფეხურია დამოწმებული. ქართველური მოსახლეობა, კოლხები უკვე „ზენურ საყრდენებზე“ („ნაოხვამუ“, „დისაგუშობა“) ე.წ. ჯარგვალური (მეგრ. მრგვალი ხის) ტიპის (თიხატკეპნილი იატაკებით) ნაგებობები იყო გაბატონებული. ეს ნაგებობები მორებიანი საძირკვლით, რკალად შემოვლებული ხის ძელების ღიანდაგისებური წყობით, სოფლების რიგით და სხვა ხის საშენი მასალით გამოირჩეოდა.⁴ როგორც ჩანს, ამ სამოსახლეობზე კოლხები უკვე დიდ ოჯახებად იყვნენ დასახლებულნი.⁵ კოლხების საზოგადოება სოციალურ-ეკონომიკურადაც უფრო განვითარებული იყო. მის მთავარ ეკონომიკურ წყაროს მიწათმოქმედება და მასთან ერთად მესაქონლეობაც წარმოადგენდა. ამრიგად, წყაროებისა და სამეცნიერო კვლევის შედეგებით ჩანს, რომ აბაზგები ნამდვილად გვიან არიან ჩამოსახლებული.

ახ. წ. IV საუკუნიდან ვერისის (ლაზეთის) სამეფოს შემდგომი გაძლიერება ხდება, რაც ტერიტორიის გაფართოებით დასტურდება. IV საუკუნის მიწირულს იგი უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებს. მისი ტერიტორია თანამედროვე აფხაზეთსა და მაღალმთიან სვანეთსაც მოიცავდა. წყაროები აბაზგების ღაზთა მიმართ ქვეშევრდომობას პირდაპირ ადასტურებენ. ვერისის სამეფოს ძლიერების დასუსტების დასაწყისი V საუკუნის 70-იანი წლებიდან ივარაუდება.⁶ სწორედ ამიტომ, ახ. წ. VI საუკუნიდან აბაზგთა პოლიტიკურ აღმავლობას ბიზანტია უმართავს ხელს. როგორც წინა საუკუნეებში, ამჟამადაც ეს იყო გაძლიერებული მკვიდრი ღაზთა მეფის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება. მიუხედავად პოლიტიკური მომძლავრებისა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული განვითარების ღონით აბაზგთა

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1990, 600-603.
² თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის მიხედვით, კრებ. „ქართველური მემკვიდრობა“, ქუთაისი, 1996, 76.
³ გეორგიკა, ტ. II, 160.
⁴ თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, 47; ე. გოგაძე, კოლხეთის ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982, 6-11-13.
⁵ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V, თბ., 1986, 131-132.
⁶ ნ. ლომოური, ვერისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, 66-79.

ლაზთა სამეფოს საგრძნობლად ჩამორჩებოდა. მათ ჯერ კიდევ ამ დროისათვის ტომობრივი დაყოფის ჩარჩოები არ ჰქონდათ გადალახული. ახ.წ. VI-VII საუკუნეებში სანაპირო ზოლზე ძველთაგანვე მოსახლე დასავლურ-ქართველურ ტომებთან – სანიკებთან აბაზების შერწყმა მიმდინარეობდა. ამის შემდეგ VII საუკუნიდან სახელწოდება „აბაზები“, ანუ „აფხაზი“ პოლიტიკურ ტერმინად იქცა, გასცილდა ვიწრო ეთნიკურ ჩარჩოებს. ეს სახელწოდება ამიერიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მთელ ქართველ და არაქართველ მოსახლეობას მოიცავდა. მომდევნო ხანაში აფხაზეთა ერისთავმა ლეონ II-მ ისარგებლა ბიზანტიის დასუსტებით და ხაზართა მეფის დახმარებით ბერძნებს განუდგა. შედეგად სახელწოდება „აფხაზი“ კიდევ უფრო ფართო პოლიტიკურ მნიშვნელობას იღებს. გაძლიერებული „აფხაზეთა სამთავრო“ მთლიანად დასავლეთ საქართველოს გაერთიანების როლში გამოდის. სახელწოდება „აფხაზეთი“ მთლიანად მთელი დასავლეთი საქართველოს გაერთიანების ინიციატორად გამოდის და ეს სახელწოდება მთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდება. მაგრამ, ტერმინი „აფხაზეთი“ VIII საუკუნეზე ადრე არ არის დადასტურებული. იგი უკვე არა მარტო ქართველურ – მეგრულ-ჭანურ-სვანურ, დასავლურ ქართველურ – არგეთის, მოხირისის, გურისის, რაჭის, აჭარის მოსახლეობას, არამედ აღმოსავლურ ქართულ ტომებსაც გულისხმობდა. მათი ამ სახელწოდებაში შედევვის პროცესი VIII საუკუნისათვის ძირითადად უკვე დასრულებული იყო“. ამრიგად, აფხაზეთა სამეფო ქართული სახელმწიფო იყო, აფხაზი კი ფართო გაგებით ქართველს აღნიშნავდა. X საუკუნიდან „აფხაზეთი“ ერთიან, ქართულ, მონარქიულ სამეფოსაც ეწოდა, რომელსაც საკუთარი ენა, სარწმუნოება და დამწერლობა გააჩნდა. „ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ აღნიშნული მოვლენების თხრობისას მემბტიანე სახელწოდებას „საქართველო“ პირველად ხმარობს“¹.

ყველაფერი ზემოთქმული იმაზე მეტყველებს, რომ ადრეული ტაღლის „ფსპას“ შთამომავლობის მთიელი მოსახლეობა ადაპტაციის წყალობით VIII-IX საუკუნეებში უკვე მკვიდრ ქართველურ მოსახლეობასთან ასიმილირებული ჩანს, იმდენად, რომ ეთნოგენეტიკურ გადმოცემებში ქართველ მეფეებს აფხაზეთად აღიქვამდნენ. ამ ადრეული ტაღლის ასიმილაციის პროცესის დასასრული X საუკუნისათვის იფარაუდება.

XV საუკუნეში, სანამ საქართველოს საზღვრები დაცული იყო, ჩრდილოეთ კავკასიიდან მთიელები ვერ გადმოდიოდნენ. მაგრამ, XIII საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ჯერ მონღოლებისა და შემდეგ თემურ-ლენგის თარეშს მოგვიანებით ოსმალეთის აგრესიაც დაემატა. ამან აფხაზეთის მოსაზღვრე ჯიქურ-აბაზური და სხვა მთიელების კავკასიის სამხრეთ ფერდობებზე გადმოსახლება განაპირობა, რასაც ცენტრალიზებული საქართველოს სამეფოს დაშლის პროცესმაც შეუწყო ხელი. ჩრდილოეთკავკასიელი მთიელები ადგილობრივ მოსახლეობას თავს ესხმოდნენ, ტყვეები მიჰყავდათ და ოსმალებზე მყიდდნენ.

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1990, 137; მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები, ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ., 2009, 429-437; З.В. Аччабадзе. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1959, 171; ზ. პაპასკირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკ. I, თბ., 2004, 39, 57.

ეს პროცესი ქართული სამართლის ძეგლებმა 1470-1474 წლებში აღნუსხეს. ძეგლმა აფხაზეთში „ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკა“, „ქრისტეს მცნება-თაგან განშორება“ დაადასტურა.¹ რაც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ ახალ-ახალი ნაკადის ჩამოსახლების შედეგად ქრისტიანული და განვითარებული საზოგადოება არაქრისტიანულმა შეცვალა, რომელსაც თან პრიმიტიული ყოფაცხოვრება ჩამოჰქონდა.

ჩამოსახლებულთა აგრესიული ექსპანსია, მეკობრეობა გარდა აფხაზეთის ქართველური მოსახლეობისა, ოდიშის და გურიის სოფლებსაც სწვდებოდა, სადაც მოსახლეებს ძარცვავდნენ და ატყვევებდნენ.² აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ ახალ ტალღობრივ გადმოსახლებას თავიდან თვით ერისთავი შარვაშიძე უწყობდა ხელს, რომლის მიზანს, ამ მხარეში საკუთარი უფლებების თვითნებური გაძლიერება წარმოადგენდა.³

ასეთ პირობებში აფხაზეთის ძველი მოსახლეობა, მათ შორის ასიმილირებული აფხაზებიც იძულებული ხდებოდნენ ქვეყნის შიდა რაიონებში გადასახლებულიყვნენ. მათ ადგილებს კი შემოჭრილი მოსახლეობა იკვებდა ხელში და ამ მიწა-წყალზე ფეხს იკიდებდა. ცხადია, ვინც საკუთარ სახლ-კარს ვერ თმობდა, ის იძულებული ხდებოდა მოსულის თავსმომხვეული კანონებით ეცხოვრა. აფხაზეთში ახალი ტალღების ჩამოსახლებამ საერთო განვითარების პროცესის შეფერხება გამოიწვია. მიგრაციული ტალღები ტერიტორიაზე დასახლებასა და ადაპტაციას ვერ ასწრებდა, რომ ქვეყანას ახალი მიგრაციული ნაკადი ატყვებოდა თავს.

ნრდილოეთ კავკასიიდან მთიელების ახალი გაუთვალისწინებელი (XVII-XVIII-XIX საუკუნეებში) ტალღების ჩამოსახლებისა და ტრადიციული, სათემო წყობილების ჩამოტანის შედეგად აფხაზეთში ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარება შეფერხდა. თანდათანობით ფეოდალის, შარვაშიძის ძალაუფლება ნომინალური ხდებოდა. „მთავრის ხელისუფლება ჩამოსახლებულებმა სასოფლო თემების დაარსებითა და სახალხო კრებებით შეზღუდა.“⁴ მას მებეგრე გლეხები შეუმცირდა, რადგან ქართველი გლეხები საკუთარ სახლებს ტოვებდნენ, მათ ადგილს კი ჩამოსახლებული თავისუფალი მეთემეები იკავებდნენ. ახლად შემოჭრილი მოსახლეობა ეთნიკურად უკვე ჩამოყალიბებული იყო, მათი გათქვეფა ადგილობრივ მოსახლეობაში უკვე სიმძლავრე წარმოადგენდა. პირიქით, ახალი ნაკადი იმ ნარჩენ წინაპარ მოსახლეობაზეც ახდენდა გავლენას, რომელსაც ძველი „შინაური ენა“ ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა. მთის მოსახლეობას პრიმიტიულ და ყოფის კონსერვატიულ ტრადიციებთან ერთად „სოციალური თავისუფლებაც მოჰქონდა, რაც ამ მოსახლეობის ფენისთვის მიმზიდველიც ჩანდა.“⁵

¹ ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, 222.

² Анчабадзе З.В. Очерк этнической истории абхазского народа, Сухуми, 1976, 133; Берадзе Т.Н. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989; ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, 59-63, 81.

³ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, 137-138.

⁴ Антелава И.Г. К вопросу о феодальных отношениях в Абхазии в XVII-XVIII веках, Труды АГМ, вып. I, Сухуми, 1947, 61.

⁵ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1990, 616.

მართალია, გვიან შუა საუკუნეებში აფხაზეთი კვლავ ფეოდალური ქვეყანა იყო, მაგრამ ფეოდალიზმი პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა. მემამულის უფლება გლეხობის მიმართ მკაცრად, მაგრამ ადათით იყო განსაზღვრული. გლეხს შეეძლო, სადაც მოსურნებდა, იქ დასახლებულიყო. ხშირად იგი მიწის მფლობელისაგან ნებათვასაც არ იღებდა. გლეხსა და მემამულეს შორის ურთიერთობა მხოლოდ მიწაზე დასახლების შემდეგ მყარდებოდა. რაც შეეხება ბეგარს და საბატონო ვალდებულებებს, რომელსაც გლეხი მიწის სარგებლობისათვის უხდიდა მემამულეს, მძიმე არ იყო.¹

მიგრაციულმა პროცესებმა ისეთი საშიში და წამლექავი ხასიათი მიიღო, რომ ანაკოფიის აღმოსავლეთიდან, ზღვიდამ მთამდე, სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა „აფხაზთა გამოუსვლელობისათვის“ კედელი აღმართა.²

XVI საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველო ჯიქების თავდასხმებმა ძლიერ შეაწუხა. როგორც ცნობილია, ჯიქები, იგივე აბაზები XIV საუკუნემდე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ. დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით მდ. ბზიფიდან მდ. ტუაფსემდე. XIV საუკუნის პირველი ნახევრიდან მათ ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყეს გადასახლება.³ მათ საცხოვრებელი ტერიტორია არაერთხელ შეიცვალეს, XVII-XVIII საუკუნეებში ისინი ყაბარდოელებისა და ბესლენეების დაქვემდებარებაში იყვნენ.⁴ ჯიქები მეკობრეობას მისდევდნენ. მართალია, მათი თავდასხმები საქართველოს სანაპიროზე შეწყდა, მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, XVI საუკუნეში კვლავ განახლდა.⁵ სწორედ ამიტომ, XV-XVI საუკუნეების არაბულ, ოსმალურ და სხვა წყაროებში სახელწოდება „აფხაზები“ გაქრა და ჩამოსახლებულთათვის საერთო ტერმინად კრებითი „აბაზა“ დამკვიდრდა.⁶ ამ ეთნონიმის გავრცელება აფხაზეთში კანონზომიერი ჩანს, რადგან ამ პერიოდში ჩამოსახლებული მასის უმეტესობა აბაზა საზოგადოებას შეადგენდა.

იტალიელი მისიონერი დონ არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 1633-1649 წლებში ოდიშის სამთავროში მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა, წერდა: „აფხაზები... ანუ აბაზები, რომლებსაც თურქები აბასად (აბაზად) მოიხსენიებენ... ქალაქებში და ციხეებში როდი ცხოვრობენ, არამედ შეიყრება ერთი გვარის ათი თუ ოცი ოჯახი, ამოირჩევენ რომელსაღე მადლობ ადგილს, გააშენებენ იქ კარგ ისლით დახურულ ფაცხებს, შემოავლებენ ამორჩეულ ადგილს მაგარ ღობეს და ღრმა თხრილს. ღობეს და თხრილს იმიტომ აკეთებენ, რომ ეშინათ თავდასხმისა, გარეშე ხალხის კი არა, თვით აფხაზები თავს ესხმიან და ძარცვავენ ერთმანეთს. ხოლო ართმევენ ერთმანეთს სახლის ავეჯს კი არა, რადგან აფხაზს ასეთი ავეჯი

¹ ბ. ხორავა, აფხაზეთის სამთავროს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხისათვის გვიან შუა საუკუნეებში, ჟურნ. „არტანუჯი“, №10, თბ., 2000, 26.

² ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, 782.

³ Лавров А.И. Абазини, КЭС, т. I, М., 1955, 21.

⁴ Данилова Е.Н. Абазини, М., 1984, 20-23.

⁵ სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, თბილისი-ზუგდიდი, 1999, 155-156; ზ. პაპასკირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I, თბ., 2004, 96.

⁶ გ. ჯაფარიძე, ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებანი, კრებ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, 130-135; კვლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, I, თბ., 1971, 100.

არც კი გააჩნია, არამედ კაცებს, ქალებს და ბიჭებს. ამისათვის ჩვეულებრივ დამე დაეცემიან ერთმანეთს და ვისაც მოახვლეთენ, დაიჭურენ და წაიყვანენ“.¹ მსგავს ცნობას ოსმალთა ისტორიკოსი ველია ჩელეზიცი იძლევა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიელ მიგრანტებს „ურნ და მემბოხე“ მოსახლეობად ახასიათებს. იგი მათ აბაზების სახელით მოიხსენიებს. ველია ჩელეზიცი აფხაზეთში 1640-1641 და 1646-1647 წწ. იმოგზაურა. მისი აღწერილობიდან ჩანს, რომ ისინი „მთის წვერზე ორმოცი-ორმოცდაათი კომლით“, „საგვარო ტომებად“ სახლობდნენ. მათ „მოწნული და ყავრით დახურული სახლები“ ჰქონიათ „მთაზე, მზისკენ მიმართული ბად-ვენახით“. ყველა ეს „ტომი“ ერთ საზოგადოებას ქმნიდა. ცალკეულ ბორცვებზე შეჯგუფულ დასახლებას „ციხის მსგავსად“ დობე ჰქონია შემოღვლებული. „ყველა ქოხი ტყეში იდგა, რადგან მათ არა მარტო მტრის, არამედ ერთმანეთისაც ემინოდათ“.² XVII საუკუნის ავტორი ჯოვანი და ლუკა, დომინიკელთა ორდენის იტალიელი ბერი წერდა, რომ „აფხაზებს დაწერილი კანონები არა აქვთ, მათთვის უცნობია დამწერლობის კულტურა, არ ასრულებენ არავითარ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს და მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები. აფხაზებისა და ჩერქეზების ცხოვრების წესი ერთნაირია“.³ XVIII საუკუნეში მ. პეისონელი, როგორც ჩანს, ახლადჩამოსახლებული მთიელების დასახლების მომთაბარულ ფორმას აღწერს და მათ პირდაპირ ჩერქეზებს უწოდებს – „ჩერქეზები დაახლოებით ისევე ცხოვრობენ, როგორც ნოღალები, მათ ქალაქები და არც მუდმივი საცხოვრებლები არ აქვთ“.⁴

ხემოთ მოყვანილი წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ ტაღლობრივად სხვადასხვა საუკუნეში ჩამოსახლებული მთიელი მოსახლეობა აფხაზეთში ბინადარ ცხოვრებას იწყებდა, მაგრამ განცალკევებულ და შეჯგუფულ ცხოვრების წესს დიდხანს ინარჩუნებდა. ამაზე სხვადასხვა უცხოელი და ქართველი ავტორებიც იძლევიან ცნობებს, მაგალითად: ნ. ვიტსენი (XVII ს.),⁵ ფ. ტორნაუ (XIX ს.),⁶ ნ. დუბროვინი (XIX ს.),⁷ ს. ბრონევსკი (XIX ს.),⁸ კ. ჩერნიშევი (XIX ს.),⁹ თ. სახოკია (XIX ს.),¹⁰ გ. ჩურსინი (XX ს. დასაწყისი)¹¹ და სხვ.

ამრიგად, ამ მცირე ისტორიული ექსკურსით, წყაროების, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შედარებით კარგად გამონდა, რომ თანამედროვე აფხაზურმა ეთნიკურმა ერთობამ ისტორიულ-მიგრაციული გზა გამოიარა. ქართველებთან ეთნოკულტურული კონტაქტების შედეგად მათ ქართული კულტურის გავლენა განიცადეს.

¹ დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991, 154-155.

² ველია ჩელეზის „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, თარგმანი გ. ფუთურძის, თბ., 1971, 100-115.

³ ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II, თბ., 1987, 170.

⁴ Кобычев В.П. Поселения и жилища народов Северного Кавказа XIX-XX вв. М., 1982, 19.

⁵ Витсен Н. Северная и Восточная Татария сжатый очерк нескольких стран и народов, в кн. Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях Европейских авторов XIII-XIX вв., Нальчик, 1974, 90.

⁶ Торнау Ф.Ф. Воспоминания кавказского офицера, М., 1864, 83.

⁷ Дубровин Н. Черкесы (Адыги), Материалы для истории черкесского народа, Краснодар, 1927, вып. I, 37.

⁸ Броневский С. Новейшие географические и исторические известия о Кавказе, ч. I, М., 1823.

⁹ Чернышев К. Еще об Абхазии, «Кавказ», №83, 23 октября, 1854.

¹⁰ თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, 310-312.

¹¹ Чурсин Г. Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1957.

ამ რთული გზის გამოვლის შემდეგ ქართველებთან, ქართულ სახელმწიფოში დაიმკვიდრეს ადგილი, თუმცა, რუსეთის იმპერიულ ზრახვებს აყოლილებმა ქართველებთან მშვიდობიანი ურთიერთდამოკიდებულება დაარღვიეს. თუმცა, რუსული იმპერიული ძალისხმევით, პირველად საბჭოთა წყობილების პირობებში „საბჭოთა სოციალისტურ ეთნოსად“, სწორედ რუსებმა აქციეს.

Salome Bakhia-Okruashvili

**Abkhazian-Georgian Explanatory Dictionary of
Ethnographic Terms**



**Tbilisi
2020**

The work I want to introduce to readers is the first attempt to compile and publish the Abkhaz-Georgian explanatory dictionary of ethnographic terms.

The dictionary contains about 1500 words. For the dictionary I have used the Georgian alphabet, more suitable for the Abkhaz language.

fence all around. “All of the huts were in the forest, because they were afraid not only of enemies, but also of each other.”¹ Dominican Italian monk Giovanni da Luka wrote in the 17th century that Abkhazians have not written law. They are not familiar with the culture of writing, do not observe any Christian customs and rights and only are called Christians. The lifestyle of Abkhazians and Circassians are similar.² As it seems, M. Peisonel, in the 18th century, describes nomadic form of settlement of the new highlander migrants and calls them straightly Circassians –“Circassians’ lifestyle is nearly the same as of Nogais; they have not neither towns nor permanent residence.”³

From the above mentioned sources it is obvious that the highlanders of the different waves of migration, who came to Georgia in different centuries, started sedentary life, but maintained isolated and grouped lifestyle for a long time. Foreign and Georgian authors give us information about it. For instance: N. Vitse (XVII c.),⁴ F. Tornau (XIX c.),⁵ N. Dubrovin (XIX c.),⁶ S. Bronevski (XIX c.),⁷ K. Chernishev (XIX c.),⁸ T. Sakhokia (XIX c.),⁹ G. Chursin (XX c.)¹⁰ et al.

Consequently with this short historical review, the comparison of the historical sources, scientific literature, ethnographic and folklore materials it is obvious that the modern Abkhazian ethnic unity had passed through the historical-migration way. After passing this complicated historical way they found their own place together with Georgians in the Georgian state, however following the intensions of Russia’s imperial desires broke peaceful relationship with Georgians. Although, they underwent the influence of the Georgian culture through the ethnocultural contacts with Georgians, under the Soviet rule, with the efforts of the Russian empire for the first time, they were formed as the “Soviet Socialist ethnos”.

ინგლისურ ენაზე თარგმნა ნინო ღამბაშიძემ

¹ Evliya Çelebi, “Book of Travel” (in Georgian), part I, translated by G. Puturidze, Tbilisi, 1971, 100-115.

² I. Tabaghua, Georgia in the Archives and Libraries of Europe (in Georgian), v.II, Tbilisi, 1987, 170.

³ V.P. Kobychev, Settlements and Housing of the Peoples of the North Caucasus of the XIX-XX centuries (in Russian), Moscow, 1982, 19.

⁴ N. Witsen, Northern and Eastern Tataria a Brief Outline of Several Countries and peoples, in the book. Adygs, Balkars and Karachais in the Notifications of European Authors of the XIII-XIX Centuries (in Russian), Nalchik, 1974, 90.

⁵ F.F. Tornau, Memoirs of the Caucasian Officer (in Russian), Moscow, 1864, 83.

⁶ N. Dubrovin, Circassians (Adyghes) (in Russian), Materials for the History of the Circassian People (in Russian), Krasnodar, 1927, no. I, 37.

⁷ S. Bronevsky, Recent Geographical and Historical News of the Caucasus (in Russian), part I, Moscow, 1823.

⁸ K. Chernyshev, More about Abkhazia (in Russian), The Caucasus, No. 83, October 23, 1854.

⁹ T. Sakhokia, Travels (in Georgian), Tbilisi, 1950, 310-312.

¹⁰ G. Chursin, Materials on the Ethnography of Abkhazia (in Russian), Sukhumi, 1957.

აფხაზურ-ქართულ ეთნობრაფიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

აადიგი (აადღე) – ადიღელი.

ააბა – 1. ქერიეი (ქალიც და მამაკაციც); 2. ობოლი.

ააბარა – 1. ობლობა; 2. ქერიეობა. XVI საუკუნიდან XX ს. დასაწყისში აფხაზურ სოფლის თემს მჭიდრო, სოციალური, ეკონომიკური და ნათესაური კავშირი ახასიათებდა. ყველა თემი და მისი წევრები თავისებური, ჩაკეტილი, შიდა ცხოვრებით ცხოვრობდა. მათი მმართველობის სისტემა ერთმანეთთან მორალურ-უფლებრივი მოვალეობითა და ვალდებულებებით იყო დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, თემი ყველაზე გაჭირვებულს, ობოლს და ქერიეს ხელს უმართავდა და მეურნეობაში – ხვნა-თესვაში ეხმარებოდა.

ააბარ – გადასახადი, რომელსაც უხდიდნენ მთავარს – შარვაშიდის გვარის წარმომადგენელს – სასამართლოში მონაწილეობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს პროცესში მთავრის დასწრება აუცილებელი იყო, მისი მონაწილეობა კი მინც ნომინალური რჩებოდა. საბოლოო გადაწყვეტილებას, მაინც უზუცესთა საბჭო იღებდა.

ააგუშე (ააგიეში) – წალდი. აფხაზები უმეტესად ამ იარაღს „წალდა“-ს სახელით მოიხსენიებენ (შრომის იარაღი).

ააგეაბარა (აიგეაბრა) – გადატიხვრა. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული თანამედროვე აფხაზების წინაპართა ადაპტაციისა და ინტენსიურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის შემდეგ აფხაზურ საცხოვრებელში ადამიანისა და საქონლის სადგომი სივრცე თავდაპირველად იქვე გადაიტინხრა, ხოლო შემდეგ ეტაპზე – ბოსელი, მარცვლეულის შესანახი, ფარეხი, საქათმე და ა. შ. საცხოვრებლის გვერდით დამოუკიდებლად იქნა განთავსებული.

ააზარა – თავყრილობა სოფლის, ყრილობა, კრება. აფხაზებში სოფლის ცენტრში, ამაღლებულ ადგილზე, რომელიმე მრავალწლიანი ხის ძირში უხუცესი მამაკაცების თავყრილობები თემის სხვადასხვა საჭირობოტო საკითხებზე იმართებოდა. მაგ., მიწაზე საზაფხულო სამუშაოების დაწყების, საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გადასვლის დროის დადგენის, ქცევის წესების დამრღვევთა გასამართლების და ა. შ.

ააზაფრა – სროლა (მონადირეთა ენაზე). აფხაზებში მონადირეებს საკუთარი ტყის ენა ჰქონდათ, რომლითაც, როგორც თვით ფიქრობდნენ, ნადირს აბნევენ, რადგან მათ ტყის ენა გარეულ ცხოველს არ ესმოდა.

აათარ-ლაბა – „აითარის ჯოხი“, აითარის დღესასწაული, რომელიც ადღვამის მესამე დღეს ტარდებოდა. წმინდა კაკლის ხის მახლობლად ჯოხს მიწაში ჩარტობდნენ, იქვე დაკლავდნენ თხას ან ბატკანს და აითარს მსხვერპლად სწირავდნენ.

აათარნიჰე (აათარნეჰი) – აითარის ლოცვა. ტარდებოდა ყველიერში.

ააკვალა (ააკიალა) – ხელცული, მცირე ნაჯახი (წვრილმანი სამუშაოებისთვის). დასავლურ ქართულ მეტყველებაში „კვალა“ შესულია აფხაზურიდან (მეგრულში, იმერულში, შდრ. აბაზური (ტაფანთური) კვალა (კილა), შრომის იარაღი.

აილაჯი – ელარჯი (მეგრული ტერმინი). მდულარე წყალს თანდათან უმატებენ სიმინდის ფქვილს, მკერივი ფაფის მიღებადღე, ჩაყრიან დაჭრილ ახალ ამოყვანილ ყველს **აშეწიფს-ს (აშიწიფსუ)**, უმატებენ ცოტა მარილს. ურევან და ზელენ მანამ, სანამ ყველი არ გაიქნება და არ მიიღებენ წველად ღომის საკეებს.

აილაფრა – გამარგვლა (ხელით). || **არაშიარა** – მარგვლა.

აილაქი – < ქართ. **ელეგი**. კორსეტი. აფხაზი გოგონები გათხოვებამდე მას ცხრა წლიდან ატარებდნენ მუდმივად. ეს იყო ფართო ქამარი ან ნარმის ქსოვილი, რომელიც მჭიდროდ ჰქონდათ მომდგარი ტანზე. კორსეტს შიგნით ძვლის ან ლითონის თხელი ფირფიტა ჰქონდა ჩატანებული. აილაქი ძვლის ან ლითონის დილებით იკვრებოდა. ქორწილის შემდეგ, პირველ დამეც კორსეტის გახსნის პრივილეგია ქმარს ჰქონდა.

აილგხრა – გახსვლა (ვენახის).

ამაბაძახრა „წულის კერვა“ – მეწუღეობა, ხარაზობა.

ამაკრა – კამათი, დავა, უთანხმოება.

ამსი (ამსე) – ფეხსახვევი, მესტებში. ყველა მამაკაცი, მათ შორის მწვემსები და მონადირეებიც, ფეხის გულზე ამოსადებ პაიჭს იცვამდა, რომელიც შინ მოქსოვილი ტილოს ქსოვილისგან იკვრებოდა. პაიჭის დასამაგრებელი შავი ზონრებით პაჭანაკებით იკვრებოდა, რომლების სიგრძე 35-37 სმ იყო.

ამთახარა – მიცვალებულის სულის საოხად გამართული ჯირითი ცხენებით, დოღი. მამაკაცი მიცვალებულის ცხენის გამოყენება სამუშაოდ ან საჯდომად წლისთავამდე არ შეიძლებოდა. იგი დიდიდან საღამომდე საბაღაზოდ, თავისუფლად იყო მიშვებული, მაგრამ მიცვალებულის საფლავზე წლის განმავლობაში ხშირად მიჰყავდათ. წლისთავზე მიცვალებულის ახლობლებს სამი შეკაზმული ცხენი გამოჰყავდათ – ერთი საბავშვო უნაგირით, მეორე – ახალგაზრდული ვერცხლით მოქვილი უნაგირით, ხოლო მესამე – მეომრულით. ცხენების გამოყვანის დროს, გვერდზე მდგარი ზარისმთქმელი ხმამაღლა მიცვალებულის ბავშვების ღირსებებზე მღეროდა; მეორე მთქმელი – ახალგაზრდულ თავგადასავლებზე, თავმოქმონე ემაწვილზე, ხოლო მესამე ზარისმთქმელი – სამხედრო დამსახურებაზე, მის ღირსებებზე ამახვილებდა ყურადღებას. ეს იმპროვიზირებული სამგლოვიარო ჰიმნი იყო. ამის შემდეგ მიზანში სროლა ეწყობოდა, ხოლო შეჯობრების შემდეგ, სამგლოვიარო ქეღეხი ცხენების ჯირითით მთავრდებოდა. მიცვალებულის ცხენი ჯირითში შავი გადასაფარებლით შემოსილი იღებდა მონაწილეობას.

ამნრაალარა – შერიგება, დაზავება (მაგ. სისხლ-მესისხლეობის დროს). XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში აფხაზები სისხლ-მესისხლეობაში მტრულ ურთიერთობას, შერიგების სხვადასხვა წესის გამოყენებას ამჯობინებდნენ: 1. ხელოვნური დანათესავების წესით – მკვლელი ნათესავების დახმარებით, მოკლულის სახლში შეიპარებოდა, აკანში მწოლიარე ან სხვა მცირე-წლოვან ბავშვს – ბიჭს გაიტაცებდა და აღსაზრდელად საკუთარ სახლში მიიყვანდა. ამ შემთხვევაში, სახალხო ყრილობის „უხუცესთა საბჭო“ საქმეში უსათუოდ ჩაეროდა. დაზარალებული ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებზე გავლენის მოხდენას ცდილობდა, რომ საქმე შერიგებისაკენ მიემართათ. ამის შემდეგ შურისძიების მოვლენა ჩერდებოდა. ორივე ურთიერთდაპირისპირებულ მხარეს ურთიერთვალდებულებები ეკისრებოდა ხელოვნური დანათესავების გამო. 2. ხელოვნური დანათესავების მეორე შემთხვევაში – მკვლელი თავისი ახლობელი ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით მოკლულის დედას ან ცოლს, სახლიდან გარეთ დაუდარაჯვდებოდა, ან საცხოვრებელში მოულოდნელად შეიჭრებოდა. ძალის გამოყენ-

ნებით ქალის მკერდზე ტუნების მიღებით, მისი შევილობილი ხდებოდა. ამ შემთხვევაშიც (მრით დანათესავება) შურისძიების გამოყენება აღარ შეიძლებოდა. მესისხლეოა შორის მტრობა თავდებოდა. 3. მედიატორთა სასამართლოს (მომრიგებელ-შუამავლებს) დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ (დაჭრის, დასახინრების, მკვლელობის და სხვა შემთხვევაში) „სისხლის ფასი“ დგინდებოდა, ხოლო მკვლელთა ოჯახებს და პატრონიძიებს ეს მორალური და მატერიალური ზარალი უნდა აენახლაურებინათ.

ადნყაბა – „ერთმანეთზე მისარტყემლი“, ჩხარუნა. ეს არის ხის 12 ფირფიტა, რომლებიც გახვრეტლია ფუძესთან და ამ ხვრელებში გაყრილია თასმა. 11 ფირფიტა ზუსტად ერთი ზომისაა, მეთორმეტეს კი დამატებით აქვს მოგრძო სახელური. დამკვრელს ჩხარუნა ამ სახელურით უჭირავს და პაერში იქნევს, ფირფიტები ერთმანეთს ეხეთქება და ხმას გამოისცემს. აინყიავას ყველაზე ხშირად საცეკვაო მელოდიების თანხლებისთვის იყენებენ.

ადობა – ბზობის წინა კვირა, იაიობა, ბაიობა, ბზობა. < მეგრ. **აიობა** „ქვეყრის დალოცვის დღესასწაული“. **ადა-ს** ნ. ჯანაშია პირველ ყვავილს უკავშირებს, ხოლო ნ. ანთელავა „აიობას“ – გაზაფხულის ბუნიობისადმი მიძღვნილ დღესასწაულს. რეალურად სიტყვა მომდინარეობს ქართული **იაიობა** სიტყვისაგან, შდრ. იაია „ია“.

ადრგა (**ადრჯ** // **აერჯ** // **ადრჯ** // **ადარჯ**) – 1. წმინდა გიორგი; 2. ყანალობა-მარცვისა და ქურდობის, აგრეთვე მესაქონლეობის, ნადირობის, ჭექა-ქუხილის მფარველი ღვთაება. სახელის ფონეტიკური ვარიანტები მომდინარეობს წმინდა გიორგის აღმნიშვნელი მეგრული **ერგე** ფორმისაგან (შდრ. მეგრული **ჯაგე** // **ჯურგე** // **ჯაგე** // **გაგე** ვარიანტები).

ადრძი (**ადრძე**) – თიხის ღოქი, რომლითაც მაგიდასთან ღვინო მიჰქრდოდა.

ადფკა – ჩიხორა, „ქვედა ტანი“ (ქვედა კაბა). შდრ. რუს. **юбка**.

ადქვა (**აძქვა**) – 1. შარვალი. 2. ქვედა საცვალი, ნიფხავი. 3. ტრუსი.

ადლაცვა (**ადლაცია**) – მტრები (ერთიმეორის), სისხლ-მესისხლეობაში დაპირისპირებულები. სისხლ-მესისხლეობა, რომელსაც მიძიმე შედეგები მოჰქონდა, აფხაზებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან და სასიცოცხლო საკითხს წარმოადგენდა. ეს ჩვეულება მრავალ ასპექტს – საკუთრების მიტაცებას, საქონლის ქურდობას, სახლზე კვცხლის წაიღებას, დასახინრებას (მით უმეტეს პირსახეზე), შუურაცხყოფას, ძალადობას, ქალის გაუპატიურებას, ქალის გატაცებას და მკვლელობას მოიცავდა.

ადლარა – ურთიერთმტრობა.

ადშია მათია – „ტაბლის ტანსაცმელი“ (იგულისხმება დაბალფეხებიან მაგიდაზე გადაფენილი სამოსი). მიცვალებულის საწოლზე დადებული ტანსაცმელი (სიკვდილის შემდეგ ორმოცამდე). მიცვალებულის დაკრძალვის დღეს ქელეხის პროცესის დროს, რომელიც დეკორატიულ ეზოში იმართებოდა, მიცვალებულის ჩალით გატენილი ტანსაცმელი **ანშან** (< ქართ. **ნიშანი**), რომელიც მანეკენს მიაგავდა, ეზოში გაკეთებული ფარდულის ქვეშ ტახტზე ან დაბალ, ხის განიერ სკამზე ესვენა. შემდეგ იგი გადაჰქონდათ სახლში, საკუთარ საწოლზე. თუ მიცვალებულს (მამაკაცს) ცოლი ცოცხალი რჩებოდა, იგი საწოლის წინ იატაკზე იძინებდა ორმოცი დღის განმავლობაში. ორმოცის შემდეგ კი ამ ტანსაცმელს ახლობელს აძლევდნენ, რომ მის სახელზე ეტარებინა.

ადშიარგლარა – „მაგიდის დაღმა“, ქელეხი, მოსაგონარი. მოსაგონარი ქელეხები დაკრძალვის ქელეხისაგან განსხვავდებოდა. ასე, მაგ., თავისი პომპეზურობით გამოირჩეული იყო წლისთავი. მის მომზადებაში, ხარჯების

განაწილებაში ახლო და შორი ნათესავეები ნათესაური კატეგორიების მიხედვით იღებდნენ მონაწილეობას. რაც უფრო ახლო ნათესავი იყო, მით მეტი წილი ჰქონდა გადასახდელი. ამ ქვლეხის ხარჯებს დედის მხრიდან ნათესავეები, რძით დანათესავეებულები, მოყვრობით ნათესავეები და მოვარეებიც ინაწილებდნენ. ქვლეხისათვის, საქინელი (სხვადასხვა სახის), ფრინველი მოჰყავდათ. ასევე ფქვილი, ლობიო და სხვა მოჰქონდათ. თანდათანობით შესაწირი ფულით იცვლებოდა.

ამშვა – ტაბლა, პატარა სამფხეა მაგიდა. ამ ძველებურ მაგიდაზე ჩვეულებრივ უხუცესი სადილობდა და ვაჟშობდა. ოჯახის პატივცემულ სტუმარსაც მსგავს მაგიდას უდგამდნენ.

ამშვანა (აიშვანა) – მწვემის ტაბლა. აღპური მითს საძოვარზე ყოფნისას, მწვემსები კარგებიც ცხვორობდნენ. საკვებისთვის მათ მცირე ზომის ინდივიდუალური ფიცრები ჰქონდათ, რომელსაც კვების დროს ისინი მუხლებზე იღებდნენ.

ამწვანა – „უმცროსი ძმის წილი“. დიდი ოჯახის დიფერენციაციისა და ინდივიდუალური ოჯახების გამოყოფის შედეგად ყველა ძმას მამის ქონებიდან თავისი თანაბარი წილი ეძლეოდა. მაგრამ სხვადასხვა ეპოქაში უფროს და უმცროს ძმას გარკვეულად განსხვავებული წილიც ეძლეოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ძველად, გაყრის დროს უფროსი ძმა მამისეულ სახლში რჩებოდა და ეს პრივილეგია იყო, იგი ძმებისგან დამატებით საქონელს – ცხვარს, ან საოჯახო ნივთებიდან მამისეულ ქამარ-ხანჯალს იღებდა საჩუქრად, რადგან ოჯახში მისი შრომის წილი ყველაზე მეტი იყო. მოგვიანებით, გაყრა და ქონების განაწილება, როდესაც ცოცხალი მშობლების დროს ხდებოდა, მამისეულ სახლში მშობლებთან ერთად უცოლო, უმცროსი ვაჟი რჩებოდა, რომელსაც „საუმცროსო წილი“ ე. ი. დედ-მამის სარჩენად და შემდეგ დასამარხად ერთი ძროხა, დამატებით ცხვარი ან თხა ეძლეოდა.

ამჭეწრა – გაყრა (ოჯახის გახრდის შემდეგ). დიდი ოჯახის რღვევის საფუძველი ოჯახის რიცხოვრივ ზრდასთან ერთად, კერძო საკუთრების განენამ გამოიწვია. ოჯახი იმ ერთეულს წარმოადგენს, რომლისაგანაც ადამიანები მრავლდებიან, როგორც ბიოლოგიურად, ისე სოციოკულტურული თვალსაზრისით. იგი აერთიანებს ერთმანეთთან საქორწინო ან ნათესაური ურთიერთობებით დაკავშირებულ ადამიანებს. სტრუქტურა ოჯახის წევრთა ურთიერთობის ხასიათზეა დამოკიდებული. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ძირითადად ოჯახის ორი ფორმა გამოიკვეთა – დიდი და ინდივიდუალური.

ამხრანწარა – მზითევი. ანამა (ურვადმა – სიძის საჩუქარი სიამარ-სიდედრისადმი ცოლის მაზდად), თანდათან დაკარგა თავისი ხასიათი და დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ჩვეულება აფხაზებმაც აითვისეს. მზითევი მეცრად არ იყო განსაზღვრული, მაგრამ სასიძოსთვის ცხენი მიჰყავდათ, პატარაძალს კი ყოველთვის ატანდნენ ძროხას, კერიის ჯაჭვს, სპილენძის ქვაბებს, ტაშტებს, დოშტებს, ჭურჭელს, სეივრს კაბებით სავსეს, სხვადასხვა ხელსაქმისთვის შალის ან ბამბის ძაფს.

ამხამშოტურ – სხვადასხვანაირი ნახჭით მორთული ქისა. იგი სხვადასხვა ნივთებისა, ასევე თუთუნისა და თოფის წამლისთვისაც მოიხმარებოდა. მამაკაცებს იგი ქამარზე ჰქონდათ ჩამოკიდებული.

ამაბაბ (ამაბაბე) – 1. უფროსი. 2. ხელმძღვანელი, წინამძღოლი. იგივეა, რაც ჩვეულებით სამართალში **აფხნაგილავე (აფხნაგელე)** „წინ მდგომი, თავში მდგომი, წინამძღოლი“ და **ახი (ახე)** „თავი, ყრილობის მეთაური“. იგი იყო ოჯახის, თემის, სოფლის საბჭოს უფროსი – **ამაბაბ**.

ამაბებრა – „უფროსობა“ // **აიპაბაცია** – უხუცესები (უბნის, სოფლის, საკრებულოს). თემის, სოფლის, უბნის საკრებულოს – „უხუცესთა საბჭოს“ წევრებს მამაკაცები ხმის უმრავლესობით ირჩევენ. „უხუცესთა საბჭო“ უმაღლესი ორგანო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალის მქონე იყო. ისინი სახალხო კრებაზე სხვადასხვა საკითხებს განიხილავდნენ. თემისა და სოფლის უხუცესები უფრო ფართო საკითხებს არჩევენ, ვიდრე – უბნის უხუცესები.

ამაბახუშა (ამაბახიშა) – უხუცესის წილი. თავდაპირველად დიდი ოჯახის სემინტაცია უხუცესის, ე.ი. ოჯახის მეთაურის სიცოცხლეში შეუძლებელი იყო. დიფერენციაცია მიზანშეწონილი ხდებოდა მაშინ, როდესაც ერთ ოჯახში რამდენიმე თაობით (5-7) დაშორებული ნათესავების წრე იქმნებოდა. ამობლების სიცოცხლეში ოჯახის სემინტაცია გვიანი მოვლენა იყო. მშობლის გაყოფისას მიწა და ძირითადად საქონელიც, ჩვეულებრივ, მეწილეებზე თანაბრად იყოფოდა. დიფერენციაციის დროს თუ რომელიმე ან ორივე მშობელი ცოცხალი იყო, ცხადია, ისინი დიდ, ძირსახლში რჩებოდნენ სახოვრებლად უმცროს, დაუქორწინებელ ვაჟთან ერთად. ამიტომ, **ამაბახუშა** ე.ი. უხუცესის წილი ქონებიდან (გარდა დიდი სახლისა) უხუცესების წილი საქონელი, მსხვილფეხა და წერილფეხაც იყო, რომელიც სიცოცხლეში მათ გამოკვებას უნდა მოხმარებოდა, ხოლო შემდეგ – დაკრძალვის ხარჯებს. თუ მხოლოდ ერთი მშობელი იყო ცოცხალი, მაშინ ერთ ძროხაზე რიგდებოდნენ.

ავცარა (ავცარა) – მარანი, სიტყვა-სიტყვით – „სადაც ღვინო იღვრება“. მეფე-ნახებრა-მეღვინეობა რომ აფხაზეთისათვის ძირითადი დარგი არ ყოფილა, ეტეობა როგორც სამეურნეო ნაგებობას, ასევე ღვინისათვის განკუთვნილ ჭურჭელს (ისინი თავდაპირველად უმეტესად ხის კასრებს გამოიყენებდნენ ღვინის შესანახად), ყურძნისათვის განკუთვნილ კალათების ფორმასა და ტერმინოლოგიას, რომელიც უმეტესად ქართულიდან არის ნახესხები. აფხაზებს მარნის, საწნახელის, ვაზის სიმბოლური და დვთაებრივი გამოსახატულება არასოდეს შეუქმნიათ. მსხვერპლშეწირვასა და დალოცვასაც არ მიმართავდნენ. აფხაზებმა წარმართული დღესასწაულების დროს, დასაწყისისთვის, ჩრდილო კავკასიიდან ჩამოტანილი ბუზა (თაფლის სანთლისგან გაკეთებული მათობებელა სასმელი) თანდათან ღვინით შეცვალეს, თუმცა, ქეღებებში ახლოწარულამდე ამ ხარიტუალო სასმელს (ბუზას) იყენებდნენ. ზედაშეს კულტურა აბუჟის აფხაზებში გვიან საბჭოთა წყობილებაში დაფიქსირდა, რადგან მეგრელებთან უფრო ახლო კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ. რამდენიმე ზედაშე საკუთარი წარმართული ხატ-სალოცავისადმი აქვთ მიძღვნილი. მარანი გავრცელებული იყო უმეტესად აბუჟაში. ფიცრული ან ძელური ნაგებობა. ძველად წნული და მრგვალი, რომელსაც კონუსური ფორმის სახურავი ჰქონდა. გვირით ან თივით იყო დახურული. ოთხკუთხედი 12×8×2 მ ნაგებობაც კეთდებოდა, ორ- ან ოთხფერდა სახურავით. გვირით, თივით ან ისლით დახურული. მარნის ერთ მხარეს საწნახელი – **აეჭა (აეჭა)** იდგა. მეორე მხარეს ჩვეულებრივ მიწაში ჩაფლული იყო ქვევრები (**აჭაფუშა**). ბზიფის აფხაზეთში მარანს ღია ცის ქვეშ, ვაშლის, კომშის და მსგავსი მცირე ფესვიანი ხის ქვეშ, ამაღლებულ ადგილზე აწყობდნენ. ქვევრებს თავს კარგად ახურავდნენ, რომ მასში წვიმას არ ჩაეფონა. ასევე ქვევრს გარედან თხის ქონით პოხავდნენ, რომ მიწაში წყალს არ შეეღწია.

ავუნე იანცვახვლე (ავუნე დანციახიდუ) „სახლის დიდი ღვთაება“. აფხაზები ჩვეულებრივ თავისი წარმართული ღვთაებებისათვის საკურთხეველს და ტაძრებს არ ქმნიდნენ. მათი დასავლურკავკასიური ძეგლები მხოლოდ

ანტროპომორფული საფლავის თავისებური ქნადაკეები იყო, რომლებიც სქემატური ფორმით ადამიანის ტანს თავით გადმოსცემდნენ. ისინი ქვის ფილებით გადმოცემული იყო, რომელსაც აფხაზურად „აქაჰანა“ ეწოდებოდა“ (Инал-ипа Ш.Д., Абхазы, 1965, Сухуми, 561).

აზგ – ღვინო (< ქართ. **ღვინო**)

აზგმა|სხნმა – სხვადასხვა საკრავი (<ქართ. ხეში).

აზგზა – 1. მეგობარი; 2. ამხანაგი.

ა(ი)გჳა (აიგჳია) – საწნახელი.

აა // აახგ – ფაცხის აიენის წინა საძირკველი.

აამ(გ)სთა – აზნაური.

აამ(გ)სთარა – აზნაურობა.

აამსთა კააჳ – „მოკლე აზნაური“, დაბალი რანგის აზნაური, არაოფიციალური აზნაური.

აამესთცია – აზნაურები.

აანდა – „ლობე“ < მეგრ. **ღანდა**.

აარინხრა (აარჯხრა) – მოსაველი.

აარგმარა (აარჯარა) – გვალვა.

ააფთრა // ააფთოფ (ააფთოფ) – საგაზაფხულო-საშემოდგომო ბანაკი (ბაკი), დროებითი სადგომი მწვემსებისა და წვრილფეხა საქონლისათვის. **ააფთფ** – ნახირის განერების ადგილი. ეს „ადგილი“ ერთი მიწიერიდან მეორეზე გადაჰქონდათ, ბალახის შემცირების შემდეგ. გადატანის დროს მწვემსებისთვის დროებით ფარდულს – **აათნ ფწყა**-ს დგამდნენ მწვემსებისთვის, რომელიც გვიმრით ან ღელქაშით იხურებოდა.

ააფთრა – მწვემსების საზამთრო სადგომი.

ააფუნდაწარა „გაზაფხულის თესვა“ – ანეული.

ააფსთა – ხეობა. ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში აფხაზთა ადრეული წინაპრების დასახლების ფორმა ნახევრადმომთაბარულ-მესაქონლური სადგომი იყო, რომელიც ქართულ და უცხოურ წყაროებშია დაფიქსირებული. მათი წნული საცხოვრებლები წრიულად მდგარა, დახურული ყოფილა ღელქაშით. წრიულად მდგარი საცხოვრებლები ყოველი მხრიდან წნული კედლებით ყოფილა შემოსაზღვრული. ჟან ბატისტ ტავერნე (XVII ს.) და პალასი (XVIII ს.) წერდნენ, რომ ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებული ეთნიკური ჯგუფები საცხოვრებლად რომელიმე მალღობ ბორცვს ირჩევდნენ. წრიულად ან ოთხკუთხად გვერდიგვერდ, ხის წნულ სახლებს დგამდნენ, რომ შიგნით მოქცეული სივრცე სასაქონლე ეზოსთვის გამოეყენებინათ. გარშემო ძველებურად, წნულ ღობეს ავლებდნენ და მხოლოდ ერთ ჭიშკარს უკეთებდნენ. მოვლენათა თანდათანობით განვითარების ფონზე მოსული და დამხვედური მოსახლეობის შერევა-ინტეგრაციის შედეგად აფხაზებისათვის დასახლება ქართული, „ხუტორული“ ტიპი დამკვიდრდა.

ააცემთვა (აცემთთა) – „ხარის ნივთი“, კავი. ძველი სახენელი იარაღი. უბრალო ხის კაუჭი. გათლილი ოთხკუთხა ხეღნით. ხეღნის სიგრძე 2 მ 95 სმ, სიგანე 8 სმ, სისქე 5 სმ. კაუჭის სიგრძე 44 სმ, სისქე 10 სმ. კაუჭი ქმნის მახვილ 45-იან კუთხეს. კაუჭი გახვერტილია სატეხით. ამ ნახვერტში ჩადებულა ოთხკუთხა ფორმის დგომი, სიგრძით 85 სმ, ბოლოში სახელურით. სახელურს **აცემა (აცემა)** „ხარის სახელური“ ეწოდება. მხენელი მართავს იარაღს მიწის დროს, ამ დროს მთავარია ხარის სახელური, დგომი. კაუჭი ანუ ქუსლი მიწის ზემო ნაწილს აბრუნებს.

ააძარა – „გაზრდა, აღზრდა“, მამამუქობა. როგორც ჩანს, აფხაზებს მამამუქობის ჩვეულება ფეოდალურ საქართველოში, ქართველებთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის საფუძველზე უნდა აეთვისებინათ.

შდრ. ტერმინები: მამამძუქე – აბამძუქე (აბ „მამა“, ამძუქე < ძვ. ქართ. ძიძამ), დედაძუქე – ანამძუქე (ან „დედა“, ამძუქე < ძვ. ქართ. ძიძამ). ბზიფის აფხაზებში გავრცელებული იყო ზოგადი ტერმინი აბამარა. აბუქუელ აფხაზებში მამამძუქეობის ინსტიტუტის აღსანიშნავად იხმარებოდა ახშათრა (ახშ „რძე“) ე.ი. „რძით ნათესაობა“.

ააწვა ძახიგა გურ (ააწვა ძახგვა გიერ) – „ტომრის შესაკერი ნემსი“, მსხვილი ნემსი, მახათი.

ააჭა – თხის ტყავის ღვედი, თახმა.

ააჭაწიხრა (ააჭაწიხრა) – ტყავის თახმის გამოყვანის პროცესი.

აახაბა = აშხა ე.ი. ფუტკარი, თაფლი და სხვ. (აახა=ტკბილი, გემრიელი; იხახგეიტ გატკბილება).

აახი (აახე) – ზღურბლის (სახლის) საცხოვრებლის შესახველ კარებში ზღურბლისთვის ხის მორს დებდნენ. საცხოვრებელში რომ შედიოდა ადამიანი, ამ ხის მორისთვის, ზღურბლისთვის უნდა გადაეხევიხინა.

აბ – მამა (ნათესაური ტერმინი).

აბერ – ბერი, მონაზონი (< ქართ. ბერი = ბებერი, მოხუცებული, ხნიერი ადამიანი; ბერი „ბერად აღკვეცილი კაცი, ასკეტური ცხოვრების მიმდევარი“).

აბერგ – ხანშიშესული კაცი, ან ქალი.

აბერკეჯელ – ბირკეილი, ხის რიკული, ღია აივანზე შემორტყმული.

აბერწკალ – ღვედის მოსაქნელი საკმოდ მსხვილი, ნახევრად გაპობილი ჯოხი; ჭიმი, ბაჭაჭვი.

აბგაჟი – თოქმანი, სპილენძის მჭედელი.

აბაა – 1. ციხე-სიმაგრე. 2. ქვის სასახლე. 3. ქვის ღობე, გალავანი. აფხაზებს ციხე-სიმაგრეები არ ჰქონდათ. მხოლოდ ღიხნში მდებარე ქართველი ფეოდალის სასახლეს უწოდებდნენ სიმაგრეს. შდრ. ჩენურ-ინგუშური ბლოუ // ბოუ.

აბაგვარა (აბაგვარა) – ქვის ღობე. ქვის ღობით საცხოვრებლის შემოფარგლა. აფხაზებში უმეტესად XX ს-მდე წნული ღობე იცოდნენ, მხოლოდ XX ს-ის მეორე ნახევარში, ისიც იშვიათად დაიწვეს ქვის ღობეების კეთება. უმეტესად მათ ცოცხალი ეკალბარდით შემოფარგლული ღობეები ჰქონდათ, ისევე როგორც დასავლელ ქართველებს. საკარმიდამოში კი წნული ღობით გამოყოფილი ჰქონდათ ახკაარა – სამეურნეო ეზო.

აბაატი – ზღუდე, გალავანი; აბაა – ციხე (სიმაგრე) // აგალუან – გალავანი (<ქართ. გალავანი).

აბაატე გვარა (აბაატევიარა) – „ციხის ღობე“ ციხე-სიმაგრის გალავანი. აფხაზების მატერიალური ყოფისათვის ციხე-სიმაგრე, გალავანი, ციხე-კოშკი ან ციხე-დარბაზი დამახასიათებელი არ ყოფილა. აფხაზებში ციხე-სიმაგრე გალავნითურთ და ციხე-კოშკები ქართველი მოსახლეობის და ქართველი ფეოდალების მატერიალური ყოფის ნიშან-თვისება იყო.

აბაგიალ (აბაგიალ) – ცხენის ძუისგან ან თხის ბალნისგან დაწნული თოკი.

აბაგიერ (აბაგეიერ) – ბოვა, ბოვიერი (ქართ. ბოვა/ბოვიერი – პატარა ხიდი, რომელიც მიწაყრილითაა დაფარული). უმეტესად შესახველეთან, ჭიშკრის წინ არსებულ თხრილზე, გადასასვლელი ბოვიერი.

აბაირამ – ბაირამი, მუსლიმური დღესასწაული „ურბან-ბაირამ“.

აბაკალტა – ორცხოპილა, ნამცხვარი. ფეტვის, სიმინდის ან ხორბლის ძალიან წვრილად დაფქულ და წინასწარ მოხალულ ფქვილს თაფლიანი წვლით მოსუქდნენ. შემდეგ რამდენიმე ნაწილად ყოფდნენ. თითოეულ მათგანს ფენებად აბრტყელებდნენ, შემდეგ 12 ან 20 ფენას სათითაოდ ყველის თხელ ფენას დაადებდნენ, ზედ შაქარს ან შაქართან ერთად გახეხილ ნიგოზს აყრიდნენ. ფირფიტებს ერთმანეთზე დებდნენ და მრგვალ სპეციალურ

ფორმაში ჩადებდნენ. ფორმას ზემოდან თუნუქის ნაჭურს ადებდნენ და ცეცხლიან მუგუზლებს აწყოლებდნენ. გამოცხობის შემდეგ რომის ფორმით ჭრიდნენ. ერთგვარი ნიგუზიანი და შაქრიანი საკმაოდ დიდი, ცხრაფურცელა ნამცხვარი (თურქ. **ბაქლავა**) (საკეები) კეთდებოდა.

აბაიან – ხის საცხოვრებლის დირე (<ქართ. მეგრ. **ბოკინი**).

აბაღეში – ბაღში. სიტყვა თურქულიდან ქართულშია ნასესხები, ხოლო ქართულიდან – აფხაზურში.

აბამბა – ბამბა (< ქართ. **ბამბა**). ერთწლოვანი მცენარე. იძლევა სართავი ძაფის მასალას. ნაყოფში არსებულ თეთრ ბოჭკოს საფეიქრო მრეწველობაში იყენებენ.

აბამბალი (**აბამბაღეხ**) – ბამბეული, ბამბის ნაწარმი.

აბამბაღეხ (**აბამბაღის**) – (ქართ. **ბამბა**) ბამბის ქსოვილი. ბამბის ქსოვილით ქსოვდნენ კედლის ასაფარებელს, საცვლებს, პირსახოცებს, ზეწურებს.

აბამბაბარა – მებამბეობა. აფხაზები გარდა ბამბისა (**აბემბა**) გამოიყენებდნენ სხვადასხვა მასალას – თხისა და ცხერის ტყავს, კვერნის ტყავს, ქენას და ნაბადს (**აუაპცია**) სახლში ნაქსოვ მავდს (**აკუმეზცია**) და ტილოს (**აშ, აკუტი**).

აბარბალ – აბუ. ბორბალი, თვალი (მაგ. ურმის). (< ქართ. **ბორბალი**). ბზფ. **აფაჟ/აფეჟ**

აბარბანჯია (< მეგრ.) – 1. ჭიაკოკონას ცეცხლი; 2. ჭიაკოკონობა. მეგრელები ჭიაკოკონას (ბარბანჯია ანუ ბრიალა, გიზგიზა ცეცხლი) ადღვომის წინა ოთხშაბათს (ღამით) ანთებდნენ, ვითომ კუდიანების დასაფართობად. ეს ჩვეულება აფხაზებმა მეგრელებისაგან შეითვისეს.

აბარზალ – ბოძალი, მსხვილი ისარი.

აბარფინ // **აბირფინ** (**აბარჭენ**// **აბერჭენ**) – აბრეშუმის ქსოვილი, აბრეშუმი

აბარწა – 1. საცხოვრებელი ნაგებობის შვერილი ფსაადის მხრიდან, გადმოსურული ფარდული, ჩარდახი, რომელიც ოთხ ბოძს ეყრდნობოდა, წინკარი. 2. აივანი. აფხაზური სიტყვა **აბარწა** შესულია მეგრულში და მხოლოდ აივანს ეწოდება.

აბასეე (**აბასეე**) – ფეიქარი.

აბატ – ზაქი. შდრ. მეგრ. **ბატი**, **ბატია** „ზაქი“.

აბაქმაზ – ბაქმაზი. ქართულში შემოსულია თურქულიდან – **ბექმეზ**. მზადდება ხელისგან, უმეტესად ყურძნისგან, რომლისგანაც ტკბილ, სქელ წვეცს ადუღებენ. მსხლისგანაც აკეთებენ და მოღუღებულს ინახავენ.

აბაღ – გარეული თხა, ბოტი.

აბაყა – 1. მიწაში ჩასობილ ოთხ ბოძზე გადახურული ფარდული. იგი სოფლის ისეთ ადგილებში კეთდებოდა, სადაც ჩვეულებრივ მგზავრს შეეძლო იცვროს სკამზე ჩამოჯდომა და დასვენება. აბაყა მიცვალებულის სულის საოხად და მოსახსენებლად შენდებოდა. 2. ძეგლი.

აბაცე (**აბაცი**) – „ზღმარტლი“

აბამძეე „მამა-ძიძა“ – ძიძის ქმარი, გამზრდელი. სიტყვა შედგება აფხაზური **აბ(ა)** „მამა“ და ქართული **ძიძა** სიტყვის ფუძეებისაგან. ფეოდალურ საქართველოში (აფხაზეთში) მამამძეეობის ჩვეულება აფხაზებს ქართველებთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის საფუძველზე უნდა აეთვისებინათ, რასაც ტერმინოლოგიური შესატყვისობებიც ადასტურებს. **აბამძეე** – მამამძეე, ხოლო **ანამძეე** – დედამძეე (აფხაზური **ან(ა)** დედა, ქართული **ძიძა**). **ანამძეე** იმ ქალს ეწოდებოდა, რომელიც გაძიძავებულ ჩვილს ძუძუს აჭმევდა. თვით ტერმინ მამამძეეობას აფხაზურად **აბამძა** „აღზრდა“ ეწოდება. ფეოდალურ ხანაში პრივილეგირებული ქართული მაღალი წოდების ოჯახებიდან მშობლები, უმეტესად ვაჟს (გოგონასაც) დაბადებისთანავე

აღსაზრდელად რამდენიმე წლით ან სრულწლოვანებამდე მათზე დაბალი წოდების აფხაზურ ოჯახებში აძიხვებდნენ. როგორც აზნაურები, ისე გლეხები ბავშვებს აღსაზრდელად სიხარულით იღებდნენ, რადგან ამით ძლიერ მფარველს იძენდნენ. მამამშუქესა და დედამშუქეს ოჯახის წევრებსა და აღსაზრდელის მშობლებს შორის, რძით დანათესავების ურთიერთობის ჩამოყალიბების ნიადაგზე, ორივე მხარეს გარკვეული ურთიერთმოვალეობა-ვალდებულებები უყალიბდებოდა.

აბახე (აბახი) // აცაყა – კლდე; დიდი ლოდი.

აბახერა – კლდოვანი ადგილი.

აბაჰა (აბჟ) // აჟივა (აჟევა) (ბზიფ) – ბარი, ნინაბი.

აბგიძირ (აბგეძერ) – შინდი.

აბთია – პირველი გაკრეჭის მატყლი, გაზაფხულის მატყლი. თავდაპირველად მიგრანტი მესაქონლეების მეურნეობაში თხა (აჯმა) და მოგვიანებით ცხვარი (აგასა) ჭარბობდა. მეურნეობის მთავარი პროდუქტი ჯერ თხის ყველი იყო, შემდეგ ცხვრის. მწვემსურ კოლექტივში „აგუფში“ რამდენიმე მწვემსი გამოიყოფოდა – ყველაზე გამოცდილს, რომელიც წინ უძღოდა, თხების მოვლა-პატრონობა ევალებოდა. შემდეგ ცხვრის მწვემსი მიდიოდა, ხოლო „კულის ჩამკეტი მწვემსი“ ფარას ბოლოში მისდევდა.

აბიაშა – ბიძა (მამის ძმა) (ნათესაური ტერინი).

აბიაშა იფა – ბიძაშვილი (მამაკაცი, მამის ძმის შვილი), (ნათესაური ტერმინი).

აბიაშა იფჰა – ბიძაშვილი (მამის ძმის ქალიშვილი), (ნათესაური ტერმინი).

აბიაშა იფჰივს – ბიცოლა (მამის ძმის ცოლი) (ნათესაური ტერმინი).

აბიაჰეშაფა (აბიაჰეშაფა) – მამიდაშვილი (ვაჟი).

აბიაჰეშაფჰა (აბიაჰეშაფჰა) – მამიდაშვილი (ქალი).

აბიაჰიშა – მამიდა (მამის და) (ნათესაური ტერმინი).

აბიაჰიშა ლფა – მამიდაშვილი (ვაჟი) (ნათესაური ტერმინი).

აბიაჰიშა ლფჰა – მამიდაშვილი (ქალი) (ნათესაური ტერმინი). ახლო ნათესავები ურთიერთდახმარების ვალდებულებებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული.

აბიკი (აბეკი) – ბუკი, საყვირი (< ქართ. ბუკი). მეზუკე ბუკის ხმით ატყობინება სახალხო (სათემო ან სასოფლო) კრების თაობაზე, თემის ხალხს და უხუცეს მამაკაცთა („აბერგ“) თაობის წარმომადგენლებს, რომლებიც სოფლის საკრებულოზე იკრიბებოდნენ.

აბიმბილ (აბემბელ) – ბუმბული, ბუმბულით გატენილი ლეიბი, ან ბალიში (< ქართ. ბუმბული).

აბინკატა (აბენკატა) – „ტყის იხვი“, გარეული იხვი. <ქართ. – კვატი.

აბინკეტი (აბენკეტე) – ტყის ქათამი.

აბინრასა (აბენრასა) – გარეული თხილი, „ტყის თხილი“. არასა – თხილი.

აბინჯიზ (აბენჯეზ) – „ტყის ბატი“, გარეული ბატი.

აბირაჟი – გრძელ ჭოკეზე მიმაგრებული ოთხკუთხედი ქსოვილი, დროშა < თურქ.

ბაირაჟი. აფხაზურში <ქართ. ბაირაღი.

აბირხენ (აბერხენ) – ბერძენი < მეგრ. ბერხენი.

აბირკილ (აბერკულ) – მოაჯირი. < მეგრული **ბირკი** „ჯოხი“; **ბირკული** „რიკული, მოაჯირი“. შდრ.: იმერული **ბირკილი** „რიკული“.

აბირჭმან (აბერჭმან) – ბრწამლი, ბურჭუმეღი, ეკალა; ეკალას მხალი.

აბისთა (აბესთა) – დომისდომი (მარცვალი) // **ახუმი (ახხუმი)**. დომისდომისა და სიმინდის ფქვილისაგან აღუღებულ წყალში მოხარშული მკვრივი, უმარილო ფაფა. აფხაზებს თავიდანვე პურის მაგიერთობას უწევდა. ყოველდღიურად ცხოვრებაში უახლოეს წარსულამდე, როგორც ქალაქის, ასევე

სოფლის მოსახლეობის ყოველდღიური საკვები. მას მთავარი ადგილი ეკავა. ძველად მკვრივი ფეტვის ღომის აღსანიშნავად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხებში (აბაზებში, ადიღელებში, ყაბარდოელებსა და უბიხებში) **ბასთა** // **პასთა** იხმარებოდა. ლინგვისტების ვარაუდით, სიტყვა **ბასთა** > **ბესთა** > **აბესთა** უნდა მოდიოდეს ბერძნულ-იტალიური **პასტა**-საგან ჯერ ჩერქეზულში და შემდეგ აფხაზურ-აბაზურში. ლინგვისტებზე ვარაუდობენ, რომ ჩერქეზულში **პასთა** თურგის რუსებისაგან უნდა გავრცელებულიყო, ხოლო აფხაზურში ჩერქეზულიდანაა ნასესხები.

აბიფარა – პატრონიმია (= „მამაშვილობა“). ერთი რეალური წინაპრისაგან წარმოშობილი ხუთი, ექვსი და ზოგჯერ მეტი თაობის აგნატ ჯგუფებს მოიცავდა. ერთი დიდი ოჯახის გაზრდისა და სეგმენტაციის შედეგად წარმოიშობოდა. დამახასიათებელი იყო მკაცრად დაცული ეგზოგამია, რიგი ერთობლობის ნიშანი სოციალურ, მეურნეობრივ და იდეოლოგიურ სფეროში, ტერიტორიულად კომპაქტური განსახლება.

პატრონიმულ ორგანიზაციას მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა საზოგადოების ბუნების განსაზღვრაში. მას ექვსი ძირითადი კომპონენტის არსებობა აყალიბებდა:

- ა) აღმავალი ხაზით IV-V თაობამდე კარგად დაცული და უეჭველი გენეალოგია, რომელიც ნათესაური ურთიერთობის სიახლოვესა და აქედან გამომდინარე ქცევის ტრადიციულ ვალდებულებათა და მოვალეობათა ნორმებს განსაზღვრავდა;
- ბ) მამისეული სახლის მეზობლად, ტერიტორიული კომპაქტური განსახლება;
- გ) ოჯახის გაყოფისას საოჯახო ქონების ზოგიერთი ობიექტის განაყარ ოჯახთა საერთო სარგებლობაში დატოვება;
- დ) მეურნეობრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროში ინტერესების ერთიანობა; ურთიერთდახმარების ფორმები;
- ე) ზოგი დღეობა-დღესასწაულის ერთობლივად გადახდის პრაქტიკა;
- ვ) აბიფარას სახელდების ამოსავალი დიდი ოჯახის ეპონიმი იყო. პატრონიმული ორგანიზაციის სტრუქტურის სრულფასოვან ხაზს შემკვიდრებოდა და ნათესაური შემადგენლობა აყალიბებდა.

აბიცატე გვარა (აბეცატი გიარა „წნელის ღობე“ – წნული ღობე.

აბიცა-თი (აბე ცა-თე „წნელის კედელი“) – ოთხკუთხა წნული, უსაძირკვლო ნაგებობა. კედლებისთვის გამოიყენებოდა წნულიცა (ზოგჯერ მთლიანად როდოდენდრონის წნულით წნავდნენ) და ფიცარიც. ფასადზე ჩარდახით. მიწის იატაკით, უფანჯრო, ოთხფერდა სახურავით. ფასადის მხარეს მიმრგვალებული კუთხეებით. კედლის სიმაღლე იყო 2,5 მ, წინა კედლის განი – 4 მ, გვერდითი კედლის – 5,5 მ. ჯერ სარები ერჭობოდა მიწაში, ხოლო შემდეგ ზედ წნული იწვნებოდა, უმეტესად შქერის ან თხილის წნულს ხმარობდნენ. გარედან კედლები მუხის ძელით მაგრდებოდა. კარს წნულსა და მოძრავს უკეთებდნენ. მთლიანი კარის უკან, მკორე, შიდა მოკლე კარი კეთდებოდა, რომელიც ასევე წნული იყო და ნახევარი მეტრის სიმაღლის, კარის დირედან. გარეთა კარი მუდმივად ღია იყო, კერის ბოლის გასასვლელად. შიდა მოკლე კარი კი, მუდმივად დახურული იყო, რომ საცხოვრებელში ძაღლს, ქათამს ან რომელიმე შინაურ ცხოველს არ შეეღწია. იგი მესრის სახლის მსგავსი იყო. სარებს მიწაში არჭობდნენ, ერთმანეთისაგან 20 სმ დაშორებით და შემდეგ მათ როდოდენდრონის, თხილის ან თელის წნულით წნავდნენ. კედლები მკვირვად მიდგმული ბოძებით მაგრდებოდა. საცხოვრებელი გარედან თხრილით იყო შემოვლებული, სახურავიდან ჩამოდენილი წვიმის წყლისათვის.

აბგა (აბუა) – სიღენძი.

აბგიატვი ლაგან (აბგატიე ლაგან) – სპილენძის ტაშტი.

აბზალასა – მეორე გაკრეკვის მატყლი. **აბზა** – ცოცხალი, **ალასა** – მატყლი. აფხაზებს თითქმის XIX ს. ბოლოსაც ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობა ჰქონდათ. ამდენად, ოჯახში საფეიქრო საქმიანობით ქალები იყვნენ დაკავებული. ქალები ძაფს ართავდნენ, ხის საქსოვ დანადგარებზე ქსოვილებს ქსოვდნენ და შემდეგ ოჯახის წევრებისათვის ტანსაცმელსაც კერავდნენ.

აბზიცვაპეშა (აბზეციაპიშა) – „ენით წოვის და“. ტუძუმტე ქალი, ანუ გამზრდელის, მორდუს ასული გაზრდილისათვის.

აბზიცვაპეშა (აბზეციაპიშა) – ტუძუმტე, ძიძის ქალიშვილი.

აბზიცვაშა (აბზეციაშა) – „ენით წოვის ძმა“. ტუძუმტე ვაჟი, გამზრდელის, მორდუს ვაჟი გაზრდილისათვის.

აბზიცვაშა (აბზეციაშა) – ძიძის ვაჟიშვილი, ტუძუმტე (მამაკაცი).

აბზეფუა – ბზიფელი.

აბლზა – ქამანი. აფხაზებს ძველად ცხენზე ჯდომისას, ომში და თარეშის დროს, ასევე ნადირობისას, თან დაჰქონდათ. ქამანდით მსხვერპლს და ტყვესაც იჭერდნენ.

აბლუზ – ბლუზა, ხალათი. ბლუზი, ბლუზა (< ფრანგ. **blouse**) რუსული ენის მეშვეობითაა შემოსული. იტყოდნენ მამაკაცის ზედა ჩანაცმელზე, რომელიც ხალათივით იყო გადმოშეებული შარვალზე, ზემოდან ქამარს ირტყამდნენ.

აბნააპარა – მეტყველობა.

აბნა ბიზშეა (აბნა ბეზშა) – „ტყის ენა“. ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ხალხის მონადირეებში და მათ შორის აფხაზებშიც სამონადირეო, ანუ ტყის ენა იყო გავრცელებული. აფხაზურად მას **აბნა ბიზშეა (აბნა ბეზშა)** „ტყის ენა“ ეწოდებოდა. აფხაზების წარმოდგენით, იმ ცხოველებს, რომელთა ხორცი საკვებად გამოდგებოდა, ადამიანის ენა ესმოდათ. ამიტომ, ნადირობის დროს, რომ მონადირეებს თავი არ გაეცათ, ტყის ენაზე იწყებდნენ საუბარს. მათი წარმოდგენით, ტყის ენას ცხოველები შეცდომაში შეჰყავდა და სიფხიზლეს აკარგვინებდა. ეს ენობრივი ტაბუ მაგიურ სიტყვებთანაც იყო დაკავშირებული. აფხაზების აზრით, ვინც ტყის ენა იცოდა, მას ტყეში მცხოვრებ მხეცვებზე ძალაუფლების და გავლენის მოპოვება შეეძლო. ტყის ენას აფხაზი მამაკაცები თარეშის დროსაც იყენებდნენ. თარეშის წინ ისინი უდრანი ტყის მიუვალ ადგილას გროვდებოდნენ, სადაც მათ უცხო თვალი ვერ მისწვდებოდა, თან იქ მათი წარმართული სალოცავი წმ. გიორგის – „აირგი“-ს – სახელზე იყო დაარსებული. წმ. გიორგი მამაკაცების მფარველად მიაჩნდათ. ქალებმა (ცოლებმა, დებმა, დედებმა...) თავისთავად ცხადია, არც ტყის ენა და არც ის ადგილი იცოდნენ. მამაკაცები მოლაპარაკების შემდეგ, დილაადრიან, ჩუმად გადიოდნენ სახლიდან და რამდენიმე დღე არ ბრუნდებოდნენ. თავდაპირველად ისინი ტყეში გროვდებოდნენ, ვარჯიშობდნენ, გეგმავენდნენ თარეშის ადგილს, თითოეული მონაწილის როლს, შემდეგ სალოცავს მსხვერპლს შესწირავდნენ და ბოლოს სათარეშოდ მიდიოდნენ. თარეშის შემდეგ კვლავ იმავე ადგილზე ბრუნდებოდნენ ალაფის გასაყოფად. ხელმძღვანელს ალაფის ყველაზე დიდი წილი ეკუთვნოდა.

აბნზარა – ნადირობა ტყეულზე (ტყეში).

აბნაუევე (აბნაუევე „ტყის ადამიანი“) – ტყის კაცი, ქაჯი (წარმართული).

აბნაუევე (აბნაუევე) – ტყის კაცი, ქაჯი.

აბნაშეარა (აბნაშეარა) – ნადირობა ტყეში.

აბნაშხა – „ტყის ფუტკარი“, ველური ფუტკარი.

აბოურა // აბორა, აფე-ბოურა (აფი-ბოურა) – ბოსელი, საძროხე, საქონლის გამურე. ნაგებობები ჰქონდათ წნული, ფიცრული და ძელურიც. თავდაპირ-

ველად, ადამიანი და საქონელი ერთ საერთო ნაგებობაში ცხოვრობდა. შემდეგ ეტაპზე ბოსელი ძვიდით (აბუანდა) გამოიყო საცხოვრებელში, მოგვიანებით კი, იგი საცხოვრებლის გვერდით დამოუკიდებლად იქნა განთავსებული.

აბუარ – გახედნა, წვრთნა.

აბუი (აბუე) – ბოსტანა, ჭიფანდურა, ხარაბუზა, ნეხვის ჭია.

აბუინწ (აბუენწ) – შქერი, დეკა, იელი – როდოდენდრონი. აფხაზები ფაცხების სახურავისა და კედლებისთვის ხმარობდნენ.

აბუეი – ღვინის ძმარი (**აბუეი** – ქართული **ბაჟა** // **ბაჟე**, რომელსაც ღვინის ძმრით აზავენებენ).

აბრაა „მაშიანი, მაშისანი“ – გამზრდელების ოჯახი.

აბრუნრა – გათხოვილი ქალიშვილის მოსვლა დედ-მამის სახლში გათხოვებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ.

აბუეი (აბუეი) – ბუეი, სპილენძის, ან რქის საყვირი (< ქართ. **ბუეი** „საყვირი“). განგაშის შემთხვევაში ხალხის შესაკრებად უკრავდნენ, ან ლაშქრის შესაკრებად, ან უხუცესთა საბჭოს თავყრილობის წინ.

აბფსა – მამინაცვალი (ნათესაური ტერმინი).

აბღაბ – ვაცი ჯიხვი.

აბღა-ბუა – „ნახევარი ზურგი“, ზურგის ნაწილი (საქონლის).

აბღარა – დაწყველა, როდესაც დაზარალებული დამნაშავეს ხატზე ან რომელიმე ღვთაებას, ზოგჯერ **აჟიირა ნისაში** (სამჭედლოს სალოცავში) დასაწყველად გადასცემდა.

აბღაცამგერა – მთის ძნელად მისავალი ადგილები.

აბღეშხა – ველური ფუტკარი (ძნელადმისადგომი ადგილების ბინადარი).

აბუულ // აბუულ (აბუიულ // აბუიულ) – ხის ჭურჭელი, დიდი ზომის, სახურავით, რომელშიც ინახავენ ფქვილს, მარცვალს, მაწონს და ა. შ. სიტყვის ვარიანტები მომდინარეობენ მეგრული **ბუყუნი** სიტყვისაგან (**ბუყუნი** მეგრ. ხის დიდი კასრი, თავლია ჭურჭელი). **აბუულ//აბუულ** – ხის კასრი, რომელშიც მაწონს აყენებენ. შდრ. მეგრ. **ბუყუნი**.

აბშტვა (აბშტია „ბოტ-საკლაგი“) – საკლაგი (დაკოდელი ბოტი). **აბ** = ბოტი, **შტვა** = საკლაგი. აფხაზების რწმენა-წარმოდგენათა პანთეონში მრავალფეროვან ღვთაებებისადმი მიძღვნილი ყოველწლიური სადღესასწაულო მსხვერპლ-შეწირვა ტარდებოდა. ყველა დღესასწაულს თავისი კუთვნილი ზვარაკი ეწირებოდა – ბოტი, კრავი, ხბო, ძროხა, ზოგჯერ ქათმები ან მარტო კვერები. სოფლის ან უბნის საერთო სადღესასწაულო მსხვერპლ-შეწირვაში, მხოლოდ მამაკაცები იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო საოჯახო და პატრონიმიულ სადღესასწაულო მსხვერპლ-შეწირვაში, მხოლოდ ერთი საერთო წარმოშობის, ერთი საგვაროს წარმომადგენელი მამაკაცები და ქალები. მოყვრობითი წესით შექმნილი დედა-ქალსა და რძლებს ამ დღესასწაულებში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდათ. უხუცესი დედა-ქალი საკვებს და კვერებს თვით ამზადებდა, თუმცა, შეწირული ცხოველის ხორცსა და კვერებს ვერ შეჭამდა.

აბჩარაჰ – მწყემსების მეთაური, მწყემსებში უფროსი მონადირე. თუ მწყემსებს შორის კარგი მონადირე აღმოჩნდებოდა, მას მწყემსური შრომისაგან ათავისუფლებდნენ, რომ მთელი დრო ნადირის ხორცის მოპოვებისათვის დაეთმო, რითაც იკვებებოდნენ მწყემსები.

აბწარა – მკა (თავთაუბის მოჭრა); „მკის თვე“, სექტემბერი (მთვარის კალენდრით). **აბწარამზა** „მკის თვე“ – ოქტომბერი.

აბხისა – მამამთილი (ნათესაური ტერმინი).

აბხუნდა – ცოლისა და ქმრის ძმები, ანუ მამლები და ცოლისძმები (ნათესაური ტერმინი).

აბხვა – „ირიბი მამა“, 1. მამამთილი; 2. სიმამრი.

აბხვარაა – ქმრისთვის ცოლის მშობლები; ცოლისთვის ქმრის მშობლები.

აბჯარ – ყველანაირი იარაღი, რომელიც არსებობს ერთად აღებული. ქართულში **აბჯარი** სამხედრო საჭურველი, იარაღია. სიტყვა სპარსულიდან არის შემოსული, ქართულიდან კი აფხაზურშია შესული. **აბჯარმთია** – შეიარაღება, იარაღი.

აბჰვა (აბჰია) – ქლიავი.

აბა – 1. ზღვა; 2. ზღვის სანაპირო; 3. სამხრეთი. სიტყვის მნიშვნელობებში სამხრეთის აღნიშვნა იმ დროის ფაქტია, როდესაც აფხაზთა წინაპრები ჩრდილოეთ კავკასიის იმ ნაწილში ცხოვრობდნენ, საიდანაც ზღვა ყველაზე ახლოს სამხრეთით მდებარეობდა. ასეთი ადგილი კი, მდინარე ყუბანის ზემო წელია, ახლანდელი ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა (თ. გვანცელაძე). **ა-ბა** – ტერმინი იმ სამხრეთთან იყო დაკავშირებული, სადაც „აგრეები“ ე.ი. მეგრელები ცხოვრობდნენ.

აგაბჰაფორ // აგობჰაფორ (აგაბჰაფორ // აგვბჰაფორ) – დანაყოფი პიტნითა და მარილით შეზავებული გადახედილი ჭყინტი ყველი ან სულგუნი. < მეგრ. **გებჰლაფირი // გებჰლაფა** „პიტნითა და მარილით გადახედილი სულგუნი“.

აგაბჰალა (აგაბჰალა) – რძეში გადახარშული და სანელებლებიანი ჭყინტი ყველი, ან სულგუნი. ღობთან ერთად მიირთმევენ ამ კერძს. < მეგრ. **გებჰალია**.

აგაბჰ, აგაბჰ, აბარბალ – 1. **აურდენ ნგაბჰ** – ურმის თვალი, ბორბალი; 2. წისქვილის ბორბალი (წყალზე დაყენებული). წისქვილის ორ ბორბალს, ე.ი. დოლაბებს, ერთი-ერთმანეთის გვერდით აყენებდნენ, მაგრამ ისე, რომ ერთმანეთს არ შეხებოდნენ. დოლაბები საკუთარ ღერძზე ტრიალებდნენ და ფქვავენდნენ მარცვალს (**აბარბალ** < ქართ. **ბორბალი**).

აგაბჰრაფაბა – ბორბლის თვლის ფერსო, რკალი.

აგაბაბლან – გობელა, პატარა გობი, ხელგობა, ბარქაში (< ქართ. გობი).

აგაბაჭა = ახნა, ე.ი. უმცროსი მწყემსი, ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ მცირე-წლოვან ვაუებს, რომლებიც მთაში მიჰყავდათ გამოცდილების მისაღებად. **აჭკუნ** – ყმაწვილი, ვაჟიშვილი.

აგაბლა – მეზობელი.

აგაბრგივლ – გარგარი (< ქართ. გარგარი).

აგაბაგე (აგაბაჯე „ზღვისპირის ადამიანი“) – ზღვისპირელი, ზღვისპირეთის მოსახლე.

აგანდალ – გამღელი, ძიძა. სიტყვა ნასესხებია მეგრულიდან.

აგან-სნი (აგან-უნე „განის, განივი სახლი“ // აფსუა-სნი (აფსუა-უნე „აფხაზური სახლი“). ეს საცხოვრებელი მეგრული ოდა იყო, რომელსაც დიდი ოჯახი ფლობდა. მას თავდაპირველად წნული სახე ჰქონდა, შემდეგ იგი ფიცრულმა შეცვალა. ოჯახში რამდენი საქორწინო წყვილიც იყო, იმდენი ოთახი შენდებოდა ძირითადი სახლის გვერდით კედელზე ყველა ოთახს კარი ფასადის მხრიდან უკეთდებოდა. ამიტომ მეგრელებმა საცხოვრებელს, რომელიც განში იზრდებოდა, **განიში ცუდე „განის სახლი“** უწოდეს. აფხაზებს, ძველთაგან, საქორწინო წყვილთათვის, ძირითადი სახლის უკან ერთი მეტრის დაშორებით, წნული ქოხი **ამჰარა** („არმოსმენა“) ედგათ. ეს ტრადიციული დასახლება მეგრულის მსგავსმა განივმა სახლმა შეცვალა. ასეთ საცხოვრებელში ერთ რეალური წინაპრის შემკვიდრებები, ძმთაშვილების ოჯახები ცხოვრობდნენ, ერთ საერთო სივრცეში – ეზოში,

საერთო სამეურნეო, სოციალური და სულიერი ყოფით. საცხოვრებლის განში გაზრდა 3-4-ჯერ მეტად ხდებოდა. ამ ტიპის სახლის გაზრდილი ფართობი ზოგჯერ 18x6 მ-ს აღწევდა. შეძლებული ოჯახები ხშირად განში გაზრდილი საცხოვრებლის უკანა ან გვერდითი კედლებს ფიცრით ან მრგვალი ძელისაგან აკეთებდნენ. აფხაზი „პრივილეგირებული“ მოსახლეობა კი, ამ სახლს მთლიანად ფიცრულს აშენებდა. აფხაზებშიც, ამ საცხოვრებელს „განის სახლი“ უწოდეს. მაგრამ საბჭოთა პერიოდში, დაახლოებით 1950-იან წლებში მას სამეცნიერო ლიტერატურაში აფხაზმა მეცნიერებმა სახელწოდება შეუცვალეს და **აფსუაუნე** „აფხაზური სახლი“ უწოდეს. დიდი ოჯახის რვევისა და ქონების განაწილების შემდეგ იმ ნაგებობას, სადაც ტრადიციულად მოხუცი მშობლები რჩებოდნენ საცხოვრებლად, მოსახლეობამ **აენ-დუ (ავენდუ)** „დიდი სახლი“ უწოდა.

აგარა – აკვანი. აფხაზები ჩვილ ბავშვს აკვანში აწვენდნენ და არტახებს გადაუჭერდნენ. ჩვეულებრივ, აკვნის ნახევრტკვემ დაკიდული იყო აკვროსაგან გაკეთებული საშარდე.

აგარაგაუ – „აკვნის წამლები“. **აგარა** – აკვანი, **აგაუ** – წამლები.

აგარალაჰვა (აგარალაჰაი „აკვნის სახვევი“) – არტახი, ფართო ქსოვილი, რომელსაც აკვანში ჩვილს გადაუჭერდნენ.

აგარაშია – ნანა, ნანინა, იავანანა (აკვნის სიმღერა).

აგარაშივა (აგარაშია „აკვნის სიმღერა“) – იავანანა, სიმღერა, რომელსაც ჩვილს უმღერიან.

აგარაჭაყვარა (აგარაჭაიყაიარა – „აკვნის დაჭდევა, აკვანზე ჭლის დაღება“) – საქორწინო მოლაპარაკება, აკვანში დანიშნვის წესით. ერთმანეთის მეგობარ და კეთილგანწყობილ ოჯახებში ორსული ქალები მოილაპარაკებდნენ, რომ თუ ერთს ვაჟი, ხოლო მეორეს ქალი გაუნჩებოდა, მათ დააქორწინებდნენ. მოლაპარაკების ნიშნად ბავშვების დაბადების შემდეგ ახალშობილების აკვანს ნაჭდევებს უკეთებდნენ. ვაჟის მშობლები ზოგჯერ ახალშობილ გოგონას ბალიშის ქვეშ ტყვიას უტოვებდნენ. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ ამ მოლაპარაკების ჩაშლა შეუძლებელი იყო, რადგან ამ ორ ოჯახს შორის შესაძლო სისხლმესისხლეობის ჩვეულება ჩადებოდა.

აგარბან – 1. ბოტის ტყავისგან გაკეთებული ღვედი ერთ ბოლოზე რკინის რგოლით. ღვედს ტვირთის ზურგზე მოსაკიდებლად ხმარობდნენ. 2. ქამარზე ჩამოკიდებული ღვედი, სიგრძით 4 და მეტი მეტრის, დახვეული. თარეშის დროს ტყვის შესაკრავად.

აგარბან – ტყავის ვიწრო ნაჭერი, საღვედე. ეს იყო ჯიღლო ნადირობის დროს პირველი ნადირის მოკვლის პირველი მიმლოცველისათვის. როცა ვინმე პირველი მოკლავდა ცხოველს, იგი სიხარულს სიმღერით გამოხატავდა და ნაჩუქარი ნადავლის გამო ნადირთა მფარველ **აფეიფშაას** მადლიერებით მოიხსენიებდა. მწვემსები ამ სიმღერის გაგონებაზე წარმატებულ მონადირესთან სწრაფად მივლიდნენ. პირველი, ვინც მონადირესთან მიივლიდა და გამარჯვებას მიულოცავდა, ჯიღლოვდებოდა მოკლული ცხოველის ტყავით. ეს ტყავი მას ქამრად, ან ტვირთის საზიდ ღვედად შექმნილი გამოეყენა.

აგაფშა (აგაფშა „ნაპირის ქარი, ზღვის ქარი, სამხრეთის ქარი“) // **აგირფშა (აგერფშა** „ვერისის ქარი, მებრული ქარი“) – ზღვაური = სამეგრელოდან მონაბერი ქარი (აფხაზეთისათვის, მისი დასავლეთი ნაწილისათვის ეს არის აღმოსავლეთის ქარი).

აგატვილან (აგატელან) – ზღვისპირეთი.

აგიგ შიგ (აგეგ შიგე) – მხეცო.

აგინჯის (აგენჯიგს) // აგვაწის (აგიაწგს) – ბურვაკი, გოჭი.

აგირბატე (აგერბატი) – მსხვერპლშეწირვა შაკიკისა და ცხვირიდამ სისხლდენის დროს (რელიგია).

აგირბუჟე (აგერბუჟია) – შელოცვა შაკიკისა და ცხვირიდან სისხლდენის დროს.

აგებან (აგობან) – ლეიბი, გობანი. სიტყვა ნასესხებია ქართულიდან.

აგებანაკე (აგიაბანაკე) – გვებანაკი (თექის ზედა სამოსი) (<ქართ.). იკერებოდა საყელოსა და ჯიბეების გარეშე, მკლავებით, სიგრძით მუხლებამდე. ტანზე მჭიდროდ მორგებული. წინ გაჭრილი, თასმებით შეკრული, რომელიც ზამთარში ქურქთან ერთად მოიხმარებოდა.

აგვანჯა (აგვანჯა) – თითისტარი.

აგვარა (აგიარა) / აგართა – „შემოღობილი ეზო“. აბუჯაში ეს იყო სამეურნეო ეზო, ხოლო ბზივის აფხაზეთში მოცემული ტერმინი სინონიმი იყო ტერმინებისა **აშთა** და **აგვარფის**. აფხაზეთი საკარმიდამო ეზოს უკანა ნაწილში, დიდი სახლისა და ამბარების უკან, სამეურნეო ტერიტორიას ღობედანენ წინა ეზოსგან. შემოღობილში იდგა ყველა სამეურნეო ნაგებობა. სადგომები საქონლისათვის (საზამთრო ნაგებობები და საზაფხულო, გადაუხურავი ტერიტორია), სასიმინდე, საკუჭნაო, ფარდული შრომის იარაღებისათვის, სათიგე, საქათმე და სხვ. სამეურნეო ეზოში კეთილდებოდა ბაღ-ბოსტანი. ხოლო სამეურნეო ეზოს დობის გარეთ იწყებოდა სახნაუ-სათესი ტერიტორია. აფხაზეთი წარმომავლობის ტერმინი **აგვარა** გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს მეზობელ მხარეებშიც: სამეგრელოში, ქვემო იმერეთში...

აგვარა (აგიარა) – ღობე, შემოკავებული ადგილი. **აგვარა** – საცხოვრებელი სახლის უკან დობით შემოკავებულ სასაქონლე ეზოსაც ეწოდება.

აგვარაცალარა (აგარაცალარა) – საქონლის მორეკვა სადგომზე, ბინაზე.

აგვარაწარა (აგარაწარა) – საქონლის შერეკვა ეზოში.

აგვართა გვაშე (აგართა გიაში) – სასაქონლე ეზოს კარები.

აგვართინხალა (აგართინხალა „შემოღობილში დარჩენილი“ – ჯოჯ თავისით, შემთხვევით შერეული სხვისი საქონელი. პატრონის გამაოჟნებლობის შემთხვევაში რნებოდა მწყემსების უფროსს.

აგვარლარა (აგარლარა) – 1. საქონლის მოდენა საძოვრიდან სადამოს სახლში. 2. სადამოს საძოვარზე საქონლის ადგილზე მოგროვება და მათი დათვლა.

აგვარფ (აგარფ) – კარ-მიდამო.

აგვარფუჟარა (აგარფუჟარა) – „ეზოებს შორის“, ორღობე; სოფლის გზა ეზოებს შორის.

აგვარწრა (აგარწრა) – დილით საქონლის საძოვარზე გადენა.

აგვარხრა (აგარხრა) – სადგომიდან საძოვარზე საქონლის გარეკვა.

აგვაშე (აგაშე//ასასგვაშე (ასასგიაში) – ჭიშკარი, ალაყაფის კარები. ალაყაფის კარები ლამაზი და ზომით დიდი უნდა ყოფილიყო ისე, რომ ურემი შესულიყო (აგიაში „გულის, ანუ შუა კარი“). აგი < ქართული გული.

აგვაშე-შიშ (აგიაში-შეშ „წული ჭიშკარი“) – ალაყაფის ჭიშკარი, წული ლატანით გაკეთებული. საკარმიდამოში ცენტრალური ადგილი ყოველთვის საცხოვრებელს ეკავა, მაგრამ იგი ქართველებისაგან განსხვავებით ფხადით ჭიშკრისკენ კი არ იყო მდგარი, არამედ მისგან გვერდულად. ეს მდგომარეობა და თვით ჭიშკრის ტიპი და მოწყობის წესი ადიდურსა და ყაბარდოულ წესთან ნახულობდა საერთოს. XX საუკუნის მეორე

ნახევრიდან აფხაზებმა ჭიშკრის მოწყობას დიდი ყურადღება დაუთმეს ქართველების მსგავსად. ამის შემდგომ ალაყაფის ჭიშკრების მრავალფეროვნება ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობდა და საინტერესო შთაბეჭდილებას ახდენდა.

აგლარშე (აგილარში) // აგეწაჰა (აგიწაჰა) – სახლის სახურავის თავზე.

აგერი (აგირე) – გურული < ქართველი.

აგეწაჰა (აგიწაჰა) – 1. სახლის სახურავის თავზე; ლატანს ჰკერისთვის ხმარობდნენ, კერის თავზე გადებულ ლატანზე სულგუნს, ხორცს და სხვ. ბოლავდნენ. 2. ლატანის, რომლითაც გადატვირთა იყო სასაქონლე ნაგებობა, ცხოველთა გასამიჯნად. ლატანი წნული იყო. ხშირად მას ამ შემთხვევაში ვახის ტოტებისაგან წნავდნენ, ან იქვე გავრცელებული ხის ტოტებისაგან.

აგრუა // აგირაჰა (აგერუჰა) – 1. მეგრელი < ქართ. 2. ტყვე. 3. მოჯალაბე. XV საუკუნეში საქართველოში და კერძოდ, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განვითარებული ფეოდალური ყოფა იყო. ფეოდალების ოჯახებს, ცხადია (ქართველი) მეგრელი, როგორც მებეგრე, ისე მოჯალაბეებიც ჰყავდათ. მაგრამ, ამ დროიდან ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებულმა აფხაზების წინაპრებმა, ისინი თარეშისა და ძარცვის გამო აიძულეს საკუთარი სახლები და ფეოდალებიც მიეტოვებინათ და ქვეყნის შიგნით გადასახლებულიყვნენ. ამის შედეგად, აფხაზეთში ფეოდალიზმი დასუსტდა. ფეოდალებს მებეგრე გლეხები და მოჯალაბეები შეუმცირდათ. ჩრდილო კავკასიელი თავისუფალი მეთემეები, მეგრელებს თავს ესხმოდნენ, ტყვეებად მიჰყავდათ. სწორედ ამის შედეგად გაჩნდა ტერმინი **აგრუა**, რომელიც ტყვის აღმნიშვნელად იხმარებოდა.

აგუაკა – ღვიძლი (მაგ. **აეშა გუაკა** – ღვიძლი ძმა, **აიაპიშა გუაკა** – ღვიძლი და).

აგუაჭ – ძველად მწყემსად გაცემული ბაგში. დიდ ოჯახში უფროსი ვაჟიშვილი ყოველთვის მამისა და ბაბუის გვერდით იზრდებოდა, რადგანაც მას ოჯახისა და პატრონიმის ხელმძღვანელობა მოელოდა მომავალში. მაგრამ მეორე, მესამე და მომდევნო ვაჟებს ზოგს მჭედლებს, მწყემსებს და სხვებს მიაბარებდნენ პროფესიის კარგად ასათვისებლად.

აგუბლაა – მცირე ხის ჯამი, გობი. სიტყვა ნახესხებია ქართულიდან, შდრ. **გობი** და **გობელა** „პატარა გობი“.

აგუგუმ (აგიგუმე) – სპილენძის თუნგი, დოქი, რომელიც ხელ-პირისა და ფეხის დაბანისას გამოიყენება, გუგუმი, თულუხი.

აგუგუმ (აგიგუმე) – მწყემსების ერთგვარი საკვები. ცხერის გულ-ღვიძლსა და „შა“ – ხისხლს ერთმანეთში ურევენ, მოთუშავენ და შეაზაგებენ.

აგუი აგუაწი – გულ-ღვიძლი, ჯიგარი.

აგულა (აგიულა) – მეზობელი // **აიგულარა (აიგულარა)** – ურთიერთმეზობლობა; **აიგულაცვა (აიგულაცვა)** – ერთმანეთის მეზობლები. სხვადასხვა გვარის მონოგენურ სივრცეში განსახლების, გვარების შერევისა და სამეზობლო თემის წარმოშობა, გვიან პერიოდში XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, საბჭოთა წყობილების პირობებში დაიწყო. იმ დროისათვის აფხაზების მყარი მონოგენური, პატრონიმიული უბნები და სოფლები დაირღვა. მაგრამ, მატერიალურ-მორალური ურთიერთდახმარების ის არსებული ფორმები, რომლებიც მონოგენური დასახლების სოციალურ ერთეულში იყო ჩამოყალიბებული, პატრონიმიული ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაწილობრივ ამ სამეზობლო გაერთიანებას დაეკისრა და დამკვიდრდა – ასეთი იყო, ხენა-თესვის, საქორწინო, სამგლოვიარო,

ბაგშვის დაბადების, ქერივ-ობლების, სახლის მშენებლობის დროს დადგენილი ურთიერთდახმარების ქცევის ნორმები.

აგულშაპ (აგიულშაპი) – < ქართ. გველეშაპი.

აგუმჟაწე (აგიუმჟაწი) – დადარული სათლელი, დარის ამოსატრელი ხელეწო, სატეხი დადარული, რკინის, სხვადასხვა სახის ჭრილების გასაკეთებელი, ხვეწი.

აგუმრიქი (აგიუმრქი) – იჯარის გადასახადი.

აგუჟ (აგიუჟი) – ჯორი. მუშა საქონელი, იყენებდნენ მთაში გადასაადგილებლად და ტვირთის გადასატანად.

აგურ (აგიურ) – ნემსი.

აგურგენ-ახაწარა – ეკლესიაში ჯვრისწერა, „გვირგვინის დახურვა“ (ქართ. გვირგვინი), **ახაწარა** – წერა. **აგიურგენ** – საქორწინო გვირგვინი. ქართული გვირგვინი – წრედ შეკრული თავზე დასადები საქორწინო სამკაული. ზოგჯერ ვერცხლის ან ოქროს ფირფიტაზე ძვირფასი თვლებით შემკული, ან ყვავილებისაგან გაკეთებული, დაწნული, ან დაფერილ ლითონზე მართლმადიდებლური ჯვრით დამშვენებული. **აგურგინახაწარა**

(**აგიურგენახაწარა** „გვირგვინის დახურვა თავზე“) – დაგვირგვინება, გვირგვინის დადგმა, საეკლესიო წესით დაქორწინება, ე.ი. ჯვრისწერა. < ქართ.

აგურშთა (აგიურშთა) – გვირგვინი.

აგუფ (აგიუფი) – 1. ჯგუფი; 2. გუნდი. თავდაპირველად, მიგრანტების (თანამედროვე აფხაზების წინაპრების) მეურნეობაში თხა („აჯმა“) და ცხვარი („ავასა“) ჭარბობდა. ისინი თემში შემახანაგდებოდნენ და მწყემსურ კოლექტივს – აგუფს ქმნიდნენ, რომ წვრილფეხა საქონელი ჩრდილო კავკასიაში დარჩენილ და არსებულ საკუთარი მთების საძოვარზე გადაეყვანათ. მართალია, მათთვის და პირუტყვისთვისაც გზა ძნელი გასავლელი იყო, მაგრამ იქ მამა-პაპათა სათემო და ზოგჯერ კერძო მფლობელობაში არსებული საძოვრები ეგულდებოდათ. **აგუფ (აგიუფი)** – ასევე ეწოდებოდა ერთი თემის ან სოფლის, მაგრამ სხვადასხვა გვარის მწყემსთა წარმომადგენლების ჯგუფს. **აგუფ (აგიუფი)** – ჯგუფი მონადირეებისა, მოლაშქრეებისა.

აგუფ აიშაბ (აგიუფი აიშაბი) „ჯგუფის უფროსი // ადგილის ბინის უფროსი“, იალღლზე; მწყემსების ჯგუფის სათავეში მდგომი, მთავარი მწყემსი. მას „**აგიუმეშ**“ ანუ „ბედნიერ ხარს“ უწოდებდნენ. იგი ავტორიტეტული ადამიანი იყო, ზოგჯერ უხუცესი ადამიანი, გამოცდილი, რომელსაც იალღლზე შედარებით მეტი საქონელი ჰყავდა. საქონლის ან ფარის გადარეკვის დროს მთავარი მწყემსის დანიშვნა არჩევითი იყო. იგი საქმის ცოდნის ნიშნით იჩინოდა, თუმცა, გამოცდილი უნდა ყოფილიყო ე. ი. ხნიერი ადამიანი. ჯგუფის **ეიშაბს** დასახელებისა და დამისთვის „**აიშეშთა**“ – ადგილი ცალკე ჰქონდა გამოყოფილი.

აგუნამა – თემის ძელის ხორცის ნაწილი (საქონლის).

აგუცხე (აგუცხი) – ახლო ნათესავი (ნათესაური ტერმინი).

აგუხუ – საკვები (სიტყვა-სიტყვით „გულის წილი“). **აგი** < ქართ. გული.

ადან(ა) – დაფნა, დაფნის ხე (< ქართულიდან). აფხაზები რომ აფხაზეთის ავტოქონური მოსახლეობა ყოფილიყო, მათ დაფნისათვის საკუთარი ტერმინი ექნებოდათ.

ადამბა – დამბა, ჯებირი.

ადერჯალა – ფაცხის კედლის გარეთა ირიბი საყრდენი.

ადერგან – თუჯის ტაფა.

ადანგვარა (ადანგვარა) – საკარმიდამოზე შემოვლებული მუხის, ან წაბლის მესრის ღობე. უმეტესად ფეოდალებს ჰქონდათ გაკეთებული.

ადამიდ (დამიდ) – დამლა, დადი. ნახესხებია თურქულიდან. გაცხელებული შანით გაკეთებული ნიშანი მსხვილფეხა საჭილკაზე და ცხენებზე. ტერმინი ძვ. ქართულში სპარსულიდან არის შემოსული. აფხაზები საკუთარ საჭილკას ნაჭდეგებს, საკუთრების ნიშნებს უკეთებდნენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, პირუტყვზე, როგორც მსხვილფეხაზე, ისე წვრილფეხაზე ადიდელებისა და აფხაზების მიერ დადებული საკუთრების ნიშნები ერთნაირი იყო, მეორედბოდა, რაც იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულ მოსახლეობას იქაური საკუთრების ნიშნებიც თან მოჰქონდა. მსხვილფეხა საჭილკის საკუთრების ფორმის ნიშანი, დიდი ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების დროს, საერთო საკუთრების დამლას, გამონაყოფი ოჯახისათვის განსხვავებული დამატებითი ნიშანი უკეთდებოდა. დამლა საგვარო და პატრონიმიული საკუთრების ნიშნებად გვევლინება.

ადამიდ ანწაგა – „დამიდის დასადები“.

ადამირ – აკლდამა. იგივეა რაც მეგრული **აკარდამა** „აკლდამა“. აფხაზებმა არ იცოდნენ აკლდამა და მასში დასაფლავება. არქეოლოგებმა თავიდანვე გაამახვილეს ყურადღება ისეთ საძილე ორმოებზე (მ. ივანშენკო, ბ. კუფტინი, მ. ტრაფში, ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, გ. ლორთქიფანიძე, რ. პაპუაშვილი და სხვ.), რომლებშიაც მეორადი დაკრძალვა იყო დადასტურებული. მეორადი დასაფლავების ფორმას, წინ ისეთი დაკრძალვის ეტაპი უსწრებდა, რომლის კავშირი მიწასთან გამორიცხული იყო. უძველეს წერილობით წყაროებში მას ჰაერზე დაკრძალვის სახელწოდებით ვხვდებით. თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იგი დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში დაფიქსირდა: პირველად, ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს, ხოლო მეორედ, ახალი წელთაღრიცხვის XVI-XVIII საუკუნეებში. პირველ ცნობას ძვ. წელთაღრიცხვის III ს-ის ბერძენი მწერალი აპოლონიოს როდოსელი გვაწვდის, რომელიც კოლხეთში მიცვალებულის ჰაერზე დაკრძალვის, ძირითადად ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნის დასასრულისა და III საუკუნის დასაწყისის წყაროს წარმოადგენს, რადგან ამ დროისათვის – ჰეროდოტე, ფსევდო სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი და სხვ. კოლხეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ეთნიკურად ქართველურ მოსახლეობას აფიქსირებენ. როგორც ჩანს, იმ დროისათვის ეს ჩვეულება გაქრობის პირას უნდა ყოფილიყო, რასაც თვით აპოლონიოს როდოსელის ტექსტი ადასტურებს („მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალებს მიწაში ფლავდნენ...“). ცხადია, ქრისტიანობის გავრცელებამ ქართველებში ეს ჩვეულება სრულიად გააქრო. ახალი წელთაღრიცხვის XVI საუკუნის დასაწყისში ჰაერზე დაკრძალვის ეს ჩვეულება ჩრდილო კავკასიიდან მიგრანტ მოსახლეობას უნდა ჩამოეტანა საქართველოში, რაც პირველად აფხაზებში ჯოვანი ლუკაძე დაადასტურა. მისი აღწერილობიდან ჩანს, რომ აფხაზები ხის მთლიანი მორიდან გამომხრკნილ კუბოში ასვენებდნენ მიცვალებულს, შემდეგ კუბოს ტყეში ოთხ მალად სარზე მიმაგრებულ ფიცარნაზე შემოდგამდნენ და იქ ტოვებდნენ. ანალოგიურად აღწერს ამ წესს XVII საუკუნის 20-იან წლებში არქანჯელო ლამბერტი. მაგრამ ამავე საუკუნის 40-იან წლებში თურქი მოგზაური ველია ჩელები მიგრანტებს აბაზად მოიხსენიებს (რადგან ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ აბაზები შემოიჭრნენ უმეტესად) და რაც მოავარია, უკვე ქართველებთან ინტეგრაციის შედეგად, მისი გადმოცემით, მიგრანტები ჰაერზე უკვე მხოლოდ „ბეგის“ გვამებს კრძალავდნენ. XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი

ვახუშტი ბაგრატიონი წინამორბედი ავტორების ძველ ტრადიციულ აღწერილობას იმეორებს, წერს, რომ აფხაზები „არღარა მონებენ რჯულსა“... „კითარცა კერპნი... არა დაჰფლავენ მკვდართა თუისთა, არამედ მისთავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსელითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგამენ ხეთა ზედა“... (ვახუშტი ბაგრატიონი). ეს წესი აფხაზებს ჩრდილო კავკასიიდან ჰქონდათ ჩამოტანილი, რაც დადასტურებულია XVII-XIX სს სხვადასხვა ავტორებთან (Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв., Нальчик, 1974, 85, 118, 155, 526 და შემდგომი).

ადარჩ – მდინარეში თევზის საჭერი გიდელი.

ადარდი (ადარდე) – თითისტარი.

ადარღხა (ადღრღხა) – კვირისტავი (საფეიქრო).

ადასგა – რკინის ინსტრუმენტი სისხლის გამოსაშვებად, ადამიანებისა და ცხოველებისათვის.

ადაუ (ადაუტე) – < ქართ. დევი < სპარს. ადაუ // აღოუ (ადაუტე // აღოუ) – დევი, გოლიათი. ნართული ეპოსისა და ზღაპრების გმირი, რომელიც ტანად უზარმაზარია და დიდი ძალა აქვს, მაგრამ გონიერებით არ გამოირჩევა. „უცუბე მიწა შეიძრა, ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა, სეტყვა წამოვიდა. ბზოუ აჭიხინდა, სასრიყვა წუთიერად გამოვარდა. გაიხედ-გამოიხედა, დანახა დევი, რომელიც ცხენით მოდიოდა და გზაზე ყველაფერს ანადგურებდა“. სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული.

ადაურთა – სამართლის, სამსჯავროს ადგილი (შესაკრები). აფხაზთა ცხოვრებაში ხალხური სამართლის წარმოებას დამოუკიდებლად სოფლის თემის რჩეული მოსამართლეები – მედიატორები – „აბბაკცვა“ უძღვე-ბოდნენ. მოსამართლეები დაპირისპირებული მხარეების არჩევანზე იყო დამოკიდებული. სამსჯავროს ადგილი – **ადაურთა** სოფლის გარეთ, ბუნებაში მდებარეობდა, რომ მოსამართლეებისთვის ყური არავის დაეკლო. ისინი ირჩევდნენ ისეთ ამაღლებულ ადგილს, მრავალწლიანი ხის ქვეშ, რომ გარშემო მინდორი ყოფილიყო. დაპირისპირებულ მხარეებს კი სამსჯავრო ადგილის – **ადაურთას** ორივე მხარეს, მოშორებით ისეთი გასაჩერებელი ადგილი უნდა ჰქონოდათ, რომ მათი ხმამაღალი თათბირი მოწინააღმდეგე მხარის ყურს არ მისწვდებოდა. ორივე მხარესთან ამბის მიმტანი, შემტყობინებელი „აღაფყარა“ – („ჯოხის მქნეველი“), ე. ი. შუამავალი დადიოდა, რომელიც მასსოვრობითა და პატიოსნებით გამოირჩეული უნდა ყოფილიყო. რაც მოავარია, ორივე მხარეს მისი ნდობა უნდა ჰქონოდა, რადგან იგი მათ სასამართლოზე თქმულ სიტყვებს აცნობდა.

ადარულ – დოლი (თურქულიდან), დაფდაფი.

ადაშშილარა (ადაშიშიგლარა) – სამძიმრის თქმა, მისამძიმრება.

ადაც – ფესვი.

ადგილ (ადგიელ) – 1. დედამიწა. 2. მიწა. 3. მიწის ნაკვეთი (< ქართ. ადგილი).

ადგილ აკეაკეარა (ადგიელ აკეაკეარა) – მიწის, ადგილის თოხით დამუშავება.

ადგილბარა (ადგიელბარა) – მქვეერი.

ადგილჩა (ადგიელჩა) – „მიწის პური“, ხარიტუალო მჭადი. ვაჟის დაბადების დროს კერიაში აცნობდნენ ოთხკუთხა ფორმის, ყველიან მჭადს.

ადგილცვაღვატე (ადგიელციაღიტი) – სახნავი მიწა. XVI საუკუნიდან საქართველოში მთიელი მოსახლეობის ჩამოწოლის, პრიმიტიული სამიწათმოქმედო შრომის იარაღების, ხენა-თევზის ჩრდილოური წეს-ჩვეულებების ჩამოტანის შედეგად, აფხაზების მიწათმოქმედებას დასაწყისისათვის ექსტენსიური ხასიათი ჰქონდა. მკვიდრ მოსახლეობასთან ურთიერთობის შედეგად XIX საუკუნისთვის აფხაზებს მართალია, მიწათმოქმედება ათვისებული ჰქონ-

დათ, მაგრამ ეს დარგი XIX ს-ში ჯერ კიდევ ნაკლებანვითარებული იყო და ნატურალური მეურნეობით ხასიათდებოდა.

ადგილ-დედოფალ – ადგილის, მიწის დედოფალი (ტერმინი და ჩვეულება ქართულიდან არის ნასესხები). როდესაც აბუყელი აფხაზი ქალები სამკურნალო ბალახებს აგროვებდნენ (ისევე როგორც ქართველები, მეგრელები), მწიკვ მარილს მიწაში ფლავდნენ და ამბობდნენ: „მიწის დედოფალო, ჩვენ შენი წილი მოგვცით“.

ადერგლა (ადერგაღლა) – ბოსტნეულის დასამწინილებელი ჭურჭელი (ხისა). სიტყვა დაკავშირებულია ქართულ **დერგი** და **დერგილა** „მცირე დერგი“ სიტყვებთან. **ადირგილა (ადერგლა)** – დერგი, თიხის ჭურჭელი, რომელშიც ყველს ინახავენ წაქის წვენში. < ქართ. **დერგი, დერგულა**.

ადიდ (ადელ) // ადიღბი (ადელბუჯ) – ჭექა-ქუხილი, გრგვინვა. ერთ-ერთი ნართული ლეგენდის თანახმად, გუდაუთის რაიონის მცირე მთას თავდაპირველად ჭექა-ქუხილით ნართი „დიდ“ დაეპატრონა, რის შედეგაც ამ მთას „დიდ“ || „დიდრიფშ“ უწოდეს. დიდს ცხოვრების მოძრავი წესი ჩამოუყალიბდა – იგი ამ მთასა და ჩრდილო კავკასიას შორის მოგზაურობდა. თუმცა, მუდმივად თავის სამშობლოში – ჩრდილო კავკასიაში ბრუნდებოდა.

ადიკვან (ადიკან) – დიაკონი, დიაკვანი. ნასესხები ქართულიდან. კულტურულად აფხაზები ქრისტიანობას მხოლოდ ქართულ ენაზე ეზიარებოდნენ.

ადირგან (ადერგან) – ტარიანი ტაფა.

ადირგან აქვრა (ადერგან აქირა) – „ტაფაზე დაფიცება“, ფიცის დადება ქურასთან სამჭედლოში. ადამიანი თავის სიმართლეს სამჭედლოში ფიცის დადებით ადასტურებდა.

ადირგანირშა (ადერგანერშა) – ორცხობილა. ფეტვის, სიმინდის ან ხორბლის ფქვილისაგან. ხის გობზე (აგუბლაა) ცომს მოხედდნენ. ორად გაყოფდნენ. ერთ ნაწილს შუაგულში აყრიდნენ გახეხილ ყველს ან გახეხილ ნივრებს შაქრით. ზემოდან აფარებდნენ მეორე ნაწილს და გვერდებსა და ზემოდან ცხვადანსხვა მოხატულობით აფორმებდნენ. აცხობდნენ სპილენძის ტაფაზე ცხვრის ქონის ცხიმით. ცხვრის ქონის ხმარება ადასტურებს, რომ ისინი ავტოქთონები არ იყვნენ. ცხვრის ქონს, ცხვრის ღუმის ქონს, ჩვეულებრივ მთიულეები და ამ შემთხვევაში ჩრდილო კავკასიელები ხმარობდნენ. საქართველოში, კერძოდ დასავლეთში საქონლის ქონს ხმარობდნენ.

ადირგუნ (ადერგოენ) – ხის ქოშები, რომელსაც გლეხის ქალები ხმარობდნენ. აყაფაფ-ზე (ასეთივე უბრალო ხის ქოში) უფრო უხეში იყო. ხის ტლანქი ბაკაბუკები, ონოფუკები.

ადირგიალა (ადერგალა) – სახლის წნულ ლატნებზე მიმაგრებული ხის ძელები, რომლებსაც კედლის სიმაგრისათვის ხმარობდნენ.

ადვაბა (ადიაბა „ნეღლი მინდორი“) – ყამირი, კორდი.

ადვი (ადიუ) – მინდორი, ველი. სიტყვა ნასესხები მეგრულიდან, შდრ. **დოლო** (ქ. ლომთათიძე).

ადვიყიაშ(რა) (ადიყ[ი]აში) – სტეპი, ტრამალი, ტიტველი ველი.

ადეკარშერა (ადიკარშირა) – ბარი, ვაკე, ტრამალი.

ადეკუფუშ (ადიკიფუშ) – მცირე მინდორი, რომელსაც სახლში დარჩენილი საქონლის საბალახოდ იყენებდნენ. ეს მცირე მინდორი საკარმიდამო ნაკვეთების, სახნავი მიწის გარეთ მდებარეობდა, სოფლის ტერიტორიაზე.

ადღუაფ – კარაღა (საკვების, ჭურჭლის).

ადღუნი – თურქ. **ღუნია**. მსოფლიო, ქვეყნიერება.

ადღრიყვა (ადღრეყა) – ნამცხვარი. ფეტვის, ხორბლის ან სიმინდის ფქვილისაგან ზელენ ცომს. ცომს კვერცხებს უმატებენ. შემდეგ ცომს

აცობენ ცხერის დუმის ცხიმზე, რომელშიც შერეულია თაფლი. **ადღრგუ** – თაფლზე მოხარშული სიმინდის ფქვილის ფაფა. ამზადებენ ღომივით. წყალში გახსნილ ბევრ თაფლს სიმინდის ფქვილს და ცოტა მარილს უკეთებენ. ნახევარი საათი ხარშავენ. შემდეგ ხის მაგიდაზე გადმოიტანენ და გააბრტყელებენ. გაცივების შემდეგ ოთხკუთხედ ნაჭრებად ჭრიან. ამ საკვებს უმეტესად ქალებზე ხმარობდნენ. რადგან დიდხანს არ ფუჭდებოდა, მონადირეები და მწყემსებიც მთაში, საძოვარზე ყოფიანას მოიხმარდნენ. აფხაზები მას სპეციალურ ტიკებში (**აძათა**) ინახავდნენ.

ადახვლარა (ადახვლარა) – დაკერება, მიკერება.

აეაბიშაფა – დისწული (ვაჟი), (ნათესაური ტერმინი).

აეშარა – „ძობა“. სამძო, იყო **აბიფარა**-ზე, ანუ პატრონიძაზე უფრო ფართო ნათესაური ჯგუფი და უფრო მცირე, ვიდრე **აფილა**, ანუ გვარი. „ძობაში“ შედიოდა საგვაროს რამდენიმე პატრონიძა, საერთო წარმოშობის ნათესავები, რომლებიც ერთ თემში ან ერთ სოფელში ცხოვრობდნენ და წარმოშობით ერთ წინაპარი ჰყავდათ.

აეშაფაძარა – ღვიძლი ძმისწული.

აეშიე-ეჭეში (აეშიე-ეჭეში) – და-ძმა (ნათესაური ტერმინი).

აეშვა (აეშვა) – საწნახელი, დიდი ვარცლი. აფხაზები ყურძნის დასაჭყლეტად ხმარობდნენ XIX ს-ში. გაკეთებული იყო მთლიანი ხის ტანისაგან (უმეტესად ცაცხვისაგან). ჩადიოდა 100-150 სათლი ღვინო. მეღვინეობა აფხაზებს ქართველებისაგან აქვთ შეთვისებული.

აეჭეშაფაძარა – ღვიძლი დისწული (ნათესაური ტერმინი).

აეჭეშაცვა // აიაბიშაცია – დები ერთმანეთისთვის (ნათესაური ტერმინი).

აეააპე (აუააპი) – ნადი, ურთიერთდახმარება. პატრონიძაში, უბანში, სოფელში ურთიერთდახმარება სავალდებულო ჩვეულება იყო. ძველად ამ ურთიერთდახმარებას უახლოესი ნათესავები, პატრონიძა ახორციელებდა, მოგვიანებით სამეზობლო გაერთიანება. ურთიერთდახმარება ხორციელდებოდა ქორწილის, მიცვალებულის, ხენა-თესვის, ბავშვის დაბადების, სახლის მშენებლობის და ა.შ. დახმარება როგორც ფიზიკური, ისე მატერიალური იყო. ხენა-თესვისა და სახლის მშენებლობისას გამასპინძლება აუცილებელი იყო.

აეააპე (აუააპი) – ურთიერთდახმარება უბანში, ნადი. მოსავლის აღების, შალის დამუშავების, სახლის მშენებლობის დროს და ა. შ.

აეადა (აუადა) – ოთახი. სიტყვა თურქულიდანაა ნასესხები აფხაზურში. ეს იგივეა, რაც ქართული **ოდა**, ანუ საცხოვრებელი სახლი. აფხაზურსა და ქართულში ამ ტერმინს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს.

აეაეშეე (აუაუშეე) – 1. კაცისმკვლელი, მკვლელი. ადამიანის მკვლელობა, დასახინდება, ჭრილობის მიყენება, დაზარალებულის პატრონიძაში გარკვეული ქცევის ნორმების ამოქმედებას იწვევდა. მკვლელობისათვის პასუხისგება, პირველ ყოვლისა, მკვლელის ოჯახის მამაკაცებზე გადადიოდა, თუ კაცები არ ჰყავდათ, მაშინ ახლო პატრონიძაში მამაკაცებზე ვრცელდებოდა.

აეაეშრა (აუაუშრა) – 2. კაცისკვლა, მკვლელობა (იურიდიული ტერმინი).

აეაღორ (აუაღორ) – ხის კასრი.

აეარა-ახეშრა – „ფერადი ნეკნები“ (საქონლის). როდესაც გლეხი საკუთარი საჭიროებისათვის ხარს ან ძროხას დაკლავდა, მარჯვენა ფერდის ნეკნებს სუფთა ჯოხზე წამოაცმევდა და თავის „აპუფასთან“ აღმზრდელთან პატივისცემის ნიშნად მიჰქონდა.

აეაპაეაჟე (აუაპაეაჟე) – მოკლე ნაბადი. ატარებდნენ მწყემსები და მონადირეები, რათა მთაში ხიარულისას ხელი არ შეეშალა.

აგაპსულდა (აბაპსიხულდა) – გრძელბეწვიანი ნაბადი. მსგავსი ნაბდები თავადებსა და აზნაურებს ჰქონდათ. ასეთივე ნაბდებს ხმარობდნენ მწვემსები და მონადირეები, თუმცა, იგი უფრო მოკლე იყო და **აგაპაკაძე** „მოკლე ნაბადი“ ეწოდებოდა.

აგარდენ (აბარდენ) – ურემი, ორბორბლიანი.

აგარძალ // აგარძაგ (აბარძალ // აბარძაბუ) – სახლში მოქსოვილი ფარდაგი და ნოხი. სიტყვა ნასესხებია ქართულიდან, შდრ. **ორხთვა // ორხაო** „ხოიანი საფენი; ორპირად ნაქსოვი ხალისა“. იხსენიება „ვეფხისტყაოსანში“: „ვისაც ვუხვენი, უკვირდის, ღვთისა თქვის მან სასწაულად; არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არც ორხაულად“. ფარდაგებისა და ნოხების ნახტებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი აფხაზურ ხალხურ „სიცოცხლის ხეს“ უკავია. ქსოვილის ნახტებში მან ფართო გაგრძელება გუდაუთის რაიონში ჰპოვა. ოჩამჩირის რაიონში „სიცოცხლის ხე“ წარმოდგენილია სასაფლაო ქვაზე და იშვიათად აიგნის მოაჯირბზე, ხეზე კვეთის დროს.

აგარძალ ხულდა (აბარძალ ხიულდა) – შალის ფარდაგის ორნამენტი. მარ-ყუყისებური გადახლართული ქსოვა, რომლის ქვედა ძირი გლუვი, ხოლო პირი ხოიანი იყო, ნაქმის შესაბამისად.

აგასათრა (აბასათრა) – ცხვრის ფარეხი.

აგასაჭაფშარა – ცხვრის ფარის ღამის მცველის მორიგეობა (საძოვარზე).

აგასირხვა (აბასერხია) – ყურძნის ჯიში, იმერული კრახუნას ჯიშის მსგავსი.

აგასხირ (აბასხერ) – ხის საფუძველი, გადახურვისა. სიტყვა ნასესხებია მეგრულიდან, შდრ. **ოსხირე. აგასხირ // ბიფ. დიალ. აბაცხერ (აბასხერ „სადირკველი“)** – სახლის ფუნდამენტი, საძირკველი. სიტყვა ნასესხებია მეგრულისაგან, შდრ. მეგრ. **ოსხირი**. საცხოვრებელი ნაგებობების უძველესი ტიპები აფხაზეში, რომელიც XX საუკუნესაც შემორჩა, მრგვალი, მოგვიანებით ოთხკუთხა, წნული ან ფიცრული ერთთაბიანი, უსარკმლო და მიწაზე მდგარი, ყველა უსადირკველი იყო. საძირკველი აფხაზეშია ქართულელებისაგან შეისწავლეს.

აგახად (აბახად) – ცხენების ჯოგი, რემა. სიტყვა ჩერქეზულია.

აგეგა (აბეგა) – სადღეები იარაღი.

აგეზშა (აბეზშა „მეგობრის წილი“) – ნადირობის დროს მეგობარი მონადირეები ნადავლს თანაბრად იყოფდნენ.

აგემაა (აბემაა) – „ორი სახელური“. სიმებიანი საკრავი. ჰვავს ჩანვს, არფას. ხის კორპუსის გვერდზე მადლა ამართულია ხისავე შვერილი, რომელიც დახერხებულია 14 ადგილას. ამ მცირე ხერხელებში გაყრილია ცხენის ძუისგან დამზადებული 14 სიმი.

აგემსაგ // აბუმსაგ (აბემსაგ // აბიმსაგ) – ცოცხი.

აგენაშა (აბენაშა) – მეთრე თოხი, მეთრეჯერ გამარგვლა.

აგენდუ აგაგრა (აბენდუ აგაგრა) – პატარძლის „დიდ სახლში“ შეყვანა“. ჩვეულება, რომელიც პატარძლის 2-3 კვირის ამპარაში ყოფნის შემდეგ სრულდებოდა, აუცილებლად სადღესასწაულო სუფრით მთავრდებოდა. ნეფის მიერ არჩეულ ხელისმომკიდეს, ანუ **ამაჰვევზა-ს (ამაჰვევზა „სიძის მეგობარი“)** პატარძალი და ნეფე ამპარიდან გამოჰყავდა და „დიდ სახლში“ შეჰყავდა. ამ დროს ნეფე თავისი ოჯახის უფროსებს „სირცხვილის გამოსასყიდალ“ საჩუქრებით ასაჩუქრებდა.

აგენი (აბენი) – სახლი.

აგესთაა (აბესთაა) – ეშმაკი.

აგეყაწარა (აბეყაწარა) – „ღვინის კეთება“,

აგენადარა (აბენადარა „სახლში შეყვანა“) – იგი ჩვეულებითი სამართლის კანონებით რეგულირდებოდა. სისხლ-მეხისხლეობის შეწყვეტის ერთ-ერთი

მიზანი ხელოვნური დანათესაების ჩვეულება იყო. ეს ჩვეულება ორ საგვაროს შორის კონფლიქტის დასარეგულირებლად მოიხმარებოდა. იგი ორ შემთხვევაში ხდებოდა: 1. როცა დამოყვრების მოსურნე მოიპატიჟებდა იმას, ვისთან დამოყვრებაც სურდა, სუფრას გაუშლიდა, **არახეთიაა**-ს, ანუ პირუტყვს მისცემდა. ამის შემდეგ ეს ადამიანები ახლობლები ხდებოდნენ. 2. სისხლ-მეხისხლეობის შემთხვევაში თუ მკვლეელი მეხისხლის ოჯახის მცირეწლოვან ვაჟს (შვილს, შვილიშვილს) მოიტაცებდა გასაზრდელად, მეხისხლეობა ავტომატურად წყდებოდა. მოტაცებული 17 წლამდე მამა-მძუძესთან იზრდებოდა. შემდეგ იგი დასაჩუქრებული კარგი ტანსაცმლით, ქამარ-ხანჯლით, ცხენით და სხვ. პატრონს უბრუნდებოდა. ორ დაპირისპირებულ გვარს შორის ნათესაური კავშირი სხვაგვარადაც გვარდებოდა. თუ, ვთქვათ, მკვლეელი ოჯახში ძალადობით შეიჭრებოდა და უხუცესს ან რომელიმე ქალს ძალით ბუძუზე კბილს დაადგამდა. შურისძიების პროცესი წყდებოდა, თუ მკვლელის დედა ჩუმიად მოკლულის სახლში შეიპარებოდა, ბუძუშეშვარ ბავშვს საკუთარ მკვრელზე პირს მიადებინებდა. ამ ჩვეულებების შესრულების შემდეგ XIX საუკუნეში საქმის მოგვარება უმეტესად სისხლის ფასის გადახდით რეგულირდებოდა.

აგნი იყოუ (აუნჯ იყოუ) – „ვინც სახლშია, ვინც შინ არის“. ასე მოიხსენიებდა ცოლს ქმარი, ერთმანეთს (ტაბუ), რადგან მათ ერთიმეორის სახელით მოხსენიების უფლება არ ჰქონდათ.

აგნი მათეახე (აუნჯ მათიახი) – სახლის საშენი მასალა.

აზაანდაყი – მშვილდი.

აზარ – ზარი, სამელოვიარო ტირილი. მოტირალი ქალები ან ახლობლები ტირილის დროს ხმამაღლა, „სიმღერის“ სახით ყვებოდნენ მიცვალებულის დადებით თვისებებსა და მის საქციელზე. < ქართ. **ზარი**. ქართულში < სპარ. **ათარჩედ**-ს (ცხენით ჯირითი) წინ, წლისთავზე, მოტირალი ქალები „აზარ“-ს კვლავ იმეორებდნენ.

აზარს – წყვა, აწყვა. მაგ. **აშიტლა იზრნ** „ფქვილს წყავდა“.

აზარალ აზართეაარა (აზარალ აზართიაარა) – ზარალის ანაზღაურება. აზარალ (< ქართ. **ზარალი**). მედიატორული სასამართლო დამნაშავესა და დაზარალებულ მხარეს უსმენდა. ბოლოს მორალურ და მატერიალურ ზარალს დაადგენდნენ. მედიატორები დამნაშავესა და დაზარალებულის სოციალური, ქონებრივი და სხვ. მდგომარეობის გათვალისწინებით კომპენსაციის რაოდენობას ადგენდნენ. დამნაშავეს ყველა შემთხვევაში ქონებრივი კომპენსაცია ეკისრებოდა.

აზახვაფშა (აზახია-ფშია) – „ზისური ქარი“ (ზისების, ჯიქების ქარი), ე.ი. დასავლეთის ქარი.

აზეოფშ ხატფა (აზეოფშ ხატირა) – საერთო საკუთრება, მაგ., სასოფლო თემის, პატრონიმის საძოვარი, ტყე, უხმარი მიწები. თემის საერთო საკუთრება ხელშეუხებელი იყო, თუ ვინმე სხვა თემის წარმომადგენელი დაარღვევდა წესს, მას ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტის წარმომადგენლებისაგან სანქცია ელოდებოდა.

აზეია (აზუა) – 1. შავი ჭირი; 2. სნეულება.

აზიბრა (აზებრა) – დამნაშავესათვის მსჯავრის დადება (იურიდიული ტერმინი). ადათობრივი ნორმების შეცვლა სასამართლოს პრაქტიკაში იშვიათად ხდებოდა, რადგან ჩვეულება ნორმად ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდებოდა. სასამართლო გადაწყვეტილებები სწორედ პრაქტიკით და მსჯელობის შედეგად მიიღებოდა. მაგრამ თუ გადაწყვეტილება ისეთ საქმეზე იყო მისაღები, რომელიც არც ერთი თემის პრაქტიკაში და არც მახსოვრობაში არ მოიპოვებოდა, მაშინ სასამართლოს გამოცდილი

უხუცესები ახლომახლო სოფლებიდან შეიკრიბებოდნენ და ახალ ჩვეულებას, ახალ ადათს ქმნიდნენ. ეს ახლად შექმნილი ჩვეულება დროთა ვითარებაში ნორმა ხდებოდა.

აზნაშგა (აზნაშია) – პირველი გათოსნა, ე.ი. როცა გაზაფხულზე ნათესს პირველი თოხით ასუფთავებენ სარვევლებისაგან.

აზჭვარა (აზჭიარა) – ქალის, ცოლის გარიგება. შუამავალი, ქალის საშუალებით. გარიგებული ქალი.

ათენსა – 1. მემკვიდრე; 2. ჭირისუფალი, ახლო ნათესავი (ნათესაური ტერმინი).

ათუნსალა – „ბინაზე დარჩენილი საქონელი“. თუ უცხო საქონელი შემთხვევით ნახირში შემოიჭრებოდა, იგი საქონლის მესაჭრისაგან ხდებოდა.

ათფუყა – საძოვარზე, იალაღზე ფიცრებისაგან გაკეთებული ფარდული. გადახურული იყო ლელქაშით ან ყავრით. ზოგჯერ იალაღზე განერების ადგილზე (**ათფუ**) უფრო მეარ თავშესაფარსაც აკეთებდნენ.

ათეზგა – საჭრელი (ხეზე).

ათეპითენ/ათეპითე – შალითა.

ათიერლე – ნაკვის ასაღები ხის ნიჩაფი.

ათააცვა (ათააცია) – ოჯახი, ინდივიდუალური. შედის ცოლ-ქმარი, შვილები, დედ-მამა, ბებია-ბაბუა. ოჯახი საქორწინო, მოყვრობითი და სისხლით ნათესაური ურთიერთობებით დაკავშირებულ ადამიანებს აერთიანებს. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ძირითადად, ოჯახის ორი ფორმა იკვეთება – დიდი ოჯახი და ინდივიდუალური, ანუ ნუკლეარული ოჯახი –

ათააცვა (ათააცია) და **ათააცვაღუ (ათააციაღუ „ოჯახი დიდი“)** – დიდი ოჯახი. ამ ტერმინის მნიშვნელობის საპირისპიროდ არსებობდა

რაცვა (ათააცია რაცია), რაც მრავალსულიან ოჯახს აღნიშნავდა. მიუხედავად ამისა, ამ ტერმინს სოციალური მნიშვნელობა არ ჰქონდა.

რადგან იგი ნუკლეარული ოჯახის მრავალრიცხოვრობასაც აღნიშნავდა.

ათააცვა ღუს სოციალური მნიშვნელობა ჰქონდა. საერთო საცხოვრებლის – „ავენ ღუს“ (დიდი სახლი) ჰერქვეშ თავს იყრიდა – ერთი რეალური წინაპრის მემკვიდრეები – პაპა (ბაბუა), მამები, ძმები, ბიძაშვილები, მათი ცოლები და შვილები. დაახლოებით 4-5 თაობისაგან (ზოგჯერ მეტი) შემდგარი მძათაშვილებისა და ბიძაშვილების გაუყრელი ოჯახის წევრები. მათ საერთო ქონებრივი, საზოგადოებრივი, მორალური უფლება-მოვალეობა-ვალდებულებები გააჩნდათ. დიდი ოჯახი კოლექტიური შრომითა და შრომის პროდუქტების თანაბარი განაწილებით ხასიათდებოდა. ე.ი.

ათააცვა ღუ (ათააცია ღუ) – დიდი ოჯახი, რამდენიმე თაობის მძათაშვილების ერთობლიობა იყო.

ათააცვარა (ათააციარა) – ოჯახი, ინდივიდუალური. შედის ცოლ-ქმარი, შვილები, დედ-მამა, ბებია-ბაბუა.

ათათინ (ათათენ) – თუთუნი, თამბაქო (< თურქ. თუთუნ).

ათაკვავე (ათაკაჟი) – დედაბერი, ბებერი, დედაკაცი.

ათაკვავე (ათაკაჟი) – „პასუხის მოქმელი“, მოპასუხე (იურიდიული ტერმინი).

ათაზარა – მისაღმება. მაგ.: **უთაზარა ბზარააიტი, უმაზარა აზააიტი**. „შენთან ყოფნა კეთილი ყოფილიყოს, შენი ქონება გაიზარდოს!“ (სტუმარი მასპინძელს ეუბნება).

ათაღარა – ეზოში, ასევე ხეობაში, სასიმინდეში, ბოსელში და ა.შ. შემოკავებული ადგილი.

ათაღუჯ – ტყავის მოსაქნელი იარაღი. მსხვილ ბოძზე წამოცმულ ერთი ზომის ხის დიდ ჯამებს წარმოადგენს.

ათამბა – 1. სამთავიანი, ერთმანეთზე მიბჯენილი კავებიანი დიდი ჯოხი, რომელზედაც ჩამოჰკიდებდნენ ნადირის ხორცს. 2. **ათამბა** – მღალი, ერთმანეთისკენ სამკუთხედად დახრილი ლატნების შეერთების ადგილას დაკიდებული კაუჭი ხორცის გამოსაშრობად, ან შესაბოლად.

ათანაქი (ათანაქუ) – 1. თუნუქი (< ქართ. **თუნუქი**), თხელი ლითონის ფურცელი. 2. თუნუქის ჭურჭელი სითხისათვის.

ათაუექეწა (ათაუქიწა) – დახმარების მიზნით გაცემული რაიმე ნატურალური საჩუქარი (ფეკელი, ქათამი, ღვინო...), ან ფული.

ათარჩე – თარჩია, შეჯიბრი ცხენით ჯირითში. ძველად, წლისთავზე, ქედების დროს სრულდებოდა. მიცვალებულის მოსახსენიებელი დოღი. ცხენოსნები დაედევნებოდნენ ერთ ცხენოსანს, რომელსაც უნაგირის ქვეშ ამოდებული პქონდა წითელი ან ლურჯი ქსოვილი, რომელიც უნდა წაერთმიათ. ასევე, შეიძლებოდა ქსოვილის მაგივრად მიცვალებულის ახლო ნათესავი ქალიშვილის მიერ მოქსოვილი ქისა, პირსახოცი ან სხვა ნივთი ყოფილიყო. იგი ჯილდო იყო მოგებულისათვის. ამავე დროს, წლისთავზე უმეტესად, სადაც შეჯიბრება ეწყობოდა, გრძელ ლატანს აღმართავდნენ, რომელსაც ხელსაქმით შექმნილ სხვადასხვა ნივთით მორთავდნენ, სროლით ჩამოაგდებდნენ და იგი მათი ჯილდო ხდებოდა. ამ გრძელ ლატანს **აქან** ეწოდებოდა. სიტყვა **ათარჩე** აფხაზთა შორის სამეგრელოდან გავრცელდა, სადაც იმავე შეჯიბრს **თარჩია** (< ***თარეშია**) ეწოდებოდა (მ. ბუკია).

ათაცა (ათცა) – 1. პატარძალი. 2. რძალი (ნათესაური ტერმინი).

ათაცაბაგე (ათაცაბაგე) „პატარძლის მომყვანი“ – მაყარი. ჩვეულებრივ მაყარის შემადგენლობას ქმნიდა – სიძის ძმები, ბიძაშვილები, დედის ძმა და მისი შვილები, ზოგიერთი ახლო ნათესავი, სიძის მეგობრები, პატარძლის მეგობარი ქალი. **ათაცაბაგე (ათაცაბაგე) // ამაყარ(ა)** – 1. „რძლის მომყვანი“, მაყარი. **ათაცაბაგცა (ათაცაბაგცა) // ამაყარ(ა)ცვა** – 2. მაყრონი, ცხენოსანი ამაღა. პატარძლის მოსაყვანად წასულ ცხენოსათა ამაღაში შედიოდნენ სიძის ძმები, დები, ბიძაშვილები და სხვა ახლო ნათესავები, „რძის“ ნათესავები, ასევე მეგობრები და ამხანაგები. ამაღას სათავეში უხუცესი, პატივცემული მამაკაცი ედგა. ქალებს შორისაც ასაკით უფროსი ქალი გამოირჩეოდა.

ათაცაბარა – „რძლის ნახვა, გადანახულება“. ქორწილის დროს პატარძლის მონახულება ამჟღარაში. ამ დროს პატარძალი ამჟარის ერთ კუთხეში იდგა, ჩადრნამოფარებული. სტუმრები, რომელთაც პატარძლის ნახვა უნდოდათ, ამჟარაში შედიოდნენ, საჩუქრები მიჰქონდათ და იქვე აწყობდნენ. ამის შემდეგ მათ ჩადრის ახდის უფლება პქონდათ, რომ პატარძლის სახე დაენახათ.

ათაცაგეზა (ათაცაგეზა) – პატარძლის „მეგობარი“ ქალი (ხელისმოქიდე). იგი პატარძალთან რჩებოდა „დიდ სახლში შეყვანამდე“ და შემდეგ მიდიოდა თავის სახლში საჩუქრებით. მას სიძე აცილებდა. ორი თვის შემდეგ იგი კვლავ აკითხავდა ახალდაქორწინებულებს და რამდენიმე დღე სტუმრობდა, რასაც **ალაგელარა** ეწოდებოდა.

ათაპეთი (ათაპითე) – 1. თოფის შალითა. **ათაპეტეი (ათაპითე // ათეპითე)** – 2. კაქიანი თოფის შალითა.

ათაპმადა – 1. მოხუცი მამაკაცი, ბერიკაცი; 2. თამადა, სუფრის ხელმძღვანელი, წინამძღოლი. თემის ჭკუით და ასაკით გამორჩეული მამაკაცი (ძე. ქართულში < სპარსულიდან, აფხაზურში < ჩერქეზულიდან).

ათავად (ათაუად) – თავადი (< ქართ.).

ათაჯჰა // ათეჯჰა – შინაბერა, ჩაბერებული ქალი, გაუთხოვრად დარჩენილი ქალი.

ათენჯირ (ათენჯერ) – სპილენძის ქვაბი. სახელი თურქულიდანაა შემოსული.

ათერაზ // აქუფშიბა (აქიფშიბა) – თარაზო (ქართ. < სპარსულიდან, აფხ. < ქართულიდან).

ათერაზი (ათერაზე) // აძახვე (აძახვე) – მკერავი, თერძი. < ქართ. თერძი.

ათვა (ათია) – თივა (< ქართ. თივა).

ათვართა (ათიართა) – სათიბი მდელი.

ათვარდუ (ათიარდუ) – ხის ნიწაბი, რაიმეს ასაღები.

ათვარხვე (ათიარხვე) – მთიბავი, მცელავი.

ათვარხივა (ათიარხვა „თივის სათიბავი“) – სათიბი (ცელი, სათიბი იარაღი).

ათვარხისთა (ათიარხსთა „თივის ადგილი“) – სათიბი ადგილი.

ათვარხისთა (ათიარხსთა) – სათიბი ადგილი.

ათვარხრა (ათიარხრა „თივის თიბა“) – თიბა, მოთიბვა; ცელვა, მოცელვა.

ათვაყვა (ათიავა „თივის ზინი“) – თივის ზინი.

ათვჰვა (ათიჰვა) – შელოცვა.

ათითინიჟვა (ათეთენიჟვა) – ჩიბუხი, ყალიონი.

ათინა (ათენა) – ახლო ნათესავი, ჭირისუფალი.

ათირა (ათერა) – გემირა. მოიხმარებოდა საცხოვრებლის გადასახურად და თიხასთან ერთად შერეული კედლების შესაღესად.

ათირქვა (ათერქვა) – თურქი < თურქ.

ათიფა (ათეფა) – ქალიშვილი, ქალწული, გასათხოვარი ქალი.

ათიღი (ათეღი) – დაუკოდავი მამალი ცხვარი, ყონი, ფარის წინამძღოლი.

ათითიფ (ათეთიფ) – საკარმიდამო. იგულისხმება საცხოვრებელთან ერთად, წინა ეზო, სამეურნეო ეზო და გარშემო არსებული სამეურნეო ფართობები (სახნავი თუ უხნავი მიწა).

ათისვა (ათევა) – სპეციალური ინსტრუმენტი, რომელსაც რკინის გაღესილი სარტყები ბოლოში აქვს. სარტყე მრგვალად რკინის ფირფიტებია ჩამოცმული. მოღუნული ინსტრუმენტი გაღესილი ბოლოებით ემსახურება ხის ტოლჩის, ჯამების, მრგვალი ვარცლის და გობის მრგვალად ამოჭრას.

ათოუბა – ფიცი, მაგ., მოწმეების ან თვით ეჭვმიტანილის. იხმარება ჩვეულებით სამართალში.

ათოუბარ // ათუბარ – წვრილფეხა საქონლის შიგნეულისაგან გაკეთებული საკვები. მოიხმარება აქამსა „კუჭი“, აბატეიქვა „ნაწლავები“, აფაკად „მუცლის ქონი“.

ათუან // ბზ. ათონ – თავანი, სხვენი (იხ. თ. გვანცელაძე). აფხაზების საცხოვრებელში სხვენი მაშინ გაკეთდა, როდესაც მათ დასავლურ-ქართული ტიპის სახლებში დაიწვეს ცხოვრება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ტერმინიც < ქართ. „თავანი“-დან გაითავისეს.

ათუბარ – თავისებური ძეხვი (საკვები). მზადდება ცხვრის კუჭმაჭისა და ღუმის ქონისგან. კუპატი.

ათურქვაჟ (ათერქვაჟ) – „თურქული ყურძენი“, ყურძნის ჯიში (≠თურქული ყურძენი).

ათუჯ – თუჯი (< ქართ. თუჯი).

ათფარა – კილოების ამოხვევა.

ათძი (ათძე) – 1. კედელი. 2. სახლი. 3. ოჯახი.

აივეზარა – ამხანაგობა.

აიაშა // აეშა – ძმა (ნათესაური ტერმინი).

აიაჰეშა // აეჰეშა – და (ნათესაური ტერმინი).

აიბანიჰვარა (აბანიჰვარა) – „ერთმანეთის დალოცვა“, შერიგება ხატის წინ, უმეტესად აბჟუის აფხაზებში დამნაშავე მხარის მიერ სიხლის ფასის

გადახდის შემდეგ, სისხლ-მეხისხლეობის შემთხვევაში, თუ დაპირისპირებული მხარეები შერიგებაზე თანხმობას გამოაცხადებდნენ, მაშინ ყველანი რომელიმე ტაძარში ხატის წინ იკრიბებოდნენ. ხატთან ორივე მხარის მიერ ფიცის დადებით უთანხმოებას ბოლო ედებოდა. დაფიცების აქტს ორივე მხარის ახლო ნათესავები ესწრებოდნენ და ყველაზე ახლობლები ფიცის დადებაშიც მონაწილეობას იღებდნენ.

აიბაშეე (აბააშეე) – მემომარი.

აითარ – მესაქონლეობის ღვთაება. აფხაზებში გვიან შუა საუკუნეებსა და მოგვიანებითაც სამეურნეო საქმიანობიდან ტრადიციულ, წამყვან დარგად მესაქონლეობა ითვლებოდა. ღვთაება **აითარ**-ის სახელით იყო ცნობილი. მას განახლების, ნაყოფიერებისა და საქონლის გამრავლებაზე ზრუნვა ევალებოდა. მას შეიღნაწილიანი სახე ჰქონდა. თითოეულ წინას კი თავისი მცირე ღვთაება ჰყავდა: **ჯაბარან** – თხების დედა; **ჟაბარან** – ძროხების დედა; **ანგშაშანა** – ცხენების დედა; **ალშენტრ** – ძაღლების ღვთაება; **ამზა** – მთვარის; **ამრა** – მზის; **ანაფა-ნაგა** – ნათესისა და პირუტყვის ერთად. შეიღნაწილიანი აითარის ყველა სახე, მათ შორის მთვარისა და მზისაც მესაქონლეობის კულტს ემსახურებოდა. რაც შეეხება ანაფა-ნაგას, მასში საქონლისა და ნათესების ნაყოფიერების ღვთაება იყო შერწყმული. რაც იმაზე მიუთითებდა, რომ მიგრანტთა პოლითეისტურ პანთეონში მესაქონლეობის კულტი იყო მთავარი. რაც შეეხება ანაფა-ნაგას მნიშვნელობის გაზრდას, იგი ქართულ-აფხაზური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგი იყო. „აითარ“ < ქართ.-მეგრ. „ანთარისაგან“ (კ. ჭარაია, XIX ს.) არის წარმოქმნილი. ნ>ლ>ე მოგვცა (გიორგაძე). ივ. ჯავახიშვილმა ამ მეგრული ღვთაების ტერმინი უძველეს ქართულ ღვთაებას „ანატონს“ დაუკავშირა, რომლის ხსოვნა სწორედ „ანთარმა“ შემოინახა.

აიკვალა (აიკვალა) – პატარა, მცირე ზომის ნაჯახი. თავლის მოსაპოვებელი ნაჯახი (< მეგრ. **კვალა** „მცირე ხელცულო, ნაჯახი“).

აილაფფრა – ხელით გამარგვლა.

აილაჯ – ღომი ახალი ყველითა და თაფლით. ტერმინი მომდინარეობს მეგრული **ელარჯი** სიტყვისაგან. თუმცა, მეგრელები თავლს არ უკეთებენ ღომს.

აილაჟე (აილაჟე) – საკვების საკაზმი, მწვანილი.

აილაღართა – „შეერთების ადგილი“ მთის სამოვარზე, იალაღზე, სადაც მთელი თემის, სხვადასხვა გვარის მოსახლეობის საქონელი ერთიანდებოდა.

აილიზაარა // აილიძაარა (აიღეზაარა (აბჟ), აიღეძაარა (ბზ)) – განხეთქილება, ჩხუბი გვარებს ან შეზობლებს შორის. ქურდობის, ღანძლის, ცუდი საქციელის, ქალის გატაცების, გაუპატიურების და ა.შ. ნიადაგზე განხეთქილება და ჩხუბი წარმოიქმნებოდა. დასახელებულ უსიამოვნებათაგან ქალის გატაცებას და გაუპატიურებას ან ქალის ღირსების შელახვას გვართა შორის სისხლ-მეხისხლეობა მოჰყვებოდა.

აილგწრა – გაყოფა, გაყრა. აღნიშნავს ძმების გაყრასაც და მწვემსების გაყოფასაც, უფრო სწორად, საკუთარი საქონლის გამოყოფას შეერთებული ჯოგიდან. მთის სამოვარზე, სადაც მწვემსები საქონელს ერთად აბალახებდნენ, ზაფხულის ბოლოს საერთო ღობეს ხსნიდნენ და ყველას თავისი საქონელი მიჰყავდა.

აიმაა – ფესხაცმელი; წულა.

აიმააბახეე (აიმააბახეე „წულის მკერავი“) – მეწულე, ხარაზი.

აიმააჟლა (აიმააჟლა) – ქვისლი; ცოლისდა (ნათესაური ტერმინი).

აიმერეთინ – იმერელი < რუს.

აიმსე – მესტები (//ისმარებოდა **ამესთ**) (ქართულიდან არის შესული). მესტებში შარვლის ტოტებს და წვივებს ფესხახევით (**აშვათლეი** – **აშიათლეი**)

იხვევდნენ. მესტების ზემოთ მამაკაცები სამუხლეებს – **აშამხორფა**-ს იკეთებდნენ, რომელიც ნაბდისაგან იყო შეკერილი.

აიმწაკანა – ხალხური თამაში. ჯოხებით თამაშობდნენ ბურთს.

აიმხუც – მივი, ქალის მოსართავი.

აინაალარა (აინაალარა) // აინიშვარა (აინეშვარა) – შერიგება (იურიდიული ტერმინი). ურთიერთშერიგების ჩვეულება, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიურ დონეზე ტარდებოდა და ფიცის ინსტიტუტი გამოიყენებოდა. თუ საგვარეულოებს შორის უსიამოვნება, დავა, მტრობა იყო (ურთიერთ-თავდასხმები, ძარცვა, ქურდობა, ადამიანის გატაცება და ა.შ.) სოფლის თემის სახალხო ყრილობის უხუცესთა საბჭოს (**აიძაბაცია**) წევრები ცდილობდნენ, მათ შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა დაემყარებინათ. ცდილობდნენ, ჯერ მათ შორის დავის საკითხი კომპენსაციის საშუალებით დაერეგულირებინათ. როდესაც მათ შერიგებაზე დათანხმებდნენ, დაპირისპირებულ მხარეებს წმ. ადგილზე, სალოცავთან მოიწვევდნენ. შერიგებას ბზიფის აფხაზებში მთავარიც (**ახილაფუშე**, ე.ი. ზედამხედველი) ესწრებოდა. მისი მონაწილეობა მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა შერიგების მსვლელობას. ამავე დროს შერიგების რიტუალში **ანიხაფაავი** ანუ კულტმსახურიც მონაწილეობდა. ორივე დაპირისპირებული მხარე ფიცს წარმოთქვამდა, რომ შერიგების ჩვეულებას არ დაარღვევდნენ. ღვთაებათა განრისხებისა და დასჯის შიშით შერიგების ჩვეულების დარღვევას მართლაც ერიდებოდნენ.

აიჟილანტე – მოგვარებები (ნათესაური ტერმინი).

აირა – დაბადება (შვილის, ბავშვის). ვაჟს დაბადებას აფხაზები თოფის სროლითა და ზეიმით ხვდებოდნენ, ხოლო ქალიშვილის დაბადებას ჩუმად.

აირიძ (აირეძ) – ღვინის დოქი.

აისერ „ისლი“ – ჭაობიან ადგილებში გავრცელებული მრავალწლიანი მცენარე (ქართ. **ისლი**, მეგრ. **ისერა**), ხართო ქართული ძირი აქვს და აფხაზურში მეგრულიდან შევიდა. ძველად, საცხოვრებელი ფაცხები და სამეურნეო ნაგებობები ისლით იხურებოდა.

აიდ // ახერდ – ღერდილი, ნაღერდალი. ღერდილს არ ხმარობენ, აფხაზები ღომს მხოლოდ სიმინდის ფქვილით ამზადებენ დღესაც. ხის ლაფურათი მუდმივად ურევენ და ადუღებულ წყალში თანდათან ყრიან სიმინდის ფქვილს. დააცდიან ჩახარშვას, რამდენჯერმე ამოხევენ. ამის შემდეგ ღომი საკვებად ვარგისია.

აიშაფა // აეშაფა – ძმისწული (ვაჟი), (ნათესაური ტერმინი).

აიშვა (აიშვა „ტაბლა“) – დაბალი, მრგვალი, სამფეხა მაგიდა, ერთი ან რამდენიმე ადამიანის საკვებისთვის, ტაბლა. ტრადიციული რიტუალური სუფრა; ღომს პირდაპირ მაგიდაზე აგებდნენ.

აიშვანხა (აიშვანხა) – 1. პატარა, დაბალი მაგიდა, მთლიანი ხისგან ამოჭრილი, ნახევარი წრის ფორმის ჩაღრმავებით. სწორზე ღომს აგებდნენ, ხოლო ჩაღრმავებულში სხვადასხვა წვნიან საკვებს ათავსებდნენ, მათ შორის, ლობიოს („აყუღ“). 2. მწვემსების მაგიდა, ტაბლა.

აიშცვა // აესცია – ძმები (ნათესაური ტერმინი).

აიცალაცვა (აიცალაცია) – ძმების ცოლები ერთმანეთისთვის (ნათესაური ტერმინი).

აიბიბრა (აიბებრა) – სასამართლო დავა.

აიხა – რკინა/ნაჯახი/ცული (ფართო და მომრგვალებული პირით, ჩერქეზულის მსგავსი). წალდისთვის აფხაზურში გამოიყენებოდა სიტყვა **აიგუშე (აიგუშე)**, თუმცა, ხშირად მათში ქართული **წალდა** ტერმინი იყო გავრცე-

ლებული. **წალდი** ძველი ქართული ტერმინია, რომელიც ფინის საკავაგს აღნიშნავს.

აისამცა/აისემცა „რკინა-კვესი“ – კვესი (ამცა – ცეცხლი), ანუ კვესის საშუალებით ცეცხლის დანთება, დაკვესება). კვესსა და აბედს მამაკაცები სარტყელზე ჩამოკიდებულ მცირე ზომის ტყავის ჩანთით – **აისემცათრა**-თი ატარებდნენ და კვესზე კაყის ჩამოკვრით ცეცხლს ანენდნენ.

აისაფსისე (აისაფსისი) – რკინის იარაღების ზოგადი სახელი. **აისაფსი ხვის** ჯგუფში – ცუფლი, წაღი, დანა, ხანჯალი, ხმალი და სხვ. შედის.

აისაფსისე – სამუშაო იარაღი, რკინის მჭრელი, მაგ. ნაჯახი, ეწო.

აისაც/ადუგმა – დუგმა (საფეიქრო ტერმინი, გამოყენებულია ქართული ტერმინიც).

აისაწიე – რკინის შამფური. უმეტესად რელიგიური რიტუალების დროს და საოჯახო სალოცავში გამოიყენება. შამფურზე ოჯახის ცალკეული წევრისთვის საკლავის (ზვარაკის) მოხარშულ გულ-ღვიძლს ააგებს ოჯახის უხუცესი წერი, რომელიც მლოცველიცაა და ღოცვის ბოლოს ცალკეულ წევრებს საკუთარ შამფურს გადასცემს. ან საერთო ზვარაკის, საერთო შამფურიდან გულ-ღვიძლის მცირე ნაწილებს რკინის ლანგარზე დაყრილ ნაკვერხალზე დაყრის, დანარჩენს კი წვრილად დაჭრის და ოჯახის ყველა წევრს გაუნაწილებს (გარდა დედა ქალის და რძლებისა ე. ი. ქორწინებით დამოყვრებულის, რომლებიც არც მათ პატრონიმისა და არც მათ გვარს ეკუთვნიან).

აიშაბე – მოხუცი; უფროსი. **აიშაბაცია** – უხუცესთა საბჭო.

აიშაბერა – უხუცესობა, უფროსობა.

აიშაბირა რეიზარა (აიშაბერა რეიზარა) – უხუცესთა კრება (თავყრილობა).

აიშაბხეშა (აიშაბხიშა) „უფროსის გამოყოფილი წილი“ – „წინამძღოლის წილი“. თარეშში მონაწილეობის დროს, წინამძღოლს, მოპოვებული ალაფიდან შედარებით მეტი წილი ეკუთვნოდა.

აიშაწირა – „რკინის ქვეშ გატარება“. მომავალი ქმრის სახლში მოყვანილი პატარძალი ჯერ კერასთან მიჰყავდათ, ხოლო შემდეგ ქმრის ამპარაში. ამ დროს პატარძალს გამყოლი მამაკაცები ხანჯლების ქვეშ ატარებდნენ. წვევილად მდგარი მამაკაცები ერთმანეთს ახებდნენ ხანჯლის წვერებს.

აკაჩ – მამაკაცის პერანგი.

აკაღანტარ (აკაღანტარ) – ცვილის მსხვილი ხანთელი, ერთი მეტრის სიმაღლისა, ხანთლის ღერი სივრცეზე სპირალურად წითლად იყო შეღებილი. სადგართან თეთრი ბაბთი ჰქონდა შემოხვეული. თავში ცვილისაგან დამზადებული ჩიტის გამოსახულება იყო დასმული. აფხაზები ასეთ ხანთელს ორმოსცა და წლისთავზე აკეთებდნენ. < ქართ. **კელაპტარი** < ბერძ. **კეროლამპტერ** „სასანთლე“ (თ. გვანცველადის აზრით ქრისტიანული ბერძნული რელიგიური ტერმინები აფხაზურში ქართულიდან არის ნახესხები).

აკაენჯ – წილი, კენჭი (< ქართ. **კენჭი**). ძველად წილისყრა კენჭებით ან ხის ტოტების ნამტვრევებით ხდებოდა.

აკაფა – დუმა.

აკაფაბრეუ – თოფის, კონდახის ბოლო ნაწილი.

აკაფათრა – ქამარზე დაკიდებული დუმის შესანახი სახეთური, იარაღის საწმენდი.

აკაფათრა – ვერცხლის პატარა ყუთი ქონისთვის, რომელსაც იარაღის გასაპოხად ხმარობდნენ. მამაკაცები მას ქამარზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ.

აკადი – კრამიტი (< ქართ. **კეცი**), კეცი (მჭადის გამოსაცხობი, კეცი და კრამიტი ორივე კერამიკულია).

აკაჟი (**აკაჟი** „მოკლე პერანგი“) – პერანგი, უხეში შალისა. აფხაზი მამაკაცის გლეხური სამოსი.

აკეგრელოჟი (**ბიფი**) / **ანაქიტი** (აბუ.) – ჩაქუჩი (აბუ. **ანაქიტი** < ქართ. ჩაქუჩი).

აკეროუემა – ტარსიკონის წულები, ტყავის ძირზე, მოხატულობის გარეშე. მას შექმნილი აფხაზი ქალები ატარებდნენ.

აკელარი – შალის ნართი.

აკეცხერა-მეაღ – მჭადი. თხელ ცომს მოხელებს სიმინდის ფქვილისაგან. გაცხელებენ თუჯის ტაფას და ზედ გაბრტყელებულ ცომს დაადებენ. გამომცხვარს მაწონთან ან ლობიოსთან ერთად მიირთმევენ.

აკაბა – ახალუხი, წელში გამოყვანილი, მამაკაცის ნაოჭასხმული ჩასაცმელი, წელამდე სარწმელდადებული, დიდი-კილოებით შესაკრავი, საყვლიანი, სახელო ვიწრო, ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი. იკერებოდა ჩოხაზე მოკლე ორივე მხარეს დიდი ჯიბეებით, როგორც ჩოხა, უკან გაჭრილი (<ქართ. **კაბა**). ქალისა და მამაკაცის გრძელკალთიანი ტანსაცმელი. სიტყვა ქართულში არაბულიდანაა ნასესხები. ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობის კვალი, მამაკაცის სამოსის ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი „ბეშმეცისა“ და ქალის საყვლიანი, წინ ჩაჭრილი ტანსაცმელისთვის ტერმინი აკაბა დამკვიდრდა.

აკაბა-ბეშმეცი ანუ ახალუხი (<ქართ.). მამაკაცები იცვამდნენ ჩოხის ქვეშ. იგი მოკლე იყო, მუხლებს ზემოთ და ტანზე მჭიდროდ მორგებული. ისეთივე ფორმის იყო, როგორც ჩოხა, მხოლოდ ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილისაგან იკერებოდა. მას მაღალი მდგარი საყვლო ჰქონდა. წინ ბევრი შესაკრავით. წელში გამოყვანილს ზემოთ ღრმა ჯიბეები უკეთდებოდა.

აკაბა-კაჟი – მოკლე ჩოხა. გლეხი მამაკაცის სატარებელი ყოველდღიური ჩასაცმელი, ყოველგვარი მორთულობის გარეშე, რომელიც თეძოებამდე წვდებოდა.

აკადიფა – ხავერდი.

აკაზაკენა – გრძელკალთიანი, ქალის ფართოსახელოებიანი კაბა, ტანსაცმელი. სიტყვა ნასესხებია რუსულიდან.

აკაზარმა – ფარდული, მოდის რუსული სიტყვიდან **казарма**. ნაგებობა მხოლოდ გადახურულია, კედლები არა აქვს. ეს ნაგებობა მსგავსია აფხაზური **ანანგრა**-სი, ანუ ფარდულისა, მაგრამ იგი უფრო გრძელია და ფართო.

აკათა – ბადე (< ქართ. **კაკანთი/აკანთი** – ძუის მახე ფრინველის დასაჭერად).

აკათა – თევზის საჭერი ბადე.

აკაკანი – კაკალი, ნივთი. < ქართ. **კაკალი**.

აკალათ // **აკლათ** – უსახელურო გოდორი. დიდი და მცირე ზომის, რომელიც მოიხმარებოდა სიმინდის, ყურძნის, ვაშლის, კაკლის და სხვა ხილის მოსაგროვებლად, ან ბოსტნეულისთვის. გოდორს მოიხმარდნენ ასევე მატყლისათვის, ბამბისთვის და ა. შ. ტერმინი ქართულია, ოღონდ აფხაზურ ენაში მნიშვნელობა აქვს შეცვლილი – კალათის ნაცვლად გოდორს ნიშნავს.

აკალაკუტი (**აკალაკუტი**) – კაკუტი (<ქართ. კაკუტი, კომბალი, ჯოხი, რომლითაც სიმინდს ფშენიან). აფხაზი მეურნეები ფართო ოვალურ, დაწულ კალათას, რომელსაც მიწიდან ერთი მეტრის სიმაღლის ფეხები ჰქონდა – **აფხათლაში** სიმინდის ტარობებს აწყობდნენ და კომბლის – **აკალაკუტის** დაბრტყვით სიმინდს ფშენდნენ. ზოგჯერ მცირე ზომის მრგვალ და უფეხო **აფხათლა**-საც წნავდნენ, რომელსაც შიგნით წნულითვე გადატიხრავდნენ. ასეთ კალათას ზოგი ოჯახში სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობისთვის მოიხ-

მარდა. ზოგჯერ კი მას ქათმებისთვისაც მოიხმარდნენ, კვერცხის დასადებ ბუდისთვის.

აკალამ – ლერწამი, ბამბუკი, კალამი, ჩალამ-კალამი. **კალამი** ბერძნული სიტყვაა – „ლერწამი“. ის არის იარაღი მეღვინეთა წერისთვის. აფხაზურში ქართულიდანაა შესული.

აკალამ-ჯამ – ლერწმის ან ბამბუკის ჯამი (რთული სიტყვის ორივე ნაწილი ნასესხები ქართულიდან: **აკალამ** < **კალამი** „ლერწამი“, **აჯამ** < **ჯამი**).

აკალამ-ჯამ – ხისგან ან ბამბუკისაგან გაკეთებული თევზები და ფინჯნები.

აკალაჭკურ (**აკალაჭკიერ**) // **აკაწკურ** (**აკაწკიერ**) – ხელკალათი, კალანჩხა, პატარა კალათა.

აკალთ – კალთა (ტანისამოსისა). ქართული **კალთა**. საბას განმარტებით „სამოსლის ფეხვი“, ქვემოთკენ გაშლილი ტანისამოსისა – ითქმის კაბის, ჩოხის, ახალუხის შესახებ.

აკალიაჩაფა – მწვანე ღობიოს შეკმაზული ფხალი. **აკალია-ჩაფა** – მწვანე ღობიო ნივთი.

აკალმაჰა – კალმახი. იგივეა **აკალმაჰ** (< მეგრული **კალმახა**).

აკამბაშ – კამენი. (< მეგრ. **კამბეში**, შდრ. ქართ. **კამენი** // **კამბენი**).

აკამბაშ ხარწი – კამენის შაწილი.

აკამბაშორა – კამენის ბოსელი (კამენის ადგილი). **აკამბაშ** < ქართ. კამენი, **ორა** „ადგილი, სამყოფელი“. საერთო ბოსელში ტიხრით ჰქონდათ გამოყოფილი კამენის დასაყენებელი, თუმცა, აფხაზებში კამენი იშვიათად შეკვდათ.

აკან – წლისთავზე ჯირითი იმართებოდა, რომლის დროსაც ახალგაზრდა მამაკაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. წლისთავზე, ქელესზე აღმართულ გრძელ ლატანზე სხვადასხვა მაქმანებით მორთული თეთრეული ან პირსახოცები, ან სხვა რამ ეკიდა, რომლებიც ცხენოსნებს გაჭენებული ცხენიდან უნდა ჩამოეგდათ.

აკანთარ – ყანთარი, სასწორი. სიტყვა აფხაზურში თურქულიდანაა შესული, ძველ ქართულში კი შემოსულია არაბულიდან – **კანტარ** – სამბარიანი სასწორი.

აკანჯა – იაღქნიანი ნავი (< ქართ. **კანჯო** „მომცრო ნავი“).

აკანჯა – საკერავი მანქანის მაქო (< მეგრ. **კანჯო** „ლუზა, კაუჭი“; **კანჯუა** „მოხრა, მოღუნვა“).

აკაპესტა – კომბოსტო. აფხაზურში რუსულიდან არის შესული.

აკაპან – მარცვლის სარწყავი, იტევდა 900 გრ. (< ქართ. ოყა – წონის ერთეული, უდრიდა სამ გირვანქას, ესე იგი დაახლოებით 1200 გრ.). **აკაპან** – სარწყავი; 900 გრ. მარცვალს იტევდა. შდრ. იმერ.-გურ. **კაპანი** „ტვირთი“, **დაკაპანებული** „დატვირთული“. **აკაპანგა** – სასწორი. შდრ. იმერ.-გურ. **კაპანი** „ტვირთი“, **დაკაპანებული** „დატვირთული“.

აკარპიფე (**აკარპეფი**) (ბზიფ) // **აჰაბურზაკი** (**აჰაბერზაკი**) (აბუ) – საზამთრო. ორივე სახელი ნასესხებია თურქულიდან: თურქ. **ქარფუზ** > აფხაზ. **აკარპეფი**, თურქ. **ჰაბერზაქ** > აფხაზ. **აჰაბერზაკი** (შდრ. მეგრ. **ხაბურზაკი**, ქვ. იმერ. **ხაბურძაკი** „საზამთრო“).

აკასე – ხილაბანდი, თავსაფარი (რუს. **косынка** „თავსაფარი“).

აკასე (**აკასე**) – ოთხკუთხა თავშალი. მას გათხოვილი ქალები ატარებდნენ. **აკასე ეიცარსა** „ირიბად გაკეცილი თავსაფარი“. **აკას-ნიწარყია** (**აკას-ნეწარყია**) – ქალის თავსაბურავი. გათხოვილ ქალს თავზე ჯერ სამკუთხა თეთრი პატარა ნარმის თავსაფარი – **აჭეკეტი** ჰქონდა მოხვეული, რომელსაც ყურების გარშემო მჭიდროდ იკრავდა. შემოდან კი **აკას-ნეწარყიას** იხვევდა, რომელიც უფრო თხელი ნარმის ქსოვილი იყო.

აკანგწარყა – ხილბანდი, ქალის სამკუთხა თავსაფარი (კომპოზიციის პირველი ნაწილია რუსული **косынка** „თავსაფარი“). აფხაზი ქალისათვის თავსაბურავი დღესაც განუყრელი ნივთია. ჩამოსახლებების დროისათვის მიგრანტი ქალები, ჩერქეზი ქალების მსგავსად თხემზე თმას იპარსავდნენ და გაპარსულ თავზე მჭიდროდ მორგებულ ქუდს ატარებდნენ, რომლის ქვემოდან დარჩენილი გაუპარსავი თავი ჩანდა. თუმცა, მალე ეს ჩვეულება გადავარდა. გასათხოვარი ქალებისათვის ოთხკუთხა მოზრდილი თავშალი გახდა სავალდებულო, ხოლო გაათხოვილებისთვის ოთხკუთხა თავშალის ქვეშ **აკანგწარყა** – სამკუთხა თავსაფარით თავის შეკერვა გახდა სავალდებულო.

აკაფაფა – შურთხი, გარეული ინდაური.

აკანა – ხისგან დამზადებული კერის ჯაჭვი, კერის თავზე გადებული ძირითადი ბოძიდან ჩამოშვებული. კერია და მასთან ერთად კერის ჯაჭვი ოჯახის სიწმინდის სიმბოლოს წარმოადგენდა. იგი წინაპართა კულტს უკავშირდებოდა. ამიტომ, ძველად კერიაში ცეცხლის ჩაქრობა არ შეიძლებოდა. ნაღვერდალს ნაცარში ინახავდნენ. კერიასთან ხდებოდა ოჯახის ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებული შეკრება. ამავე დროს, ოჯახის უსუცხი მაძაკაცი რელიგიურ დღესასწაულების დროს, კერასთან – წინაპართა კულტის, ოჯახისა და მისი წევრების ჯანმრთელობისა და გამრავლების ღოცებს ატარებდა. ქორწილის სამი კერის შემდეგ, ახალი შემომატეხული რძლის სამეურნეო საქმიანობა, დიდ სახლში შეყვანისა და კერასთან ზიარების შემდეგ იწყებოდა. დილით ადრე დედამთილი ახლად-მოყვანილ რძალს კვერცხსა და წყლის დოქს ხელში მისცემდა, წყაროზე წაიყვანდა, რძალი კვერცხს გამდინარე წყალში ჩააგდებდა, მერე დოქს წყლით აავსებდა. როცა დაბრუნდებოდნენ სახლში, დედამთილი საოჯახო ხალოცავის „წყლის დელოფის“ სახელზე ღოცვას წარმოთქვამდა. შემდეგ „სირცხვილის ავილების“ სუფრას გაშლიდა. ქმრის საოჯახო კერასთან ზიარების, ცეცხლთან გაწმენდის ჩვეულება, თავისი ეთნიკური ხასიათით აფხაზებს ჩერქეზულ, აბაზურ ხალხებთან აკავშირებდა. კერის ჯაჭვი აფხაზ ქალს მზითევაში მოჰქონდა, რაც ასევე სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. კერის ჯაჭვის უხეშად ხელის შეხების ან ჩამოგლეჯის შემთხვევაში, ამ საქციელის ჩამდენის ოჯახსა და შეურაცხყოფილ ოჯახს შორის სისხლ-მესისხლეობის წესი ამოქმედდებოდა.

აკაწახურ აბბალ (აკაწახურესებბალ) – კოწახურის ცხარე საწებელი.

აკაჭიჭი (აკაჭეჭი) – კაჭიჭი, ვაზის ჯიში. სახელი ნახესხებია ქართულიდან. შდრ. **კაჭიჭი**. გავრცელებულია მთელ დასავლეთ საქართველოში.

აკაჭყ – კახა, მებავი, მრუში ქალი.

აკაჭურა – სიძვა, მრუშობა, კახობა.

აკებბა – (ბზიფ., აბჟ. სახლისათვის მთლიანი ხისგან ან ქვისგან გაკეთებული საფეხურებიანი კიბე (ქართ. კიბე).

აკეფრ – კირი (< ქართ. **კირი**). სახლის, ფაცხის კედლების გასაღესად ხმარობდნენ ზამთარში.

აკედალაქი (აკედალაქი) – არბალეტი.

აკეადირ (აკეადირ) – უნაგირი. ოჯახი ცდილობდა სამეურნეო ყოფისათვის ცხენი ან სახედარი მანძი ჰყოლოდა, მაგრამ ერთი საჯდლოში ცხენი მათთვის აუცილებელი იყო.

აკეადირ აქეწარა (აკეადირ აქეწარა), აკეადირრა (აკეადირრა) – უნაგირის დაღება, ცხენის შეკაზმვა.

აკეადირჩე „უნაგირ-ცხენი“ – შეკაზმული ცხენი.

აკვთან (**აკათან**) – გუთანი (სახენელი იარაღი), (სვან. **კვთან**). სიტყვა ნასესხებია ქართულიდან. გუთანია. ქართულ გუთანს აფხაზები **აკვთან**-ს უწოდებდნენ. XVIII საუკუნეში ი. გიულდენშტედტს აფხაზურში გუთნის-სათვის ფიქსირებული აქვს **koten-madsa** (**კოთენ-მანა**), **კოთენ** სიტყვა იგივე **გუთანი** არის – აფხაზურ ენაზე **გე** ბგერათა წყვილი ხშირად იცვლება ლაბიალიზებული **კი** ბგერით (თ. გვანცელაძე), ხოლო **ა-მაჰ** აფხაზურად „მცირეს, პატარას“ ნიშნავს, ე.ი. ი. გიულდენშტედტის მიერ დამოწმებული ტერმინის მნიშვნელობა „პატარა გუთანი“ იყო.

აკვაკვარ (**აკააკარ**) – „კოკორი“, ყველიანი კვერი (< იმერ. **კოკორი**). პატრონიმის უხუცესი ქალი რელიგიური რიტუალისათვის საკუთრივ თითოეული წვერისათვის (მამაკაცისათვის) მამალს, ხოლო ქალისათვის ქათმის გულ-ღვიძლს მოხარშავდა და უხუცესი მამაკაცი კი ინდივიდუალურ შამფურზე წამოაცემვდა მათ. ასევე საკუთრივ ყველა წვერისათვის პატრონიმის უხუცესი ქალი პურის ფქვილისაგან სამკუთხედი ფორმის აკვარკვარს (ანუ კვერს) აკეთებდა. ყველაფერს ცეცხლგამძლე ლანგარზე კერის ნაღვერდალთან ერთად აწყობდნენ და სიმბოლურ სამკედლოში მიჰქონდათ სალოცავად, რასაც მხოლოდ პატრონიმის წვერები, ამ ოჯახის წვერები, გათხოვილი ქალები და ოჯახიდან განაყარი მძათევილები მიირთმევდნენ. დედა ქალი და რძელები არც ლოცვაში იღებდნენ მონაწილეობას და არც აკვაკვარს არ შეჭამდნენ.

აკვალ (ბზიფ. დიალ. **აკაალ**) – სოხანე, ძველი საცხოვრებლის დატკეპნილი და შემდეგ თიხით შეღვსილი მიწის იატაკი.

აკვალბი (**აკაალბე**) – ჯავშანი (მეომრის).

აკვანჯ // **აკვანჯა** (**აკანჯ** // **აკიანჯა**) – კოჭა (ძაფის დასახვევი). < მერ. **კონჯი** < ქართ. **კოჭა**. **აკვანჯარა** (**აკიანჯარა**) – კოჭის ძაფი.

აკვაპეი (**აკააპეი**) – კოპე, აყირო, კოკოში, ხრიკა, ხაპი (< ქართ.). გარეული გოგრისგან დამზადებული წყლის ამოსაღები ჭურჭელი.

აკვარ (**აკიარ**) – იორლა, თოხარიკი (ცხენი). **აკვარრა** (**აკიარრა**) – თოხარიკობა, თოხარიკით სვლა ცხენისა.

აკვარა (**აკიარა**) – ღელე.

აკვარწან (**აკიარწან** < მერ. **კვარწანი**) – ტყემლის საწებელი.

აკვასთლა // **აკვასთხა** (**აკიასთლა** // **აკიასთხა**) – მუგუზალი.

აკვასკია (**აკიასკა** „ოდა სახლი“) – ხის ფიცრული, ძელებზე შემდგარი საცხოვრებელი. ერთოთახიანიდან თანდათან განვითარდა მრავალთა-ხიანამდე, აიენითა და ჯერ ხის და შემდეგ ქვის კიბეებით. აკვასკია აფხაზეში თავდაპირველად მხოლოდ ფეოდალებში გავრცელდა. საცხოვრებელში ყველაზე დიდი ოთახი ბუხრიანი (ავურით აშენებული) სასტუმრო იყო. სხვა ოთახები საქორწინო წვეილებსა და გაუთხოვარ ქალებს, ან უცოლო მამაკაცებს ეკავათ. სახლს ოთხფერდა სახურავი ჰქონდა და იგი ყავრით (**აყაჭარ**) იყო გადასურული, რომელსაც თავდაპირველად 60-70 სმ სიგრძის და 3-4 სმ სიგანის მუხის ლარტყით – **აბასკია**-თი ამარებდნენ. ოჯახის წევრები საქმეს მხოლოდ გვერდზე მდგარ **ამაწურთა**-ში აკეთებდნენ. **აკვასკია** ქართულ-აფხაზური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შედეგი იყო. იგი დასავლურქართული ოდა-სახლის ტიპს განეკუთვნებოდა, რომელსაც იატაკი, ჭერი, გადასურვა, სარკმლები და საცხოვრებლებისთვის საჭირო ყველა ატრიბუტი ჰქონდა. იგი ცნობილი იყო **მეგრული** // **იმერული ოდა-სახლის** სახელით. უნდა აღინიშნოს, რომ დღე სახლს აფხაზეში საბჭოთა წყობილებამდე დიდი გავრცელება არ ჰქონია. იგი აფხაზეში უმეტესად ქართველ ფეოდალებში

და „მოკლე“ ამსთა-ს კატეგორიის და „ბადის“, ანუ „ტყის“ აზნაურებში (ამარშან, ინალ-იფა, ძაფში-იფა, მარღანია // მან...) იყო გავრცელებული. რაც შეეხება თვით ტერმინს **აკვასკია-ს**, ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ იგი თურქული **ქონმაქ** ფუძიდანაა ნაწარმოები, რაც სტუმარსა და სასტუმროს ხასხს აღნიშნავს. უფრო მართებულია ამ სიტყვის დაკავშირება სპარსული ან თურქული წარმოშობის ქართულ **კოშკი** სახელთან. უმეტესად XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთშიც დაიწყო ოდა სახლის გამართვა, მაგრამ მათ ამ საცხოვრებელს ქართველები (რაჭველები, გურულები, იმერლები და მეგრელები) უკეთებდნენ. ამ დროისათვის აფხაზ გლეხებში იგი მცირედ თუ იყო გავრცელებული.

აკვაც (აკიაც) – ხორცი.

აკვაცვი (აკვაცვე) – „შემწვარი ხორცი“. საკვები, მზადდება ქართული კუპატის მსგავსად. ძროხის დაჭრილ რბილ ხორცს ამატებენ ათქვეფილ კვერცხს, უკურკო შინდს, წიწაკას, მარილს და კარგად აურევენ. მოთუშვის შემდეგ საქონლის გასუფთავებულ ნაწლავებში დებენ. მიღების წინ ქონში წვავენ.

აკვაცშავე (აკიაც-შავე) – „ხორცის გამყოფი“, საქონლის ხორცის დამრიგებელი სუფრაზე.

აკვაცძივა აწვი (აკიაცძევა აწვი) – „ხორცის შესაწვაი წკირი“, შამფური მწვადის.

აკვაცძე (აკიაცძე) – შემწვარი ხორცი.

აკვაჭაბ (აკიაჭაბ) – ჭრაქი (< ქართ. **კოჭობი** = პატარა ქოთანის, რომელიც ცეცხლგამძლე).

აკვაჭაბ (აკიაჭაბ) – ჭრაქი (< ქართ. **კოჭობი**). ფაცხა ჭრაქით ნათდებოდა // **აწიჯჯ-მცა** – ჭრაქი.

აკვანა // აკონა აბჟ. **აკიანა // აკიონა** < მეგრ. **კუნი** < იმერ. **კუნე** „მკვასე“) – ტყემლის საწებელი.

აკვანძა (აკიანძა) – თხის ტყავისგან შეკერილი ჟილეტი.

აკვანჩა (აკიანჩა) – ცხვრის, ან თხის მოუქნელი ტყავი, ქჩხო. ძველად, ფაცხაში აფხაზური ოჯახის ყველა წევრი მიწურ იატაკზე იძინებდა. ფეხებით კერის ცეცხლისკენ და მის გარშემო, ქვეშაგებად ბეწვის მოუქნელ ტყავს ან ნაბადის ქსოვილს იყენებდნენ. აკვანჩას მწვემსებები მოსასხამადაც ხმარობდნენ.

აკვტალი (აკიტალ- „ქათმის კვერცხი“) – კვერცხი. მართალია, სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა მხოლოდ ქათმის კვერცხს გულისხმობდა, მაგრამ ამჟამად სიტყვა ყველანაირ კვერცხს აღნიშნავს.

აკვტი (აკიტე) – ქათამი.

აკიდირშილა (აკედირშილა) – კედლის ორნამენტებიანი ხაღინა. მასხალის მისხედვით გამოიყოფა ორი ტიპი: **აკიდირშილა ნაბა (აკედირშილა ნაბა)** „სრული კედლის ხაღინა“ (I ტიპი) და **აკიდირშილა (აკედირშილა)** (II ტიპი). I ტიპი სპეციალურად შექმნილი სელის ან ბამბის, სიგრძით 70-80 სმ; სივანე კი ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად დატანილ ნახჭზე იყო დამოკიდებული. II ტიპი – ერთი-ორი განის ბამბის ქსოვილის ნოხებს მიეკუთვნებოდა. ისინი ჰორიზონტალურად (ზომით საშუალოდ 2,5×1,5 მ) იქსოვებოდა. ნახჭი ამ ნოხს აპლიკაციით უკეთდებოდა (კედლის გრძელი ნოხი. ითარგმნება როგორც „სრული ჩამოსაკიდი“).

აკიკაცჭარა (აკეკაცჭარა) – „ძუძუზე კბენა“, ძუძუზე კბილის დაღვმა. მომენტი, როდესაც შვილად ამყვანის ცოლს ძუძუზე კბილს შვილად ახაყვანი ადგამდა. ამ დღისთვის სპეციალურად დღესასწაული ეწყობოდა. დღესასწაულზე ნაბადს გაშლიდნენ, ქალი ნაბადზე მდგარ სკამზე

ჯდება. მას თავიდან ბოლომდე თავსაბურავი ესხრა, ხოლო მკერდს კიდევ სხვა ქსოვილი (**ახეკთე**) უფარავდა. შვილად ახაყვანი მუხლებზე ქალის წინ დგებოდა, ე.ი. მისი მომავალი დედის წინ და სამჯერ ეხებოდა ტუჩებით მკერდზე. თან ხმამაღლა ამბობდა: „ამიერიდან შენ ჩემი დედა ხარ“. ამ დღიდან ეს ყმაწვილი ქალისა და მისი ქმრის აღზრდილად ითვლებოდა. შვილობილს იგივე სახელი ეწოდებოდა, როგორც მამამჟუქობის შემთხვევაში – **ახუფა**. ორივე მხარეს ჰქონდა ყველა ის უფლებები და მოვალეობები, როგორც მამამჟუქობის დროს.

აკილა (აკელა) – კონა; ჩალის კონა (< მეგრ. **კელი/კილი** „კონა, ძნა“).

აკილწვარა (აკელწვარა) – საკუთრების ნიშანი, როდესაც საქონელს ყურზე მრგვალი ნახვრეტი აქვს.

აკილხიხვა (აკელხიხვა) – პატარა ხერხუნა, შიგნიდან გამოსაქლიბად.

აკინტირ (აკელტირ) – კიტირ (< მეგრ. **კინტირი**).

აკიღვრა (აკელირა „ფიცარნაგი“) – ძელებზე მდგარი თაროები ხის ჭურჭლის აჯამ-ებისთვის. სიტყვა **აჯამ** „ჯამი“ ქართულიდანაა ნასესხები.

აკიღვრა (აკელურა) – თარო (ჭურჭლისათვის, სახლის კუთხეში).

აკლაკუტ (აკლაკეტ) – ფეტვის საღეწი, სანაყი (< მეგრ. **კაკუტი**). მთლიანი გაღანაჭერი მორისგან (უმეტესად მუხის ხისგან) გაკეთებული ქეასანაყის ფორმის 80-90 სმ. სიმაღლის საღეწი, რომლის გული 15-20 სმ. ამოღებული იყო. შიგ ფეტვს ყრიდნენ და ზემოდან მოხრილი ხის, მსხვილთავიანი ჯოხით, კაკუტით ურტყამდნენ.

აკლაწვი (აკლაწვი) – 1. ხისგან გამოთლილი ღურსმანი. 2. ტაბიკი. შრომის იარაღი.

აკენე ვიმა – წულა, ქალამანი (<მეგრ. კანიშ ჩაფლა).

აკრალ – მეფე; შდრ. **აჰუნთქარ (აჰინთქარ)**

აკრალრა – სამეფო (დამკვიდრდა თურქულიდან).

აკრიფართა (აკრფართა „რისამე ჭამის ადგილი“) – სასადილო.

აკუამა – ბეწვიანი მოუქნელი ტყავი, ქენხო. ძველად, მოსახლეობა ფაცხაში მიწაზე იჯდა და მიწაზე იძინებდა, დასაჯდომად და ქვეშაგებად ბეწვიანი მოუქნელ ტყავს, ან ქენას ხმარობდნენ.

აკუადღერ ბალეში – უნაგირის ბალიში. **აკუადღერ** – უნაგირი.

აკუალრა (აკიალრა) – სახლის იატაკად მიწის დატკეპნა. ზოგჯერ მიწის დატკეპნილ იატაკზე თიხასაც უსვამდნენ.

აკუარაზ – ქამანდა. მამაკაცები უნაგირზე ატარებდნენ. საჭირო იყო გაუხუნავი ცხენების დასაჭერად და სათარეშოდ. ქამანდით ცხოველსაც და ტყვესაც იჭერდნენ.

აკუანძია – ქენხო, ბეწვიანი მოუქნელი ტყავი ქვეშაგებად ხმარებული. კერავდნენ ჩასაცემელადაც, საყელოს გარეშე, მკლავებით, წინ თასმებით იკვრებოდა.

აკუბა (აკებბა) – კუბო (< ქართ. **კუბო**).

აკუკუია – მრგვალად დახვეული ძაფის მორგვი.

აკუკურა (აკიკურა) – მატყლის ჩენვა.

აკულძ-ხელფა – ჩაფხუტი, მუზარადი.

აკუმიზცვა (აკიემზცვა) – ქენა, თექა, მაუდის ნაკეთობა.

აკუმეყე-ეიმსი (აკიემეყე-ეიმსე) – ტყავის წულები და წულებში ჩასაცემელი მესტები (**აიმსე** <ქართ. მეგრ. **მესტი**) ფეხზე მჭიდროდ მორგებული ყელიანი ტყავის ფეხსაცმელი. მეგრულად იგი საცვეთს აღნიშნავს. იგივე ტერმინი დასტურდება ლაზურშიც). აფხაზები **აიმსს** ხშირად სქელი ქსოვილისგან ამზადებდნენ, რასაც **აკუმეყე-ეიმსს** უწოდებდნენ. წულები ჩვეულებრივ, ძროხის ან ხარის ტყავისგან იკერებოდა. მესტებს ყველა სოციალური წრის წარმომადგენელი ატარებდა, მათ შორის მწყემსებიც და მონადირეებიც.

მწვემსები წულებს შიგნით რბილ თივას უფენდენ სითბოსთვის, რაც ქვიან და კლდოვან ადგილებში მსუბუქად გადაადგილებასაც უწყობდა ხელს. წულებსა და მესტებში შალის წინდებს ხმარობდნენ, რომელსაც ზოგს მოკლე და ზოგსაც გრძელი ყელი ჰქონდა.

აკუმეფი (აკუმეფი) – ჩოხა. ჩოხა უსაყელო იყო, შავი ზონარშემოვლებული. მკლავები სწორი ჰქონდა და ვიწრო. მკერდზე ორივე მხარეს გულის სარქველები იყო მიკერებული, 8-10 პატარა გრძელი ჯიბით, ირმის რქისგან გაკეთებული ქილებისთვის. სარქველების ქვემოთ, გარედან ძველად მოგრძო ჯიბეებიც ჰქონდა მიკერებული, რომელიც მარჯუთი იკვრებოდა. ჩოხის უკანა კალთა გაჭრილი იყო და შავი ზონარი ჰქონდა შემოვლებული. ჩოხა ზემოდან გადასაცემელი შალის მოგრძო ხალათი („აკუმეჟკაბა“). უხეში შალის მსგავს მოსაცმელს ატარებდნენ აბაზებიც. მოსაცმელის აბაზური და აფხაზური სახელწოდებების ძირი საერთოა – **კუმეფი**. ფიქრობენ, რომ ტერმინოლოგიურად ეს სახელწოდება აბაზური ენიდან იყო მიღებული (**აკუმეცია**), რაც „შალის ტყავს“ ე. ი. ნახევრად დაუშავებელ ცხვრის ტყავისგან შეკერილ ზემოთ გადასაცმელს აღნიშნავდა. თავის დროზე, აფხაზების წინარების ტრასაცმელის წყარო სწორედ ცხვრისა და თხის ტყავი და მატყელი იყო. აბაზურ-აფხაზური საერთო ტერმინით აღინიშნება ზამთრის ბეწვიანი ტყავის გადასაცემელი, ქურჭი მამაკაცებისთვის (აფხ. **ახამე**, აბაზ. **ხამე**). ამავ დროს, **აკუმეფი აკაბე** ჩოხა-ახალუხს აღნიშნავს, თუმცა, აფხაზები ჩოხისთვის უმეტესად **აკუმეფი**-ს ხმარობენ. ჩოხას მკერდზე, ორივე მხარეს **აპაზურთრა**-სთვის 8-10 სარქველი ჰქონდა (აფხ. მასრას **იართო**-საც უწოდებენ). აფხაზები შინამრეწველობას მისდევდნენ და ტრანსაცმელს, ფეხსაცმელს, თავსაბურავს და სხვა ჩასაცმელ ნივთებს თვით ამზადებდნენ. ტრადიციული სამოსის ძირითადი კომპონენტი იყო ქჩის ნაბადი, რომელიც საერთო კავკასიური მოვლენა იყო და ადამიანს, როგორც სიცივისგან, ისე სიციხისა და წვიმისგან იცავდა. იგი მთის საძოვარზე საძილეც იყო.

აკუნა – თევზის დასაჭერი ფაცერი, გოდორა. შდრ. ქართ. **კუნო**.

აკურბან (აკიერბან) – მსხვერპლი, ზვარაკი (< თურქ). შესაწირი (მუსლიმების დღესასწაულის ყურბან-ბაირამისა). არაბული სიტყვა ნახესხებია თურქულიდან. **აკურბანრა (აკიერბანრა)** – მსხვერპლად შეწირვა. აფხაზები მოიხმარენ ტერმინს – **ჟიარაქე** „ზვარაკი“ <ზვარაკი, რომელიმე დვთაებისადმი შეწირული, მონიშნული საქონელი (ძროხა, ხბო, ხარი, ცხვარი... მათ ზოგჯერ განსაკუთრებულ ნიშანს ყურზე ან თავზე სხვა ადგილას უკეთებდნენ). ქართულში ზვარაკი <სპარსულიდან.

აკურმა (აკიერმა) – ყაურმა, ცხვრის ხორცი საკუთარ წვენში (საკვები). ახლად ჩამოსახლებული მიგრანტი მოსახლეობა საკვებად თავდაპირველად, უმეტესად მხოლოდ თხისა და ცხვრის ხორცს ხმარობდა, რასაც შუასაუკუნეების ავტორები – ჯოვანი ლუკა, არქანჯელო ლამბერტი, კვლია ჩელები და სხვ. ადასტურებდნენ.

აკურტაღმაფა – მოხარშული კვერციხი, შეზავებული აჯიკითა და დანაყილი ნივთებით (საკვები).

აკურტაღჯე – შემწვარი კვერციხი, ერბოკვერცხის ტავამწვარი (საკვები).

აკურტიუ (აკიტე) – ქათმის ხორცი.

აკურტირაფა (აკიერტირაფა) – შეკმაზული ქათმის ხორცი (საკვები).

აკურტირბა (აკიერტირბა) – ქათმის წვნიანი რიტუალური საკვები.

აკიტე – ქათამი.

აკუტწარა (აკეგტწარა) – საქათმე. ედგათ უკანა ეზოს ბოლოს, ღობესთან. თავდაპირველად საქათმე წნული და მრგვალი იყო, თანდათან შეიცვალა მისი სახე და ფიცრული გახდა, ყავრით დახურული. ფასადის მხრიდან ჰქონდა ღიობი, კარით, ზომით 40×60 სმ. ბოძებზე იდგა და ქათმებისათვის კობის მაგიერ ფიცარს მიაყუდებდნენ ასასვლელად.

აკუშარ (აკუშარ) – შავი ყურძნის ჯიშო.

აკუხი სეძბალ – მწვანე, შიშვანე ყურძნის ნაყოფის საწებელი (< იმერ. **კუხე** „მკვახე“ და **საწებელი**).

აკუხინა (აკეუნა) – რომელიმე მოზრდილი ცხოველის ტყავი. ძველად, ფაცხაში, ღამით კერის გარშემო დააგებდნენ **აკუხინას** ან **აწღუპას** (ქენას) და მათზე იძინებდნენ.

აკუხი-ძე – ისრიმი, შეთვალეული ყურძნის საწებელი. შდრ. იმერ. **კუხე** „შკვახე“. **აკჭაყერა (აკჭაყერა)** – სახლის კუთხე, სადაც დღისით ღოგინს აწვობენ (ქვეშაგები).

ალ – თხმელა.

ალა – ძაღლი.

ალაბა – ხედი ძაღლი.

ალაბადა – ლიბადა (< ქართ.). თავადებისა და აზნაურების ქალები კაბის ზემოდან ატარებდნენ.

ალაბაშა – ლითონის წვეტიანი ორკაპა ჯოხი აფხაზი მოხუცებისათვის, ძალაუფლების სიმბოლო. წარსულში იყენებდნენ მთაში სიარულის დროს საყრდენად, აგრეთვე ზედა განტოტვილ ბოლოზე თოფის დასაყრდნობად, რომ სამიზნე ნადირისათვის ტყვია არ აეცდინათ. სიტყვა **ალაბა** = „ჯოხი“, **შა** ელემენტის რაობა გასარკვევია. შდრ. მეგრ. **ლაბაშა** – რკინისბუნიკიანი ან კაუჭიანი ხელჯოხი, კვერთხი, უპირატესად მთებში სასიარულოდ. ამავე დროს, ლაბაშა ენად გაკრეფას, ბევრ ლაპარაკს აღნიშნავს). უხუცესთა საბჭოს მიმდინარეობის დროს, მამაკაცი, რომელიც სიტყვას წარმოსთქვამდა და იგი ალაბაშას ჯერ არ მოიხმარდა, მას უხუცესის ჯოხს მიაწოდებდნენ, ამით მას სიტყვის წარმოთქმის უფლება ეძლეოდა.

ალაბყავე – სოფლის უბნის მმართველი. ძველად, ჩვეულებრივ უბანში მხოლოდ ერთი გვარის, ერთი წინაპრის შემკვიდრები ცხოვრობდნენ. მათი მმართველი, უბნის უხუცესი მამაკაცი იყო. იგი თავის ნათესაურ ჯგუფში სხვა უხუცესებთან ერთად წამოჭრილ ყველა საკითხს განიხილავდა. იგი თავისი უბნის წევრების მორალურ საქციელზე პასუხისმგებელი იყო. ხენათეხვას, მოსავლის აღებას, ამასთან ერთად ქვრივ-ობლების დახმარების საკითხსაც აკონტროლებდა.

ალაბყაგრა – სოფლის უბანი.

ალაბყავე (ალაბყავე) – „ჯოხის მქნეველი“. ჩვეულებით სამართალში „მოამბე, მაცნე, შემტყობინებელი“. იგი თემის მცხოვრებლებს ბუკით, ან ნაღართი იწვევდა შესაკრებად, ან კარდაკარ ჩამოვლით ამცნობდა საერთო კრების მოწვევის დღესა და დროს.

ალაბჭას – თოფის სადგარი.

ალაგან სახდა – კვადრატული ნახჭა, „ტაშტის ნახჭა“, ნაქსოვზე ასახული ნახჭა. **ასახდა** < ქართ. **სახე**.

ალაგარა – დაფქვა, დაღერღვა ხელის წისქვილით.

ალაგან (ალაგან) – ქოცო, მცირე ზომის ქვევრი (მეგრ. **ლაგენი**).

ალაგან – ტაშტი, ლითონის მოზრდილი გაშლილი (მოგრძო ოთხკუთხედი ან მრგვალი) ჯამის მსგავსი ჭურჭელი, რომელიც ხელ-პირის დასაბანად და გასარეცხადაც გამოიყენებოდა).

ალათრა – ხელა, ხუხულა, ძაღლის სადგომი, თავშესაფარი.

ალამფა – ერთგვარი თხელი ფიცარი, ლამფა (< მეგრ., იმერ. **ლამფა** „ფიცარი, გათლილ-გაშალაშინებული“).

ალაპყა (**ალაპყა**) – 1. ტარო. 2. ჭოლოკი, სატყორცნი ჯოხი.

ალარტყა – ლარტყა.

ალასა – მატყელი.

ალასალის (**ალასალეხ**) – მატყლეული, შალეული.

ალასალეხ (**ალასალის**) // **აუმიზცვა** (**აკიუმზცვა**) – შალის ქსოვილი. შალის ქსოვილს გამოიყენებდნენ ნოხების, ტახტების და იატაკის ფარდაებისთვის. მისგან ასევე მამაკაცის ტანსაცმელს, კაბებს, თავსაფრებს, ქისებს, სანემსე ჩანთებს და სხვ. ამზადებდნენ.

ალასასა – კანძი, ერთი ცხვრის ნაპარსი მატყელი.

ალასკუგე // **ალასკუგვი** (**ალასკოგვი** // **ალასკიგვი**) – საჩენელი, მატყლის საჩენი საეარცხელი. შდრ. **ალასა** „მატყელი“.

ალასსა ქელფად – შალის წინდა.

ალატანჩა – სიმინდის ჯიში. ყვითელი ფერის მარცვალი ჰქონდა და სწრაფად მწიფდებოდა (< მეგრ. **ლათი**).

ალაფს – ძუ ძაღლი.

ალაფშეყუ (**ალაფშეყი**) – „აე თვალის წიგნი“, ავგაროზი.

ალაღერა (**ალაღირა**) – სხვენი.

ალაშთა – შალის ფარდაზე, მრავალკუთხა ყვავილის ფორმის ნახჭა. აფხაზებში ფართოდ იყო გავრცელებული, რაც „ძაღლის კვალს“ აღნიშნავდა.

ალაცე (**ალაცი**) – ფალია, საპირისწამლე.

ალაცეა (**ალაცეა**) – თოფის ფალია, ამნობი.

ალაცყმაგა // **ალცყმაგა** – ინსტრუმენტი, რომლითაც შალის საბოლოო გაწმენდა, დაფარცხნა და ძაფად ქცევა ხდებოდა, საპენტელი.

ალაწარა – თესვა.

ალაწარა – ნადირობა ძაღლებით (**ალა** „ძაღლი“, **აწარა** „გამოყვანა“).

ალახინა „ძაღლის მცველი“ – მეძაღლე.

ალაჰა – ლეღვი.

ალაჰარეია (**ალაჰარეა**) – „ხმელი ლეღვი“, ლეღვის ჩირი.

ალაჰაჰ = ამცა ე.ი. ცეცხლი,

ალაჰგარა // **ალჰგარა** (**ალაჰიარა** // **ალჰიარა**) – ფეტვის გასასუფთავებელი; ლეწვა, გალწვა; საცეხველი, ჩამური, დიდი ხის ან ქვის ღრუ ჭურჭელი, სანაეი, რომელში ჩაყრილ მარცვალს ხის თავმსხველი კავის **აკლაკუტ**-ის (**აკლაკიგტ** < მეგრ. „კაკუტი“) ღარტყმით ჩენრო, ბზე სცილდებოდა.

ალბადა – ტრადიციული ხიფთანი (<ქართ. **ლაბადა**). ორი სახის იკერებოდა, მაუდისა და ხვევრდის ქსოვილისაც. ხიფთანის მკლავებს გვერდზე უდრცხლის ან ოქროს სირმები დაჰყებოდა. ზამთრის ხიფთანს სარწულსაც უდებდნენ. აფხაზური ხიფთანები თავისი თარგით ჩერქეზი ქალების ხიფთანების მსგავსი იყო.

ალბადა-აუ – მდიდარი ქალის კაბის ზემოდან გრძელი, უმკლავებო მოსაცმელი, მუხლებამდე.

ალბადა-კმაჰ – მდიდარი ქალის ჩასაცმელი – კაბის ზემოდან მოსაცმელი, გრძელი მკლავებით, ტანზე მჭიდროდ მორგებული, წველამდე.

ალგეაქ (**ალგუაქ**) – ჭვარტლი, მური. ფაცხაში, რომელშიაც შუა ცეცხლი, კერა ენო, ფაცხის კედლები მუდმივად გამურული იყო ჭვარტლისაგან.

ალგეა (**ალგა**) – კვამლი, ბოლი. ფაცხაში შუა ცეცხლი, კერა ენო. კვამლი მხოლოდ ღია კარიდან გადიოდა. ფაცხა შიგნიდან ჭვარტლით (**ალგაქი**) იყო შემურული.

ალინა (ალენა) – ალუნა (< თურქ. ალუნა).

ალირა (ალერა) – 1. ღერძი. **აუარდენ ალერა** „ურმის ღერძი“. 2. ძაფის დახვევა კოჭხე (საფეიქრო).

ალიშინტირ (ალეშინტირ) – ძაღლების ღვთაება. აფხაზთა გადმოცემით, ალიშინტირი მრისხანე ღვთაებაა. იგი ზებუნებრივი ფიზიკური ძალითა და მოხერხებითაა დაჯილდოებული, რომელსაც ყველგან შეუძლია წუთიერად გამოჩენა, ძაღლების მოსაპობა ან მათი დაავადება. ძაღლის კულტი აფხაზებში მკელთანაა დაკავშირებული, ტოტემურ ცხოველთან. გადმოცემით, ნართებს ძაღლებად მგლები ემსახურებოდნენ. ისინი ნართებს ცხოვრებაში თან ახლდნენ, ეხმარებოდნენ გაჭირვებაში, ან პირიქით ზიანი მოჰქონდათ.

ალის (ა-ლებ) – 1. ნაკეთობა, ნახელავი. 2. რჩეული, გამორჩეული, საუკეთესო.

ალისეთა (ალესთა) – საცერი.

ალუ – 1. ხელის წისქვილის ქვა, დოლაბი. იგი მაგრდებოდა 1,3 მ. სიმაღლის ხის საყრდენ სადგარზე, რომელიც უმოძრაო იყო. თვით ხელის წისქვილი ორი დოლაბისაგან შედგებოდა. ქვემო დოლაბი სადგარზე იყო დამაგრებული უძრავად, ჩარჩოში, რომელიც სადგარზე კეთდებოდა. ქვემო და ზემო დოლაბები ერთმანეთთან ღერძით იყო დაკავშირებული. ღერძი ორივე დოლაბის ცენტრში იყო მოთავსებული, ღერძი ბზის ხისგან მზადდებოდა. მას სწორკუთხა ფორმა ჰქონდა. ზემო დოლაბში თამასით **აკვარაზი** იყო დამაგრებული. იგი ღერძს ისე ამაგრებდა, რომ ქვაში თავისუფლად ემოძრაება. იგი ასევე მოძრაობასაც და ფქვის ხარისხსაც არეგულირებდა, რისთვისაც ქვევს ე.ი. დოლაბებს შორის, ხის საცეხკვლის რამდენიმე დარტყმით ღრიჭოს არეგულირებდა. ამავე დროს, საყრდენ სადგარზე 2 სმ დაშორებით იდგმებოდა ხის ყუთი, დაახლოებით 15 სმ, ფქვილის გამოსაყრელად. ადამიანს (ქალს) მარჯვენა ხელით, მოძრავი ჯოხის დახმარებით, დოლაბები მოჰყავდა მოძრაობაში. მარცხენა ხელით იგი მარცვალს ყრიდა ღრიჭოში ზემოდან. ფქვილი ყუთის ფიცარზე – **(ალურეწა)** იყრებოდა, საიდანაც ასაღებით ფქვილი **აგუაბლა**-ში – ხის დიდ გობში გადმოჰქონდათ. ხელსაფქვეით ერთი საათის განმავლობაში დაახლოებით 3 კგ. ფქვილის დაფქვა იყო შესაძლებელი. 2. წყლის წისქვილის დოლაბი.

ალუკი (ალეკი) – ურდული.

ალულერა (ალელირა) – სხვენი,თავანი.

ალულერა (ალელურა) – 1. წნული ჩელტი კერიის თავზე, რომელზეც შესაბოლად სხვადასხვა პროდუქტს აწყობდნენ. 2. წნული ჩელტი ან ლასტი, რომელზედაც ზამთრისთვის ჩირს აშრობენ.

ალუსეთა (ალესთა) – საცერი, ცხავი, ცხრილი, ფქვილის გასაცრელი.

ალუყანტა – ხელსაფქვეის ზედა დოლაბის საბრუნებელი ტარი.

ამარქვა (ამარქა) – მაქო (< მეგრ. მარქა „მაქო“). საქსოვი დაზვის ნაწილი – მასრის ჩასადები.

ამარსა – მასრა, საფეიქრო მასრა (< მეგრ. **მარსა** „მასრა“). ძაფის დასახვევი

ამესთხუგ – ღომის ამოსარევი მრგვალთავიანი კირხა, **კერზა (კი/ვრზა)** სუთი; თხილის გათლილი ჯოხი ღომის ჩასახელად. აფხაზები მას ასევე ღომის ჩასახელად ხმარობენ.

ამეწმუჯ სებბალ – ბროწეულის ცხარე საწებელი.

ამახირ (ამახერ) – მაცვალი.

ამაგანა – ნამგალი (შრომის იარაღი). იგი ღომისა და სიმინდის ჩაღის (აფხ. **აჩალა** // **აჩალა**, იგივე „სიმინდის ჩალა“, რომელსაც ნამგლით ჭრიდნენ. ქართულად და მეგრულად „ჩალა“) მოსაჭრელად იხმარებოდა. ორივე

ტერმინი ქართულიდან არის ნასესხები (მეგრ. **მაგანა**, ლაზ. **მანგალი**, გურ. **მაგანა**; აფხაზებმა ისესხეს მეგრულიდან).

ამაგე (ამაგი) – ჩექმა, წულა. ნასესხებია ქართულიდან, შდრ. ძვ. ქართ. **მოგუი**, მეგრ. მაგუა.

ამაგეყაწავე (ამაგიყაწავე „ჩექმის მკეთებელი“) – მეწულე, მეწაღე, მენქექე.

ამაგეძახრა (ამაგეძახრა) – „ჩექმის კერვა“. მენქექეობა, მეწაღეობა, ხარაზობა.

ამაზარა – ქონება. აფხაზთა ჩვეულებრივი სამართლით, სახალხო ყრილობა ინდივიდუალურ სასჯელად უმეტესად ქონებრივ სასჯელს იყენებდა. იგი დამნაშავეის მხარის მიერ დაზარალებული მხარის სასარგებლოდ ზარალის ქონებრივი ანაზღაურებით გამოიხატებოდა.

ამათარ – მათარა, წყლის სამგზავრო ჭურჭელი. < ქართ.

ამათვარბაგა (ამათვარბაგა „ნივთების ჩვენება“) // **ამათარბაგა** – საქორწინო გადასახადის პირველი შენატანი. პირველი შენატანი აუცილებლად მოლაპარაკებისთანავე უნდა გადახდილიყო. XVI-XVIII სს-ში აფხაზებში გავრცელებული იყო საქორწინო გადასახადი **ანმა** (ჩრდილო კავკასიური **ურგადი**). ანმას როდენობის დადგენა მხოლოდ ლიტერატურული მონაცემებით ხდება ცნობილი. იგი დაახლოებით 10 ძროხის საფასურს უდრიდა. საერთოდ კი მოლაპარაკებით განისაზღვრებოდა. ასევე, ლიტერატურულიდან ხდება ცნობილი, რომ იგი ნამდვილად ძნელი გადასახდელი ყოფილა. ზოგჯერ გადასახადის გადახდას ერთი, ორი და მეტი წელი სჭირდებოდა. ამიტომ, ანმას გადაუხდელობის გამო ქალი მამის სახლში დიდხანს რჩებოდა (**დჰიანე დტიან** „სახელდებული იჯდა“), თუმცა, იგი უკვე თავისოვლად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, გადასახადს მამაკაცი თანდათან, რამდენიმე შენატანით ისტუმრებდა.

ამათვხე (ამათვახი „ნივთის წილი, ნაწილი“) – მასალა.

ამაკია (ამაკა) – მკე პირუტყვი. < ქართ. **მაკე**, შდრ. მეგრ. **მონკა**.

ამალჰში – მალამო (< თურქ. **მელჰემ** // **მერჰემ**).

ამანდარნართა – სამანდარინე, მანდარინის ბაღი.

ამანეზა – ფარი.

ამაჟეა (ამაჟეა) – ითარგმნება როგორც „ცოში“. ცომის მრგვალი ბურთულები – კვერები. ორივე თითქმის ერთნაირად მზადდება. ღომისღომის, ფეტვის ან სიმინდის ფქვილს ოდნავ მოხალავენ, შემდეგ თაფლით მოხევენ, მარილით შეაზავენ. აკაკეარის შემთხვევაში მრგვალ, მაგრამ ბრტყელ ბურთულებს, **ამაჟეა**-ს შემთხვევაში კი, პატარა მრგვალ ბურთულებს აკეთებენ. ეს საკვები დიდხანს ინახებოდა, ამიტომ იგი ძირითადად მოგზაურის, მწვემისა და მონადირის საკვებს წარმოადგენდა.

ამარდა – ფერდობი.

ამარდუან (ამარდუან) – კიბე, მაგ., სახლისა. სიტყვა თურქულიდანაა ნასესხები (თურქ. **მერდიენ**, შდრ. მეგრ. **მარდონი**)

ამართაქ // ამირთაქ (ამერთაქ < მეგრ., იმერ. მურთაქა) – მუთაქა.

ამარკალ – ნადირის გამომრეკავი ნადირობის დროს. ეს არის ქართული სიტყვა **მარეკელი**. მაგალითად, აფხაზეთის ფეოდალი მისიელ შარვაშიძე, რომელიც ნადირობით იყო გატაცებული, მოითხოვდა, რომ ტყეში, სადაც ნადირობა ეწყობოდა, ოთხ მაღალ ძელზე ფიცარნოვო გაეკეთებინათ, სადაც ის ჯდებოდა და გლეხებს – მარეკელებს ელოდებოდა, მის მხარეს ნადირი გამოერეკათ, რომ მისთვის შესაძლებლობა მიეცათ თავისუფლად მონადირებინა ისინი. ასეთი ერთი ადგილი მას გუფის თემში (სოფ. აქუსსქას, ახლანდელ სოფ. ეშქითთან) ჰქონია, სადაც ხის სახლიც იდგა. ამაზე ტომონიმი „აშთა“ – ეზო ე.ი. თავადის ეზო მიუთითებს. ამ ეზოს წინა მხარეს ფართო მინდორიც ყოფილა (Ш. Д. Инал-ипа, Абхазы, Сухуми, 1965,

184) // **ამარკალ** – მონადირედ გამოყოფილი მწყემსებიდან, რომელსაც ნადირობა ეხერხებოდა. იგი ვალდებული იყო მწყემსობის პერიოდში მწყემსები ნადირის ხორციით მოემარაგებინა (<ქართ. „მარკეო“, ნადირობის დროს ნადირის გამომდენი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, თბ., 1958, 57).

ამარკატელი – მარკატელი (< მეგრ., იმერ. **მარკატელი** // **მარგატელი**).

ამასარგვარ // **ამასარგვარა** (**ამასარგვარ** (ბზიფ.) // **ამასარგვარა** (აბჟ.) – მესრის ღობე, მესერი (შდრ. ქართ. **მესერი**).

ამასარ-თი (**ამასარ-თძე** „მესრის კვლევი“), **აფაცხა** – ხის ბრტყელი მესრებით აგებული მიწის იატაკიანი ნაგებობა. იგი **აბიცა-თი**-ს გაუმჯობესებული ვარიანტია, ოთხკუთხა ფორმის. სიტყვა **ამასარ** „მესერი“ მომდინარეობს იმავე მნიშვნელობის მეგრული **მასარი** ვარიანტისაგან. მრგვალი, წნული ფაცხების შედეგად ძირითადად მთისწინეთსა და მთაში გავრცელებულია. ამ ნაგებობამ თავის სახელწოდება ბრტყელი მესრისაგან მიიღო. ამ საცხოვრებელს ხის საფუძველი ჰქონდა. სამივე მხარეს მესრებს გასუფთავებულ მორბეზე ნაჭდევებში ამარებდნენ. მესრები ბრტყელი, მუხის ან წაბლის ხისაგან მზადდებოდა. ისინი ერთმანეთისგან 20 სმ დაშორებით იყო დამაგრებული, სიგანე მათ 45 სმ ჰქონდათ. კუთხეები პერპენდიკულარული 10-12 სმ ფიცრებით მაგრდებოდა, რომელიც სიმაღლით 2,5 მ იყო. მესრებს შორის დარჩენილი ღრიტოები როდოდენდრონის, თელის ან თხილის სწორი წნელით იწყნებოდა. მესრის ზემოთ, როდესაც რჩებოდა ½ მ, მაშინ მესრებს ზემოდან ჩარჩოს ფორმის ძელებს ჩამოაცმევდნენ. ამოჭრილ ძელებში მესრები 30-40 სმ ზემოთ აშვერილი რჩებოდა, რომელსაც წნული უკეთდებოდა. ბოლოში კვლავ ძელებს ჩამოაცმევდნენ, რომელიც ასევე ჩარჩოს ფორმას ქმნიდა. ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ კედლები არ დაგრეხილიყო. გარედან ვერტიკალურად ძელებს ამარებდნენ. ორმაგი ზემოთა ძელები საცხოვრებელს სიმაგრეს და ხარისხვნებას ანიჭებდა. ოთხფერდა სახურავის გამართვა გვიმრის, თივის ან ღელქაშის დაფენით მთავრდებოდა. ქარს რომ გადახურვა არ დაეზიანებინა, ზემოდან შესაბამისი სისქის ბრტყელ ძელებს ვაზის წირებით კრავდნენ და საპირისპირო უკანა ან გვერდით კედელზე ამარებდნენ. ასეთი საცხოვრებელი სხვადასხვა სიდიდის შენდებოდა, უფრო ფართო (4,5(6,5მ), ვიდრე აქვაცივი. ფასადის მხარეს მოგვიანებით ჩარდახის (**აბარწა**) კეთება დაიწყო (1-დან 2,3 მ-მდე). თავდაპირველად იგი ღია იყო, შემდგომ თანდათან ფოვოდალების სახლებში ჩარდახი შემოირაგვა.

ამასარ – სარი, საპოხად ხმარობენ (< მეგრ. **მასარი**, ქართ. **მესერი**).

ამატრ – ძაბრი.

ამაქაფსვს – მცირე ზომის საღესი ქვა.

ამაქია (**ამქა**) – მაქური, პატარა საღესი ქვა.

ამაღარ – სახელო.

ამაღზა – ფარდული (მეგრ. **მაღზა**).

ამაშა – ორად მოკეცილი ლითონის ცეცხლის საჩხრეკი, ნაკვერჩხლის ასაღები (ქართ. < თურქ. აფხაზ. < ქართ).

ამაშარაფ – ხის ტოლჩა.

ამაცურაზქუ (**ამაწურაზქიძუ**) // **ამაწურაზღუ** – „ვისაც მსახურება ადევს მოვალეობად“, მონილად, მებეგრე გლეხი.

ამაცივის (**ამაცივს**) – ელვა.

ამაძარა (ბზიფ.) – ხუროლია.

ამაძარან – ნაქურდალი, ნაპარავი.

ამაძავე (**ამაძავე**) // **ავასთა** (**აუასთა**) – ხურო, ღურგალი.

ამაწაფესეირა – კაეის მოსაპოვებელი ადგილი.

ამაწუფე (ამაწუჯე) – „მოსახურების მქნელი, მომსახურე“. მწვემსებს იალაღზე ჰყავდათ მომსახურე, რომელიც საკვებზე იყო მიმაგრებული. იგი ამზადებდა საჭმელს და ასუფთავებდა ყველანაირ ჭურჭელს, მათ შორის, რძის ჭურჭელსაც.

ამაწურთა „მომსახურების ადგილი“ – სამზადი. ეს არის ფიცრული ნაგებობა, რომელიც დღემდეა გავრცელებული. საცხოვრებლის გვერდით მდგარი მიწის იატაკიანი, კერძიანი ნაგებობა. ზომა 6x4 მ. იგი ოჯახის ცხოვრების ცენტრი იყო. ყველა საოჯახო საქმე აქ კეთდებოდა, მით უმეტეს, საკვები. აქ სადილობდნენ და ვახშობდნენ. ოჯახის უხუცესებს აქ ეძინათ. აფხაზეთში ფეოდალიზმის პერიოდში ფეოდალებს ამაწურთაში ცხოვრები მოსამსახურეები ემსახურებოდნენ.

ამაჭარ – მაჭარი (ქართ. მაჭარი).

ამახა – საქონლის წინამხარი.

ამაძა = ალა ე.ი. ძაღლი,

ამაძაგა – „სისხლის შერევა“. „სისხლის შერევის“ შემთხვევაში (რაც იშვიათი იყო), აფხაზი უხუცესები მკაცრ გადაწყვეტილებას იღებდნენ. ასეთ ახალგაზრდებს გვარიდან და სოფლიდან მოიკვეთდნენ და აძევებდნენ ყოველგვარი დახმარების გარეშე. საკუთარი ოჯახებიც კი მათ ზურგს აქცევდნენ.

ამაძილა – ქვისლი (ნათესაური ტერმინი).

ამაძე (ამაძი) – სიძე (ნათესაური ტერმინი). **ამაძი** <სვან. მუხრუმე „ამა ძმისთვის“ (ვთოფურია, მ. ქაღდან, სვანური ლექსიკონი, თბ., 200..., 582).

ამაძერა (სამაძრა) – სიძეობა. როდესაც გათხოვილი ქალს პირმშო შეეძინებოდა, იგი ვალდებული იყო მამის ოჯახს ქმართან ერთად სწეოდა. **მაძერა დციოტ** „სასიძოდ მიდის“, იტყობდნენ მის ქმარზე, რომელიც ცოლის შერთვის შემდეგ პირველად უნდა სწეოდა სიმამრის ოჯახს.

ამაძმეზ – დევი. მამაკაცი ცხენზე დაჯდომის წინ მესტებზე დეზებს იკეთებდა.

ამეიანაფა – შეკაზმული შიგნეული. საქონლის ნაწლავებისა და კუჭისაგან გაკეთებული კერძი. ნაწლავებსა და გრძლად დაჭრილ კუჭს დაწნავენ და მოხარშავენ, შემდეგ დაჭრიან, ნიგეზითა და აჯიკით შეკაზმავენ.

ამეგანაფა (ამეიანაფა) – „შეკაზმული მუცელი“. ძროხის დაჭრილ გულ-ღვიძლს, კუჭსა და ნაწლავებს დიდხანს თუშავდნენ ძროხის ქონში და შემდეგ აჯიკითა და ნიგეზით აზავენდნენ (საკვები).

ამეგანაფა (სამეიანაფა) – „შეკაზმული მუცელი“, საქონლის გულ-ღვიძლ- აგან გაკეთებული კერძი. მოხარშავენ, დაჭრიან და შემდეგ შეაზავენდნენ აჯიკასთან ერთად.

ამესტ – (ქართ. მესტი). მეშის (დაუმუშავებელი ცხვრის ტყავის) მოკლეყელიანი ვიწრო, ფეხზე მომდგარი უძირო ფეხსაცმელი. აფხაზები მესტებს მხოლოდ გამოსასვლელ ტანსაცმელთან იცვამდნენ. მოკლეყელიანი უძირო ტყავის ფეხსაცმელი.

ამზა – ფიჭვი.

ამზა – მთვარის დედა.

ამზანუჭეა (ამზანჭეა) – მთვარის ღოცვა, მამაკაცების მფარველი. აკეთებენ იმდენ სპეციალურ მთვარის ფორმის მოხარშულ კვერს, რამდენი მამაკაციც არის ოჯახში. მამაკაცები იკრიბებიან საესე მთვარეზე. უხუცესი მიმართავს მთვარეს ღოცვით: „შენ, ამზა, მღალა ღვთაების აითარის წილო, იყავი ჩვენი მამაკაცების მფარველი! მათ შენი ბრწყინვალეობა და ძალა მიეცი!“ უხუცესი ღვთაებას სთხოვს საქონლისა და ოჯახის ქონების გამრავლებას,

ხოლო ის, ვინც ცუდი თვალით შეხედავს მათ და მათ საქონელს, მის დასჯას სთხოვს.

ამზარტა – კვარი. კვარს გასანათებლად და ცვეცხლის დასანთებლად ხმარობდნენ.

ამზა-ჭარფში – ორი მხრიდან ნახევარმთვარეებით გარშემორტყმული ნოხი. ხალხური გადმოცემით, ეს ნახტები ღრუბლის ღვთაებას აღნიშნავს. **ატივე (ატვე)** – გველეშაპი, რომელიც, აფხაზეთის გადმოცემით, ხანდახან მთვარეს ელაპავს. ამის გამო ხდება მთვარის დაბნელება.

ამზიხ // **ანიხა ამზიხ (ამზუხ // ანჯხა ამზუხ)** – მიზეზი, ხატისგან დამიზეზება ე.ი. რისხვა (< ქართ. **მიზეზი**).

ამიწმუჯ (ამეწმეჯ) – ბროწეული.

ამეკანდირ (ამეკანდერ) – ერთ-ერთი ბალახეულის მხალი.

ამლახუ – ყურძნის ჯიში, რომელიც ამილახვარმა კახეთიდან აფხაზეთში, ზვანდრიფშის თემში გაამრავლა. ყურძენი მუქი ვარდისფერია, მაღლარი. მარცვლიდი დიდი და არომატული. ვს. ჩერნოვსკი თავის ნაშრომში "Плоды Абхазии, Джигетии и Мингрелии", "Вестник императорского Российского садоводства", Спб., 1877, 78 და კ. მაჭავარიანი ადასტურებენ, რომ „ამლახუ“ ჯიში ყურძნის ქართველი თავადების ამილახვრების მამულიდან იყო ჩამოტანილი.

ამოთა – შვილიშვილი (მეგრ. **მოთა** = შვილიშვილი), (ნათესაური ტერმინი).

ამპახშ (ამპახში) – სელის პირსახოცი, მოკრძალებული ნახტით, 3-4 რიგის სხვადასხვა ფერის გრძივი ზოლებით (ზომით 85×35სმ). მათ რიტუალური დანიშნულებაც ჰქონდათ. ასეთ პირსახოცებს პატარაი ბევრს ამზადებდა. გამარჯვების სიმბოლოდ ცხენებით შეჯობრების დროსაც გამოიყენებოდა. ამავე დროს იგი მორთულ სანთელზე („**აშამაყა**“) გადაფარებული დასოფლაგების დღეს ახლო ნათესაგებს მოჰქონდათ.

ამპახში (ამპახშე) – პირსახოცი („ხელზე წასასმელი“).

ამპახში – გეომეტრიული ნახტა პირსახოცებზე. პარალელურ სწორ, წითელ და შავ, ზოგჯერ შავ-ყვითელ რიგს წარმოადგენდა.

ამპილ (ამპელ) – ტყავის ბურთი, ერთი მუჭის სიდიდის. კერავდნენ ქალები.

ამყა (ამყია) – თუთა (< ქართ. **ბუღლა**).

ამრა – მზის დედა,

ამრაგილარა // ამრაგილართა (ამრაგელარა // ამრაგელართა) – აღმოსავლეთი.

ამრანუშვა (ამრანება) – მზის ღოცვა, ქალების მფარველი. აკეთებენ სპეციალურ მრგვალი ფორმის მოხარშულ კვერებს. მლოცველს ქალები არიან, უხუცესი ქალი ასე მიმართავს მზეს: „შენ, მზეო, მაღალი ღვთაების აითარის წილო, გაათბე და მიუაღერსე ჩვენი ოჯახის ქალებს. გაამრავლე ჩვენი ნახირი!“

ამრათაშვარა // ამრათაშვართა (ამრათაშიარა // ამრათაშიართა) – დასავლეთი.

ამსთხვაგ(ა) (ამსთხაგ(ა)) – ღომის ჩასახელი მრგვალი, მსხვილი, მოკლე ხის გადანაჭერი (გასუფთავებული ხის კანისგან), იგივეა, რაც იმერული **სუთი**. მეგრული **კირზა (კერზა)**.

ამსილმან // აფსილმან (ამსელმან // აფსელმან) – მუსლიმი, მაჰმადიანი. აფხაზთა რელიგიური მრწამსის გასარკვევად აუცილებელია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ორი ძირითადი მიგრაციული ტალღის გათვალისწინება. ადრეული ტალღის მრწამსი თავიდან წარმართობა იყო. ისინი „თაყვანს სცემდნენ ჭაღლებსა და ტყეებს. ხეები... „ღმერთებად“ მიანდნათ“. IV-VI საუკუნეებისათვის ძველი აფხაზეთი უკვე დასავლურ-ქართულ ტომებს შეერწყნენ, გაითქვიფნენ და გაქრისტიანდნენ. IV ს-ში დასავლეთ საქართველოში სახელმწიფოს მიერ ქრისტიანობა უკვე აღიარებული იყო ოფიციალურად. XV საუკუნის 70-იან წლებამდე აფხაზური მოსახლეობა

პოლიტიკურად, ეთნოკულტურულად და რელიგიურად დიფერენცირებული არ ჩანს. 1470-1474 წლებში ქართული სამართლის ძეგლები საკუთრივ აფხაზეთში ქრისტეს მცნებისაგან განდგომასა და წარმართობის აღორძინებას ადასტურებს, რაც მოსახლეობის ნაწილის შეცვლას, მოსაზღვრე მთიელთა ახალი ნაკადის ჩამოსახლებას, მათი ყოფა-ცხოვრებისა და რწმენა-წარმოდგენების შეცვლაზე მეტყველებს. XVII საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულ მოსახლეობას მაჰმადიანური რელიგიაც უნდა ჩამოეტანა, მაგრამ მან აფხაზეთში ფეხი ვერ მოიკიდა ბოლომდე. XVIII ს. ტალღას ჩრდილო კავკასიიდან ბევრი მუსლიმი ჩამოჰყვა, თუმცა, 1867 წ. და 1877-1878 წლებში აფხაზეთიდან მუჰაჯირობის დროს თურქეთში გადასახლეს. თურქეთიდან მოსახლეობის ნაწილი მალე დაბრუნდა, უკვე გამაჰმადიანებული, მაგრამ აფხაზეთში კვლავ თავის ტრადიციულ რელიგიას დაუბრუნდა. ამდენად, XIX-XX სს-ში თანამედროვე აფხაზეთის წარმართულ პანთეონში წამყვანი ადგილი სიცოცხლის ძალას, ნაყოფიერებას, საოჯახო, პატრონიმიულ, სასოფლო, სათემო დღვაებებს ეკავა.

ამურთათ – წარმართი. **ამურთათრა** – წარმართობა.

ამურტემა (ამტკეუმა) – მოთქმა. სიტყვა ქართულია.

ამქაპა // ანქაპა – მოლაპარაკება. აფხაზ ისლამურ მოსახლეობაში ქორწილის შემდეგ ამპარაში, პატარძალთან გროვდებოდნენ. პატარძალი ახალგაზრდებიდან ერთ-ერთს „თავისი საქმეების რწმუნებულად“ („ამქაპა-ფაქელა“) აირჩევდა. ტერმინი არაბულია.

ამყტა (ბზიფ.) // **ამყტ** (აბჟ.) (**ამყიება // ამყიება**) – აყირო, ხაპი, სარწყულა, ყელიანი გოგრა.

ამყიებერ (ბზიფ.) // **აშინკა** (აბჟ.) (**ამყებერ // აშენკა**) – ნესვი (აშინკა < ქართ. მუგ. შინკა).

ამშენჯაუა „დღე ორმოცი“ – ორმოცი. მეორმოცე დღეს მიცვალებულს ქელეხს უხდიდნენ.

ამშეაშარა – აკრძალული დღის დაცვა (წარმართული ჩვეულება). პატრონიმის თავისი აკრძალული დღეები ჰქონდა, რომელიც სავალდებულოდ უნდა დაეცათ. ამ დღეს არც მამაკაცები და არც ქალები არ შრომობდნენ; სახლიდან არაფერს გასცემდნენ. მამაკაცი თუ სადმე წასასვლელი იყო, წინა საღამოს ნივთს ან ფულს გარეთ, სადმე დამალულ ადგილზე, დადებდა, რომ სახლიდან აკრძალულ დღეს არაფერი გაეტანა. „აკრძალულ დღეს“ ოჯახის წევრები ცდილობდნენ უმეტესად სახლში ყოფნას.

ამშაფნამგაღალ – სააღდგომო საკვები. **ამშაფუ** „აღდგომა“; **აჩა** „პური“; **ამგაღალ** „მჭადი“, ე. ი. პურისა და მჭადის ფქვილისგან გაკეთებული სარიტუალო სააღდგომო საკვები.

ამშიაფ(ე) – აღდგომა.

ამშინ (ამშიენ) – ზღვა.

ამშინიჭა (ამშნეჭა) „დალოცვილი დღე“ – დღესასწაული.

ამშლარს – აკრძალული დღე

ამცანარა – „ცეცხლის გამოყოფები“, ე. ი. ერთი კერიდან გამონაყოფები. ინდივიდუალური ოჯახების გამოყოფა.

ამცშაპათ (ამცშაპათ) – ცრუმოწმე (იურიდიული ტერმინი). თუ დამნაშავე ცრუობდა, მას რომელიმე ეკლესიაში ან საგვარო სალოცავზე დააფიცებდნენ. ფიცის დროს ცრუმოწმე ყოველთვის მუდავნდებოდა, რადგან სალოცავისადმი რწმენა, რომ ის ცრუმოწმეს დასჯიდა, დიდი იყო.

ამძირხა (ამძერხა) – საკარმიდამო ეზო, შემოღობილი, ჭიშკრით. ეზოს ამ ნაწილში იდგა საცხოვრებელი სახლი.

ამწარსრა – ფარული ქორწინების ერთ-ერთი სახეობა – მოტაცება. მოტაცებას მიმართავენდნენ მაშინაც, როდესაც ქალიშვილი უარზე იყო ცოლად გაპყლოდა მამაკაცს. ზოგჯერ კი მოტაცების წესს მაშინ მიმართავენდნენ, როდესაც სასიძოს საპატარძლოს მშობლებისთვის **ანმა**-ს „ურვადის“ გადახდა არ შეეძლო.

ამწეში (ამწეში) – კალათი, კონუსური ფორმის ძირით. ხმარობენ მდლარ ვენახში ყურძნის მოკრეფის დროს. მას უკეთებენ დაგრეხილ ჩამოსაკიდებელ კაუჭს **აღვარღვალ**-ს. ხეზე ასული ყურძნის მკრეფავი გრძელი თოკით აწვდიდა ქვემოთ მდგარ ადამიანს, რომელიც კალათს ყურძნისაგან ცლიდა და ისევ უკან უბრუნებდა.

ამჭი (ამჭი) – შეშა.

ამხი (ამხე) (ამხე) – ყანა.

ამხირთა (ამხერთა) „ყანის ადგილი, საყანე“ – სახნავი ნაკვეთი, საყანე. საკარმიდამოს გარეთ მდებარე.

ამხნეზცაე – შეამხანაგება – ურთიერთდახმარების დროს მუშა საქონლის, შრომის იარაღების შეერთება. ურთიერთდახმარების ეს ფორმა, როგორც პატრონიშიაში, უბანში, სოფელში და თემშიც გამოიყენებოდა.

ამპაბისთა (ამპაბესთა) – ღომის ამოსაღები ჩოვანი (შდრ. **აბესთა** „ღომი“), ხის პატარა ნიხაბი, ღაფურა.

ამპარა // ამპარა – ქიაცი – ფაცხის ტიპის, მარტივი ფორმის, მცირე ზომის, კონუსურ სახურავიანი, საცხოვრებელი ნაგებობა (კერის გარეშე), რომელიც ახალგაზრდა საქორწინო წყვილებისთვის იყო განკუთვნილი. იგი დიდი სახლის უკან, ერთი მეტრის დაშორებით იდგა. ამ საცხოვრებლის გამოყენებას მას შემდეგ ჩაეყარა საფუძველი, როდესაც დიდ ოჯახში (**ათაბაცვა დუ**) კერძო საკუთრების ჩანასახი გაჩნდა, რაც სწორედ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ეოფისა და საკუთრების ფორმების განვითარებამ, შრომითი საქმიანობის განაწილების სისტემამ, თაობათა რიცხოვრები შემაღლებების ზრდამ, მემკვიდრეობის უფლების ჩამოყალიბებამ, ოჯახის რღვევის პროცესმა განაპირობა. სიტყვა ამპარა „არმოსმენას“ აღნიშნავს.

ამპარა თგარა (ამპარა თგარა) – „ამპარიდან გამოყვანა“. დაქორწინების შემდეგ ქალი ამპარიდან გარკვეული დროით არ გამოდიოდა, თუ რაიმე აუცილებლობა არ იყო. უფროსები მის ოთახში, ამპარაში არ შედიოდნენ. ორი-სამი კვირის შემდეგ ხდებოდა პატარძლისა და სიძის გამოყვანა ამპარიდან. „სირცხვილის მოსაშორებლად“ ეწყობოდა სადღესასწაულო სუფრა. ამაში ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. მით უმეტეს „მამაკაცის მეგობარი“, რომელიც პატარძალს მიჰყვებოდა სასიძოს სახლში, ქორწილის დღეს. „სასიძოს მეგობარი“ ამ დღეს სადღესასწაულო სუფრას მლიდა. ამიტომ, „სასიძოს მეგობარს“ სიძე კარგად ახაჩუქებდა.

ამპარა-ქვაცე (ამპარა-ქიაცი „წოწილა ამპარა“) – მრგვალი წნული საცხოვრებელი, კონუსურსახურავიანი, თივით ან გვიმრით დახურული. საქორწინო წყვილთათვის. ამპარა იდგა საქმროს სახლში, ძველად პატარძლის სახლშიც, დიდი სახლისგან 1 მეტრზე მაინც დაშორებით.

ამპაწე (ამპაწი) – ბზის კოვზი, გრძელი ტარით.

ამპაწე (ამპაწი) – ხის, ლითონის ან რქისაგან დამზადებული კოვზი.

ამპაწე (ამპაწი) – ძელის ან ბზისგან, ამჟამად ლითონისგან გაკეთებული გრძელსახელურიანი კოვზი.

ამპაწე-თიხგა (ამპაწე-თიხგა) – რკინის სოლი, მჭრელი, ორივე მხრივ. 40 სმ სიგრძის ხის სახელურით, ხის კოვზის გამოსათლელი.

ამპაჯირ (ამპაჯურ) – მუჰაჯირი (არაბ. **მუჰაჯირეთ** „გადასახლებული“). XIX საუკუნეში კავკასიაში ამ ტერმინის დამკვიდრება კავკასიელ ხალხთა წარმომადგენლების ოსმალეთში მასობრივ გასახლებაზე, ანუ ძალადობრივ და იძულებით აქტს მოჰყვა, რომელიც რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა. მუჰაჯირობა შეეხო ჩერქეზებს, უბიხებს, აბაზებს, ჩეჩნებს, ყარაჩაელებს, ნოღაელებს, აფხაზებს და სხვ. რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიელები და მათ შორის, აფხაზებიც „დაუმორჩილებელ მოსახლეობად“ მონათლა და თავისი მიზნების განსახორციელებლად „არასანდო ელემენტების“ გასახლებასა და მათ ადგილზე „სანდო ელემენტების“, ე.ი. რუსების, სომხების, ბერძნების, გერმანელების კავკასიაში ჩამოსახლებას შეუდგა. გადასახლებულთა ამ ნაკადში სოციალურად მაღლა მდგომი ფეოდალები, მათ შორის შარვაშიძეების გამსუფთვანებული ერთი შტოც მოხვდა.

ან – დედა (ნათესაური ტერმინი). **ნანა** – დედა (დედის აღმნიშვნელი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძე) (თ.განცვლაძე, აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბ., 2011, 354).

ანთრა – ნათვლა, მონათვლა (< ქართ. **ნათვლა**).

ანგრსგა-ცაგ „სამუშაო ხარი“ // **ანგში-ციგ** „მიწის ხარი“ – მუშა ხარი.

ანგშხაზა – მენავე.

ანაბზით (ანაბზეთ/ანამზეთ) – მზითვე. ტერმინი ნასესხებია მეგრულიდან (იმერ. **ბზითი** „მზითვე“).

ანადარა – „ხიარება სახლთან“, „შვილად აყვანა“. შვილად აყვანის წესს სისხლმესისხლეობის დროს, მტრების შერიგების, უშვილობის ან მეგვიდრეების სიკვდილის შემთხვევაში მისდევდნენ. ურთიერთობა შვილად აყვანილსა და მის „მშობლებს“ შორის თითქმის იგივე იყო, როგორც მამამშობლების დროს.

ანაგე (ანაგე) – ნოღაელი.

ანამაფსა – „დანაკლისის ფასით შევსება“. როდესაც მამაკაცს მისი წოდებისთვის უფრო დაბლა მდგომი ქალი მოჰყავდა ცოლად, ცდილობდნენ მისთვის ქონებით შეევსოთ ეს „დანაკლისი“.

ანანა-გუნდა – მეფუტკრეობის ღვთაება. ფუტკრების მფარველი ღვთაება (წარმართული). ველური ფუტკრის მონადირეები ძეხნის დაწეების წინ, ტრადიციულ რელიგიურ რიტუალს უძღვნიდნენ ფუტკრის ღვთაება **ანანა-გუნდას**. აფხაზები მას მაღალ ქედებზე მოიხარებდნენ, სადაც გარეული ფუტკრები თავის ბუდეებს იკეთებდნენ. კარგ მზიან, მაგრამ უკვე ფუტკრისათვის ცივ ამინდში იწყებდნენ მათ მოძებნას. ნაპოვნ ფუტკრის ფულუროს საკუთრების ნიშანს ადებდნენ, რომ თავი დასაცვათ სხვას არ ამოედო. შემდეგ ბრუნდებოდნენ იარაღებით და სადაც ფუტკრის ბუდე იყო, იმ ადგილს მთლიანად ამოჭრიდნენ. ხის გადანაჭერი სახლში მიჰქონდათ. თანამედროვე დონემდე მეფუტკრეობის განვითარებამდე, ველური ელდაფუტკრით ამოჭრილ ფიტებს მონადირეები საცხოვრებლის უკანა ეზოში, თავდაპირველად ხის გეჯებში ათავსებდნენ. ხოლო ფუტკრები რომ უკან არ დაბრუნებულიყვნენ, საიდანაც მოიპოვებდნენ, ფულუროებს ყრუდ ქოლავდნენ. ანანა-გუნდა ქალებისა და ქორწინების კავშირის მფარველადაც ითვლებოდა.

ანანირა (ანანერა) – ფარდული, საბძელი. < მეგრ. **ნანია** // **ნალია** „ნალია, სასიმინდე“.

ანანერა – მსხვილფეხა საქონლის ფარდული, გამოიყენებოდა საქონლის საკვების, სილოსის შესანახად.

ანანერა – ნალია; საბძელი. მარცხელის შესანახი. < ქართ. ნალია გამოიყენებოდა სამკურნელო იარაღების დასაწყობად, შეშისთვის, ორთველიანი ურმის დასაყენებლად. იგი მხოლოდ ზემოდან იყო გადახურული.

ანაპყა – ერთი შეკვრა მომკილი ფეტვი. მოსავლის აღების შემდეგ ფეტვს ინახავდნენ **აცაჭვჭ**-ში (მაღალ ბოძებზე შეყენებულ ხის გადახურულ ბელელში).

ანაპყა – ფეტვისა და ღომის ღომის შეკვრები (ძნა). ისინი **აშახრა**-ში – საშრობში რამდენიმე თვე შრებოდა. შემდეგ მათ სპეციალურ გოდერებში – „აკუსას“ და „აკუცხა“-ში ათავსებდნენ. მათ რამდენიმე დღით კერის თავზეც კიდებდნენ და საბოლოო გამოსშობის შემდეგ ფეტვისა და ღომის ღომის ძნებს „ლაპიარა“-სა და „ელაკუტ“-ში (ხის სანაყი) ათავსებდნენ თავთავისაგან გასასუფთავებლად. მხოლოდ ამის შემდეგ ფეტვადნენ.

ანაპემიდახი – „ხელში გადაცემული, მირთმეული“. საქორწინო მოლაპარაკების შემდეგ, სასიძოს უხუცესი ნათესავის მიერ საპატარძლოს ოჯახის უხუცესისათვის გადაცემული დასაწინდი ძვირფასი საჩუქრები.

ანაპელხი (ანაპელხ) – ნამცხვარი, მზადდებოდა ფეტვის, სიმინდის ან ხორბლის ფქვილისაგან. ცომი თავისებურ სეიის საფუარზე მზადდებოდა. შემდეგ ბურთულების ფორმით, თავლით გაზავებული ცხერის ქონზე იწებოდა.

ანაპლის (ანაპლხ) – ხელსაქმე. ყველა გოგონა თვითონ ამზადებდა თავის მზითვეს. ისინი ცდილობდნენ თავიანთი ხელსაქმით რაც შეიძლება მეტი ნახელავი შეექმნათ, რადგან ქორწილის დროს ისინი სწორედ ამ ნივთებით ახაჩუქებდნენ მომავალი ქმრის ნათესავებსა და მის მეგობრებს.

ანაპხარხი (ბზიფ.) // აცნაპხარხი (აცნაპხარხი) (აბუ.) – „ხელის ხერხი // ცალი ხელის ხერხი“, < ქართ. ხერხუნა(შრომის იარაღი).

ანაპხვარხი (ანაპხვარხ) („ხელის ხერხი“) – ხელის ხერხი.

ანაპყაზა – ხელოსანი. შდრ. აფხაზ. **ანაპე** „ხელი“, თურქ. **ქაზა // ვაზა** „ოსტატი“. **ანაპყაზარა** – „ხელის ოსტატობა, ხელის ხელოვნება“, ხელოსნობა.

ანაპელა-ღუ – „ხელის დოლაბი“, ხელის საფქვავე. ბუნებრივი ფორმის ორი კაჭარით (მთის ქანის მომრგვალებული ქვები), რომლებიც ერთმანეთზე დადებული, მიმაგრებული სახელურით, ხელის მოძრაობით მოქყავდათ მოძრაობაში. ზემო კაჭარს სახელურთან ჰქონდა ნახვრეტი, რომელშიც მარცვალს ყრიდნენ. მოძრაობაში მოყვანის დროს ქვებს შორის მოქცეული მარცვალი იფქვებოდა და ფიცარზე იყრებოდა, რომელზედაც იდებოდა კაჭრები.

ანარცე // ნარცვი (ანარცი // ნარციე) – „გაღმა“, საიქით. შდრ. **ნირცე** „გაღმა, გადაღმა“.

ანაფა-ნაფა – ნათესისა და პირუტყვის ღვთაება. აითარს აფხაზთა წარმართულ პანთეონში თავისი საერთო აღიარებითა და ფართო ფუნქციით გამორჩეული ადგილი ეკავა. იგი შინაური ცხოველების „შემქნელიც“ იყო. ყველა წილი, მათ შორის მთვარისა და მზისაც მესაქონლეობის კულტს ემსახურებოდა. **ანაფა-ნაფა** – ნაყოფიერების ღვთაება. მესაქონლეობის ღვთაების **აითარის** შედინაწილიანი სახის, მეშვიდე ნაწილს წარმოადგენდა. მასში საქონლისა და ნათესების ნაყოფიერების ღვთაება იყო შერწყმული. ცხადია, აითარის კულტის მნიშვნელობა იმაზე მიუთითებდა, რომ აფხაზი მიგრანტებისათვის პოლითეისტურ პანთეონში სწორედ მესაქონლეობის კულტი იყო მთავარი, თუმცა, ქართულ-აფხაზური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგი უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედების ღვთაების – ანაფა-ნაფას მნიშვნელობის გაზრდა.

ანაფეკლხ – მრგვალი ფორმის ნამცხვარი, ღუმის ქონით შემწვარი.

ანდუ – ბეგია (ნათესაური ტერმინი. **ან** – დედა, **დუ** = დიდი, დიდი დედა).

ანიგა (ანგვა) – ნიგა, ხის დურკი (ჭურჭელი) საქონლის საწველად, რძისთვის. საქონლის წველა ხის დურკში ხდებოდა. ეს ხის დურკი, მრგვალი ფორმის, წაბლის, თხმელის ან ცაცხვის ერთიანი ხის მასალისაგან მზადდებოდა, მას სახელურიც ჰქონდა (**ანგვა** < მეგრ. **ნიგა**). შუაზე გადაჭრილ კუნძში ამოტეხილი, ამოთილილი, მთლიანი ხის საწველელი, ყურიანი. სიტყვა ნახესხებია მეგრულიდან, შდრ. **ნიგა** „საწველელი“.

ანიჩხარა (ანგრხარა) – დასახლება. აფხაზთა ადრეული წინაპარი ტომების საქართველოში დასახლების ფორმის შესახებ ძალიან მცირე ცნობები არსებობს, მაგრამ ისინი მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან. ცნობილია, რომ აბაზგები/აფხაზები ჯგუფურად, გვერდი-გვერდ ყოფილან დასახლებულნი. მათი საცხოვრებლები წრიულად მდგარა, ერთმანეთთან იმდენად ახლოს, რომ ისინი თავიანთი ხის, წნული საცხოვრებლების გადახურვას ბიზანტიელებთან ბრძოლის დროს იყენებდნენ და სახურავიდან სახურავზე გადადიოდნენ. სამშენებლო მასალად კედლებისთვისაც ხის წნულები ყოფილა გამოყენებული. დასახლებაც ყოველი მხრიდან სწორედ ასეთივე ხის წნული კედლით ყოფილა მოლაინად შემოსაზღვრული. ბრძოლის დროს ბიზანტიელებმა აბაზთა საცხოვრებლებს ცეცხლი წაუკიდეს, რომელიც უცებ გაერცვლებულა და ყველა ნაგებობა ერთიანად, სწრაფად ჩაფერვლიდა. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში აფხაზთა პირველი მიგრაციული ტალღის დასახლების საწყისი ფორმა ნახევრად-მომთაბარულ-მესაქონლური საღამო ყოფილა. საზოგადოებაც შესაბამისად ადამიანთა მყარი, სისხლით ნათესაური კოლექტივით ხასიათდებოდა. დასახლების ეს ფორმა დიდხანს ვერ იარსებებდა, რადგან საქართველოში მომთაბარე ცხოვრებისათვის პირობები არ იყო. ამასთან, ბუნებრივია, მკვიდრი ქართველური მოსახლეობა ამდროისთვის ბევრად მაღალ კულტურულ საფეხურზე იმყოფებოდა. მათ სახელმწიფო წყობილება ჰქონდათ. XV ს-ის II ნახევრიდან რამდენიმე ახალი მიგრაციული ტალღის შემდეგ დასახლების ცოტა განსხვავებული ფორმა დაფიქსირებული – აფხაზები „ქალაქებსა და ციხეებში კი არ ცხოვრობდნენ“, არამედ ერთი საგვარო გაერთიანების ათი ან ოცი ოჯახი რომელსაზე მაღლზე ადგილს ამოარჩევდა და მასზე ისლით გადახურულ ფაცხებს აშენებდა. საცხოვრებლებს წნულ ღობეს და თხრილს შემოავლებდნენ. თხრილი უმეტესად საკუთარი მონათესავე ჯგუფებისგან თავდასაცავად ესაჭიროებოდათ. დასახლების მთლიანობა და ერთიანობა სისხლით ნათესაურ გაერთიანებაში პოულობდა გამოსატყულებას. ასეთი „გვაროვნული ტომები“-ს დასახლება პატარა მონოგენურ ერთეულს **აცუთას** (= ერთ სახლად, ერთნათესავად მცხოვრებნი) ქმნიდა. მოვლენათა თანმიმდევრული მონაცვლეობის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფონზე, ცხადია, მოსულნი და დამხვედური მოსახლეობის შერევა-ინტეგრაციის შედეგად თანდათანობით დასახლების ფორმა შეიცვალა. იგი „ხუტოროული“ ტიპის გახდა. აფხაზებისათვის დასახლება ქართული ფორმის, სამოსახლო კომპლექსითა და საცხოვრებლის ტიპით შეიცვალა. აფხაზებმა თანდათან ქართული კულტურისა და ყოფის ბევრი ელემენტი ისესხეს, ზოგიერთი – შემოქმედებითად.

ანიქვე (ანგქვე) – ფიცის დამდები ეჭვმიტანილთან ერთად, რომელიც ეჭვმიტანილის სიმართლეს ადასტურებდა.

ანიშ (ანეშ // ანეშ) – ნუშა ნავი, საშუალო ზომის, მთლიანი ხისგან გამოთლილი, წაგრძელებული ფორმის ნავი. სიტყვა ნახესხებია მეგრულიდან, შდრ. მეგრ. **ნიში** (< ქართ. **ნუშა ნავი** „ნუშის, წაგრძელებული ფორმისა“).

ანიშგ (ანგში) – მიწა.

ანიშგაფში (ანგშიაფში) – „წითელი მიწა“, თიხა.

ანიშგინორა (ანგშიგინორა) – საფლავი, სამარე.

ანიშხნა (ანგშიხნა) – „ნავის მცველი“, მენავე. როგორც ცნობილია, აფხაზები ჩრდილოეთ კავკასიის მთის მაცხოვრებლები იყვნენ, სანამ საქართველოს ტერიტორიაზე ზღვასთან ახლოს დასახლდებოდნენ. ამიტომ წყლის ტრანსპორტს და არც მათ სახელწოდებებს არ იცნობდნენ. ჩამოსახლების შემდეგ, ბუნებრივია, მათ ქართული ტერმინი გაითავისეს და ცოტა ხნის შემდეგ თურქული ტერმინი **აძღვკა „ფელუკა“** ისესხეს. თუმცა მთავარი ის არის, რომ ისწავლეს თუ არა ნავის მოხმარება, ისინი სწორედ ამ ნაგებით ზღვიდან ესხმოდნენ თავს სამეგრელო-გურიას სათარეშოდ და ადამიანების გასატაცებლად. გატაცებულ ადამიანებს, ბავშვებს ისინი თურქებზე ყიდნენ. XVII-XIX საუკუნეების მანძილზე მათ საქართველოს მიწა-წყალზე, კერძოდ აფხაზეთშიც, ქართველების შემცირებას შეუწყვეს ხელი.

ანიშხწართა (ანგშიხწართა) – „ნავის ჩაშვების ავდილი“. აფხაზები თარეშის დროს, ზღვიდან ნაგებით ესხმოდნენ თავს ქართველებს (მეგრელებსა და გურულებს).

ანიცე (ანგცი) – კანაფი (მცენარე და ძაფი).

ანიცელის (ანგციელეს) – კანაფის ქსოვილი. კანაფისგან დამზადებული ნაწარმი.

ანიხა (ანგხა) – ხატი.

ანიხა-ნუჟა (ანგხა-ნეჟა „ხატის ლოცვა“) // **დოჟუნისა (დოჟუნ-ნესა „დოჟუნის (გვარის) ლოცვა“)** – ეს არის სოფ. დოჟუქითში მცხოვრები დოჟუნის გვარის სალოცავი. ყველიერის ბოლო კვირადღის წინ გვარის უხუცესი დოჟუნის გვარის ოჯახებიდან მცირე მარილსა და ხანთელს აგროვებდა. ამ გვარის უხუცესების გადმოცემით, მხედველობაში აქვთ მათი „ნამდილი ხატი“ – **შიფჯინ-ნისა (შიფჯინ ნესა)** „სუჯუნის ხატი“, ანუ **დოჟუნისა (დოჟუნ ნესა)** „დოჟუნის ხატი“. მათი წინაპრები სოფ. სუჯუნის (სამეგრელოში) წმ. გიორგის ეკლესიის მებატურნი ყოფილან. შიდამიგრაციის გზით მათი გვარის წინაპარი სამეგრელოდან აფხაზეთში გადმოსახლებულა და შემდგომში გააფხაზებულა. ყველიერის კვირადღეს ისინი დღესაც სუჯუნის სალოცავს გამოსთხოვენ ამ გვარის კეთილდღეობას. დოჟუნები გვარის უხუცესთან ერთად ბუნებაში, წმინდა ჭალაში იკრიბებოდნენ. გვარის უხუცესი მათი ოჯახებიდან შეგროვილი ხანთლებისაგან გაკეთებულ ერთ საერთო ხანთელს ანთებდა და მთელ გვარს დალოცავდა. ლოცვაში მხოლოდ ამ გვარის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. დოჟუნს გვარის მამაკაცების ცოლებს ამ რიტუალში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდათ. ამასთან, არც ხატის ხამაძლლა წარმოთქმა არ უშეძლოთ, ისინი ამ ხატს შეცვლილ სახელს – **ჟვარაქის (ჟვარაქე)** უწოდებდნენ, შდრ. ქართ. **ზვარაკი**.

ანიჰვა (ანგჰვა) – დღესასწაული, უქმე.

ანიჰვაფხი (ანგჰვაფხი) – დალოცვა, კურთხევა.

ანიჰვაგატე (ანგჰვაგატი „ლოცვის მოსატანი“) – 1. სამი კვირის ახალშობილის დასალოცი რიტუალი. 2. ღმერთისადმი მსხვერპლშეწორვა. 3. სამსხვერპლო ცხოველი, ზვარაკი. ბზიფის აფხაზთა ასეთი მთავარი სალოცავი **ანან-ლძა-ნისა (ანან-ლძა-ნესა)** იყო **ანიფს-ნისა-სთან (ანიფს-ნესა)** ერთად. ანან-ლძა-ნისა სოფ. ლიძავაში, ბიჭვინთის ტაძართან ახლოს, ხოლო ანიფს-ნისა სოფ. აჭანდარასთან მდებარეობდა. აფხაზების გადმოცემით, ეს ორივე დღვაება თითქოს ერთი ოჯახი იყო ანან-ლძა-ნისა – ღმერთქალი,

ხოლო ანიფს-ნიხა – დმერთი. ანან-ლძაა-ნიხას წმინდა ადგილზე მუხის რამდენიმე ხე იდგა, რომლებიც ასევე სიწმინდით გამოირჩეოდა. აფხაზების გადმოცემით, ამ ღვთაებას „ღრუბლის მსგავსი“ სახე ჰქონდა. იგი ხალხს გარკვეული ცეცხლოვანი სფეროს სახით ეჩვენებოდა, მას თავი და კუდი ჰქონდა, ფრენის დროს ნაპერწკლებს ისროდა. ანან-ლძაა-ნიხას თავისი განსაკუთრებული არჩეული ქურუმი ემსახურებოდა. სადაც ღვთაების ადგილი იყო, დღესასწაულიც იქ ეწყობოდა. ანან-ლძაა-ნიხა მთელი ბიფის აფხაზების მფარველი იყო. ხალხის ვარაუდით, ამ ღვთაების მფარველობის გამო ბზიფელებს არაფერი აწუხებდათ და კარგად ცხოვრობდნენ. შავი მდინარიდან (ჩორნაია რეკა) დაწვებული ყველა მოსახლეს თითო ძროხა უნდა ჰყოლოდა ანან-ლძაა-ნიხას სახელზე. დღეობა წელიწადში ერთხელ, რომელიმე კვირა დღეს ეწყობოდა. ყველა სასოფლო თემი საკუთრივ თხას ან ცხვარს ყიდულობდა და კლავდა. ამავე დროს სოფლის თემის ყველა მოსახლეს სახლიდან სიმინდის ფქვილი, ყველი და ღვინო მოჰქონდა. ამ დღეს ულარჯი კეთდებოდა. როდესაც ყველაფერს მოამზადებდნენ, ქურუმი შამფურებს იღებდა, რომლებზედაც მოხარშული ზვარაკების გულ-ღვიძლი იყო წამოცმული. სანთლებს აანთებდა, რომლებსაც სოფელელები მაინცა და მაინც ბიჭვინთის ეკლესიაში ყიდულობდნენ და მოჰქონდათ (როგორც ჩანს, ჩვენი ვარაუდით, ბიჭვინთის ტაძარი, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიულ ადრეული ტაღის გაქრისტიანებასთან რომ იყო დაკავშირებული, გადმოცემით მათ უნდა სცოდნოდათ). ქურუმი ღოცვას რომ მოათავებდა, იქვე ტრაპეზობა იმართებოდა. საერთო ტრაპეზი მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო, რადგან ერთად სმა-ჭამას მაგიური ძალა ჰქონდა, იგი აძლიერებდა საერთო წინაპრის მემკვიდრეების წმინდა და ურყვე კავშირს მფარველ ღვთაებებთან. ამ დღესასწაულში ქალებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ ტრაპეზი მამაკაცებისთვის ეწყობოდა. შემდგომ კვირა დღეს დღესასწაული კვლავ იმართებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ზვარაკით და ჩვეულებრივი ღვინით. ეს სალოცავები ასევე დაკავშირებული იყვნენ სოფ. აჭანდარის გვერდით აღმართულ დიდრიფშის მთასთან. ამ მთაზე გადმოცემით ნართული ეპოსის ერთ-ერთი გოლიათი **დიდ (დღ)** ჯდებოდა, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიასა და ამ მთას შორის მოგზაურობდა. იგი თავისი ფრთოსანი „არაშით“ (< ქართ. რაში) ერთი ნახტომით ლიხნამდე აღწევდა. ამასთან მისი ფრენის დროს ასევე ცეცხლოვანი ნაპერწკლები ცვიოდა. ამ სალოცავ ადგილებში ანან-ლძაა-ნიხამ და ანიფსნიხამ XVI ს-ში აფხაზთა ჩამოსახლების შემდეგ დაიდეს ბინა. აქ მათ ჩამოსახლებამდე უკვე იყო ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები, რაც თვით აფხაზური დასახელებებიდანაც ჩანს: ანან და ანიფს სალოცავის ორივე ღვთაება ქალთან, დედასთან და აქედან ღვთისმშობელთან უნდა ეოფილიყო დაკავშირებული, შდრ. აფხაზური სიტყვა **ან** „დედა“. როგორც ჩანს, იმ ადგილებში ჩასახლებული მოსახლეობის ამ წმინდა ადგილებზე დაფუძნებულ საკუთარ საზოგადოებრივ, ასევე წმინდა ღვთაებებთან იდოლოგიური კავშირი აუცილებელი იყო.

ანიჭავე (ანჭაივე) – 1. ღლოცველი, ვინც ღოცულობს. 2. უხუცესი მწყემსი.

ანიჭავე (ანჭაივე) – დამლოცველი, მაკურთხებელი.

ანიჭამში (ანჭაიამში) „დალოცვილი დღე“ – უქმე დღე, სადღესასწაულო დღე

ანიჭა-ნიფხადრა (ანჭაი-ნიფხადრა) – დალოცვა (პროცესი).

ანიჭარა (ანჭაიარა) – ღოცვა (პროცესი).

ანიჭართა (ანჭაიართა) „ლოცვის ადგილი“ – სალოცავი, სამლოცველო.

ანიჭატე (ანჭაიბატი) „ღოცვისა, დასალოცი“ – 1. ვის სახელზეც ასრულებენ მსხვერპლ შეწირვას. 2. დასალოცი, ვისაც ღოცავენ.

ანძევაჭა (ანძეაჭია) – სადღეგრძელო.
ანლა-შაფა – ბიძაშვილი ქალი (დედის ძმის შვილი) (ნათესაური ტერმინი).
ანლაპეშაფა (ანლაპიშაფა) – დეიდაშვილი, ვაჟი (ნათესაური ტერმინი).
ანლაშაფა – ბიძაშვილი ვაჟი (დედის ძმის).
ანლაპეშაფა (ანლაპიშაფა) – დეიდაშვილი ქალი (ნათესაური ტერმინი).
ანლაპეშაძარა – ღვიძლი დეიდა (ნათესაური ტერმინი).
ანუშეავე (ანძეავე) – მლოცველი.
ანფსა – დედინაცვალი.
ანშა – ბიძა (დედის ძმა) (ნათესაური ტერმინი).
ანშა იფუჟს – ბიცოლა (დედისძმის ცოლი)
ანშან – ნიშანი. < ქართ. **ნიშანი**. აფხაზებს წესად ჰქონდათ: მიცვალებულის ტანსაცმელს 40 დღის მანძილზე საწოლზე აფენდნენ, გლოვის ნიშნად და ყოველდღე დასტიროდნენ. 40 დღის შემდეგ ტანსაცმელს გააჩუქებდნენ.
ანშორა – დედის მხრის ნათესაობა (ნათესაური ტერმინი).
ანცია–ბია – ღვთის წილი. მთელი ოჯახი გროვდება ერთად. ღია კარის წინ **აიშა**-ს ტაბაკს დგამენ და მასზე კონუსური ფორმის მოხარშულ კვერებს დებენ, იმდენს, რამდენი წვერიც არის ოჯახში. ამ მაგიდასთან ჯერ ოჯახის უფროსი მამაკაცი მიდის, ხოლო შემდეგ სხვა წევრები. ანთებენ სანთლებს (აბუჟეას აფხაზეთში). ოჯახში უხუცესი მამაკაცი ღვთაებას ოჯახის წევრების ჯანმრთელობას, მათ მიმართ მოწყალებას სთხოვს და კეთილდღეობას სთხოვს.
ანცვა (ანცია „დედები“ – ღმერთი, ღვთაება. **ან „დედა“, ცია** – მრ. რ. ანცვასთან დაკავშირებით ადრევე გამოითქვა მოსაზრება, რომ ტერმინი აფხაზეთში პოლითეიზმზე მიუთითებდა. მოგვიანებით ნ. ჯანაშიას მიერ „ერთი ღმერთი მრავალწილიანობის“ შესახებ გამოითქვა მოსაზრება. ყველა ბუნებრივ მოვლენას, ადამიანებს, ნათესაურ გაერთიანებებს და ა. შ. თავისი წილი ღმერთი ჰყავდა. აფხაზურ ენაში **ანცია**-ს გაჩენის ფაქტს წინაპრების განდიდების წესს უკავშირებდნენ. დასაწეისისთვის ანცვას ქალური ბუნება ჰქონია, მაგრამ თანდათანობით სიმრავლის გამო სქესი შეცვლია და მამრობითი საწყისის მქონდა გამხდარა. შ. ინალ-იფა ერთიანი ანცვას დაარსებას სატომო ჯგუფების კონსოლიდაციას და შემდეგ ერთიანი აფხაზი ხალხის ჩამოყალიბებას უკავშირებდა, მაგრამ ბზიფისა და აბუჟის აფხაზებს ცალცალკე „ნამდვილ აფხაზებად“ მიანდათ თავი, ამდენად „უხენაესი ღმერთი ანცვა“, რომელსაც, აფხაზი მეცნიერების აზრით, თითქოს ძლიერი მონოთეისტური ხასიათი ჰქონდა, მოახერხებდა სავარო, პატრონიმიული და ტერიტორიული ღვთაებების ცენტრალიზაციას, რაც არ მომხდარა. ქართველურ ქრისტიან მოსახლეობასთან კულტურულ-ისტორიულმა ურთიერთობამ ჩრდილოეთ კავკასიელების მიერ ჩამოტანილ პოლითეისტურ რწმენა-წარმოდგენებზე, მათ რელიგიურ მსოფლმხედველობაზე გავლენა მოახდინა და „ანცვას“ ქალური ბუნება მამრობითით შეუცვალა. ამავე დროს აფხაზეთში დამკვიდრდა წარმოდგენა, რომ ღმერთი ერთიანია (როგორც ჩანს, ასევე ქართველებთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის გავლენით), მაგრამ იგი მრავალია წილებში, ე.ი. როგორც ბუნებრივ მოვლენებს, ისე ადამიანებს თავისი წილი ღმერთი ჰყავთ, ასე, მაგ.: **სენციაზუ** = „ჩემი წილი ღმერთი“, **უნციაზუ** = „შენი წილი ღმერთი“. ისევე, როგორც ყველა ქრისტიანს – თავისი მფარველი ანგელოზი... საინტერესოა ის ფაქტი, რომ რატომღაც აფხაზები **ანცია**-ს (დედები ანუ ღმერთი) წარმოშობას უკავშირებენ მეგრულ თავადურ გვარს – **ხეცია**-ს (< ქართ. **მხეიძე**).

ანცვარიმიზიზი (ანცვარემზიზი „ღვთის მიზეზი“) < მეგრ. **ღორწონთიშ დამიზეზუ-ბული** „ღმერთის დამიზეზუბული“.

ანხაახი – პატარძლის მისალოცი ქმრის ახლო ნათესაებისგან.

ანხავე – გლეხი.

ანხარა – 1. ცხოვრება. 2. მეურნეობა.

ანხარა, ანგრხარა – დასახლება.

ანხართა – საცხოვრებელი ადგილი.

ანხავე (ანხავე) – „მომუშავე“, მიწათმოქმედი გლეხი; 1. გლეხი. 2. მეურნე, მეურნეობის მიმდევარი, მიწის მოქმედი კაცი.

ანხავე-ცქია (ანხავე-ცქია) – „წმინდა გლეხი“, დამოუკიდებელი გლეხი.

ანხუფა – მული; ცოლისდა (ნათესაური ტერმინი).

ანხაახი (ანხაახ) – პატარძლის მისალოცი ქმრის ახლო ნათესაებისგან.

ანხუფა – აღსაზრდელი ქალი (მამამშუკეობა – შვილის სხვის ოჯახში აღსაზრდელად გაბარების წესი).

აპალ-გვაშე (აპალ-გვაში „პალოს, სარის ჭიშკარი“) – ალაყაფის ჭიშკარი, გარდიგარდმო გადაებული სარებისგან გაკეთებული. სიტყვის პირველი ნაწილი **აპალ** მომდინარეობს ქართული **პალო** სიტყვისაგან.

აპაპი (აპაპენ) – ფანქნები, ფლოსტები (ქალის). იგი თვითნაკეთი, გამოყვანილი ტყავით კეთდებოდა, უქუსლო იყო. ბაბბის სარჩული ჰქონდა.

აპარპანტა – ბურღი. შრომის იარაღი.

აპერპელჯეკა – წიწკიანი აჯიკა. **პირპილი** < **პილილი** (<ქართ.), **აჯეკ** „მწარე“ (<თურქ). სხვადასხვა სუნელებთან ერთად ნიორს, წითელ წიწკას (თეკლისგან გათავისუფლებულს) მარილთან ერთად, სპეციალურ დიდ და ბრტყელთავიან ქვაზე აპყდა-ზე, რომელსაც შუაგულში ჩადრმაკებული ადგილი აქვს, მეორე მრგვალი, მცირე ზომის ქვით ღესავენ და აჯიკას აკეთებენ.

აჟ – ხორცი.

აჟამერა – ჟამის აყოლა, ავადმყოფობა, რომელიც შიშის ან ავი თვალისგან ემართებოდათ (მოსახლეობის თვალსაზრისით). < ქართ. ჟამის აყოლა.

აჟი – მჭედელი.

აჟალი // **აჯალი (აჟალ // აჯალ)** – „ეურძნის კურკა“, ჭაჭა.

აჟადირვიაგა (აჟალ-ერგბა) „ჭაჭის საწური“ // **ახირხინ (ახერხინ)** – ჭაჭის საწური, ჭაჭის საჭყელეტი.

აჟაპარა („ხორცის მატება“) – ოჯახისა და კერის მფარველი ღვთაებები, **აუნგ იყო** (**აუნგ იყო** „სახლში მყოფი“) – მათ შორის ყველაზე მაღალი ღვთაებაა. ქორწილის დღეს, სადღესასწაულო სუფრასთან დასხდომამდე, სიძის გვარის უხუცეს კაცს ერთ ხელში ხის შამფური ეჭირა დაკლული ცხოველის ღვიძლითა და გუფით, მეორე ხელში – ჭიქა ღვინო და დაილოცებოდა, რომ ახალგაზრდებს მშვიდად და მეგობრულად ეცხოვრათ, მემკვიდრეებით გამრავლებულიყვნენ და ა.შ. ლოცვის დროს იგი **აჟაპარას** მიმართავდა. **აჟაპარის** ღვთაებისადმი ლოცვა ეწყობოდა სიძე-პატარძლის „დიდ სახლში შეყვანის“ დღესაც. დილით ადრე დედამთილი პატარძალს ხელში კვერცხებს ჩაუდებდა და სპილენძის თუნგს მისცემდა. იგი წყაროსკენ გაუძღვებოდა პატარძალს, გზაში თან იღოცებოდა „წყლის დედოფლის“ სახელზე. წყაროსთან მისვლის შემდეგ პატარძალი კვერცხს წყალში ჩააგდებდა, ტოლჩას წყლით აავსებდა და ორივე სახლში ბრუნდებოდა.

აჟაჰვა (აჟაჰია) // აჟრა – ურო, დიდი ზომის ჩაქუჩი (შრომის იარაღი).

აჟაჰვა ხუჭი (აჟაჰია ხუჭე) – ჩაქუჩი პატარა, კვერი.

აჟაჰვარა (აჟაბიარა) – ორმოსში ღვინის დაწურვა. აფხაზები ძველად, სპეციალურ ორმოს თხრიდნენ. თიხით ამოლესავდნენ. ცეცხლს დაანთებდნენ და ამოაშრობდნენ. ყურძენს ჩაყრიდნენ და ფეხებით დაჭყლდნენ. ზემოდან გვიმრას აფარებდნენ. საჭიროების დროს თანდათან ნაწილ-ნაწილ გადასამუშავებლად დაჭყლქტილი ყურძნის წვენი ამოჰქონდათ. მოგვიანებით ქართველებში გავრცელებულ საწნახელს (აფხაზურად **აჟაბა**-ს) მოიხმარდნენ.

აჟ-ბაჟა – (ბზიფ.) ვენახი. იგივეა, რაც დასავლეთ ქართველებისთვის მაღლარი ვენახი. აფხაზებმა მაღლარისთვის თურქული **ბაჟე** სიტყვა გამოიყენეს.

აჟიეფშა – ნადირობის ღვთაება, ცხოველების მბრძანებელი. ცხოვრობს ტყეში. მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ღვთაება **აირგა** (წმინდა გიორგი). ისინი ერთად არიან მთების, ტყის, ნადირის, მონადირეთა ღვთაებები. ცხოველის კულტმა აფხაზთა წარმართულ რელიგიაში დიდი როლი ითამაშა. ნადირობის ღვთაება **აჟიეფშა**, აფხაზთა წარმოდგენით ყრუ და ღრმა მოხუცი იყო, ვაწვეწილი თმითა (ზოგიერთი ვარიანტით – კლალი თმით) და კვერთხით ხელში (ზოგიერთი ვარიანტით – შავი წვერით). იგი კლავდა რომელიმე ცხოველს, ხარშავდა მის ხორცს და ჭამდა, ძვლებს კი ცხოველისავე ტყავში აგროვებდა, შემდეგ თავის კვერთხს დაარტყამდა და ცხოველი კვლავ ცოცხლდებოდა. მონადირეები მხოლოდ მის გაცოცხლებულ ცხოველებს კლავდნენ, მაგრამ მხოლოდ ის მონადირე მოინადირებდა ცხოველს, რომლის ხვედრსაც აჟიეფშა თვითვე გადაწყვეტდა.

აჟთააჯ – ყურძნის მკრეფავი.

აჟთაარა – რთველი (ყურძნის კრეფა).

აჟე (აჟი) – ძროხა, ფური.

აჟეცეემბა (აჟეციემბა „ძროხის ტყავის ფეხსაცმელი“) – ძროხის ან ხარის ტყავისგან შეკერილი მამაკაცის ქალამანი. ტყავს ასე ამუშავებდნენ: ახალდაკლული ცხოველის ტყავს მარილს აყრიდნენ, რამდენიმე დღის შემდეგ მაგრად გადაჭიმავდნენ ჯოხებზე. მაღლა კერიის თავზე აშრობდნენ. შემდეგ ასველებდნენ წყალში და ბასრი დანით ბეწვისგან ასუფთავებდნენ. შემდეგ ჭრიდნენ და ქალამანს ტყავის ან ბამბის ძაფით კერავდნენ.

აჟეცეემბა (აჟეციემბა) – „ძროხის ტყავის წულა“, ქალამანი, ძროხის ან ხბოს ტყავისგან შეკერილი უქუსლო და უკვლო წულა. „ძროხის ტყავის ფეხსაცმელი, ძროხის ტყავის წულა“.

აჟეგვარა (აჟიგვარა) – საზაფხულო საძროხე. მსხვილფეხა საქონლის საზაფხულო ღია გასაწერებელი საკარმიდამოში.

აჟეგვარა (აჟიგვარა) – ძროხის ბაკი.

აჟეია (აჟეია) – ნავის ნიჩაბი.

აჟეიეშაყია (აჟეიეშაყია) – საქონლის ბეჭი.

აჟეკამბაშ (აჟე-კამბაშ) – ფურკამენი.

აჟელა (აჟილა) – თესლი, სპერმა; გვარი; ჯიში. მიუთითებს საერთო წარმოშობაზე, ერთ საერთო ძირზე. შ. ინალ-იფას გადმოცემით აჟელა ძირითადი ნათესაური და ერთდროულად საზოგადოებრივი ერთეულია, რომლისთვისაც პატრიარქალური წყობაა დამახასიათებელი. ტერმინი აჟელა ძველად, როგორც ოჯახს, ისე გვარს აღნიშნავდა, ისევე როგორც აბაზებში. მისი აზრით აფხაზური აჟელა – წარმოშობას, გენეალოგიას და გვარტომობას აღნიშნავს. გარდა აჟელას აბაზებში არსებობს ტერმინი – „**ათხენიძე**“ („სოფლადი სახელი“) (Ш.Д. Инал-ипа, Абхазы, 1965, Сухуми, 403-404).

აველა ალცარა (აჟილა ალცარა „გვარიდან გაქეპება“) – გვარიდან მოკვეთა. ჩვეულებების სშირი დამრღვევნი, დამნაშავეები გვარიდან მოკვეთით ისჯებოდნენ.

აველა ახისრა (აჟილა ახესრა „გვარის ახდა“) – გვარის ჩამორთმევა. ადამიანს, რომელიც სშირად აშავებდა და გვარის წევრებს უხერხულობაში ავლებდა, გვარის ტარების უფლებას ართმევდნენ. საქმე სათემო საკრებულოზე უხუცესთა საბჭოს მიერ განიხილებოდა.

აველარ (აჟილარ) – 1. ხალხი; 2. ერთი რომელიმე გვარის შესაკრები ადგილი, გვარის შეკრება.

აველა-ხისრა (აჟილა-ხესრა) – გვარის აურა. ჩვეულებით სამართალში მიძიმე დანაშაულის ჩამდენს, თემის მოღალატეს, ეგზოგამიის დამრღვევს, მამისმკვლელს გვართან ერთად ყველანაირ უფლებას ართმევდნენ და მოიკეთდნენ, სოფლიდან და თემიდან აქევებდნენ. ამის უფლება მხოლოდ თემის უხუცესთა საბჭოს აქონდა მინიჭებული.

ავევა (აჟივა) – ნავის ხოვი, ნინაბი.

ავეხნა (აჟიხნა) – ძროხის მწყემსი.

ავეხნა (აჟიხნა) – მწყემლი ძროხა.

აჟი(ი)რნება – სამკედლოს ღოცვა. კავკასიის ხალხებში რკინის კულტის არსებობას, ძველი ანტიკური წყაროებიდან მოყოლებული ამ დარგში პირველობას ქართველურ ტომებს (ხალიბებს, მოსხებს, ანუ მესხებს, მეგრელ-ჭანებს, სვანებს) ანიჭებდნენ. ქრისტიანული რელიგიის გავრცელების გამო ქართველებში ეს კულტი დაიკარგა, მაგრამ კავკასიელ მოსახლეობაში იგი დღემდე აღილებმა, აფხაზებმა, ჩერქეზებმა და ყაბარდოელებმა შემოინახეს. XIX საუკუნის ბოლოს აფხაზებში სამკედლო, როგორც სამეურნეო მნიშვნელობის ნაგებობა აღარ არსებობდა, თუმცა, სიმბოლური სამკედლო – „აჟირა ნეგვართა“ ყველა ოჯახს საკუთრად აქონდა. ეს საღოცავი ნაგებობა მცირე ზომის, ოთხ ბოძზე დაყრდნობილი გადახურვით, ფარმოვლს წარმოადგენდა, რომელსაც კედლები არ აქონდა. იგი ჭიშკართან ახლოს, მარჯვენა მხარეს იდგებოდა. გადახურულში, გადაჭრილ მორგვზე, მუდმივად სამი რამ მაინც ეწყო: გრდემლი, მარწუხი და ჩაქუჩი. აფხაზურ პოლითეისტურ რწმენაში „აჟირა ნეგვა“-ს (აჟირა – სამკედლო, ნეგვა – ღოცვა; ე. ი. სამკედლოს ღოცვა) და მის დგობას „შაშიგ ახ დუ“-ს (აფხ. ახ დუ – თავი დიდი, ან „შაში თავში მღვლო“) ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. სიმბოლური სამკედლო ნაგებობა აფხაზებისათვის ერთადერთი რელიგიური რეალური მატერიალური კულტურის გამოსატყლება იყო. აფხაზების წარმოდგენით, მკედელი, რომელსაც საკრალური „სამხელი“ ინსტრუმენტები – გრდემლი, მარწუხი და ურო გააჩნდა, შესაძლოა ღვთაება თვით ყოფილიყო. ნართების ეობის გადმოცემით, „მარჯვენა ხელი – ურო, მარცხენა – მარწუხი და ორივე მუხლი კი გრდემლი“ უნდა ყოფილიყო. ძველად ამ „სამხელის“ წინ ხდებოდა ავადმყოფის განკურნება, ფიცისა და აღთქმის დადება, მტრისადმი წყევლის გაგზავნა. ამიტომ ამ ღვთაებისადმი მიძღვნილ დღეს – 13 იანვარს, ძველი სტილით 1 იანვარს აუცილებელი იყო მსხვერპლშეწირვის რიტუალის ჩატარება. ამ რიტუალში მონაწილეობას მხოლოდ ერთი დიდი ოჯახიდან განაყარი ოჯახები, ძმათა შვილები, პატრონიმია იღებდა მონაწილეობას. ოჯახიდან შორს გათხოვილ ქლებსაც კი ვვალდებოდათ ამ დღეს წინაპრის სახლში დაბრუნება.

აჟიი – მკედელი, თოქმანი. იგი სამკედლოში ამავე დროს რელიგიურ რიტუალებსაც ასრულებდა. დამნაშავეს „სამხელზე“ (გრდემლი, ურო,

მარწუხი) აფიცებდნენ. „სამხელის“ შიში მოსახლეობაში დიდი იყო, ამიტომ ცრუ დაფიცება გამოირიცხული იყო.

აუიგა (აუგება) – „სათხრელი“, ბარი.

აუიგა (აუგება) – ბარი, **აბუ. აბაბა** – ნინაბი, ბარი.

აუიორა – სამჭედლო. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა მრგვალ წნულ ნაგებობას, შქერის წნელებისაგან შეკრულს. იგი ერთი მცირე ზომის ოთახი იყო. კონუსური ფორმის სახურავით. თივით, გვიმრით ან ჩალით დახურული. არსებობდა სამჭედლოს ოთხკუთხედი შენობაც, ორფერდა და ოთხფერდა სახურავით, თივით, გვიმრით ან ჩალით დახურული. ნაგებობაში შიგნით, უკანა კედელთან ქურა და საბერველი იდგა, რომელსაც შეედლო ქურაში ძლიერი ცეცხლის გაჩენა, რაც მჭედლისათვის აუცილებელი იყო. იქვე ქურასთან წყვილი ნაკვერჩხლის ასაღები (მაშა – ორად მოკეცილი ლითონის) და ფართო ქლიბი ეწყო. ბოლოში ერთ მხარეს წყლიანი ხისფეხებიანი ვარცლი იდგა, მეორე მხარეს კი – წაბლის ხის ორი კუნძი, ქურის სიმაღლისა. ერთზე ორი გრდემლი იყო დამაგრებული, ერთი უფრო დიდი, მეორე კი, უფრო პატარა (32×10 სმ). მეორე კუნძზე ერთი გრდემლი იდგა (40×12სმ). ამ კუნძებზე სხვადასხვა ზომის რკინის უროები ეწყო, შვიდი ცალი; ფოლადის ინსტრუმენტი, რომელიც რკინის ნაწილებს ჭრიდა („ახწიანა“). კუთხეში გრდემლიდან მოშორებით, მესამე კუნძზე ყველაზე დიდი გრდემლი იყო დამაგრებული, გვერდზე დიდი უროთი. ჩრდილოეთის კუთხეში მიწაზე მასალა ეყარა. მაგიდაზე კი, მზა ნაკეთობები ეწყო, სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი მოსახმარი ნივთები. ერთ კუთხეში ხის ნახშირი ეყარა, ხის ნინაბთან ერთად. თანდათანობით აუიორა ოთხკუთხა ნაგებობად გადაკეთდა ჯერ ძელურად და შემდეგ ფიცრულად. თივით ან შქერით გადახურული. მოგვიანებით აუიორა მხოლოდ სიმბოლური ნაგებობა გახდა, სადაც რელიგიური წეს-ჩვეულება და დაფიცება ეწყობოდა.

აუიმილი (აუემჩელ) – ყურძნის ჯიში.

აუიმუგა (აუემჟია) „ყურძნის თუთა, ყურძნის ბულოა“ – ყურძნის მტევანი. აფხაზეთში ჩვეულებრივ გავრცელებული იყო მადლივი ვენახი. ვაზი, მხვიარა უმეტესად თუთის ხეზე იყო გაშვებული. აფხაზები, რომელ ხეზეც იყო ვაზი აყვანილი იმ ხის სახელით მოიხსენიებდნენ ყურძენს.

აუიეე (აუეეე) – ბეგარა საქონლით.

აუიხწვი (აუეხწვი) – მღუღარე წყლიდან მოხარშული ხორცის ამოსადები ლითონის კაუჭი. ორ- ან სამკაიანი რკინის შამფური, ქვაბიდან მოხარშული ხორცის ამოსადები.

აუეგაყეა (აუეაყეა) – „დაჭრილი ხორცი“. მსუბუქი საკვები. წვრილ ნატრებად დაჭრილი ხორცი, სხვადასხვა მწვანილებითა და სუნელების დამატებით იხარშება წყალში. კეთდება, მსუბუქი წვნიანი საკვები ვადმყოფებისათვის.

აუწაა – შებოლილი ხორცი. აფხაზების საყვარელი საკვები, რომლითაც სტუმრებსაც ისტუმრებდნენ. აფხაზები ზამთრისათვის ძველად დაკლული ძროხის, ცხვრის, ქათმის, ღორის ხორცს ღია ჭურის, კერის თავზე განთავსებულ ლატანზე ათავსებდნენ და ისე ბოლავდნენ.

აუწაა „ხორცი მლაშე“ – შაშხი.

აუწაა – შაშხი, ღორი. ყველა ოჯახში, საცხოვრებლის ცენტრალურ ადგილზე ყურა ენთო, რომლის თავზე გადებულ ლატანზე ბოლოში გამოსაყვანად კოველთვის დებდნენ შემოდგომაზე დაკლული სხვადასხვა ცხოველების ხორცს, რომ ზამთარში შაშხი და ღორი ჰქონოდათ.

აუ-ხეარა (აუ-ხუარა) – ყურძნის მტევანი.

აუხვებატა – ყურძნის ჯიშში. ბ. ჯანაშიას შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ ვაზთან, ყურძენთან და მათ ჯიშებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია აფხაზეთში აღწერილობითი ხასიათისაა, ხოლო უმეტესი ქართულიდან არის ნასესხები. მაგ., თვით ტერმინი ვაზი – „აჯახუა“, იგი „დაგრეხილ ხეს“ (ჯა = ხე < მეგრ., ხუა = აფხ. ნაწილაკი = დაგრეხილს) აღნიშნავს (Б.П. Джанашия, Абхазская лексика виноградарства и виноделия. Автореферат, Тб., 1955, 5-15). აფხაზები ქართველების მსგავსად მაღლარ ვენახს ვაზის საყრდენი ხის მიხედვით არჩევენ. მაგ.: „თელის ყურძენი“, „მუხის ყურძენი“ და ა.შ. რაც შეეხება, ვაზთან დაკავშირებულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, არც აბჟუის და არც ბზიფის აფხაზების ყოფაში იგი არ დასტურდება. ერთადერთი აფხაზურ მოსახლეობაში მხოლოდ აბჟუის აფხაზებში იქნა ზედაშეგების კულტურა ათვისებული.

აუგრძე „ყურძნის წყალი“ – ყურძნის წვენი. ტერმინი ადასტურებს აფხაზების ამ ტერიტორიაზე გვიან დამკვიდრებას, იგი მქორეულია.

არ – ჯარი, ლაშქარი (< ქართ. ვერი).

არეცმეაღ – მჭადი, ცომში არეული დანაყილი ნიგვზით.

არა – კაკალი (ხე).

არა – საზომი ერთეული, მანძილი ხელის თითის წვერიდან იდაყვამდე, წყრთა.

არაზნი // არაძნი (არაზნე // არაძნე) – ვერცხლი.

არათენ – ქამარი.

არასა – „წვრილი კაკალი“, თხილი. ფოთლებს ნაცარში მჭადის გამოსაცხობად მოხიმარდნენ, წნელს – სხვადასხვა ნაგებობებისათვის, ნაყოფს საკვებად გამოიყენებდნენ.

არაფ – 1. არაბი. 2. ზანგი, მუქკანიანი.

არაში (არაშიე) – ნიგვზის ზეთი, ურწყული.

არაშვარა (არაშიარა) – გამარგვლა.

არაშე – ნიგვზისაგან გამოწურული ზეთი. ნიგოზს აჰყავდა-ზე, სპეციალურ ხაღრმაგებულ ქვაზე, მრგვალი პატარა ქვით ლესავენ და ასე გამოჰყავთ ზეთი.

არაშეხ სემბალ – დაკეპილი ნიგოზი, აჯიკითა და სუნელებით შეზავებული. მოხარშული ქათმის საკმაზი. **სემბალ** < ქართ. საწებელი.

არახე (არახი) – საქონელი, პირუტყვი.

არახეაძარა (არახიააზარა) – მეცხოველეობა.

არაჟ – რაჭველი. < ქართ.

არახეგვარა (არახეგვარა „პირუტყვის შემოკავებული“) – 1. სასაქონლე ეზო; 2. საქონლის ჯოგი.

არახეთიაა (არახითიაა) – ვინმესთვის ნაწუქარი ცოცხალი საქონელი.

არახეთიაა/არახითიაა/ა ამთა – საწუქარი. აფხაზები საპატივცემულო სტუმარს წასვლისას ყოველთვის ატანდნენ საწუქარს – თოფს, ცხენს, ან რომელიმე სხვა საქონელს. უმეტესად იმას, რაზედაც იგი სტუმრობის დროს გაამახვილებდა ყურადღებას, რომ ესა თუ ის ნივთი ან სხვა რამ ძალიან მოსწონდა. რაც უნდა არასასურველი ყოფილიყო ოჯახისთვის ამა თუ იმ ნივთის ან საქონლის, ცხენის დათმობა, ისინი ვალდებულად თვლიდნენ თავს, საწუქარი გაეტანებინათ.

არახტ – რახტი, ცხენზე გადასაფარებელი ფართო საფენი, რომელზედაც იდებოდა ქალის უნაგირი.

არახუც (არახიეც) – ძაფი.

არბალ – მამალი.

- არგამა** – „აშკარა, ცხადი“. მოლაპარაკების შედეგად საჯარო ქორწინება, როდესაც ჩართული არიან მშობლები, როგორც ქალის, ისე მამაკაცის მხრიდან და ყველა წინადაცულია.
- არგია // აშვირ-რგია (არგუ // აშიტრ-რუა)** – ჩირი, ხმელი ხილი.
- არგიარა (არგარა)** – „გახიზება“, შებოღება, ბოლში გამოყვანა. აფხაზები ხორცს, ყველს ბოლავენ. ფიქრობენ, რომ შებოღვა სასარგებლოცაა და მათი ეთნიკური კულტურისადმი პატივისცემას ამჟღავნებს, მისი დაცვა სიმბოლოა სტუმარმასპინძლობის კულტურისა.
- ართმაყ** – აბგა, ყველის გუდა.
- ართთა (არტთა)** – მარწუხი, მაშა, გაზი, ბრტყელტუნა. შრომის იარაღი.
- არიმძ (არემძ)** – ხის დაბალი, გრძელი და ფართო სკამი, რომელიც ტახტად გამოიყენებოდა. კერიის, ცეცხლის წინ, ცალ ან ორივე მხარეს იდგა. **არიმძ (არემძ)** (ბზიფ.) – სკამლოკინი
- არიჟუტე (არეჟიტი „დასაღვეინებელი“)** – სახმელი (ალკოჰოლური).
- არიშპარა (არეშპარა)** – ქსოვილის გახამება. მამაკაცებისა და ქალების შიდა თეთრეული-პერანგი იკერებოდა თვითნაქსოვი სელის ტილოსაგან. სელის ტილოს ერთი კვირა ძროხის ნაკელში დებდნენ, შემდეგ გამდინარე ცივი წყლით რეცხავდნენ. ამ პროცედურას რამდენიმეჯერ იმეორებდნენ. შემდეგ დამლაშობით ქსოვილს წველავდნენ და ცვრიან ბალახზე მთელი დამე ტოვებდნენ. დილით იღებდნენ. ამას იმდენჯერ იმეორებდნენ, მანამ ქსოვილი თეთრი და რბილი არ გახდებოდა.
- არიცქაბა (არეცქაბა)** – „გამწმენდი, გამსუფთაებელი“, შალაშინი.
- არკააც // ანკააც** – ანკესი. სიტყვა მეგრულიდანაა ნასესხები.
- არჟუპაპ (აბუ.), არჟუფაფ (ბზიფ.)** – კუდიანების უფროსი დედაბერი, ჯაღოქარი, როკაპი. სიტყვა ნასესხებია ქართულიდან, შდრ. **როკაპი**.
- არყვატარა (არყვატარა)** – ტყავის მოქნა; **ირყუატანე იყინწრატ** – ტყავს ქნის.
- არწვი-შირწვი (არწვი-მგრწვი)** – მწნილი, მუკვე
- არხარხარა** – ჟღარუნი, ჩხაკუნი.
- არხა დგილ (არხა დგელ)** – მდინარის პირის ადგილი. ეს მიწა მარცვლეული კულტურისთვის შესაფერად ითვლებოდა.
- არხნიშნა (არხნეშნა) // ბზიფ. დიალ. ახნიშირ (ახნეშერ)** – კერიის საკიდი ჯაჭვი, მეგრ. ნაჭა. დიდი ოჯახის ერთობლიობის სიმბოლო. ეს ჯაჭვები სხვადასხვა ფორმისა და ზომის წრიული რგოლებისგან შედგებოდა, ზოგჯერ მათ ციფრ 8-ის ფორმა ჰქონდათ. შუაში მრგვალი და უფრო დიდი ზომის რგოლი უკეთდებოდა, რომელზედაც საკიდელი იყო გაკეთებული. საკიდელზე ქვაბს კიდებდნენ და შემდეგ, ცეცხლიდან რა სიშორეზეც უნდოდათ, რგოლზე ამაგრებდნენ. აფხაზებში კერა მუდმივი ცეცხლით და კერიის ჯაჭვით – წმინდა ადგილი და წმინდა ნივთი იყო. კერასთან სხვადასხვა საოჯახო დვთაების ღოცვები ეწყობოდა. პატარძლისათვის „კერასთან ზიარება“ აუცილებელი პირობა იყო. ოჯახი ქალიშვილს მხოთვეში კერის ჯაჭვს აუცილებლად ატანდნენ.
- არხრა** – ცელვა, მოცელვა, თიბვა. შემოდგომაზე როგორც ნათესს, ისე საქონლისთვის ბალახს თიბავდა ყველა ოჯახის წარმომადგენელი მამაკაცი.
- არჰვეე (არჰივე)** – მძარცველი. გამოუსწორებელი მძარცველობისათვის, აფხაზთა ჩვეულებით სამართალში ბორკილებს იყენებდნენ. მძარცველს ფეხებზე ბორკილებს ადებდნენ. დროს მედიატორები განსაზღვრავდნენ.
- არჰვრა (არჰირა)** – ძარცვა (იურიდიული ტერმინი).
- ასესკეძერ** – დანიძილი, საკვები ბალახი (ამჟავებენ, ისევე, როგორც ქართველები).

ასაან – თიხის დიდი თევში (< ქართ. **საინი**, იგივეა, რაც **თევში**) (საოჯახო ნივთი).

ასაარა – ხის, დიდი, მრგვალი ჯამი, ვარცლი.

ასაბშა – შაბათი (შდრ. მეგრ. **საბატონი** „შაბათი“).

ასაგერეი (ასაგირეი) – პატრუქი.

ასან – სოლი (< ქართ. სოლი).

ასაღერტი (ასაღერტე) – აბუ. თავის ტკივილის, შაკიკის, ცხვირიდან სისხლის დენის, უნებლიე შარდვის, დაავადებების მფარველი სული. < მეგრ.

სააღერტო. სიტყვა უკავშირდება მარტვილის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ **აღერტის** ეკლესიას. შდრ. ბზიფ. **აგერძნება** (ნ. ჯანაშია).

ასამაქვა (ასამაქა) – წლისთავის ქელეხი. მიცვალებულს სანამ მიწაში ჩასვენებდნენ, ხეცვალურად შეწირულ მამალს (ქათამს) გარდაცვლილის ცხენს თავზე შემოავლებდნენ, რომ დაკრძალვიდან მესამე დღეს „ფეხის გახსნაზე“ დაეკლათ. „ფეხის გახსნის“ დღეზე მამალს დაკვლით მარხვა ხსნილდებოდა. შემდეგ „ორმოცი“ მოდიოდა, რომელიც ასევე ახლო ნათესაურ წრეში, რაიმე საკლავის დაკვლით და სასაფლაოზე გასვლით აღინიშნებოდა. რაც შეეხება წლისთავს, იგი აფხაზებში პომპეზურობით, წეს-ჩვეულებების სიმრავლით გამორჩეული იყო. წლისთავის ხარჯებში ახლო და შორი ნათესავეები, ნათესაური კატეგორიების მიხედვით იღებდნენ მონაწილეობას. ამავე დროს, წლისთავის ხარჯებს დღის მხრიდან ნათესავეები, რძით დანათესავებულნი, მოყვრობით ნათესავეები და მოგვარეებიც ინაწილებდნენ. რაც უფრო ახლო იყო ნათესავი, მით მეტი იყო სახარჯო წილი, ხოლო რაც უფრო შორი ნათესავი იყო, მით ნაკლები სახარჯო წილი ჰქონდათ გადასახდელი. წლისთავის ქელეხი, ჩვეულებრივ ღია ცის ქვეშ, დეკორატიულ ეზოში, ზამთარში კი ხელდახელ გადახურული ფარდულის ქვეშ ეწყობოდა.

ასამართალ – სამართალი < ქართ.

ასამფალ – ჩასაკეტი.

ასანდკიჯერ // ასენდკიჯარა – ხის ჯამი (საოჯახო ნივთი).

ასაპატ ბუ. // აბარქვამ (**აბარქამ**) აბუ. – ბოქლომი. აბუ. **აბარქამ** < მეგრ. **ბორქომი** < ქართ. **ბოქლომი**.

ასარაქია (ასარაქა) – დოღბანი, ჩალმა.

ასარაჯ // **ასარანჯ** – ფიჭა. შდრ. მეგრ. **სარანჯი** „ფიჭა“, იმერ. **სარაჯი** „კარგად ამოსული ყველის საპაეო ხვრელი“.

ასართი // ასირთი (ასართე // ასერთე) – 1. საქსოვი დაზგა. სიტყვა ქართული ჩანს, შდრ. **სართავი**, **დართვა**. 2. საქსოვი დაზგა (ხის). იგი მყარად შეკრულ მასიურ, სამკუთხა ფორმის ხის ჩარჩოს წარმოადგენდა, რომელიც მიწურ ფიტაკზე, ერთი მეტრი სიმაღლის ხის სარეზზე იყო დამაგრებული, უმთხრად. ზემოდან მას საფეიქრო და რთვის ინსტრუმენტები: თითისტარი სართავით – **ადრდხა**, **აფშეცა**, ხის ყუთი (საქსოვი ძაფების შესანახი) – **ასა**, **ადაფა**, მაქო მასრით – **ამარსა**, **ამარქვა** და საქსელური – **აღერა** ჰქონდა დაყენებული. სიტყვის ვარიანტები აფხაზურად არ იხსნება.

ასას – სტუმარი.

ასას იხუ (ასას იხიე) – „სტუმრის წილი“. ოჯახში ყოველთვის ჰქონდათ გადანახული შებოლილი ხორცი, ყველი, ხილი და ა. შ., რომელიც სტუმრისთვის იყო განკუთვნილი.

ასასაირთა (ასასაირთა „სტუმრის მოსელის ადგილი“) – ადგილი, სადაც მიდიან სტუმრები, ე. ი. სასტუმრო. აჯინჯალის მსალეობით ამ ნაგებობის ძველი სახელწოდება **აპაჭაშ** უნდა ყოფილიყო, თუმცა უკანასკნელი სიტყვა **პაჭაშ** ჩერქეზულია და ასევე სასტუმროს ეწოდება. ნაგებობა სიგრძით 3-4

საქენამდე იყო, შესასვლელის თავზე ღია შვერილი, ფარდული კოდექოდა, რომელიც ბოძებს ყვრდნობდა. ამაჯაში მრგვალი, წნული, თიხით შეღვსილი კედლებით, კონუსის ფორმის სახურავით იყო. შიგნით, ერთ მხარეს, მთელ კედელზე გრძელი ხის ტახტი იდგა, რომელიც ნოხით ან ნაბლით ყოფილა დაფარული, მასზე დღისით ბევრ ბალიშს აწყობდნენ.

ასასაადრთა – სასტუმრო (ოთახი ან ცალკე ნაგებობა) საცხოვრებელი ფაცხების გვერდით. აფხაზებს აუცილებლად ედგათ ამავე ტიპის სასტუმრო სახლი, რომელიც ბევრად უკეთესად იყო შიგნით მოწყობილი. საცხოვრებლების ფორმის ცვლასთან ერთად სასტუმრო ზოგჯერ საცხოვრებელში შიგნით ინაცვლებდა. ასე მაგ. განში გაზრდილი ტიპის საცხოვრებელში („აგანგუ“) სასტუმროს ცალკე ოთახი ჰქონდა დათმობილი. ზოგიერთ აფხაზურ უბანში, რომელიც ერთ ნათესაურ ჯგუფად იყო ჩამოყალიბებული, ზოგჯერ ჩრდილოკავკასიური „საუნადლოს“ მსგავსად, სოფლის თავში, ჯარგვალური ტიპის ნაგებობაც ჰქონდათ, რომელიც სასტუმრო იყო. ცნობილია, რომ რაც უნდა ღარიბი ყოფილიყო აფხაზი, იგი ცდილობდა ორი ფაცხა ჰქონოდა. ერთი საჯალაბოდ და საცხოვრებლად, ხოლო მეორე – სასტუმროდ. აფხაზები სასტუმროს, საცხოვრებელში იყო ის თუ მის გარეთ, დიდ ყურადღებას უთმობდნენ და ბევრად უფრო კეთილმოწყობილი ჰქონდათ, ვიდრე საკუთარი საცხოვრებელი. სტუმარი ამ ნათესაური კოლექტივის ყურადღების ქვეშ ექცეოდა. მის უსაფრთხოებაზე და კვებაზე ყველა ერთად ზრუნავდა. აფხაზი გულდიად ხვდებოდა სტუმარს და არასდროს დაუსვამდა კითხვას, საიდან მოდიოდა, ან საით მიდიოდა იგი. ამის თქმა თვით სტუმრის მოვალეობას წარმოადგენდა, აფხაზური ტრადიციის თანახმად, სტუმრობისთვის ვადა რეგლამენტირებული არ იყო, მაგრამ დაუწერელი კანონით, მას მხოლოდ ორი კვირის მანძილზე შეიძლებოდა ესარგებლა მასპინძლების გულუხვობით, შემდეგ კი იგი უთუოდ უნდა წასულიყო.

ასასდახე – მადალი და საპატივცემულო სტუმარი. **დახე** – ჩერქეზ. „ლამაზი“.

ასაფარ – ფარი (ქართ. **საფარი**).

ასამ ეიქვა (ასამ ეიქა – ბზიფ) // აუურიაყნ ეიქვა (იგრენ ეიქა – აბუ) – კაბის ქვეშ ჩასაცმელი ქალის ერთგვარი განიერი, ნოჭიანი შარვალი (**აფჰუს-ეიქვა** „ქალის შარვალი“), რომელიც როგორც წელზე, ისე წვიკებზე თასმებით იკერებოდა და კაბის ქვემოდან არ ჩანდა. XIX ს-ში შარვლის ფერებმა სიმბოლური დატვირთვა შეიძინა. თეთრს იცვამდა ქალიშვილი, წითელს – გათხოვილი ქალი, ხოლო ღურჯს – ქვრივი ქალი. **ასამ ეიქვა** = „საძების, ჯიქების შარვალი“.

ასამბალ // ასემბალ // აცეზბალ – (< ქართ. **საწებელი**) ცხარე საწებელი (ტყემლის, პომიდვრის).

ასახთან – ტარსიკონი, მოქნილი ტყავი.

ასირთი (ასერთე) – საქსოვი დაზვა (< ქართ. **სართი, სართავი**).

ასრა – ქსოვილის ქსოვა.

ასურა ბზიფ. // ანაფარა // აჭაფარა (აჭაფარა) აბუ. – სახლის მინაშენი, ამაწურთაში (სამზადში) გამოყოფილი ადგილი, ან მასზე მინაშნება, სადაც პროდუქტები და სხვადასხვა სახის ნივთები ინახებოდა. ნაგებობა მიწის იატაკიანი, შუაცეცხლიანი, ჭერის გარეშე, კერის ჯაჭვით და სახურავში კვამლის გასასვლელი ღიობით იყო. თუმცა, უმეტესად ღიობის გარეშეც არსებობდა. ამიტომ ანაფარას კედლები ჭკვარტლით იყო დაფარული. გაჭკვარტულ ხეს მუქი შავი, მბრწყინავი შეფერილობა ჰქონდა, თითქოს ზუმბურით იყო დაფარული. **ასურა // ანაფარა // აჭაფარა** ნაგებობა სშირად თანდათანობით ზომებში იზრდებოდა ოჯახის სიმრავლის შედეგად და

ხშირად „ამაწურთას“ არ ჩამოუვარდებოდა. აქ საუზმობდნენ, სადილობდნენ და ვახშობდნენ ოჯახის წევრები. აქვე ეძინათ ოჯახის უხუცეს წევრებს. ამ სახლს **ამაწურთა**-ს უწოდებდნენ. **ამაწ** „სამსახური“, **აურთა** – საქმის გასაკეთებელი ადგილი“. და მაინც **ამაწურთას** მეორე განყოფილებას ბზიფ. **ასურა**, ხოლო აბჟ. **ანაფარა** // **აჭაფარა** ეწოდებოდა.

ატიე – მონა, ემა.

ატამა – ატამი (< მეგრ. **ატამა**).

ატაპანა – დამბანა, კაჟიანი პისტოლეტი (შესულია მეგრულიდან – **ტაპანა** „დამბანა“).

ატასბერსა – ატლასი. < **ატას** – ქართ.

ატგან (ატიან) – ხორცის ბულიონი, ხახვით, დაჭრილი მწვანილით, სუნელებით და ნივრით. სიტყვა ქართულია: **ატგან** < **წგნი**.

ატგი (ატიე, ატიე) – 1. მონა; 2. ტყვე; 3. საკუთრება.

ათვირლე ლაბა (ათვირლე ლაბა) – თოვლის პირობებში გამოსაყენებელი თავისებური სამონადირეო ხის ნიჩაბი.

ატიტვის (ატიტიტვი) – მონის მონა, თარეშით დატყვევებული. **ატიტვის (ატიე-იტიტვი)** – „ტყვის ტყვე“, მონის მონა. ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომის სოციალური ტერმინი.

ატივი (ატევი) – ტივი. < ქართ. **ტივი**.

ატყა – 1. ტყვე. 2. მონა. ომის და თარეშის დროს დატყვევებული ადამიანი შემდგომში მონა ხდებოდა (<ქართ. ტყვე).

ატყდა – ტყლაპი (<ქართ. **ტყლაპი**). ტყემლისაგან, ალუჩისა ან ლეღვისაგან სქელ ფაფას ხარშავენ, თხელ ფენებად ფიცარზე ასწორებენ და მშუბე აშრობენ. გამშრალს ჭრიან ოთხკუთხა ნაჭრებად და ზამთრისთვის ინახავენ.

აუპაპ/აუპა – ნაბადი. იგი აფხაზეთისათვის მოსახსამიც იყო და ლოგინიც. ნაბადი მას სიცივის, წვიმისაგან, თოვლისაგან იცავდა და შეიარაღებას ფარავდა.

აუასათრა – ფარეხი, შენობა ცხვრისთვის, საცხვრე.

აუაბა – კასრი-გუჯა. XIX ს. გამოიყენებოდა აფხაზების მიერ ღვინისთვის. მას ჩვეულებრივ მთლიანი მორისაგან აკეთებდნენ. სიგრძით 1-1,5 მ. მორს შუაზე გაჭრიდნენ, შემდეგ სპეციალური ინსტრუმენტით (**აგამუა**) გამოასუფთავებდნენ გულს. ბოლოებში ძირებს უკეთებდნენ გასუფთავებული ფიცრის, გაშემო მას თავისებურ ხის გვერგვს (**აუადეხი**) შემოარტყამდნენ. ამასთან ერთად XIX ს-ში ღვინისათვის ჰქონდათ თიხის ჭურჭელი (ქვევრი) პატარა და დიდი ზომის.

აუთრათის (აუთრათვი) – ბოსტნეული.

აუთრათაწარა – „ბოსტნის კეთება“, ბოსტნის გაშენება.

აუბცვა ხილფა (აუბცვა ხელფა) – ნაბდის, ქენის ქუდი, შედარებით განიერი კიდეებით (ფარფლებით) და ნიკაპთან შესაკრავი თასმით. თექისგან დამზადებული ქუდი. ბოლო ხანებში, აფხაზეთში გავრცელდა თავსაბურავი ფართო ფარფლებით და ზონრებით, რომელიც ქარის დროს ნიკაპის ქვეშ იკვრება. ადრინდელი ქუდი იყო მრგვალი, თხელი თექის.

აუპსულდა (აუპხიულდა „უბეწო ნაბადი“) – ნაბადი. ძველად ცხენებზე ამხედრებულ აფხაზებს შესაბამისად ეცვათ ნოხა, იარაღი ჰქონდათ ასხმული, ზემოდან კი ნაბადს უსათუოდ მოიგდებდნენ მხრებზე. ნაბადი მათ წვიმის, სიცივისა და სიცხისგან იცავდა, იარაღს უფარავდათ.

აუჟირა – ყამირი, გაუტყეველი

აუჟერა (აუჟირა) – ახალი ახოგატეხილი ნაკვეთი. აფხაზთა აზრით, ასეთი მიწები გვალვას კარგად უძლებდა და მოსავალიც უხვი მოდიოდა.

აურის (აურგს) – რუსი < თურქ.

აუსჭვართა (აუსჭიართა) – „ადგილი, სადაც ლაპარაკობენ საქმეზე“. სოფლის საკრებულოს ეწოდებოდა. **აუსჭვართას** ადგილი სოფლის ცენტრში იყო გამოყოფილი. საკრებულოს მმართველები თემსა თუ სოფელში ასაკით გამორჩეული უხუცესი მამაკაცები – „აიპაბაცვა“ იყვნენ, რომლებიც მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტითა და უფლებებით სარგებლობდნენ. მათ დემოკრატიული პრინციპით ირჩევდნენ. ისინი სოფლისა თუ თემის უმაღლეს ორგანოსა და საკანონმდებლო-აღმასრულებელი ძალის მქონე იყვნენ. მათ ხმის უმრავლესობით არჩეული უხუცესთა საბჭოს ხელმძღვანელი ედგა სათავეში. **აუსჭვართაზე** მრავალფეროვანი საკითხები განიხილებოდა – სათემო თუ სასოფლო, საოჯახო საკუთრების მოხმარების, კონფლიქტების, მორალური საქციელის დარღვევის და სხვ. მართალია, აუსჭვართას ფეოდალურ ესწრებადა და საპატრიო ადგილსაც იკავებდა, მაგრამ მისი მონაწილეობა ნომინალური იყო. გადამწყვეტი სიტყვა მაინც უხუცესთა საბჭოს ეკუთვნოდა, თუმცა, გამონაკლისი პრინციპული საკითხების შემთხვევებიც არსებობდა.

აუფსაჰვა (აუფსაჰია) – შეამხანაგება. შალის, მატყელის სანახევროდ დამუშავება.

აუფშიგელ – აღსაზრდელი (ქართ. **უფლისშვილი**).

აუღელ (აუღი) – უღელი (< ქართ. **უღუ** „უღელი“). გამწვევ საქონელს არგებდნენ.

აუღიგ – უღელი ურმის < ქართ. უღელი.

აუზდა // აუზათხ – ოთახი (< თურქ). **აუზადა** < ქართ. ოდა.

აუზაღერმაყა – „კასრის ქაშარი“, კასრის გვერგვი (შემოსაჭერი).

აუზაბცენ – ქენა, თეჭა. ნაბადი აფხაზს, როგორც სიცივის, წვიმისა და თოვლი-საგან, ისე სიცხისაგანაც იცავდა. იგი ქენისაგან ითვლებოდა. აფხაზები ჩამოსახლების შემდეგაც შინამრეწველობას მისდევდნენ, ამიტომ, ნაბაღს, ყველანაირ ტანსაცმელს, ფეხსაცმელსა თუ თავსაბურავს თვითვე ამზადებდნენ. ქენის ნაბადი საერთო კავკასიური მოვლენა იყო, რომელსაც ადამიანი მთაში საძილედაც იყენებდა.

აუზარა – საუბნო თავშეყრის ადგილი (**აუზა** „ნათესავი“).

აუზარჰუ – ორხოვა, ორხაო, ნოხი, ხალინა.

აუზასათრა – ფარეხი, საცხვრე. სოფ. ოთჰარაში მ. ბუჩინამ აღმოაჩინა მცირე ზომის (2,5×1,8×1,5მ) საცხვრე, ოთხკუთხა დაგვიგმარებით.

აუზატკა – არაყი (რუს. **водка**). აფხაზები უმეტესწილად ხილის არაყს ხდიდნენ.

აუზაფს – ოსი < მეგრ. **ოფსი** < ქართ. **ოფსი**.

აუზაწა – ღვინის ჭურჭელი. < მეგრ. ბურწენი.

აუზაჯაყ – ბუხარი. ბუხარი აფხაზურ საცხოვრებელში XX საუკუნეში გაჩნდა, ისიც ქვის სახლებში, რომლებიც საბჭოთა პერიოდში აშენდა და მცირე რაოდენობის „აკვასია“-ში, რომელიც XX ს-ის დასაწყისშიც აფხაზებში იშვიათი ნაგებობა იყო. < ქართ. ოჯახი.

აფა – ვაჟიშვილი, ძე (ნათესაური ტერმინი).

აფა-იფა „ვაჟის ვაჟი“, **აფჰა-ღფა** „ასულის ვაჟი“ – შვილიშვილი ვაჟი ვაჟისა და ასულის მხრიდან (ნათესაური ტერმინი).

აფათხი – ღვინის ყანწი.

აფასა – ადრეული, ნაადრევი; **აფიქარე** ფასა – საადრეო სიმინდი, (**აფჰქირე** < მეგრ. ჯიქურა).

აფაფსა – გერი (ვაჟი).

აფაცხა – ფაცხა. „ფაცხა აფხაზისა ბევრს შესანიშნავს აღარას წარმოადგენს. იგი ორგვარია: მრგვალ და ოთხკუთხიანი. კედელი ფაცხისა გეზად ამოღებულია და თხილის მომსხო წნელები განით დაწულია უფრო მოწვრილო წნელით. სახურავის კაკუტები ამ დაწულით კედელზეა დაყრდ-

ნობილი, ხოლო ზევით თავები ერთი-ერთმანეთზეა მიკრული წირვით. ეს შერობა დახურულია გვიმრით, ჩაღით ან ისლით. სახურავს კონუსისებური ფორმა აქვს. მეორე გვიარს ფაცხას, რომელიც უსწორო ოთხ კუთხიანია, წინა კარებთან აქეთ-იქით ორი წაბლის ხის პალოები აქვს ჩასობილი, რომელიც ცოტათი დახრილია ერთი მეორეზე და მათი ორთითიანი წვერები ერთმანეთს უერთდება. ამ ხეებს, რომლებიც მაკრატკელსა ჰგავს, მეორე მხრით გაღებულნი გასაყარი აქვს, რომელიც სახურავის დასამაგრებელია. სახურავი ფაცხას უფრო ჩამოშვებული და მოპრტყელო, ე. ი. იმერული ფორმისა აქვს. ფაცხას წინ დიდი დერეფანიც ექმნება და უკან შესაძლოა მეორე გამყოფი ფართიც ჰქონდეს, რომელშიაც სახლის ნივთები აწყვია. ზამთრობით კი საქონელსაც აბინავენ. ზამთარში ფაცხას თიხით „ელესვენ ან გვიმრას შემოაკრავენ“ (მ. გიორგიძე (მ. ჭარაია), აფხაზეთი და აფხაზნი, „ივერია“, 1888, 169, 12 აგვისტო). თეთი ნაგებობის ტიპი უძველესია, რომელიც აფხაზეთში XX საუკუნეშიც შემორჩა. იგი საერთო დასავლურკავკასიური, მრგვალი ან ოთხკუთხა ხის წნული, მიწაზე მდგარი, ერთოთხიანი, უსარკმლო ნაგებობა იყო. ნაგებობას აფხაზურად **აქვაცე**, აბაზეთში – **ქვაცე**, ადიღებში **ქოც** ეწოდებოდა. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ მიგრანტებმა **ფაცხა** ტერმინი ქართველებისაგან შეითვისეს, შდრ. მეგრ. **ფეცხი** „ფიხის; წნელი“ (მ. ბუკია).

აფაცხეგვარა (აფაცხეგვარა) – წნელის შემოღობილი.

აფენჯირ (აფენჯურ) – სარკმელი, ფანჯარა. აფხაზურში სიტყვა შესულია უშუალოდ თურქულიდან, ხოლო ქართულში **ფანჯარა** სპარსულიდანაა.

აფთირა (აფთირა) – თხისა და ცხვრის საზამთრო ბინა ფერდობ ადგილებში.

აფი (აჭე) – ჭექა-ქუხილის ღვთაება. აფხაზთა რწმენა-წარმოდგენათა პანთეონში გამორჩეული ადგილი ეკავა, რომელიც ყველა ატმოსფერული მოვლენის სათავეში იდგა. ღვთაება ჭექა-ქუხილით გამოწვეული ხმაურით ეშმაკის შეშინებას და ბოროტი სულების დასჯა-დამარცხებას ცდილობდა. ზოგჯერ ცეცხლოვანი ისრით იგი მიწაზე იქ ვარდებოდა, სადაც ბოროტება ისადგურებდა. ღვთაებისათვის ყოველწლიური მსხვერპლშეწირვა სავალდებულო იყო. თუ ვინმე ამ ვალდებულებას არ შეასრულებდა **აჭე**-ს შეეძლო „მოენახულებინა“ ის ოჯახი, ან სოფელი და დაესჯა ისინი. XIX საუკუნის ბოლოს **აჭე**-ს საღოცავ დღედ საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვისა და მთიდან შემოღვთაზე დაბრუნების დღე ითვლებოდა.

აფიმაწე (აფემაწი) – წვივის ძვალი (საქონლისა).

აფინწახნა (აფენწახნა) – „ცხვირის მწყემსი“. გზის გამკვალავი, წინამავალი მწყემსი.

აფირჩა (აფერჩა) (აბუ.) // **აფარჩ** (ბზიფ.) – 1. სიმინდის ტაროს ფუნჩი. 2. ფუნჩისაგან დაწნული ჩანთა. სიტყვა ნასესხებია მეგრულიდან, შდრ. **ფურჩა**.

აფირმანწე (აბუ.) // აფირმანც (ბზიფ.) // აჭინ (აბუ.) (აჭერმანწი (აბუ.) // აჭერმანც (ბზიფ.) // აჭენ (აბუ.) – წნელი, სახრე (**აჭინ** < მეგრ. **ჭინი**).

აფიშოთრიკი (აფეშოთრეკა) – წვრილად დაფქვილი ფეტვის ფქვილისგან რძით გაკეთებული თხელი ფაფა. შდრ. ქართ. **ფუშრუკი**.

აფლაკა – ქვის, ან თიხის სახურავიანი ტაფა (საოჯახო ნივთი).

აფრა – აფრა (< ქართ.).

აფრენჯ ქაშ – რძიანი ბრინჯის (< ქართ. ბრინჯი) ფაფა (< თურქ. **ფრენჯ** + **ქაშ** < რუს. **каша**) აუცილებელი საკვებია მწუხრის სუფრისთვის.

აფსებათა – მიცვალებულის ტანსაცმელი, სამოსი. მიცვალებულის დასაფლავების დღეს, ჩაღით გატყინდ მის ტანსაცმელს **ანშანს** (< ქართ. **ნიშანი**)

საწოლზე ან ხის ტახტზე დაასვენებდნენ და ორმოცამდე მას დასტიროდნენ. ორმოცის შემდგომ სამოსს გააჩუქებდნენ.

აფსა – სოჭი.

აფსა – შუბი.

აფსადგილ (აფსადგედელ) – სამშობლო; **აფსა** „მკვდარი, მიცვალბული“, **ადგილ** < დას. ქართ. **ადგილი** „მიწის ნაკვეთი; ადგილი“, ანუ „მიცვალბულის მიწა“. აფსაზური ტერმინი შექმნილია მას შემდეგ, რაც დასავლურქართულ დიალექტებსა და მეგრულში სიტყვა **ადგილმა** მიწის ნაკვეთის მნიშვნელობა შეიძინა (თ. გვანცველაძე).

აფსათა/ანრათა – სასუფეველი (= სულის ადგილი).

აფსათატე (აფსათატი) – „მიცვალბულის სულის წილი, საჩუქარი“. დასაფლავების დღეს ვაჟებს მამის ან დედის სახელზე შეწირული საქონელი მოჰყავდათ. ასევე დასაფლავების დღეს აღზრდილ მამამკუძის ან დედამკუძის სახელზე სამსხვერპლო საქონელი მოჰყავდა. თუ მამამკუძე იყო გარდაცვლილი, შეედლო მოეყვანა ცხენი უნაგირით და მთელი სამხედრო აღჭურვილობით, რომელსაც შავი გადასაფარებელი ჰქონდა. ცხენის უნაგირი რომელიმე ახლო ნათესავს ეკავა (**ადგელარა** „გვერდით დგომა“). დიდი ოჯახის გაერისა და ქონების განაწილების ტრადიციული წესები XIX ს-ის მეორე ნახევარში ნაწილობრივ შეიცვალა. ახალი ნორმებით გაყრა და ქონების განაწილება ოჯახის უხუცესის სიცოცხლეში შესაძლებელი გახდა. აქედან გამომდინარე, დიდ სახლში საცხოვრებლად მშობლებთან ერთად დაუქორწინებელი, უმცროსი ვაჟი რჩებოდა. მშობლების სარჩენად მას ზედმეტი წილის სახით მშობლების სარჩენ წილს **აფსათატე**-ს – ერთ ძროხას უტოვებდნენ, რომელსაც შემდეგ დაკრძალვისათვის გამოიყენებდნენ. ამ ძროხას **აფსათატე** ანუ დედ-მამის წილი ეწოდებოდა.

აფსანგერი (აფსანგდარე, აფსანგდერი, აფსანგარი) – გრდემლი.

აფსარდი – ღუქარდი, ცხვრის საკრეჭი მაკრატელი. სპეციალური მაკრატელი, რომლითაც მამაკაცები ცხვარს კრეჭდნენ.

აფსასა – „წერილი სული“, წერილფეხა საქონელი.

აფსახვა // წაყატვი ამათვა – საცვლები, საცვალი.

აფსთა იანხუ (აფსთა იანხიუ) – ხეობის მბრძანებელი სული.

აფსთირ (აფსთერ) – ხეობის ჯვარს.

აფსთირ (აფსთერ) – ჯარი, ღაშქარი.

აფსთიერთა (აფსტუერთა „მიცვალბულის დამარხვის ადგილი“, აფსტუერთა) – სასაფლაო.

აფსთურა (აფსტურა) – მიცვალბულის დამარხვა, დაკრძალვა, დასაფლავება.

აფსიძ (აფსემ) – თევზი (სული წყალში). ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თანამედროვე აფხაზეზმა ზღვის პროდუქტების გამოყენება მხოლოდ ახლახან დაიწყო. XVII-XIX სს. ლიტერატურაში (არქანჯელო ლამბერტი, ნ. ვიტენი, ლეონიდი – ლ. კოველინი) ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეზი თევზს არ იჭერდნენ და რაციონში თევზის გამოყენება არ იცოდნენ, ხოლო კიბორჩხალა ეზიზღებოდათ. ამრიგად, როგორც ჩანს, თევზის მიმართ მათი დამოკიდებულება აფხაზურ-ქართულმა ისტორიულ-კულტურულმა ურთიერთობამ შეცვალა XX ს-ში.

აფსლაპე (აფსლაპი) – შველი.

აფსნი (აფსნე) – აფხაზეტი.

აფსუა – 1. აფხაზი. 2. აფხაზური.

აფსუა ბეზშია – აფხაზური ენა.

აფსუა ჟელარ (აფსუა ჟილარ) – აფხაზი ხალხი.

აფსუა ქეწარა (აფსუა ქიწარა) – აფხაზური ქსოვა.

აფსუა შანწა შგაქი (აფსუა შანწა შიაქი) – აფხაზური კაჟიანი თოფი.

აფსუაჟ „აფხაზური ყურძენი“ – ყურძნის ჯიში. მისი ძველი სახელწოდება იყო **აბყურზენი** (< ქართ. ყურძენი), რაც იგივე ყურძენია. ჯიში, რომელიც XX ს. დასაწყისში გამოიყვანეს ქართველმა მეღვინეებმა, აფხაზებმა მას მოგვიანებით აფხაზური ანუ აფსუური ყურძენი უწოდეს.

აფსცვაჰა (აფსციაჰა) – „მკვდრების ბატონი“, სიკვდილის ღვთაება (წარმართ. რელიგია).

აფსხურა – „მკვდრის წილის კეთება“, ქელები (= მიცვალებულის წილი). ადამიანის გარდაცვალებიდან გლოვის მთავარ და ბოლო ეტაპამდე (წლის-თავამდე) ჭირისუფლებს რამდენიმე საფეხურის გავლა უხდებოდათ: 1. მიცვალებულის „შეცხადება“ ანუ **აჰჰგვარა** „კვილი“; 2. დატირების პროცესი – **აწუჟუარა**; 3. დაკრძალვა-ქელები; 4. „ფეხის გახსნა“; 5. „ორმოცი“; 6. „წლისთავი“. დაკრძალვის დღეს მიუღი სოფელი, ახლო და შორეული ნათესავები იყრიდნენ თავს მიცვალებულის სახლში. დაკრძალვის წინ **აფსხურა** იმართებოდა სამარხო კერძებით. დაკრძალვის მომენტისათვის მიცვალებულის ცხენს შავ გადასაფარებელს გადააფარებდნენ, უნაგირს დალაგამდნენ, გარდაცვლილის ქამარ-ხანჯალს, მათრახს, თოფ-იარაღს ჩამოჰკიდებდნენ. სასაფლაოზე პროცესიის თავში ყველაზე ახლობელ მამაკაცს მიცვალებულის ცხენი მიჰყავდა, შემდეგ მგლოვიარე მამაკაცები მიდიოდნენ, ბოლოს კი თმაგაშლილი ჭირისუფალი ქალები მიჰყვებოდნენ.

აფსჰა – აფხაზეთის მთავარი, მფლობელი.

„აფსჰა“ – აფხაზების წინაპარი ფოლკლორში, რომელთანაც დაკავშირებულია აფხაზების წარმოშობა. ლეგენდებში იგი ბერძენი იყო. მას შვილი არ ჰყავდა. ურჩიეს საცხოვრებელი ადგილი გამოეცვალა, რომ შვილი შესძენოდა. ჩამოვიდა იმ „ქვეყანაში“, რომელსაც დღეს „აფხაზეთს“ უწოდებენ. ახლანდელ ქ. გაგრასთან მიბეში დასახლდა. ცოლი დაორსულდა. ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიიდან ვინმე ანბა ჩამოვიდა. მთის წვერიდან ზღვა დაინახა, გადაწვიტა „წყლის დიდ აუზთან“ მისვლა და ფონის მოძებნა. ფონს ვერ მიაკვლია, მაგრამ ხეტიალის დროს აფსჰას სახლს მიადგა. სტუმარი კარგად მიიღეს. მას უამბეს ოჯახის თავგადასავალი. იმ დამეს აფსჰა მემკვიდრის დაბადებას ელოდა. ანბა ტყეში დაიშალა და გამოთენიხას ახალშობილი ბიჭი გაიტაცა. დიდი ხნის მერე ანბამ და მისმა სამმა ძმამ გაზრდილი ბავშვი აფსჰას ჩამოუყვანეს და უთხრეს, რომ ეს მისი შვილი იყო. საფასურად მათ აფხაზეთის მიწა-წყალზე დასახლების ნებართვა სთხოვეს. აფსჰა დიდხანს არ თანხმდებოდა, მაგრამ მემკვიდრის გამოჩენამ ქვედი მოახრევეინა. ძმები ანბები აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლდნენ. პირველი აფხაზეთი აფხაზეთის ტერიტორიაზე სწორედ ძმები ანბები იყვნენ.

აფურჩა (აფურჩა) – (იგივე მგერ. **ფურჩა**) სიმინდის ტაროს შემოსხვეული ფურჩი.

აფში (აფში) (აბჟ) – სიმინდი.

აფშემა (აფშიმა „მასპინძელი“) – 1. მასპინძელი. 2. ქონების პატრონი. ტერმინი მხოლოდ ოჯახის უხუცესის, ოჯახის უფროსის მიმართ გამოითქმებოდა.

აფშემარა (აფშიმარა) – მასპინძლობა.

აფშემაცვა (აფშიმაცია) – „მასპინძლები“, მთელი მასპინძელი თემი რომელიმე სტუმრისთვის.

1. აფშირჰა (აფშერჰა) – 1. მთლიანი ხისგან გამოთლილი ცილინდრული ჭურჭელი. იყენებდნენ ყველის შესანახად ან მაწვნის შესადგებლად. 2. ბზოფ. თიხის მომცრო დოქი. 2. **აფშირჰა (აფშერჰა)** – მარცვლის შესანახი გეჯა. ხის კასრი, რომელშიც ინახავდნენ გადარჩეულ მარცვალს ახალ მოსავლამდე. ასევე ფქვილს და მარილსაც ინახავდნენ

აფშეცა – ქსელისა და მისასქელის გამამაგრებელი ხლართი (საფეიქრო რემიზი).

აფშესურთა – სათვალთვალ ადგილი.

აფშიხეცვა (აფშიხეცია) – თარეშების დროს ღამის მზვერავები.

აფშიმაფჰუს (აფშიმაფჰიუს) – „მასპინძელი ქალი“, დიასახლისი.

აფშეცვა (აფშეცვა „მხედველი“) – მოდარაჯეები ხეობაში, მოპიკეტეები, ურთიერთდახმარების დროს.

აფნათლა – სიმინდის საცხეველი, ოთხფეხიანი ძარა.

აფნარაჰ – იალალზე მწყემსები ირჩევდნენ ნადირობაში გამოცდილ მწყემსს, რომელიც ნანადირევით ამარაგებდა მათ.

აფნიყი (აფნიყი) – მარცვლეულის ხის სარწყავი.

აფხაილაყე (აფხაილაყ „წინ მდგომი“) // **აფეზა** – წინამძღოლი.

აფხაშარახუ (აფხაშარახი) – „სირცხვილის წილი“, თავისი მშობლების და ნათესავების გამასპინძლება და დასანუქრება. ქორწილიდან ერთი თვის შემდეგ, როდესაც პატარძალი ამჰარიდან ამაწურთაში კერასთან სახიარებლად შეჰყავდათ, ოჯახის ვაჟი, ქალის ქმარი ვალდებული იყო „სირცხვილის წილით“ (წვერილმანი ნივთებით – წინდებით, თავშალით და ა.შ.), ცოლის ნახელავით მშობლები, დაძმები და სხვა წევრები დაესანუქრებინა.

აფხაშახა – 1. „სირცხვილის (კერძი საჭმელი)“. სარიტუალო კერძები იმ დღეს, როდესაც პატარძალი ამჰარიდან პირველად გამოჰყავთ და ქმრის საოჯახო კერას „აზიარებენ“.

აფხაშახა//აფხაშარახაშა//აფხაშარახეშა//აფხაშახა – 2. მამამთილის, ან უფროსი მახლის საწუქარი რძლთან პირველად გამოლაპარაკების დროს. აფხაზი პატარძლის (ასევე სიძის) ცხოვრებაში თავისებური ტაბუ არსებობდა, მას ქმრის მამის, ბაბუის, უფროსი მახლების, დედამთილის, უფროსი შვილების სახელების ხმამაღლა წარმოთქმის უფლება არ ჰქონდა, მთელი სიცოცხლე ქმრის მამასთან და უფროს მახლებთან უბრად უნდა ყოფილიყო. მხოლოდ იშვიათად და ისიც ონემჩირის რაიონში, მამამთილის (მახლის) დიდი თხოვნის შემდეგ შეიძლებოდა რძალი მათ გამოლაპარაკებოდა, რისთვისაც იგი საწუქარს იღებდა.

აფხიხაჰ (აფხიხაჰი) – რკინის ან თუჯის ქლიბი.

აფხადრცა – აფხაზთა შორის ყველაზე პოპულარული ძუის ორსიმიანი საკრავი. მსხლის ფორმის ხის კორპუსზე გაბმულია, რომელზეც ხემით უკრავენ. ჰკავს ქართულ ჭიანჭურს.

აფელგდღ – 1. ბარძაყი. 2. ბარძაყის ხორცი (საქონლის).

აფერსალ – ღუზა.

აფეზა – წინამძღოლი, მეთაური თარეშის, ან ხენის დროს. თარეშის დროს წინამძღოლს განსაკუთრებული წილი ეკუთვნოდა, როგორც ალაფიდან, ისე ტყვეებიდან.

აფჰა – ქალიშვილი, ასული (ნათესაური ტერმინი). < ქართ. მხევალი. **ხე** // **ფხე** (მგერ., იმერ., გურ.) – „ახული“, „ქალი“, „მხევალი“ (მ. ბუკია, 155).

აფჰალ – კოკა, თიხის საწყლე ჭურჭელი. სიტყვა ნასესხებია მგერულიდან, შდრ. მგერ. **ფოხალი**.

აფჰალ – ღვინისა და წელისათვის – კოკა, ფოხალი. სიტყვა ნასესხებია მგერულიდან.

აფჰალფჰა – 1. შვილისშვილი, ქალიშვილის ქალი. 2. შვილიშვილი, ქალიშვილის ვაჟი.

აფჰე (აფჰი) – სიმინდის ჩალა. მოიხმარებოდა საქონლის საკვებად, აგრეთვე ნაგებობის გადახურვის დროს და თიხასთან ერთად შერეული კედლების შესალესად.

აფჰუსაგარა (აფჰიუსაგარა „ქალის მოყვანა“) – დაქორწინება.

აფშუს ამწარსრა (აფშიეს ამწარსრა) – ქალის მოტაცება (საქორწინოდ). ქალის მოტაცების შედეგად ქორწინებას **ამაბა** „საიდუმლო“ ეწოდებოდა. თუ მშობლებს ეს მოტაცება მიანდათ დანაშაულად, მაშინ ასეთ საქორწინო ურთიერთობებში ჩვეულებითი სამართლის ნორმები გამოიყენებოდა. აქედან გამომდინარე, ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტის გადასაწყვეტი ხდებოდა **აჩმა** (მამაკაცის გადასახადი საცოლის მშობლებსათვის). მოგვიანებით მსოფლიო და სათაფნოს და საქორწინო საჩუქრების რაოდენობაც, ყოველი ქმედება, რიტუალი გათვლილი იყო სამართლის ნორმებით, რომლის დაცვა საზოგადოების ვალდებულება იყო.

აფშუსეიქება (აფშიესეიქება „ქალის საცვალი; ქალის შარვალი“) – შარვალი. ამ ერთგვარ შარვალს ძველად ატარებდნენ ქალები, ფართო ნაოჭასხმული იყო, იგი კოჭის ქვემოთ იცურებოდა.

აფშუსმუსხე (აფშიესმუსხი) – „ქალის წილი შრომაში“. აფხაზი ქალი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ მონაწილეობდა. ძველად მათ საოჯახო საქმის და ხელსაქმის (კერვა, ქსოვა..) გარდა, ძირითადად, სახლში დარჩენილი საქონლის მოვლა, მიწის დამუშავება ევალებოდათ. ისინი თესდნენ მარცვლეულს და ბოსტანშიც მუშაობდნენ. ამავე დროს, მოჰყავდათ სელი, კანაფი, ბამბა, რაც აუცილებელი იყო ტანსაცმლის შესაკერად (მათგან ძაფს ართავდნენ).

აფშუს ლუთრა (აფშიეს ლუთრა) – ქალების ბოსტანი.

აფშუსცქა (აფშიესცქა) – „წმინდა ქალი, სუფთა ქალი“. ასაკოვანი ქალი, რომელსაც დედათა წესი აღარ ჰქონდა.

აფშუსგარა (აფშიესგარა „ქალის თხოვნა“) – ცოლის თხოვა, შერთვა.

აფშიეს – 1. ქალი. 2. ცოლი. 3. გათხოვილი ქალი.

აფშიეს ახჰარა – გარიგებით ცოლის შერთვა.

აფშიეზბა – 1. ქალიშვილი. 2. რძლის მიმართვა გასათხოვარი უფროსი მულისადმი.

აქადა – 1. ფარდული (დაფერდებული კედლით). მთაში საძოვარზე პრიმიტიულ ნახევარსფერულ, კონუსურ ან ხის კარკასულ ნაგებობას დგამდნენ, ცალმხრივად დახრილს, ორფერდას, თივით დახურულს. თავდაპირველად ნაგებობა მწყემსების შუაცეცხლს ქარისა და წვიმისაგან არ იცავდა, ამიტომ შემდგომი განვითარების შედეგად ფორმა მას თანდათან შეუცვალეს. 2. კარავი. მწყემსების ქოხი ალაპურ საძოვარზე. შქერის ტოტებით წნული ქოხი. სიდიდე დამოკიდებული იყო მთის საძოვრის სიმიდრეზე. ცხოველთა რაოდენობაზე. თუ ბევრი იყო საქონელი, მწყემსების მეტი ჯგუფი ემსახურებოდა. ქოხი კონუსური ფორმისა იყო, თივით გადახურული, დაფერდებული სახურავით. ეს იყო დროებითი ნაგებობა. სხვა ადგილზე გადასვლის დროს შეეძლოთ ქოხის თან გადატანა. ქოხები მუდგებოდა მწყემსებისთვის და საქონლისთვისაც. წნული კედლები მოგვიანებით ფიცრულმა შეცვალა. სახურავი ორფერდა იყო, თივით დახურული. იკეტებოდა წნული ან ფიცრული კარით.

აქადაღარა – შუამავალი საქორწინო მოლაპრაკებაში. მამაკაცის მხარის ინიციატივით სასიძო ირჩევდა შუამავლებს და ქალის ოჯახს უგზავნიდა. შუამავლებად პატრონიმის უხუცესსა და ახლო ნათესავებს, მამამშემესა და ახლო მეგობრებს ირჩევდნენ. სიტყვა ნახესხებია თურქულიდან.

აქადაჩარ < ქართ. ქერი) – ქერი.

აქადაქიფე (აქადაქიფე) – ორატორი (იგივე ქართ. **ქადაგი**). ჩვეულებით სამართალში საქმის განხილვის დროს საბჭოს წევრი მედიატორებიდან (**აბბაცვა**), ხუთიდან ერთი ყოველთვის იყო კარგი ორატორი, ანუ სიტყვის

ოსტატი, რომელიც საქმეს ხმაამდლა აცნობდა ხალხს. იგი თავისი მკვლევარებთან და მხსიერებით გამოირჩეოდა.

აქადაქირა – ორატორობა (< ქართ. **ქადაგი**).

აქარბიჭი // აქირბიჭი (აქარბიჭი // აქერბიჭი) – ჩასქელებული თავფი.

აქიაწა – მადლარი ვენახი.

აქელე – მორი, ჯირკი, დიერ.

აქეაზნარა – „მკვებავი ქვაბი“. დიდი ქვაბი, რომლითაც დიდი ოჯახი იკვებებოდა.

აქეაცე (აქიაცი) „1. კონუსის ფორმის საგანი; 2. წოწოლა“ – წნული, მრგვალი ფაცხა. თხილის ტოტებისგან დაწნული, კონუსური ფორმის გადახურული. კეთდებოდა, როგორც ბარში, ისე მთაში მწვემსების მიერ. გადაადგილების დროს, ერთი ადგილიდან მეორეზე მისი გადატანა ადვილი იყო, მას შლიდნენ და ისე გადაჰქონდათ. ზამთარში წნული კედლები თხაში არეული გვიძრით ან თივით იღვებოდა. საცხოვრებელს საძირკველი არ ჰქონდა. იგი უსარკმლო და მიწის იატაკიანი იყო. სახურავი გვიძრით (**თერასლა**) ან თივით (**ფშილა**) იყო დაფარული. ნაგებობის კედლის სიმაღლე 2,4 მ, სახურავით კი, სიმაღლე 5 მ და 70 სმ-ს აღწევდა, მისი დიამეტრი 4,4 მ იყო. კედლებში სიმაგრისთვის მაგარი ხის (მუხის) ბოძები ჰქონდა ჩატანებული. იგი გარედან კედლებზე მკერივად იდებოდა. აქეაცის კედლებზე, ზემოთ 4 მ-მდე ხეკაუჭები (**ახაპი-წიპი**) აღიოდა, რომლის ბოლოები კონუსური ფორმით, წვეილ-წვეილად ერთმანეთთან იკვრებოდნენ. ხეკაუჭების შეკრული თავები ერთმანეთთან ახლოს (18 სმ) თავსდებოდა და იწვნებოდა. შემდეგ ბურბუმელათი ან ფინხით იფარებოდა, რითაც სახურავის საფუძველს ქმნიდნენ. მათ შორის დარჩენილი სერელები დამატებითი მოკლე ხეკაუჭებით იგებოდა. შემდეგ ეს ხეკაუჭები სამ ადგილას ფინხით იკვრებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ იფარებოდა ისინი გვიძრით, თივით ან ლელქაშით (**ყარმასლა**). ნაგებობა ერთკარიანი, შუაცვეცხლიანი იყო. ბოლი მუდმივად ღია კარიდან და კერის თავზე სახურავში საკვამლე მილიდან გადიოდა. შესასვლელი კარის პირდაპირ, უკან კედელს მცირე ზომის ოთხკუთხა სასინათლო ჰქონდა. გარედან გვერდით კედლებზე მიდგმულ მორზე ქვის ფილა, **აპყა** იდო. ძველად, ქათმის ბუდეებსაც გარედან კედლებზე კიდებდნენ. საკვამლე მილს ზემოთ ორფერდა ხის შვერილი უკეთდებოდა, რომ წყალს ნაგებობაში არ შეედღია.

აქეასაბ (აქეასაბ) – არჩვი.

აქეატე (აქეატი) – სელის ქოხი (Е.М.Малия, Народное изобразительное искусство Абхазии, Тб., 1970, 21).

აქეაწა აამსთა – „მადლარის აზნაური“, ანუ „ბადის აზნაური“. იგულისხმებიან ჩანბა, ანბა, ინალ-იფა (ინალიშვილი) და ჩაბალურხვა (<სოტიშვილი) ე.ი. ცრუ, არაოფიციალური აზნაურები (Инал-ипа Ш.Д. Абхазы, Сухуми, 1965, 500-501). აფხაზეთში ფოლკლორული ურთიერთობა თავისებურებების შემსწავლელი მკვლევარები ფიქრობდნენ, რომ ჯერ ბზიფის, შემდეგ აბუკის აფხაზეთში მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში შექმნეს შექმნათ ქართველურის მსგავსი, მხოლოდ სოციალურად სუსტად დიფერენცირებული საზოგადოება. XIX საუკუნეში ამკარად ჩანს – მთავრის, შარვაშიძის ძალაუფლება შედარებით უფრო ძლიერდება. პირველად მაშინ უწოდეს ჩანბას, ანბას, ინალ-იფას და ჩაბალურხვას „თავადი“ (Антелава И.Г., Дзидзария Г.А., Оленецкий А.А. История христианской реформы в Абхазии, “Исторический архив”, V, М. - Л., 1950, 400-405). აამსთას (აზნაურთა) კლასს მიწაზე საკუთრების მცირე ფორმის, მონური შრომის მოხმარების, რამდენიმე ყმა გლეხის არსებობის, ძლიერი გვარის მეთაურის და ამით პრივილეგიების მოპოვების და რაც მთავარია, მფარველის, „ხელამხედ-

ველისა და მეთვალყურის როლის მორგება აყალიბებდა (Анчабадзе Г.З. Князья Шервашидзе-Чачба в кн: Чиковани Ю. Род Абхазских Князей Шервашидзе, Тб., 2007, 503). XVI საუკუნიდან ჩამოსახლებული მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც თავისი გვარ-სახელი წარდგენილი ჰქონდა რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო კომისიის წინაშე დაუმტკიცებელი ან ზოგ შემთხვევაში უარყოფილი აღმოჩნდა. მათი თავადაზნაურებად მოხსენიების კვალი მხოლოდ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას შემორჩა (Душин С., Гребельский П., Чиковани Ю. Дворянские роды Российской Империи, т. IV, князья Царства Грузинского, М., 1998, 20).

აქერა (აქირა „დაფიცება, ფიცის დადება“) – სამკედლოს გრდემლთან **აჟიირა ნეხაში** (= „სამკედლოს სალოცავი“) სამკედლოს გრდემლთან შურის-მაძიებელი სისხლ-მესისხლეობის დროს ფიცს დებდა, რომ მისი ახლობლის მკვლელზე უსათუოდ შურს იძიებდა. აქვე ხდებოდა ასევე მტრის დაწვევლა და ექვმიტანილის ფიცის დადებაც, რომ მას ესა თუ ის საქციელი ან ქურდობა არ ჩაუდგინა.

აქეწა (აქიწა) – დასანაყი ნიგვზის ერთი პორცია; ზეთამოწურული, დანაყილი ნიგვზის გუნდა, ურწყული.

აქეწარა (აქეწარა) – ქარგვა; ნაქარგი, სახე ქსოვილის შემკობის, მორთვის. ე.ი. ტექნიკა – ნაქარგის ფერადი ძაფებით მორთვა, ტილოზე, შალზე, ტყავზე, ბამბის ტილოზე.

აქიარ (აქარ) – ქერი (< ქართ. **ქერი**). აფხაზებს ქერი მოჰყავდათ და მის მიმართ სიტყვა „სასარგებლოს“ ხმარობდნენ.

აქიარმიტ (აქიარმიტ) – აგური (< ქართ. კრამიტი, ქართულში < ბერძნულიდან).

აქითა (აქეთა) – სასოფლო თემი. გვიან გაჩენილი ტერმინია, რასაც ადასტურებს ის, რომ, მართალია, ეს ტერმინი **ქეთ** ფორმით გაგრცვლებულია აბაზებს შორისაც, მაგრამ იგი ნასესხებია თურქული ენიდან, სადაც **ქეთ** სიტყვა „უბანს“ ნიშნავს, ხოლო თურქებთან აფხაზ-აბაზებს XVII საუკუნემდე არ ჰქონიათ ურთიერთობა. გარდა ამისა, ძველად, დასახლების ფორმა პატრონიმიული (ნათესაური) იყო, ამიტომ, სწორად, ასეთი დასახლების სოფლები იყო გაგრცვლებული – ეშ-ქით, ანუ ეშბას თემი, ბაზ-ქით, ანუ ბაზბას თემი. ამჟამად ტერმინი „სოფელსაც“ ნიშნავს. აქითა XIX ს. დასაწვისისთვის უკვე იყო ჩამოყალიბებული, როგორც სოციალური და ეკონომიკური ერთეული. შდრ. აბაზური **ქეთ** „თემი, სოფელი“. XIX საუკუნეში სოფლის მიწებს ჯერ კიდევ თემის მოსახლეობა ერთობლივად ფლობდა და განაგებდა. მათ მფლობელობაში იყო – სახნავი მიწა, სათიბი, ტყე, საძოვარი და სხვ. სოფლისა და თემის ტერიტორია ერთმანეთს ემთხვეოდა.

აქითამგია (აქეთა-მგია) – სასოფლო გზა.

აქინციზ (აქედნცეზ) – ხისგან გამოთლილი ღვინის სასმისი, ირეცხებოდა მხოლოდ ღვინითვე.

აქიჟ (აქეჟი) – დაკოდილი თხა. სწორად რელიგიურ დღესასწაულზე წლის დაკოდილ თხას სწირავდნენ ღვთაებებს. ჩრდილო კავკასიაში ცხოვრების დროს თანამედროვე აფხაზების წინაპარი მესაქონლეები უმეტესად სწორედ მეთხევობით იყვნენ დაკავებული.

აქირა (აქვრა) – ქირა; იჯარის გადასახადი (< ქართ.). **აქირარა // ქირალა აგარა (აქვარარა // ქვრალა აგარა)** – დაქირავება.

აქირთვა (აქერთვა) – ქართველი (ტა = ადამიანი).

აქირმიტგენი (აქვრმიტგენ-კენ „აგურის სახლი“) – აგურის ორსართულიანი სახლი. აფხაზები გამომწვარ აგურს **აქირმიტ // აქილმეტ // აკირმიტ**

(აქერმეტ // აქალმეტ // აკერმეტ) სიტყვებით აღნიშნავენ, რომლებიც მომდინარეობს ბერძნულიდან ქართულში შემოსული **კრამიტი** სიტყვისაგან.

აქირსიან (აქურსიან < მეგრ. **ქირსიანი**) – ქრისტიანი.

აქლამუშ (აქლამეშ) – ფელამუში, მაჭარისგან გაკეთებული სქელი წვენი. ყურინის წვენისა და სიმინდის ფქვილისგან ერთად მოღუღებული ფელამუში. ფელამუში ქართველებისგან აქვთ ათვისებული, ისევე, როგორც სახელწოდებებია.

აქლიბ (აქლებ) – ქლიბი.

აქუშია = აჩუან ე.ი. ქვაბი,

აქამთა // **აქამფთა** – პარტახი, ნასახლარი.

აქარანჯ (აქარანჯ) – მოჯამაგირე.

აქარანჯრა (აქარანჯრა) – მოჯამაგირეობა.

აქასა – 1. ქისა (< აღმოს. **ქისა**); 2. აქასა – ქისა თამბაქოსთვის.

აქეშმეშ – ქიშმიში, ჩამიში (< ქართ. **ქიშმიში**, შემოსულია სპარსულიდან).

აქერბეჯ ბზიფ. // **აქარბეჯ** აბჟ. – ჩაშაქრებული თაფლი.

აქერთუა ეიმა – ქართული წულა.

აქერსიანრა (აქერსიანრა) – ქრისტიანობა.

აღატამა (აღატამა < მეგრ. **ღეტამა**) – ტაბიკი.

აღა, ათეჭვაბა (აღა, ათიბაბა – საბერეველი.

აღუგავაშე (აღიგ-გავაში „ფიცრის ჭიშკარი) – აღაყაფის, ფიცრის ჭიშკარი.

აღუთი (აღიგ-თიგ „ფიცრის კედელი“) – უბრალო ხის სახლი, ფიცრული. ერთოთახიანი, კერიანი, მიწის იატაკიანი საცხოვრებელი. ფიცრები ნაჯახით ითღებოდა. თავდაპირველად ამ საცხოვრებელსაც ჭერი არ ჰქონდა. ზოგჯერ მას ფასადის მხრიდან ღია ჩარდახს უკეთებდნენ. სახურავი ოთხფერდა იყო, იფარებოდა თივით, გვირგვინით ან ღელქაშით. შიგნით გადატახრული, ორკარიანი იყო, შიდა კარი, წნული და მოკლე ჰქონდა. მოგვიანებით, ზოგჯერ ტახრულით რამდენიმე ოთახი კეთდებოდა, პატარა დიობი ფანჯრებით. ოთახები შიგნიდან კარებით იყო დაკავშირებული. ერთ-ერთი ოთახი სასტუმროდ მოიხმარებოდა.

აღვაკიამისა (აღვაკამისა) // **არვაკია** (აღვაკია) – ერთგვარი ხანჯალი, სატევარი, ყამა.

აღუცემყია (აღიგციმყია) – პატარა ფიცარი, ფიცრის ნაჭერი.

აღუხვარხ (აღიგხვარხ „ფიცრის ხერხი“) – ბირდაბირი, დიდი ხერხი (შრომის იარაღი). < ქართ. ხერხი.

აღუხხია (აღიგხხია) – სამხერხაო (ხე-ტყისა).

აღიგ – ფიცარი.

აყვა – ქვის სანაყი. მასში მზადდებოდა თოფის წამალი – **ახუშა**.

აყიდღეიშანგ – ლობიოსა და ცხვრის წვენიანი (ანუ ე. წ. „სუფი“). ცნობილია, რომ სანამ აფხაზების წინაპრები საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლდებოდნენ, ისინი მესაქონლეები იყვნენ და უმეტესად საკვებში თხის, ცხვრის ხორცსა და მათ ქონს იყენებდნენ.

აყიდღრშშეგა – ლობიოს ამოსალესი ჯოხი, რომელსაც ბოლოში რამდენიმე გამოზრდილი ტოტი აქვს. ტოტები დამოკლებულია და როდესაც ორივე ხელში მოქცეულ ჯოხს სწრაფად ატრიალებენ, ლობიო კარგად იღვესება.

აყია – თივის ზვინი.

აყიანჭ (აბჟ) – „აბრეშუმის ჭიის ღვთაება“.

აყარდი – ჯორკო სკამი. < ქართ. ჯორკო სკამი (ქ. ლომთათიძე, აფხ. **აყარდი** („საჯდომი ჯორკო“) სიტყვის წარმომავლობა, არნ. ჩიქობავას ს.ხ.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის 59-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2000, 34).

აყადტან – შავი თასმა, რომელსაც ჩოხის კალთებს, მკლავებს და ქიღვაშების ჩასადებს აყოლებდნენ.

აყაბ – გოგრა.

აყაბარდ – ყაბარდოელი.

აყადა – სპეციალური დაზგა. სელის ქსოვილზე აბრეშუმის ძაფით სპეციალურ დაზგაზე გამოჰყავდათ სხვადასხვა ფერის ლამაზი ორნამენტები.

აყადა – თასმა (საქსოვი დაზგის ნაწილი).

აყაღა – ციხე, ციხე-სიმაგრე (< თურქ.).

აყამა – ხანჯალი, ყამა (სიტყვა ნასესხებია თურქულიდან, შდრ. მეგრული **ყამა**).

აყამჩი (აყამჩე) – მთრახი. სიტყვა ნასესხებია თურქულიდან.

აყანთარუაზ – პატრონტაში.

აყანჯააპარა – მებაგრეშემეობა (კომპოზიტი: < მეგრ., სვ., იმერ. **ყანჯი** = აბრეშუმის ჭიის პარკი, აფხაზ. **ააპარა** „გაზრდა“, ე. ი. აბრეშუმის ჭიის გაზრდა, ანუ მოვლა).

აყარან – ყარანაელი.

აყარმა – სვია („თეთრი სვია“), ისლი. მდინარის პირის სვიარა მცენარე. მოიხმარებოდა ნაგებობის გადახურვის დროს და თიხასთან ერთად შერეული კედლების შესადგენად.

აყარმაშ (აყარმაში „თეთრი სვია“) – 1. ლელქაში. 2. ისლი. ძველად, წნული საცხოვრებლის კედლების დასაწნავად, სახურავის გადასაფარად იხმარებოდა. წნავდნენ ჭილოფებსაც.

აყარმეგე (აყარმეგი), აყაფყაფ – ხის ქოშები (ქალებისთვის). **აყაფყაფ** || **ბზიფ**.

აყარმეგე – ქალის ხის ქოშები. ორ მაღალ სადგარ საყრდენზე, რომელთა შორის გატარებული იყო თასები. თუთის ხის მასალისაგან მზადდებოდა. ხედიდან ფართო კოლი – **ახემაა** ემატებოდა, რომელიც ტყავის ან შავი ტარსიკონისაგან კეთდებოდა (<მეგრ. **ყაყაბია**).

აყატარ – ყავარი < ქართ.

აყაურმა – ყაურმა. მცირე ნაჭრებად დაჭრილ ცხვრის ხორცს ღუმის ქონთან ერთად დებენ თუჯის ქვაბში და ხარშავენ. უკეთებენ სხვადასხვა არომატული მწვანელების ღეროებს. თუჯის ქვაბიდან ყაურმა გადააქვთ თიხის ღრმა ქოთანში. მას მაგრად ახურავენ თავს და მიწაში მარხავენ. საჭიროების შემთხვევაში, გარკვეულ რაოდენობას ამოიღებდნენ და სპილენძის ტაფაზე აცხელებდნენ. ღომთან ერთად მიირთმევდნენ ამ საკვებს. ტაფაზე გაცხელებული ყაურმა ჩქარა რომ არ გაცივებულიყო, ღომის ღრმულში ასხამდნენ.

აყვალმინთა (აყვალმინთა) – პიტნა (< მეგრ. **ყვალმინთა** „ყველის პიტნა“ = მეგრ. **ყვალი** „ყველი“ + ბიზანტიური ბერძნ. **მინთა** „პიტნა“).

აყვარდე (აყვარდი) – სამფეხა სკამი ან ჯორკო (დაბალ სკამად გათლილი ნამორი), დასაჯდომი.

აყვარილ (აყვარელ) – ყვერული, დაკოდილი მამალი, რომელიც სწრაფად სუქდება. მას წიწილებსაც აზრდევინებენ (< მეგრ. **ყვარილი** „ყვერული“, **ყვარუა** „დაყვერვა, დაკოდეა“).

აყვარჩ – ძელური ოთხკუთხა მასიური კოშკი, სადაც ქვებს აგროვებდნენ და შურდულით ისროდნენ.

აყვბარ (აყიბარ < ქართ. **ყვიბარი**) – თიხის მცირე ჭური, ქოცო.

აყვჯალ (აყიჯალ) – ქოთანი. სიტყვა ნასესხებია მეგრულიდან: **ყუჯელი** „ყურიანი ქოთანი“, შდრ. მეგრ. **ყუჯი** „ყური“.

აყი (აყე) – ნაკელი, ნეხვი, ფუნა.

აყიგა (აყგება) – ხატეხი. შრომის იარაღი.

აყუდ (აყიუდ) – ლობიო. ლობიოს სპეციალურ ქოთანში (**აყუჯალ**, შდრ. მეგრ. **ცუჯელი** „ყურანი“) აკეთებდნენ. ყველანაირ ხუნელსა და აჯიკას უკეთებენ და ღომთან ერთად მიირთმევენ.

აყუდაფუშ (აყიუდაფუშ) – წითელი ლობიო.

აყუდეილიორშეშეა (აყიუდეიღღერშიშეა „გაქნილი ლობიო“) // **აყუდრფაფა (აყიუდრფაფა „გაფაფებული ლობიო“)** // აბჟ. **აყუდხარკალეი (აყიუდხარკალეი)** – ნიგვზიანი ამოღესილი ლობიო.

აყუდირპაპა (აყიუდერპაპა) // **აყუდეილიორშეშეა (აყიუდეიღღერშიშეა)** – მოხარშული და ნიგოზ-აჯიკით ისე შეკაზმული ლობიო, რომ მარცვლები მთლიანი დარჩეს. კირკაჟი.

აყუდირშეშეა (აყიუდერშიშეა) – ხორციანი ლობიო.

აყუდირშეშეა (აყიუდერშეშეა) – მოხარშული ლობიოსათვის მარცვლების ამოსალესი კაპებიანი ჯოხი.

აყუდირცა (აყიუდერცა „ცხელი ლობიო“) – ლობიოს წვნიანი.

აყუდოპანი (აყიუდოპანე) – ვერმიშედიანი ხორცის კერძი.

აყუდკალია (აყიუდკალია) – პარკი ლობიო, მწვანე ლობიო.

აყუდრშეშეა (აყიუდრშეშეა „ამოღესილი ლობიო“) // **აყუდრწაფა (აყიუდრწაფა „შეკაზმული ლობიო“)** – ამოღესილი ლობიო.

აყუდრწეი (აყიუდერწეი „მეფე ლობიო“) – ლობიოს წნილი.

აყუდრწერი (აყიუდერწერი „მოგრძო ლობიო“) – კუთხოვანი ლობიოს ჯიში.

აყუდ-ხარკალეი (აყიუდ-ხარკალეი), ანუ აყუდ-ეილიორშეშეა (აყიუდ-ეიღღერშიშეა) – მოხარშულ ხმელ ლობიოს უმატებენ ქინძს, კამას, წიწაკას, მარილს, პრასს და აჯიკას, ზოგჯერ გახეხილ ნიგოზსაც. ლობიოს კირკაჟი.

აყურყან (აყიურყან) – ყურანი.

აშა – სისხლი. XIX საუკუნის ცნობებით, შურისძიების შემთხვევაში აუცილებელი იყო მოკლულის სისხლის შეფასება. ადამიანის სისხლი თავდაპირველად ნატურალური გადასახადით, ე.ი. ცხოველებით (საქონლით) ფასდებოდა.

აშა ჟვარ აქუმ (აშა ჟვარ აქუმე) – „სისხლი არ ძველდება“. ხალხური გამოთქმა. სისხლ-მეხისხლეობა თუ ჩადგებოდა გვარებს შორის, ის არ ავიწყდებოდათ. შურისძიება უპირველესად ვრცელდებოდა ახლო ნათესავ მამაკაცებზე. შემდეგ კი უფრო შორეულზე; ისევე, როგორც შურისმაძიებელი ხდებოდა ჯერ ახლო და თუ ასეთი არ იყო, შორი ნათესავი.

აშაყა – ბოძი.

აშიე – სამგლოვიარო ძაძა.

აშიე – ხორბლის ჯიში.

აშელაჭჭე – მომწვარი ფქვილი, ქუმელი.

აშემპა – წყავის წვენი.

აშემპაძე „წყავის წყალი“ // **აბაციძე „ხდმარტლის წყალი“** – ხილის წვენები.

აშინაყმა – შინაყმა (ქართ. **შინაყმა**). ამ ტერმინს ნაძარცვისა და ალაფის მნიშვნელობაც აქვს.

აშინარცავე – მონადირე

აშილაგანი – სულგუნი. ყველის ეს სახეობა დასავლურ-ქართველური კულტურული პროდუქტია. იგი აფხაზეზმაც ათივისეს. მისი სახელწოდებებია – სამეგრელოში, იმერეთში, დენხუმში, სვანეთში, რაჭასა და გურიაში – სულგუნი/სელეგინი/სიოგინი/გვაჯილ/გვაჯილი/ გადასხელილი მეგრული სულგუნის თვისებები – ელასტიურობა, ფენოვანება ქართველი მეურნის

მიერ ხანგრძლივი დაკვირვებისა და გამოცდილების გზით არის გამოშუშავებული. სულგუნი ძროხის რძისაგან მზადდება (ნ. თოფურია, რძის დამუშავების ხალხური წესები სამეგრელოში (ყველი), ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, თბ., 1964, 46, 51, 59). თხის რძის ყველი დიდხანს არ ინახება, მატლი უნდება. ძროხის რძის სელეგინი დიდხანს ინახება. სელეგინს ხის ჭურჭელში – ბუყუნში ინახავდნენ. სლოგინი/სილოგინი/სელეგინი – მეგრული მეტყველების წიაღშია წარმოქმნილი – „სირსოუა“ ნიშნავს ჭყელტას, სრესას, სოლო „გინი“/„გინო“ – იქით-აქეთ, გაღმა-გამოღმას (რ. თოფიშვილი, ქართველთა კვებითი კულტურის ისტორიიდან: სულგუნი, თბ., 2014, 7, 11).

აშირა/ატაზგლა – შებოლილი ყველი.

აშაბსთა – არჩვი.

აშათა – 1. ძირი; 2. საფუძველი;

აშალაშინ (აშალაშენ) – შალაშინი. სიტყვა ნახესხებია ქართულიდან. შდრ. ქართ. **შალაშინი** (შრომის იარაღი).

აშამაყა – 1. მსხვილფეხა საქონელი. **აშამაყა** – 2. სანთელი (ეს არის მსხვილი სანთელი მიცვალებულის მოსახსენიებელი). ეს მნიშვნელობა განვითარებულია მსხვილფეხა საქონლის აღმნიშვნელი **აშამაყა** სიტყვის მეტაფორული, გადატანითი ხმარების შედეგად.

აშამხირახე (აშამხერახი „მუხლის პირუტყვი“) – საქონლის ან სხვა ნივთების დატაცება თარეშის დროს.

აშამხკურშე (აშამხკერში) – „მუხლისთაგზე შემოსახვევი“, გეომეტრიული ნახჭით, რომების შეთავსებით კუთხეებში, რომელიც სწორ რიგებს შორისაა მოქცეული, სამუხლე პირსახოცი (სიგრძე 2-2,30 მ; განი – 40-60 სმ). მდიდარი ნახჭით ბოლოში, მაქმანებით ან გრძელი დაგრეხილი ფოჩებით მორთული. იგი მისაღებ, სასტუმრო ოთახში დეკორატიულ გადასაფარებლად გამოიყენებოდა. ამ პირსახოცს ე.წ. „ქალთა ღხინის“ დროსაც მოიხმარდნენ, რომელიც პატარძლის სახლიდან გაცილების შემდეგ ეწყობოდა. საქორწინო სუფრასთან დარჩენილ კაბატონებს მუხლებზე აფარებდნენ. ქორწილზე პატარძლის სახლიდან გვარის უხუცესი მომავალი ქმრის სახლში დოცვა-კურთხევით უშვებდა პატარძალს. ამიტომ გვარის უხუცესს საზეიმო ვითარებაში **აშამხკურშეის** მსგავს პირსახოცს გადასცემდნენ, რომელიც თითქმის ერთი ცხენის ღირებულებად ითვლებოდა.

აშამხკურშე ეიმჭაფა (აშამხკიერში ეიმჭიაფა) – „დაყოფილი სამუხლე“, ოთხთავიანი, სპეციალური პირსახოცი. ამ პირსახოცებს ვაშლილი სახით ჯვრის ფორმა ჰქონდა. ყოველი მხარე დაახლოებით 2 მ სიგრძისა იყო, მოქარგული ან ქსოვილი ნახჭით იყო მორთული. დაგრეხილი ფოჩებით ან მაქმანით მთავრდებოდა. პატარძალს ასეთი პირსახოცი ერთი მაინც უნდა ჰქონოდა. ამით იგი დედამთილს ან მამულს ქორწილის დღეს ეხოშივე ასაჩუქრებდა. მამაკაცის მხარე ამ პირსახოცს ჯვრის შუა ნაწილით ეხოში, სპეციალურად მომზადებულ ბოძზე გადააფარებდა. ჯვრის ფორმის პირსახოცი ქორწილის დროს დიდ როლს ასრულებდა. იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო პატარძლის მზითვეში. ასეთი პირსახოცს ოთხივე ბოლოზე ავი ძაღვების დამცველი სიმბოლოები ჰქონდა, უცხო ოჯახში შესულ პატარძალს იცავდა.

აშამხკიერში – მარჯულისებური დაგრეხილი ქსოვა.

აშამხთარფა – „მუხლის ყაბალახი“, სამუხლეები. მამაკაცის სამუხლეები, ნაბდისაგან შეკერილი.

აშანწა შიაქ – კაჟის თოფი.

აშაბი (აშაპე) – „ფეხი“, კაუის სახსლეტი.

აშაბიქეწა (აშაპექიწა) – „ფეხზე დადებული“, აკვანში ჩაწვენილი ბავშვის მუხლებზე, არტანის ქვეშ დასადები პატარა ბალიში.

აშაპაკაჭე (აშაპეაჭი) – „მოკლე ფეხი“, ღობიოს დაბალი ჯიშო.

აშარა – 1. სისხლის ფასის ნატურალური გადასახადი. **აშარა** – 2. ტაბუ. ოჯახის რძლებს მამამთილისა და უფროსი მახლებს სახელების ხმამაღლა წარმოთქმა აკრძალული ჰქონდათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მამამთილს სიცოცხლის ბოლომდე არ ელაპარაკებოდნენ, თუ რაიმეს თქმა აუცილებელი გახდებოდა. ბავშვის ან ვინმე ნეიტრალური პიროვნების დახმარებით უნდა გაეგებინებინა.

აშას (აშასს „1. მძევალი; 2. გირაო“) – მძევალი. აფხაზები თარეშის დროს ტყვის, მძველის ოჯახისგან ითხოვდნენ გამოსასყიდს. გამოსასყიდის მოსათხოვნად სპეციალური ტერმინი არსებობდა მძველისთვის – **ახეღუქეწა (ახიდგექიწა** „ადამიანი ჩადეს სანაცვლოდ“ „კისერზე დადებული, დაკისრებული, დავაღებულებული“).

აშაუჯე – „სისხლის მკეთებელი“, შურისმაძიებელი, სისხლის ამღები. შურისმაძიებელი მოკლულის ყველაზე ახლობელი ადამიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ ავადმყოფი ან ასაკოვანი იყო, მაშინ ამ აქტს თავის თავზე მომდევნო საფეხურის ნათესავი კისრულობდა. იგი მოკლულის ნეშტთან ფიცს დებდა შურისძიებაზე. იმ დღიდან იგი თემის საზოგადოებრივ თუ ოჯახის საქმიანობაში, ან რაიმე დღეობა-დღესასწაულებში მონაწილეობას არ იღებდა. საკუთარი სახლიდან მოშორებით ტყეში განდგევილ ცხოვრებას ეწეოდა. თავს შავი ყაბალახით იფარავდა, რაც გლოვის გამოხატულებაც იყო. იგი მხოლოდ შურისძიების შემდეგ თავისუფლდებოდა ფიცისაგან და სახლში ბრუნდებოდა. მოკლულის სისხლი მხოლოდ დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავი მამაკაცის სისხლით უნდა ჩამორეცხილიყო. შურისძიების კვალზე შემდგარი ადამიანი ნორმატიულ წესებს იცავდა. სისხლმესისხლეობის კანონების დარღვევა თავის შერცხვენას მოახწავებდა.

აშაურა – „სისხლის კეთება“, მესისხლეობა, ანუ სისხლის აღება, შურისძიება. აფხაზეთისათვის **აშაურა** საკმაოდ მნიშვნელოვან და სასიცოცხლო საკითხს წარმოადგენდა, რომელსაც მძიმე შედეგებიც მოჰყვებოდა. ეს ჩვეულება მრავალ ასპექტს – საკუთრების მიტაცებას, საქონლის ქურდობას, საცხოვრებელზე ცეცხლის წაქიდებას, ადამიანის დასახინრებას (მით უმეტეს პირსახის), შეურაცხყოფას, ძალადობას, ქალის გაუპატიურებას, ქალის გატაცებას, ადამიანის მკვლელობას და სხვ. მოიცავდა. სისხლმესისხლეობა თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ეთნიკური ჯგუფისათვის მწვავე საკითხს წარმოადგენდა. დაპირისპირებულ მოსისხლე გვარებს შორის ურთიერთობის მოგვარებისათვის ჩარევის უფლება მხოლოდ მოწვეულ მედიატორებს ჰქონდათ, რომელთაც მოსისხლე გვარების წარმომადგენლები ინდივიდუალურად თავად ირჩევდნენ. ნორმები ჩვეულებითი სამართლის კანონებით რეგულირდებოდა. XIX საუკუნის დასასრულისთვის აფხაზეთში სისხლმესისხლეობის ინსტიტუტი მოქმედი იყო. შურისძიების აღების ვალდებულება მამიდან შვილზე გადადიოდა. ობიექტები მკვლედი და მოკლულის უახლოესი მამაკაცი ნათესავები ხდებოდნენ, თუმცა, შურისძიების აქტში დედის ძმის უახლოესი ნათესავებიც ერთვებოდნენ.

აშაუს – „სისხლის საქმე“, სისხლის სამართლის საქმე. აფხაზური სისხლის სამართლის საქმე საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ტრადიციული ჩვეულებაა, ჩვეულებითი სამართალია, რომელიც ნორმატიულ გამოცდილებას თვალსაჩინოს ხდის. აფხაზურ ენაში ჩვეულება ორი ტერმინით –

აშტეღლარა „ჩეუეღებუა, ჩეეეა“ და **აწას**-ით (< ქართ. წესი) აღინიშნება. აფხაზებისთვის ჩეუეღებუა არაბუღი **აღათ** სიტყუით გაღმობცეჟოღა. ეს ტერმინი მათ, როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამობტანეს. აღათი ანუ ჩეუეღებუა უბეღელეს საზოგადოებაში წარმოიშუა, მაგრამ მას ბეღელად იურდიული ძალა არ ჰქონდა. საქართველოში დასახლებული აფხაზი მიგრანტების ყოფაში გვიან შუა საუკუნეებში იგი სამართლის ნორმად და უფლებად მიგვეღვლინა. აფხაზთა აღათისა თუ ჩეუეღებუითი სამართლის მთავარ წყაროს ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი წეს-ჩეუეღებუები შეადგენდნენ. აქედან ერთ-ერთი სისხლ-მესისხლეობა იყო. „სისხლის საქმე“ – სისხლ-მესისხლეობა. უბეღელესი პრინციპი სისხლ-მესისხლეობის „თვალთვალისწილ“ ან „ბიღილი კბიღის წილ“ იყო. აფხაზებში შურისძიებუა თითქმის XX საუკუნის დასაწყისშიც მეტწილად მიქმედო იყო. **აშაუს** – „სისხლის საქმე“ თაობიდან თაობაზე გაღადიოღა და ეთნიკური ჯგუფისათვის მწეავე საკითხს წარმოადგენდა, რადგან მას მიღმე შედებები მოქქონდა. შურისძიების აღების ვალდებუღებუა მაღიდან შეიღლზე და ა.შ. გაღადიოღა, რომელთა ობიექტები პირველ ყოვლისა, მკვლეღი და მისი უახლოესი ნათესაღი მამაკაცები იყენენ. შურისმაძიებულებიღც პირველყოვლისა მამა, შეიღი, ძმა და ა.შ. უახლოესი ნათესავეები ხდებოდნენ. თუ მკვლეღის ოჯახს უახლოესი ნათესაღი არ ჰყავდა, მაშინ მკვლეღობის ობიექტი შორეული ნათესაღიღც ხდებოღა. მართალია, ამ ინსტიტუტის ძირითადი მონაწიღე მხარეები მკვლეღისა და დაზარალებუღის გვარები იყენენ, მაგრამ შურისძიების აქტი დღის მისი უახლოეს ნათესავეებსაც ირთავდა. იგი ფიცს დებდა, რომ შურისძიებამღე ოჯახში არ დაბრუნდებოღა.

აშაულაქეწარა (აშაულაქიწარა) – განაჩენის, მსჯავრის გამოტანა, დაღებუა.

აშაფსა – „სისხლის ფასი“. აფხაზეთის მთავრის სისხლი ყვეღაზე ბიერი ღირდა, ამიტომ მისი მოკვლა შეუბღებელი და დაუშეღებელი იყო. თვალის სისხლისთვის 500 მან., თავისუფალი მეუღემის სისხლისთვის 300 მან., გლეხისთვის 2-3 სულ ტყვეს, თოფს და ხმაღს იხდინენ. 1866-1867 წწ. დაადგინეს, რომ თვალის მოკვლაში 30 სული გლეხი, ცხენი უნავართია და შიღიანი შეიარაღებით, ხოლო აზნაურის მოკვლისთვის 16 სული გლეხი უნდა გაღადახადო.

აშაფსა-ხაფსა – „სისხლის ფასის საშუაღებით აღზრდიღი“. სისხლ-მესისხლეობის დროს უხეღცესთა საბჭოს ჩარევის მიუხედავად, თუ მოსისხლე მხარეთა შერიგებუა უშეღდეღოდ მთავრდებოღა, მკვლეღს დაზარალებუღის ოჯახში მოუღლოდნელად შეჭრა შეეღლო. იგი ეცდებოღა, მოკვლეღის დღის, დის ან ცოღის ბუბუზე ტუნების ძალადობით მიღებას, რის შედგადაც ან მკვლეღის დღის, დის ან ცოღის მოკვლეღის ოჯახში მოუღლოდნელად შესვლისა და პირვეღივე ბავშვის მეკრღზე მიკვროთ ან მისთვის ბუბუს პირში ჩადებით სისხლ-მესისხლეობის შეწევეტის მიზეზი შეექმნათ. ამით ორ მეტრულად განწობიღ ოჯახებს შორის სისხლის აღების ტრადიციული წესი ძალას კარგავდა, რადგან ხეღოვნური დანათესავეების ჩეუეღებუა მეყრდებოღა და გარკვეული უფლებამოვალეობები და ვალდებუღებუები ეკისრებოღათ. ე.ი. **აშაფსა-ხაფსა** ან თვით მკვლეღი ან მოკვლეღის ოჯახის მცირეწლოვანი წეერი ხდებოღა. თუმცა, ამით უკეყოფიღებუა არ ამოწურებოღა. მკვლეღს მეღიატორების მიერ დაღგენიღი „სისხლის ფასიღც“ უნდა გაღადახადო.

აშაფსა-ხეფსა (აშაფსა-ხიფსა) – „სისხლის ფასის – აღზრდიღი“, სისხლის საფასურად აღზრდიღი. მეტრობის შეწევეტის ერთ-ერთი ხერზი. შეიღლად აყვანის ჩეუეღების საშუაღებით მოკვლეღი ადამიანის ოჯახიდან მოტაცებულ ბიჭს შერიგების მსურვეღი მკვლეღის ოჯახი ღირსეულად

ზრდიდა. გაზრდილს 17 წლის ასაკში უბრუნებდნენ მისი მშობლების ოჯახს ძვირფასი საჩუქრებით (ცხენი უნაგირით და ყველა მოსართავით, იარაღით, ტანსაცმლით). ამ წესს **აგინადარა** ეწოდებოდა.

აშაცვა (აშოაცია „გამენნი, გამყოფნი“) – წარმართული ღვთაებები, რომლებიც ბავშვის ბედ-იბლას განსაზღვრავდნენ, მისი დაბადებისთანავე. მათ პატივსაცემად ღოცვა ტარდებოდა გაზაფხულის ერთ-ერთ ორშაბათ დღეს, კერასთან.

აშაცვა (აშოაცია) – ხაფანგი, მახე. უმეტესად შემოდგომაზე და ზამთარში აფხაზი მონადირეები ნათესაური ან სამეზობლო პრინციპით და, რასაკვირველია, პროფესიული ნიშნითაც ჯგუფებად ერთიანდებოდნენ. ისინი ხაფანგების დაგებას იწყებდნენ ცხოველებისათვის და რამდენიმე დღიან და რამდენიმე თვიან ნადირობას აწყობდნენ. იგი სანაპირო ტყეებში ეწყობოდა.

აშახა (აშოახა) – თოკი, ბაწარი, საბელი.

აშახა, აშოშა (აშოშია), აჭაპირხვა (აჭაპერხია) – საქსოვი „თოკები“. საქსოვი ხელობის ნედლეულის ბაზას შეადგენდა მეცხოველეობის პროდუქცია – ცხერის მატყლი, მიწათმოქმედების პროდუქცია – ხელი და კანაფი, ასევე ბამბა და აბრეშუმი.

აშახრა – პრიმიტიული სახის მარცვლის გასაშრობი, რომელიც ეზოში ეწყობოდა დროებით. გაშრობის შემდეგ იღებდნენ და მარცვლეულის საკუჭნაოში ინახავდნენ.

აშაპათ (აშოაპათ, აშოაპათ) – მოწმე. სხვადასხვა საქმეში, მათ შორის სისხლ-მეხისხლეობაში.

აშაპათრა (აშოაპათრა) – დადასტურება, დამოწმება (იურიდიული ტერმინი), მოწმედ დადგომა. მოწმეებს სასამართლოზე გამოსვლამდე „გამწმენდ ფიცს“ ადებინებდნენ. თუ ვინმე ცრუმოწმობას იკისრებდა, მას საკმაოდ მაღალი ჯარიმა ეკისრებოდა. მოწმე ყველა საქმეში.

აშაპარია – ატრია, ხორბლის ფქვილისაგან გაკეთებული მოკლე ვერმიშელის, მაკარონის ტიპის საკვები. უწოდებენ აშაპარიას.

აშე (აში) – წიფელი.

აშე (აში) – ყველი (საკვები). აფხაზ მესაქონლეთა მეურნეობის მთავარი პროდუქტი ყველი იყო. აფხაზები ძველად, უმეტესად, ჯერ თხის ყველს და მოგვიანებით ცხერის ყველს („ატაზლა“, „ახმალია“) ამზადებდნენ. ადაპტაციის შემდეგ მათ ძროხის რძისგან დაიწყეს ყველის ამოყვანა. მოგვიანებით მათ სულგუნიც აითვისეს.

აშეაგა (აშოაგა) – თხილამურები. სიგრძე – 30 სმ, სიგანე 24 სმ, ფერსო შეერთებული და გადაწული საძი ფართო მოგრძო და ექვსი გარდიგარდმო ღვედით, რომელზედაც ფეხი იდგებოდა. ფერსო იყო ხის და მოღუნული. ღვედები მიმაგრებული და გაყრილი იყო ფერსოს ნახვრეტში. წვეილი ღვედით მაგრდებოდა ფეხზე. ფეხსაცმლის ძირზეც იკრავდნენ.

აშეაგაგარდინ (აშოაგაატარდინ „თხილამურ-ურემი“) – მარხილი.

აშეამახი (აშოამახი) – სომეხი < ქართ.

აშეანუა (აშოანუა, აშოანუა) – სვანი < ქართ. **სვანი** (მრ.რ. **აშოან, აშოანცია, აშოანქია**).

აშეარახ (აშოარახ) – ნადირი: ირემი, შველი, არწვი, ჯიხვი, კურდღელი... რასაც მონადირებდნენ.

აშეარახ-ჟი (აშოარახ-ჟე) – ნანადირევი ცხოველის ხორცი.

აშეარცარა (აშოარცარა „სანადიროდ წახვლა“) – ნადირობა.

აშვართლეი (აშვართლეი, აშვართლქე) – სახევეი (წვივსახევეი), წვივსაკრავი, იცვამდნენ შარვალზე ზემოდან.

აშვაქი (აშვაქე), **აშვაქე** (აშვანქ, აშვაქ), **აშვაქი** (აშვაქე) **თანგ**, – თოფი.

აშვაქი-ხუშე (აშვანქ-ხიეში) – თოფისწამალი, დენთი.

აშვაძა (აშვაძა) – „ჭყინტი, ნელი, ჩვილი ყველი“. აღუღებულ, გაწურულ რძეს თუჯის ქვაბში ასხამენ. გარკვეული რაოდენობის შრატსა და კვეთს „აცარგუაში“-ს (რომელსაც საქონლის ფაშისაგან აკეთებენ) უმატებენ. რძე როდესაც ამჟავდება, ნაღვეს შრატი გამოეყოფა. მას ცეცხლზე დგამენ და ნაღვეს ხელით ამრგვალებენ. დამრგვალებულ, ახალამოყვანილ ყველის მასას, მზა, წნულ კალათაში **აშვართა**-ში ჩადებენ და ჩამოკიდებენ. როგორც კი, მასა შრატისაგან დაიწრიტება, იგი უკვე ყველია. დღეს აფხაზებს ორი სახის ყველი ამოჰყავთ. ერთი, რომელსაც მარილის მეტს არაფერს უკეთებენ და სულგუნი – **აშვირლაწა** (**აშვირლაწა** „ერთმანეთში შერეული, გადახელილი“ ანუ **აშვირი** (**აშვირჰე** „დაგრეხილი ყველი“). აფხაზებმა ამ ბოლო ხანს სულგუნის შებოღვაც დაიწყეს. ისინი კერის თაგზე, შესაბოლოად ლატანზე ტოვებენ სულგუნს 2-3 კვირით. იგი ღია ყავისფერი ხდება და სასიამოვნო არომატსაც იღებს. აფხაზებმა სულგუნი ქართველებისგან აითვისეს, ჩანს იქიდან, რომ **აშვეილაწა** კომპოზიტია და ორი სიტყვისგან შედგება – **აში** – ყველი და **ალაწარა** – ზმნა, რომელიც თესვას, ჩხვლეტას, რაიმეში შეტანას ან შეყვანას აღნიშნავს. ზუსტი თარგმანი მიუთითებს, რომ ტერმინი მჟორეულია. ძველად აფხაზების წინაპრები მხოლოდ თხის ყველს აკეთებდნენ.

აშვახა (აშვანა) – ორშაბათი.

აშვახტე (აშვანტე) – გადასახალი, ბეგარა.

აშვეაზ (აშვიაზ) – კარის ჩარჩო.

აში (აშიე) – აბაზებით დასახლებული მხარე ჩრდილო კავკასიაში.

აშიეაჟ (აშიეაჟე) – „საღებავი ყურძენი“, ყურძნის ჯიში.

აშიეკაათ (აშიეკაათ) – 1. ოთხ მაღალ ბოძზე გამართული სარიტუალო მაგიდა, ფიცარნაგი. ჩვეულებრივ მას წმინდა ჭაღის ან ტყის ნაპირზე აკეთებდნენ, სადაც კულტის მსახურება ეწეობოდა. მასზე აწყობდნენ და იქვე ტოვებდნენ რელიგიური რიტუალისთვის შეწირული საკლავის ტყავს, თავს, ჩლიქებს. ძველად მათი სახლში წაღება არ შეიძლებოდა. ფიცარნაგს მაღალ ბოძებზე აკეთებდნენ, რომ ნადირი ვერ მისწვდომოდა. ტერმინს იმ ფიცარნაგისათვისაც ხმარობდნენ, რომელზედაც მეხის დაცემით მოკლულ ადამიანს ასვენებდნენ, ან საქონელსაც დებდნენ. ამ შემთხვევაში მიცვალებულის სახლში დატირება არ შეიძლებოდა, რადგან ითვლებოდა, რომ იგი ღვთის რჩეული იყო. ტირილის ნაცვლად ადამიანსაც და საქონელსაც მხიარული რიტუალური სიმღერებით აცილებდნენ იმქვეყნად. რიტუალში მთელი სოფელი იღებდა მონაწილეობას. დასაფლავება მეხის დაცემის ადგილიდან პირდაპირ სასაფლაოზე ხდებოდა. მსგავსი ტერმინი იმ მცირე ზომის ფიცარნაგისათვისაც გამოიყენებოდა, რომელიც მთის საძოვარზე მწყემსებს ღამის კარვისა და ცეცხლის გვერდით ჰქონდათ. ამ შემთხვევაში ფიცარნაგს გვერდებზე ლატნები ჰქონდა დატანებული. მასზე იდებოდა და იკიდებოდა ის ნივთები, რომლებსაც მწყემსები ყოველ-დღიურად მოხმარდნენ. ნ. ჯანაშიას მასალით, ეს ტერმინი უმეტესად აბუჟას აფხაზეთში იყო გავრცელებული. რელიგიური რიტუალის აღვლენის შემდეგ აშვაკეათს სამ ფეხს ჰკრიდნენ და მკოთხეს უტოვებდნენ. მისი ვარაუდით, დასახელება მეგრული **სუმეკეტ** „სამაჯოხი“ ან **სუმეკათ** „სამ ნაჭერიდან“ უნდა მოდიოდეს (Джанашия Н., Статьи по этнографии Абхазии,

Сухми, 1960, 28). **აშვიმკიათ (აშვიმკიათ)** – 2. ფიცარი, რომელზედაც ახლად ამოყვანილი ყველი იწურებოდა.

აშიერა (აშიერა) – სოკერი, ბოყვი.

აშიერბიწი (აშიერბეწი) ანუ **აშიერყუჭი (აშიერყუჭი)** – დაფხვნილი, ახლად ამოყვანილი ყველი. ღომთან ერთად მიირთმევენ.

აშიერტატა (აშიერტატა „რბილი ყველი“) – ახლად ამოყვანილი ყველი.

აშიერშა (აშიერშა) – ყველის წნული ჩხირები. ხის ჯამში, ადუღებულ წყალში ჩაღებდნენ და გააღნობდნენ. შემდეგ დიდხანს ზედდნენ. შემდეგ მისგან გრძელ, გაწვლილ, წვრილ (თითის ხიმსხო) ჩხირებს აკეთებდნენ. მათ ერთმანეთზე გრეხენ ან სამი ნაწილისაგან წნავენ და კერიის თავზე შესაბოლად კიდებენ.

აშიერხვა (აშიერხია), აშიერაშე (აშიერაში), აშიერაჭაპან (აშიერ აჭაპან) – სპეციფიკურად მომზადებული ყველი. რამდენიმე ხნით დაყოვნებულ ახლად ამოყვანილ ყველს ჯამში ჩაღებენ. მასზე ადუღებულ წყალს ასხამენ, რომელშიაც წინდაწინ უკვე სხვადასხვა არომატული მწვანელი, ახალი ხახვია ჩახარშული და მარილით შეხავებული. ამგვარ ადუღებულ წყალში გამდნარ ყველს კვლავ მწვანელის წვრილ ფენებს შეურევენ. შემდეგ გააბრტყელებენ და კვადრატულ მცირე საკვებ ნაჭრებად ჭრიან.

აშიერუა (აშიერუა) // აბაზა – მრ. ფორმა (მხ. **აშიერუა**), ჩრდ. კავკასიაში მოსახლე აბაზები.

აშიერუნდუყერა (აშიერუნდუყერა) – სიკერი, ზანდუკი, ხის ყუთი, რომელშიაც ძვირფას ნივთებს ინახავდნენ. ეს ყუთები ზოგჯერ ძვლით იყო მოპირკეთებული ან დაკეჭნილი, ან კიდევ ფილიგრანული ნამუშევარი იყო.

აშიერაშე (აშიერაში) // აშიერაჭაპან (აშიერაჭაპან) – კვეთილი ყველი ცხარე სანელებლებით კაშხული.

აშიერწატი (აშიერწატი) – სამოსი, ტანსაცმელი.

აშიერხა (აშიერხა) – „ყველის თავი“, ერთი თავი სულგუნი. სულგუნის მოსამზადებლად რამდენიმე ახლად ამოყვანილ ყველს ჭრიან, ჯამში (აგუბლა) დებენ და ადუღებულ რძეს ასხამენ. დაშლილ და ბლანტ-წვლვად მასად გადაქცევის შემდეგ მას ხის სუფთა მსხვილი ჯოხით ზედდენ. როდესაც იგი მასად გადაიქცევა. მას ხელით მოაგროვებენ, ხის ჯამში გადმოიტანენ და ხელით ზედდენ მანამ, სანამ ზემო ნაწილი გულუვი არ გაუხდება. შემდეგ სპეციალურ თიხის ფორმაში, დერგში (**ადერგაღა**) მოათავსებენ, რომელშიაც წათხი (მარილწყალი) ასხია. რამდენიმე დღე ტოვებენ მარილწყალში. შემდეგ წნულ კალათაში გადააქვთ. როდესაც სულგუნის შებოღვა უნდათ, ამ კალათით კერიის მადლა, ლატანზე ჩამოკიდებენ და დატოვებენ. ასეთი სულგუნი მთელი წლის მანძილზე ინახება და ზამთარში გამოსაყენებელია.

აშიერხავა (აშიერხავა) – ხმელი სულგუნის კვერეული (საკვები).

აშიერი (აშიერი) – დაქუცმაცებული და კვეთით გამოყვანილი ყველი აჯიკით.

აშირა (აშირა) // აგიარფ (აგიარფ) – საკარმიდამო ეზო. ასეთ ეზოში, რომელიც დიდი ოჯახის მფლობელობაში იყო, საცხოვრებელი სახლიდან ერთი მეტრის დაშორებით და მის ირგვლივ, განთავსებული იყო **ამბარ-ები**, საქორწინო სახლები, დაქორწინებული ვაჟებისთვის. **აშირა** სახელით ხშირად აღინიშნებოდა თავადების ვრცელი ეზოც.

აშირახტი აბარწა-ჭაღა (აშირახტი აბარწა-ჭაღა) „უკანა განსაკუთრებული აბარწა“ – გადახურული ფარდული, შვერილი, რომელიც საცხოვრებლის უკანა შესასვლელი კარის წინ კეთდებოდა და რომელიც ძელებს ეყრდნობოდა.

აშორა (აშორა) – ფეტვის ბეღელი.

აშორა – „კვალი“; მემკვიდრეები, სისხლით ნათესავეები. ისინი სისხლით ნათესაური სტრუქტურის სრულფასოვან ხაზს აყალიბებდნენ. აღმაველ და გვერდითი ნათესაური ხაზის განაყარი ოჯახების მამაკაცი წევრების გარდა, მის შემადგენლობაში დები და ქალიშვილებიც შედიოდნენ. მართალია, ქალები გათხოვების შემდეგ ოჯახს ტოვებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი სიკვდილამდე მამისა და ძმების აბიფარას (პატრონიმის) წევრებად რჩებოდნენ. ისინი ქმრის აბიფარას ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობაში იყვნენ ჩართულნი, მაგრამ მათ საზოგადოებრივ და რელიგიურ ცხოვრებაში არ მონაწილეობდნენ.

აშოშვა (აშოშია) – კვესი.

აში (აშიე) – ფეტვი. აფხაზებს ძველად მხოლოდ უმეტესად ფეტვი მოჰყავდათ, ამიტომ ამ ფქვილისაგან აკეთებდნენ ღომს – **აბესთა**-ს.

აშილა (აშიელა, აშიელა) – ფქვილი.

აშიმა (აშიმა, აშიემა) – წყავი (ხე და ნაყოფი).

აშიმაძი (აშიმაძე) – წყავის სასმელი წვენი (უაღკოპოლო)

აშიმაძი (აშიმაძე) – წყავის წყალი. წყავს მოათავსებდნენ თიხის ჭურჭელში, წყალს დაასხამდნენ. დაღულების შემდეგ, სახამაუნო მკავე-ტკბილი გემოს, ამასთან, საკმაოდ მაგარ სასმელს იღებდნენ.

აშინკა (აშენკა) – ნესვი (< მეგრ. შინკა).

აშირძ (აშიერძ) – ფეტვი (მცენარე და ნაყოფი).

აშკლაფსა, აშკლარში – ღეროსებრი ნაკერი.

აშლარუნტა (აშლარეუნტა) – წვრილად დაფქული ფქვილისაგან მოხარშული ღომი. ოღნავ მარილს, ცხვრის გამდნარ ცხიმს უმატებდნენ. როდესაც გადმოიღებდნენ სასმელად, შუაში ღომს ჩადრმაგებას უკეთებდნენ და ნიგვზის ზეთს – **აჩაშე**-ს ასხამდნენ.

აშტვა (აშტია) – საკლავი, დაკოდილი მამალი თხა.

აშტი – სელის ქსოვილის ტილოსაგან შეკერილი გლეხის ქალის კაბა, სხვადასხვაფერად შედებილი.

აშტი-ხარფ (აშტი-ხარფ) – „სელის პერანგი“, ქვემოთ ჩასაცმელი თეთრეული, გრძელი, მუხლებამდე პერანგი, ადგილობრივად მოქსოვილი უხეში ტილოსგან შეკერილი.

აშტიე – ტილო. აფხაზების ადგილობრივი მოქსოვილი ქსოვილი, რისგანაც ბეშმეტს კერავდნენ.

აშუნდუყერა (აშუნდუყირა < რუს. сундук) – სკივრი, ზანდუკი. რკინით ან სპილენძით მოპირკეთებული ხის სკივრი, ზანდუკი. მასში საოჯახო ნივთებს ინახავდნენ. სიტყვა იმავე ძირისაა, რაც ქართული **ზანდუკი** და რუსული **сундук** „სკივრი“. ერთვის აფხაზური **ა**- პრეფიქსი და **-რა** სუფიქსი.

აშუ (აშიში) – წნული, ტყრეული ღობე.

აშუვე (აშიშივე) – მოწიფანი, მოსარჩლე. სამოქალაქო დავის, სანიერების, საკუთრების ფორმათა და მსუბუქი დანაშაულობების საკითხები სახალხო ყრილობის, უხუცესთა საბჭოს განსახილველი იყო. აფხაზთა ჩვეულებითი წესის თანახმად კი სახალხო ყრილობისა და მთავრის მიერ სანქცირებული სამედიატორო სასამართლო მხოლოდ სისხლ-მკისხლეობის საკითხებს აგვარებდა.

აშუშვა (აშიშევა) – მოზარდი საქონლისათვის წნული ღობით შემოფარგლული ადგილი.

- აშშიგა (აშშიგა)** – ლასტებისაგან შეკრული სადგომი ღია ცის ქვეშ. სადგომში თიგებს, ბატკნებს, თხასა და ცხვარს აჩერებდნენ. დროდადრო სისუფთავისთვის წვრილფეხა საქონელს ადგილს უცვლიდნენ.
- აშშიგეარა (აშშიგეიარა „მოწნული ღობე“) // აბიცატე გეარა (აბეცატიგეიარა „წნელის ღობე“)** – წნული ღობე.
- აშშიფხიძი (აშშიფხიფხი)** – საჩივარი. საჩივარს სოფელში გამორჩეულ, ცნობილ უხუცეს მამაკაცს, სამართლის კარგ მცოდნეს და გამოცდილ პატიოსან მოსამართლეს ანდობდნენ. მომჩივანი და მისი ოჯახი საჭირო რაოდენობის მოსამართლეებს ირჩევდნენ.
- აშცილარა (აშცილარა) // აწას** – ჩვეულება, ადათი, წესი.
- აშწატეი (აშწატეი)** – ტანსაცმელი, სამოსი.
- აშხა** – ფუტკარი, იგულისხმება სკაც.
- აშხა-ანცვახე (აშხა-ანციახი)** – „მთების ღვთაება“, წარმართული ღვთაება. იალღზე გასვლის შემდგომ შემოდგომაზე იალღებიდან დაბრუნების წინ, მწყემსები მთების ღვთაებას მსხვერპლს სწირავდნენ და ილოცებოდნენ.
- აშხაგეარა (აშხაგეარა)** – ადგილი სამეურნეო ეზოში, სადაც დგას ფუტკრის სკები, შემოკავებულში საფუტკრე ადგილი.
- აშხათრა, აშხაგუარა** – საფუტკრე, ფუტკრის სკების ადგილი, საცხოვრებელი სახლის უკან, სამეურნეო ეზოს ბოლოში ცალკე იყო გამოყოფილი სკებისთვის ადგილი. **აშხა** – ფუტკარი, სკა. **აგეარა** – შემოფარგლული ადგილი, ზღუდე, ღობე.
- აშხა იაქეთუ (აშხა იაქითუ)** – მთების მბრძანებელი სული.
- აშხა იხელაფუშუ** – „მთის ზედამხედველი“, მთის სულის ღვთაება (წარმართული ჩვეულება).
- აშხაკრა** – „მთის დაჭერა, მთის დაკავება“. მთაში ყველა თემს გამოყოფილი ჰქონდა თავისი საძოვარი, რომელზედაც სხვა თემის საქონლის მოძოვება არ შეიძლებოდა.
- აშხალბაან** – მთებიდან, იალღებიდან, ბარში საქონლის ჩამორეკის დრო.
- აშხა რან** – „ფუტკრის დედა“, დედაფუტკარი.
- აშხარა** – მთიანი ადგილი, მთიანეთი.
- აშხარუა** – „მთიელი“, აშხარელი (აბაზების განშტოება). მრ. **აშხარააცია** „აშხარელები“.
- აშხარგი (აშხარგი)** – გორაკ-ბორცვებიანი მთისწინეთი.
- აშხაშაპე** – „მთის ფეხი“, მთის ძირი.
- აშხაშეარა (აშხაშეარა)** – ფუტკრის ძებნა, ნადირობა ველურ ფუტკარზე. კარგ მზიან, მაგრამ ფუტკრისათვის ცივ ამინდში, მონადირეები დაძებნილ ფუტკრის ფულუროს ამოღებამდე საკუთრების ნიშანს ადებდნენ, რომ თავი სხვას არ ამოედო. შემოდგომაზე იარაღებით ფულუროს მთლიანად ამოჭრიდნენ თავისი დედაფუტკრიანი ფიჭებით და სახლში მოწყობილ გუჯებში გადაჰქონდათ. ფუტკრებს რომ კვლავ ჩვეულ ადგილზე არ გაეწიათ, ამიტომ მონადირეები ტყეში ხეს, საიდანაც ფიჭა წამოიღეს, ყრუდ ქლავდნენ. აფხაზების წინაპრები თავიდან ფართოდ მოიხმარდნენ საკვებში და სამკურნალოდაც. ამავე დროს, ისინი ძველად თავლის სანთლისაგან მათობედა სასმისს – **ბუხასაც** (ადილეური ტერმინი) აკეთებდნენ.
- აშხატილან (აშხატილან)** – მთიანეთი.
- აშხა ხიბე** – მცირე ზომის მთა, გორა. **აშხა** = მთა; **ხიბე** = მცირე.
- აშხვა (აშხია)** – ნავი. მთლიანი მორისგან გამოთლილი ნავი. სახელი გამოიყენება ყოველგვარი ნავის ზოგად სახელდაც.

აშგვარ (აშხიარ) – „ნავის ჯარი“, მეკობრეები. ჩრდილოეთ კავკასიელთა ყოფაში მესაქონლეობასთან ერთად მნიშვნელოვანი ეკონომიკური საშუალება იყო თარეში. ეს საკუთრების, ქონების დაგროვების აგრესიული შესაძლებლობა იყო. თარეშის სისტემა ჩაისახა მთიელთა საზოგადოებაში ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ხალხში შვიდან კასპიის ზღვამდე. ნ. დუბროვინი წერდა, რომ ჩრდილო კავკასიელები „მებრძოლები და ძარცვა-გლეჯისაკენ მიდრეკილები არიან. სიღარიბეს მამაცობასთან შეერთებულს მოჰქონდა, ერთი მხრივ, ქურდობა საკუთარ ხალხში, ხოლო მეორე მხრივ – თარეში სხვა ხალხთან“. ეს სისტემა მაშინ უნდა ჩასახულიყო, როდესაც მთის საზოგადოებაში გვაროვნული წყობილების რღვევა დაიწყო. ისინი საშუალებას ეძიებდნენ მატერიალურად უზრუნველყოთ საკუთარი თავი და ოჯახი, რომ შემდეგ მეთემეებზე მადლა დამდგარიყვნენ. ამ დროს ფეოდალიზაციას ჯერ კიდევ ლაპარაკი არ შეიძლებოდა. თარეშის სისტემის მთავარი მიზანი ნადავლის მოპოვება – საქონლის მოტაცება და ადამიანების დატყვევება იყო. გვიან შუა საუკუნეებში აფხაზები და მათი წინარეები ამ სისტემით სარგებლობდნენ და ქართველებს ნაგებით ზვიდან ხსნიდნენ თავს, ქონებასაც იტაცებდნენ, ადამიანებსაც ატყვევებდნენ და მათ ოსმალებზე ყიდდნენ. თარეშით არაერთი საკითხი წყდებოდა, მათ შორის მიგრაციული პროცესებიც. თარეში მარტო ქონების დაგროვების პრობლემას როდი წყვეტდა, ამავე დროს ხდებოდა სხვისი მიწების მოთვისებაც (ე.ი. თარეშის დროს დატყვევებული ოჯახის სახლ-კარის და მიწის მითვისება). დოკუმენტური მასალის მიხედვით, ასეთი შემთხვევები XVI ს. ბზიფში და XVII საუკუნეში ამჟამინდელ აბჯაში, ოჩამჩირის რაიონში ხშირი იყო.

აშგვარავე (აშხიარავე) – მეკობრე (მრ.რ. **აშხიარავეცია**). აფხაზების საზოგადოების ნაწილი XVI-XVIII საუკუნეებში ცნობილი იყო მეკობრეების, მოთარეშეების სახელწოდებით. როდესაც XV ს-ის ბოლოს ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა მცირე პოლიტიკურ ერთეულებად, ანაკოფიდან (დღევანდელი ახალი ათონი) აფხაზეთს ჯიქთამდე შარვაშიმე ფლობდა, იგი ერთიან ქართულ სამეფოში შედიოდა და დადიანს, სამეგრელო-ოდიშის მთავარს ექვემდებარებოდა. XVI ს-დან ჯიქების თავდასხმებმა დასავლეთ საქართველო ძლიერ შეაწუხა. ოდიშის მთავრები ცდილობდნენ თვითონვე დაეღაშქრათ და ამით შეეჩერებინათ მათი თარეში, მაგრამ თარეში არ წდებოდა. საქართველოში ჯიქების შემოჭრა პირველად ზღვის მხრიდან განხორციელდა, ხოლო გვიან შუა საუკუნეებში კი ბზიფის ხეობისა და ფსჰუს ტაფობის გავლითაც ხდებოდა. XVII ს. დასაწყისიდან აფხაზების, ჯიქებისა და სხვ. ჩრდილოეთკავკასიელი მთიელების თავდასხმები ოდიშზე გაძლიერდა. ისინი ძარცვა-გლეჯით, ადამიანთა გატაცებითა და გაყიდვით იყვნენ დაკავებული. იტაცებდნენ საქონელს, ტყვედ მიჰყავდათ ადამიანები, მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წადებაც შეიძლებოდა. ადამიანებს ოსმალებზე ჰყიდდნენ, მოგვიანებით გამოსასყიდის მოთხოვნა დაიწვეს. ჩვეულებრივ, ასეთი დანაშაულები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაუსუსტების დროს ხდებოდა. ამ ქმედების საწინააღმდეგოდ ოდიშისა და სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა „ანაკოფის აღმოსავლეთით ზვიდამ მთამდე“ „60 მილის კედელი აღმართა“... სამწუხაროდ, ამ მეკობრე მოთარეშეებმა გვიან შუა საუკუნეებში უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს ქართველების მიმართ. ოჩამჩირისა და გაღის რაიონებში ქართული მოსახლეობა შეამცირეს. ჩრდილოეთ კავკასიაში უძველესი დროიდან დამკვიდრებული მეკობრული თარეშის შედეგად საგვარეულოების, ნათესაური ჯგუფის დაშლართა

მეთაურების დაწინაურება-გაძლიერებას, ძალადობით ქონების მოხვეჭას ან მიწის ხელში ჩაგდებას, საბჭოთა პერიოდში მეცნიერებმა აღრევეო-დალური, მთური ფეოდალიზმი უწოდეს, რომელიც მინწეული სოციალური სტრუქტურის განმაპირობებელი გახდა, რაც ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების პრინციპებს არ შეესაბამებოდა. იგი სამხედრო დემოკრა-ტიის სახელწოდებით დამკვიდრებული საფეხურის შინაარსს უფრო შეეფერებოდა.

აშხვა წვახირთა (აშიხია წიახერთა) – „ნაეის დასამალი ადგილი“.

აშიმიზა (აშხემზა) – ფუტკრის გეჯა.

აჩეშაშანა – ცხენების დედა,

აჩეურა იბუეტი – ურა ცხენი გახედნა.

აჩაალა // აჩაალა < ქართ. ჩალა.

აჩაბა – ულაყი ცხენი. **აჩე** – ცხენი. **ჩხანმაჯა** – მაკე ცხენი (**მაჯა** < ქართ. მაკე).

აჩაბერ ეიმაა/აჩაალანდარ ეიმაა – ყელიანი ფეხსაცმელი.

აჩაგა // აჩაგ (აჩანგა // აჩანგ) (აჩიაგა) – თოხი. XIX ს-ში აფხაზების მიწათმოქმედებაში მნიშვნელოვანი შრომის იარაღი იყო. მცირე ზომის სამკუთხა ფორმის თოხს შერეის, ხოლო უფრო დიდს და ფართოპირიან თოხს სიმინდის გასამარგლად მოიხმარდნენ.

აჩაგაწაკანტ (აჩიგაწარკანტ) – თოხწერაქვა (< მეგრ. წარკანტი – წერაქვი).

აჩადა – სახედარი, ვირი. მუშა საქონელი. გამოიყენებოდა ტვირთის გადასახიდად მთის ვიწრო გზებზე.

აჩავერ (აჩავერ) – გულა, რომელშიც ინახებოდა ყველი.

აჩავერ (აჩავერ) – აჯიკითა და პიტნით შეზავებული გუდის ყველი.

აჩავერა (აჩიაურა) – მოსავალი.

აჩავერათაგალარა (აჩიაურათაგალარა) – შემოდგომა.

აჩავერა-ძი (აჩაურაძე „მოსავლის წყალი“) ანუ **აშგლარციე** – ფეტვის ფქვილისაგან გაკეთებული თხელი ფაფა. ძველად სტუმარს პირველად ტოლნით ამ ფაფას მიართმევდნენ.

აჩაზ – ბზე.

აჩაზკრა (აჩაზკრა) // აჩაზიშვარა (აჩაზეშიარა) – განზრახვა (იურიდიული ტერმინი).

აჩალტ (აჩალტ) – 1. ჩელტი, ლასტი (< ქართული **ჩელტი**). შეკრულია სიმინდის ჩალის ღეროებისაგან. იგივეა, რაც მოწნული ფარცხი, ან წნელისაგან მოწნული ლასტი, რომელიც ფაცხაში ჭერის მაგივრობას წვეს და ზედ უწყვეთ შესაბოლად ხორცი, ყველი... ამგვარ ჩელტს კერძის თავზე ჰკიდებდნენ. 2. ფარცხი, წნული ლატანი ხნულის ბელტების დასაშლელად, მოხნული მიწის გასაფხვიერებლად.

აჩალტრა – ფარცხვა, გაფარცხვა.

აჩამგურ (აჩამგიერ) – ჩონგური (< ქართ. **ჩონგური**).

აჩამიქვა (აჩამექვა) – რძეში ჩახარშული ჭყინტი ყველი, ღომში შერეული. ეს საკვები აფხაზებს გადაღებულ უნდა ჰქონდეთ მეგრულ-სვანებისაგან (შდრ. ელარჯი – სიმინდის ფქვილის ცხელ ღომში ჩახარშული ახალამოყვანილი ყველი).

აჩამლა – ხორბალი.

აჩამსყულ (აჩამსყულ) – ხის დიდი კოეზი.

აჩამუქვა (აჩამექვა) // აილა(რ)ჯ – (<მეგრ. **ელარჯი**). აფხაზური აილარჯისთვის ჭრიან ახალ ყველს პატარა ნაწილებად, აღუღებულ და დამარილებულ რძეში ყრიან და ხარშავენ 10 წთ, შემდეგ თანდათანობით გაცრილ სიმინ-დის ფქვილს ურევენ. ხარშვის დროს მუდმივად ურევენ და მიჰყავთ მკვრივ

ფაფამდე. შ. ინალ-ფას აზრით, ეს საკვები აფხაზურია და ქართველებმა აფხაზებისგან ისწავლეს. თუმცა, საკვები მეგრულია და იგი განსხვავებულიად მზადდება მეგრელებში. მეგრელები ელარჯისთვის, ისევე, როგორც ჩვეულებრივი ღობისთვის, ღერდილს მოიხმარენ. ახალ ამოყვანილ ყველს ისინი მოხარშულ ღერდილში ყრიან, რძის გარეშე და მხოლოდ მცირე რაოდენობის სიმინდის ფქვილს ურევენ. ეს საკვები ძველთაგან იცოდნენ სვანებმაც. აფხაზებმა რომ ელარჯი ქართველებისგან ისწავლეს, ისიც ადასტურებს, რომ ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ თხის, მოგვიანებით ცხვრის ყველს მოიხმარდნენ, რაც ელარჯისთვის გამოუსადეგარი იყო. რაც შეეხება აფხაზურ საკვებს **ჩემუქვა**-ს, მას ქართველები (მეგრელები) განსხვავებულად აკეთებენ, იგი თხელია. რქეში ადნობენ ახალ ყველს და ურევენ, მას ფქვილს არ უკეთებენ. აცივებენ და ისე მიირთმევენ.

აჩამჩამიტა (აჩამჩამეტა) – ცხვრის დუშის ქონში გამოძცვარი ბლინი, სპილენძის ტაფაზე ცხვრის ქონს ადნობდნენ, ზედ მომზადებულ თხელ ცომს კოვზით დაასხამდნენ და თხელ, მრგვალ ფირფიტებს აცხობდნენ.

აჩამჭა – ხის კოვზი. შდრ. **აჩამჭა** „მთის ბოკვი, მთის ნეკერხალი“.

აჩან – ჭაკი ცხენი, ფაშატი.

აჩნირ (აჩნერ) – რამდენიმე წლით (ჩვეულებრივ ხუთი წლით) მწვემსად დაქირავებული ადამიანი (< მეგრ. ჩინორი).

აჩარა (აჩარა) – 1. თოხნა, დათოხნა. 2. გადათხრა.

აჩარა – ქორწილი. ეტიმოლოგიურად ნიშნავს „პურობა“-ს, ღხინს, ნადიმს, შდრ. აჩა „პური“. ქორწილის დღეს სასიძოს ამაღა – სიძის ძმები, ბიძაშვილები, დედის ძმა და მისი შვილები, ახლო ნათესავები და მეგობრები ქალის ოჯახში მის წამოსაყვანად მიდიოდნენ. პატარძლის მამა მათ მცირე სუფრას ახედებდა. პატარძლის ნათესავები და სოფლის ახალგაზრდობა ქალის წაყვანაში საქორწინო პროცესიას, სხვადასხვა სახუმარო ხასიათის ხერხებით „სხელს უშლიდნენ“, რომ პატარძალი მამის სახლიდან უფრო გვიან გასულიყო. პატარძალი ამპარიდან გამოყვანის დროს აუცილებლად იტირებდა, მამისუფლი სახლის დატოვების გამო. ქმრის სახლში პატარძალს ორი მეგობარი ქალი და სიძის სამი მეგობარი ვაჟი მიაცვლებდა. პატარძალს სახე პირბაღით უნდა ჰქონოდა დაფარული. სასიძოს სახლთან მიახლოებისას წინ მახარობლები მიდიოდნენ, რომლებიც ვაჟის მშობლებისაგან საჩუქრებს იღებდნენ. ვაჟის სახლში შესულ მექორწილეებს წინ ოჯახის უხუცესი წევრები ხედებოდა. უხუცესი მამაკაცი პატარძალს ღოცავდა და შემდეგ იგი სიძის ამპარაში შეჰყავდათ, რომლის წინ რამდენიმე წვეთი ვაჟს გადაჭდობლით ხმელეთი ეკავათ. სიძე ქორწილში მონაწილეობას არ იღებდა. იგი მეგობრებთან ერთად რომელიმე მოშორებული ნათესავის სახლში იმალებოდა, რომ იგი უხუცესებს არ დაენახათ. სიძის ოჯახის ნათესავები, მეზობლები და მეგობრები საქორწინო საჩუქრებით სიძის ამპარაში შედიოდნენ, სადაც ერთ კუთხეში პირბაღე ჩამოფარებული პატარძალი იდგა. საჩუქრებს იქვე აწყოდნენ, რაც მათ უფლებას ანიჭებდა პირბაღე აეწიათ და პატარძალი ენახათ. გარდა საჩუქრებისა ქორწილის მიმდინარეობის პროცესში სიძის მეგობარი ახალი ოჯახისათვის შესაწირსაც აგროვებდა. ქორწილის სუფრა ეხოში, სპეციალურად აგებულ და გადახურულ შენობაში იყო გაშლილი. ამ სუფრანთან მხოლოდ მამაკაცები სხდებოდნენ. აჩარა, ე.ი. პურობა და ღხინი რამდენიმე დღე გაბედებოდა. იმართებოდა სხვადასხვა სპორტული თამაშობანი (ცხენების ჯირითი, ბურთის თამაში, მიზანში სროლა და სხვ.). გამარჯვებულები საჩუქრდებოდნენ.

აჩარახე – დაწნული ქუდი.

ანართ – 1. პურის ყანა. 2. ურმის ხელნა.

ანარღუ (**ანარღვი**, **ანარღუ**) – „პურის ფიცარი“. მწვემსების ფიცარ-მაგიდა, ფეხების გარეშე, ზომით 25x50 სმ. ერთი აღამიანის საკვებისთვის, მუხლებზე დასადებად, შუაში ამოთლილი დომისთვის.

ანარეკი ეიმა – მოქსოვილი ფეხსაცმელი, ფეხზე კარგად მორგებული, იგივე მესტის მსგავსი ფორმის.

ანაფა – ცხარე ხალათი. სიტყვა ითარგმნება როგორც „შეკაზმული“

ანაფარა (აბჟ) // **ანალტ**, **აბეცაყ** (პზიფ.) – წნული ლასტი. „ფაცხის“ და „ამასარ-თბე-ს“ ტიპის საცხოვრებელში, გადახურვის ქვემოთ, ნივნივების შეერილებზე იდებოდა და ჭერის იმიტაციას ქმნიდა (ქართულიდან და მეგრულიდან ნახესხები ანალტი სიმინდის ჩალის ხმელი ღეროებისგან დაწნული ლასტია). ადრეულ ხანაში, ფაცხის ტიპის საცხოვრებლის კედლისათვის წნულ ლასტებს იყენებდნენ. ისინი გარედან მჭიდროდ მიწაში ჩამარტებულ და წნულ კედლის ზედაპირზე მყარად მიკრული ბოძებით მარტდებოდა. ზამთარში ლასტებს შიგნიდან ნაკელთან შერეული თიხით ღესავდნენ, სიცივისა და ნესტისგან რომ დაცვათ თავი. **ანაფარა/ანალტ** < მეგრ. იმერ. ლასტი.

ანაფარაზ – ქალის სამკაული სხვადასხვა ფორმის ვერცხლის ან ბრინჯაოსაგან გაკეთებული (< ქართ. **ჩაფრასტი**).

ანაყვა (**ანაყა**, **ანაყია**) – ხის მოზრდილი ხელიანი ტოლჩა; მაწვნისა და რძის დასალევი.

ანაშე (**ანაში**) – ხაჭაპური (აკეთებენ მაწვნით, კვერცხით). **ანა** – პური; **აშე** (**აში**) – ყველი. ხაჭაპური აფხაზეზმა ქართველებისგან შეითვისეს, ამიტომაც ტერმინი აღწერილობითაა.

ანაშვარა (**ანაშიარა**) – მწვერზე ნადირობა.

ანაშემგაღ (**ანაშიმგაღ**) – ფეტვის, მოგვიანებით ხორბლისა და სიმინდის ფქვილისგან რძეზე დამზადებული მჭადი. აფხაზები ხშირად სამჭადე ცომს ხორბლისა და სიმინდის ფქვილისგან ზელენ ყველსაც შეაზელენ და ქორწილში სუფრაზე მიიტანენ. **ანაშემგაღ** (**ანაშიმგაღ**) – „პურ-ყველ-მჭადი“. ახალი ყველი მჭადის ცომში გაერცელებულია დღესაც დასავლეთ საქართველოში, როგორც მეგრელებში, ისე სვანებში (ჭვიშტარი).

ანაჩიხი (**ანაჩენ** < ქართ. **საჩეხი**) – საჩეხი. დიდი სახლის უკან შემოდობილი ადგილი, საქონლის საზაფხულო სადგომი, რომელიც გადახურული იყო.

ანაჩერ – გულის ყველი. შდრ. ქართ. **ჩეჩილი**.

ანაჯ – „შემწვარი პური“. 1. ყველით გატენილი თაფლიანი ღვეზელი. 2. ღუმის ქონში შემწვარი პური; 3. პატარა ზომის სამსხვერპლო პური; 4. ნამცხვარი. 5. ღვეზელი ყველით. ფეტვის, სიმინდის ან ხორბლის ფქვილისგან აკეთდნენ ცომს, რომელსაც გულში ყველს ატანდნენ. ცხერის ღუმის ცხიმზე აცხობდნენ, რომელშიც თაფლს ურევდნენ. გამზადებულ ცომს ჩიტის, ნამგლის, ვარსკვლავის, კონუსურ და ოვალურ ფორმებს აძლევდნენ. 6. თაფლის ტკბილი ნამცხვარი. თაფლს ცოტა წყალს უმატებდნენ, რის შემდეგაც **აცხაბეზი**-ს იღებდნენ, შემდეგ მას თუჯის ქვაბში აღულებდნენ, ხის კოჭით ურევდნენ. ფეტვის ან სიმინდის წვრილად დაფქულ ფქვილს უმატებდნენ. შედეგად თავისებური თაფლის ფაფა კეთდებოდა. ფაფას გაცხელებულ სუფთა ფიცარზე ასხამდნენ და ასწორებდნენ. გაცივების შემდეგ ფირფიტებად დაჭრილს საკვებად გამოიყენებდნენ. 7. **ანაჯ** – ყველითა და თაფლით, რელიგიური დღესასწაულისათვის, ქელხის სუფრებზე.

ანბიგა (**ანბეგა**, **ანბეგა**) – ცელი.

ანბიგა-ხუ (**ანბეგა-ხიე**) – ცელის ტარი.

ანგარა // **აჭბარა (აჭიბარა)** – მარხვა.

ანგახა – სამარხო საკვები.

ანემია (ანემია) – „ცხენის ფეხსაცმელი, ცხენის წულა“, ცხენის ნალი.

ანეიჯეკა – „კური და მარილი“. პურმარილი, სასმელ-საჭმელი. სიტყვა შედგენილია ქართული **პურმარილის** გავლენით. ან რუსული **хлеб-соль** სიტყვების ანალოგიით, მასში გამოყენებულია თურქული სიტყვა **აჯიკა** (მარილის ნაცვლად).

ანერქეზ – ჩერქეზი.

ანორა (ანითრა, ანითრა) – საცხენე, თავლა, საჯინიბო. საცხენეში წნულ ლატნებს აგებდნენ მიწაზე, რაც სიმშრალეს და სისუფთავესაც ქმნიდა, რომ ცხენები ავად არ გამხდარიყვნენ. ჩვეულებრივ საჯინიბო სასაქონლე „აბორაში“ იყო გამოყოფილი.

ანი (ანიტ) – ცხენი.

ანიბა (ანიბა) – უხარ თექისაგან შეკერილი, ხალათის მაგარი სამოსი, რომელსაც მწვემსებო იცვამდნენ.

ანიმათვა (ანიტმათია) – აღკაზმულობა (ცხენის).

ანირხემარრა (ანიტრხიმარრა) – ჯირითობა (ცხენებით).

ანიფსახვა (ანიტფსახვა) – საცვალი.

ანიქმაჯა (ანიტქმაჯა) – მცირე ზომის ყუთი, კოლოფი, ზარდახშა. მოიხმარებოდა მცირე ზომის ძიორფასი ნივთების შესანახად.

ანიშკილ (ანიტშკელ) – უზანგი, ავხანი (ცხენის).

ანიშთა (ანიტშთა) – ნახჭის ორნამენტი, ფარდაგზე ძეწკვი რომბით გამოსახება, რაც „ცხენის კვალს“ აღნიშნავს.

ანიხჩა (ანიტხჩა) – მეჯინიბე, ცხენის მწვემსი.

ანიხთი-კასი (ანიტხთი-კასე) – მარმამის ხილაბანდი, თავსაფარი. შდრ. ჩიხთი-კოპი.

ანიკაქუ (ანიტკაქუ) – „ცხენის ძუძუს ყურძენი“, ყურძნის ჯიში.

ანიკვარ (ანიტკვარ) – იორდა, თოხარიკი ცხენი.

ანმა – ურვადი, გადასახადი, რომელსაც უხდიდა სასიძო საპატარძლოს მშობლებს. ადრეულ პერიოდში აფხაზებში გავრცელებული იყო **ანმა**, რომელიც მიგრანტებს ჩრდილო კავკასიიდან ჩამოჰყვავთ. ქორწილის წინ მამაკაცი ვალდებული იყო ანმა მთლიანად გაეტყუმრებინა. მოგვიანებით მამაკაცს ნაწილ-ნაწილ შეეძლო მისი გადახდა, მაგრამ თანდათან აფხაზებმა ქართველებისაგან მზითვის ჩვეულება შეითვისეს და ანმა საერთოდ დაკარგეს.

ანირი (ანტერ) – (< მეგრ. **ჩინორი**) – დაქირავებული, მოჯამაგირე მწვემსი. 5 წლის მსახურების ამოწურვის შემდეგ, დაქირავებულს ნახირის თუ ფარის ნამრავლის 50% ეკუთვნოდა საკუთრებაში (**ანტერკეშა**). მსახურების მომენტში ანირი ცხოვრობდა საქონლის პატრონის მიერ გამოყოფილ მცირე მიწაზე, რომელსაც იგი ამუშავებდა (**ასაკუმანდარა**). თუ ადრე შეწყვეტდა მსახურებას, მხოლოდ 1/5-ს უნახლადურებდნენ.

ანნერ – მწვემსი.

ანუნ – თუჯის დიდი ქვაბი (< თურქ.).

ანუსენარ (ანტიხენარ) – საცხენეს ბაგა.

ანუჰა/ანოჰა – მუდი.

ანფიხუშტრა (ანფიხუშთრა) – რქის თოფის საპირისწამლე.

ანფიხუშეი (ანფიხიუში) – დენთი, თოფისწამალი.

ანქიფ (ანქეფ) < მეგრ. **ჩქიფი** – ჩანგალი.

ანლიჩ (ანილდჩ) – ცხენის ქურდი, ცხენიპარია.

ანხარფართა (ანხარფართა) – ცხენის მისაბმელი ძელი, ტოტების ნარჩენები ჰქონდა დატოვებული ცხენის დასაბმელად. ძელი, კაღონი, ჩვეულებრივ, სასტუმრო სახლის წინ, ეზოში შემოსასვლელთან, მიწაში მაგრდებოდა სტუმრების ცხენების მისაბმელად. თუ ოჯახს მხოლოდ სასტუმრო ოთახი ჰქონდა, მაშინ ძელი საცხოვრებლის წინა ეზოში, ხის ჩრდილქვეშ კუთვნიდა. ცხენიდან ჩამოსვლისთანავე სტუმართან მიდიოდა მასპინძელი, ჩამოართმევდა ცხენს და ამ ბოძზე მიაბამდა.

ანხინჩ // ანხინჯ (ანხუნჩ // ანხუნჯ) – 1. ქვაბის ჩამოსაკიდებელი, ცეცხლის (კერის) პირას აღმაცურად დასობილი ჭდეებიანი ჯოხი. 2. მთაში მწყემსების ბინაზე, კოცონის ერთ მხარეს არსებული ნაჭდეუებიანი ლატანი, რომელზედაც კიდებდნენ ქვაბებს საკვების მოსამზადებლად.

აცეფში – აღდგომის შემდეგი ორშაბათი.

აცეფა – საკვებზე მისატანებელი (სიტყვა-სიტყვით „რაც მასზე, ე.ი. საკვებზე იჭებოდა“).

აც – მარცვალი.

აცა – ბალი.

აცა – ღვრიტა, მაჭიკი, კვეთი.

აცა (აცა) – სასიმინდე (მარცვლის შესანახი), ნალია. ფეხებზე ე.ი. ძელებზე/ბოძებზე შემდგარი, 2,5 მ. სიმაღლის, მრგვალი, თხილის ან შქერის ტოტებისგან წნული ნაგებობა კონუსური ფორმის სახურავით, დახურული გვირგვინით, თივით, ან ყავრით. **აცაში** სიმინდი ტარობით ინახებოდა.

აცალა – შილი, მახლის ცოლი, ქმრის ძმის ცოლი.

აცალაყმა – სასიმინდეს საფუძველზე, ბოძებზე, ფასადის მხრიდან დაგებული სამი ფიცარი, რაც ქმნიდა ფიცარნაგს. ამ ფიცარნაგზე ფართო კიბეს ადგამდნენ, სასიმინდესი ასასვლელად. 1. სასიმინდის ხის ძელები. 2. სასიმინდესი მიღებული ძელი, ამოჭრილი საფეხურებით. სასიმინდეს (ნალიას), სიმინდის გამოტანის დროს მიადებდნენ კარის წინ ძელს (საფეხურებამოჭრილს) ან ფიცარს, სიმინდის გამოხიდვის შემდეგ მოაცილებდნენ. ნალია მაღალ ბოძებზე იდგა, რომ მდრღნელებს (თაგვებს და ვირთხებს) შიგ არ შეეღწიათ.

აცარძე – კვეთი (რძისგან რომ ყველი მიედო).

აცაყმა (აცაყა) // აწყაპარ (აწყაპარ) – შრომის იარაღი. ხის სატრელი, სატეხი იარაღი – წეპარი, ეწო. პირველი სიტყვა აფხაზურია, მეორე კი ნახესებია ქართულიდან.

აცაჭიჭ (აცაჭეჭ) – სასიმინდე, ბეღელი გრძელ სიმინჯებზე.

აცეფში – თხის ან ცხერის ტყავი. ძველად ხმარობდნენ ქვეშავებდაც.

აცვა (აცია) – 1. ტყავი. 2. **აცვა (აცია)** – ცვილი, თაფლის სანთელი (< ცვილი).

აცვამათვა (აცვამათა) – „ხარის ნივით“, კავი, აჩანა, ძველი სახენელი იარაღი. უბრალო ხის კაუჭი, გათლილი ოთხკუთხა ხელნით. ხელნის სიგრძე 2 მ 95 სმ, სიგანე 8 სმ, სისქე 5 სმ. კაუჭის სიგრძე 44 სმ, სისქე 10 სმ. კაუჭი ქმნის მახვილ 45°-იან კუთხეს. კაუჭი გახვრეტლია სატეხით. ამ ნახვრეტში ჩადებულია ოთხკუთხა ფორმის დგომი, სიგრძით 85 სმ, ბოლოში სახელურით. მხენელი მართავს იარაღს მინდვრის მოხვნის დროს, ამ დროს ხარის სახელური, დგომი მთავარი. კაუჭი ანუ ქუსლი მიწის ზემო ნაწილს აბრუნებს. აფხაზებში სახენელი იარაღების ორი ტიპია დადასტურებული, პირველი **აწყაჰ (აწყაჰი)** „კავი“ („მოკაუჭებული“). ამავე სახენელისათვის ბზიფურში **აცვამათვა (აცვამათა)** იხმარებოდა, რომელიც ითარგმნება, როგორც „ხარის ნივით“, „ხარის სახელური“. მეორე ტიპია **აყვათან**, რომლის სახელწოდებაც ქართული **გუთანი** სიტყვის ფონეტიკური ვარიანტია. XVIII ს-ში ი. გიულდშტედტს აბაზურში გუთნისათვის ფიქსირებული

აქვს ტერმინი **კოთენ-მანა**, რაც „მცირე გუთანს“ ნიშნავს, შდრ. აფხაზურ-აბაზური (**ა**)**მანა** „მცირე; ცოტა“. მეცნიერთა აზრით, გუთანი საქართველოში უნდა წარმოქმნილიყო და აქედანვე გავრცელებულიყო ჩრდილოეთ კავკასიის სხვა მხარეებში. ბზიფის აფხაზებში თავდაპირველად გავრცელებული შრომის სახეწელი იარაღი, იგი უბრალო კავის მოვალეობას ასრულებდა და მიწას მცირედ აბრუნებდა. წვრილი და გრძელი ძელი, რომელსაც თავი წაწვეტებული ჰქონდა და რკინის სახნისი ჰქონდა ჩამოცმული. ძელის ტანს სახელურიც უკეთებოდა, ადამიანის ხელისათვის. **აცო** – ხარი, **ამათია** – სახელური, სამოსი, ე.ი. „ხარის სამოსი“. იგი საკმაოდ პრიმიტიული სახეწელი იარაღი იყო, რომელსაც ხარის დახმარებით მოიხმარებდნენ.

აცვამთვა (აცამათია) – ტანისამოსი, ტანსაცმელი.

აცვარდალე (აცვარდალე) „საძინებელი ფიცარი“ – ფიცრის ტახტი, რომელიც კერის უკანა მხარეს, სახლში მთელი გვერდითი კედლის გასწვრივ კეთდებოდა. იგივე სახელი ერქვა სკამლოგინსაც. ძველად ტახტი საკმაოდ განიერი და გრძელი იყო. მასზე გარდიგარდმო მთელი ოჯახი თავსდებოდა დასაძინებლად.

აცვალგარა (აცვალარა) (აცვალარა) – ხენა.

აცვალგასთა (აცვალასთა) – ნახნავე, ხნული; კვალი.

აცვალგავე (აცვალავე) – მხენელი, გუთნისდვა.

აცვაში (აცვაშე) // აცვიშა (აცვიშა) – სანთელი. სანთელს შანდალზეც ანთებდნენ, რომელსაც **აცვაშე-შანდალ**-ს უწოდებდნენ. შანდალი (არაბ. **შამ** „სანთელი“, სპარს. **დან** „სათავისი“ ე. ი. სასანთელი). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული.

აცვახისრა (აცვახხრა) – „ტყავის გახდა“, გატყავება, ტყავის გაძრობა.

აცვაყვა (აცვაყა) – 1. ცისარტყელა. 2. ელია, „ცისარტყელას და ზოგიერთი დაავადების მფარველი ღვთაება“ (**აცვაყა** „ცისარტყელა“). აბუყის აფხაზებში – ელი-აფშ „წითელი ელია“. ქართულ მასალაში „ელიაწითლობა“ – ტაროსთან დაკავშირებული დღესასწაულია. სოფელი ან რამდენიმე სოფელი საერთო შემოწირულობებით საკლავს იძენდა და მსხვერპლს სწირავდა ამინდის ღვთაებას (ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. დამბაშიძე, ქართულ ხალხურ ღვთაებათა კალენდარი, თბ., 1991, 98).

აცვაძი (აცვაძე) – „სანთლის წყალი“, თაფლის სასმელი. გამოყვანილ თაფლის სასმელს ქვევრში ასხამდნენ, სადაც იგი დუღილს იწყებდა. იქ დიდხანს ანერებდნენ. სასმელი არაყის მსგავსი, მაგარი გამოდიოდა. ჩრდილოეთ კავკასიაში მას „ბუზას“ უწოდებდნენ. აფხაზებს ეს სასმელი დიდხანს შემორჩათ. მას რიტუალური ცერემონიის შესრულებისას გამოიყენებდნენ.

აცვეიაუვე (აცვეიაუვე) – „ცულის მქნელი“, დამნაშავე, ბოროტმოქმედი.

აცვეიხა (აცვეიხა) – „ხარის რკინა“, სახნისი, ხარზე წამოცმული მიწის მჭრელი რკინა.

აცვიშე (აცვიშე) – ომის და თარეშის დროს აფხაზები გამოცდილ ადამიანს ექვემდებარებოდნენ, ე. ი. „წინამძღოლს“, რომელსაც „ტყის“ საიდუმლო ენაზე **აცვიშე-ს (აცვიშე)** „ბედნიერი ხარი“ უწოდებდნენ.

აცვიშა (აცვიშა) – 1. ცულის სანთელი. 2. კვარი, ფუჭის ან ნაძვის ფისიანი ნაჭერი, რომელსაც სანთლის მაგიერ იყენებდნენ.

აცვინა შშააიტ (აცვენსა შშააიტ) – მისალმება („ნარჩენი გაგვეყოს“), რომლითაც ესალმებოდნენ დაზვასთან მჯდომ მქსოველს. მისალმებაზე პასუხობდნენ

სიტყვებით: **ეცაჲციტენხააიტ** „ჩვენ ერთად დაგვრჩეს“, ნარჩენში ძაფი იგულისხმებოდა.

აცვირცემა (აცივრცემა) – 1. ოდნავ მარილიან წყალში სიმინდის წვრილად დაფქულ ფქვილს ხარშავდნენ ცხვრის ღუმის გამძნარ ცხიმთან ერთად. ზოგჯერ უმატებდნენ თაფლსაც. 2. თაფლითა და ქონით შეზავებული ღომი.

აცივშ (აცივშ) – კუსტარულად დამუშავებული ტყავი.

აცეკამბაშ (აციკამბაშ) – ხარკამენი.

აცემააკეე (აციმააკეე) – „ხარის სახელურის დამკავებელი“, გუთნისდვა.

აცეფიზა (აციფჷზა) – „ხარის წინამძღოლი“, საკვეთი (გუთნის).

აცეხა (აციხა) – ფოსოებიანი, ბრტყელი და მრგვალი კოლოფი ტყვიების ჩასაწობად.

აცეჰარ (აციჰარ) – შურდული. აფხაზების ძველი სასროლი იარაღი.

აციწაჰა // აციწაჰაე (აციწაჰა // აციწაჰა) – 1. თავდაზნაურთა სასახლეში მზარეული ქალი. 2. სტუმრების მომსახურე ქალი.

აცუთა (აციუთა) – დასახლების უძველესი მონოგენური ერთეული. სოციალური ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი. მისი აგებულება ასეთია: **ა-** არსებით სახელთა ზოგადობის პრეფიქსია; **ც-** – სათანაო კატეგორიის პრეფიქსი; **უ** არის **ა-ურა** „ქმნა, კეთება, შრომა“ ზმნის ძირი; **-თა** ადგილის აღმნიშვნელი სუფიქსია. სიტყვა ზედმოწვევით ითარგმნება როგორც „ერთად შრომის ადგილი“. სავარაუდოა, რომ იგი თავდაპირველად საზიარო ყანას აღნიშნავდა და გვიან შეიძინა საცხოვრებელი უბნის აღნიშვნის ფუნქცია. ამ სიტყვის სინონიმია არაბული ტერმინი **აჰაბლა** „უბანი“.

აცუნუჰარა (აციუნუჰარა „უბნის ღოცვა“) – აცუთას ღოცვა. რელიგიური ჩვეულება, გვალვის დროს წვიმის გამოწვევი ღოცვა იყო. იგი, ჩვეულებრივ, ერთ უბნის (ძველად სოფლის) მოსახლეობის მონაწილეობით სოფელდებოდა. სალოცავს საერთო ზვარაკს სწირავდნენ. რიტუალს ისინი სალოცავის საკულტო „ცენტრად“ ქცეულ წმინდა ტყეში, ჭალაში, სადაც მდინარე ჩამოდებოდა (ამ შემთხვევაში), ცალკეულ ხეებთან ატარებდნენ. საკლავსაც იქვე კლავდნენ და ხარშავდნენ. ძველად რიტუალს უბნის უხუცესი მამაკაცი ატარებდა და ის იღოცებოდა. იგი ხის წიკრზე მამფურზე წამოაცვამდა მოხარშული საკლავის გულ-ღვიძლს და ღოცვის დროს პატარა ნაჭრებს ცეცხლში ყრიდა, ამასთან მთელ აცუთას მოსახლეობას ღოცავდა. დარჩენილ ხორცს წვრილად ჭრიდა, რომ აცუთას ყველა მამაკაცს შეხვედროდა. იქ მყოფი მამაკაცები აირგიაშვასადმი მიძღვნილ სიმღერას ერთად ასრულებდნენ. ამით ღვთაებას შესთხოვდნენ სოფლისთვის გაჭირვება აცილებინა და წვიმა გამოეზავნა. დაკლული ცხოველის ტყავი, ჩვეულებრივ, კულტის მთავარ მსახურს ხვდებოდა წილად. აფხაზებს არ ახსოვთ ისეთი დღე, რომ რიტუალის ჩატარების შემდეგ წვიმა არ წამოსულიყო.

აცურცმა (აცივრცემა) – სიმინდის ფქვილისაგან დამზადებული თაფლიანი და ღუმის ქონიანი ღომი.

აცქიაშე (აცქიაში) – შებოლილი ყველი, რიტუალური. **აცქია** „წმინდა“, **აშე** „ყველი“.

აცხა – თაფლი.

აცხამაჰეა (აცხამაჰეა) – პურის ან ქერის ფქვილის ცომი, თაფლით შეზავებული. **აცხა-მეჰად** – მჰადი თაფლით. იყენებდნენ ღომისღომის, ფეტვის ან სიმინდის ფქვილს, ზოგჯერ სხვადასხვა მარცვლის ფქვილს ურევდნენ ერთმანეთში. მოხელდნენ თაფლში, რომელსაც ცოტა წყალი ჰქონდა გარეული და გამოაცხობდნენ.

აცხარში (აცხარშიე) – ხორბლის ფქვილის სქელი ფაფა თავლით. მთავარი ტკბილეული პროდუქტი თავლი იყო, რომელსაც აფხაზებში ფართო გამოყენება ჰქონდა. მისგან სასმელსაც აკეთებდნენ და სხვადასხვა ცომეულშიც სშირად ხმარობდნენ.

აცხარში (აცხარშიე) – სქელი, თავლზე მოხარშული ფაფა.

აცხაძეა (აცხაძა) – თავლის უალკოჰოლო სასმელი (ცივი წყლით), (ქართულში **რანი** – თავლისგან დამზადებული ღვინო).

აცხვარ – შურდული, ქვის სასროლი.

აცჰა – ხიდი.

აბრქა (აბიქა) (აბქ) – 1. კაცის ნიფხავი, ქვედა საცვალი. 2. შარვალი. 3. ტრუსი.

აბაგა – სარწყავი. უბანს, **აჰაბლას** საერთო სარწყავი არხი ჰქონდა გათხრილი, რომელიც ყველა ოჯახის სახნავ მიწასთან გადიოდა. რწყვა რიგის მიხედვით ხდებოდა.

აბარა-თარშ – მოკლე ჩოხა, უხეში მაუდის. აფხაზები იცმევდნენ ნადირობისა და მუშაობის დროს.

აბარათარშე (აბარათარში) – უხეში ქსოვილის მოკლე ჩოხა.

აბართა – საბატკნე, ნაგებობა თიკნებისათვის, ძელზე შემდგარი მრგვალი, წნული ნაგებობა კონუსურსახურავიანი, გადახურული თივით ან გვიმრით, მხოლოდ ბეგრად უფრო პატარა, ვიდრე აჯმათრა იყო.

აბატე (აბატე) – „შესაწირავი“, ზვარაკი.

აბაფა = აბჯარ ე.ი. იარაღი,

აბახვა (აბახია) – ვაზი. სიტყვის პირველი ნაწილი **ბა** მომდინარეობს ქართულიდან, შდრ. **ძელი** „ხე“, მეორე ნაწილი კი აფხაზურია და მრუდეს ნიშნავს, შდრ. **ახია**. ამ მცენარის ყველა ტოტი საცხოვრებლებისა და სამკურნეო ნაგებობების მშენებლობაში გამოიყენებოდა.

აბახვე (აბახე), ათურახე – მკერავი. სიტყვა ნასესხებია თურქულიდან.

აბაგელარა – ნავსაბმელთან მიდგომა.

აბაგვე (აბაგვე) – 1. ბჭე, მოსამართლე. 2. მედიატორი, შუამავალი, მომრიგებელი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზებმა, უმეტესად უხუცესებმა შურისძიების საკითხების მოგვარებაზე ზრუნვა დაიწყეს. მხარეების შერიგებაზე დათანხმების შემდეგ, კონფლიქტის მოსაგვარებლად, დაპირისპირებულ გვარებს შორის ნდობით აღჭურვილ პირებს, მედიატორებს ირჩევდნენ, რომლებიც სოფლის თემის რჩეული მოსამართლეები იყვნენ. მათ რომელიმე მხარის მხარდაჭერა არ ეპატიებოდათ. ამ რჩეულ უხუცესებს **აბაგვეცა** „მოსამართლეები“ ეწოდებოდათ. მოსამართლეებად ხუთ მამაკაცს ირჩევდნენ: 1. წინამძღოლს ანუ **აფხაგილა**-ს (აფხაგელა „წინ მდგომი“); 2. თანამდგომს, ანუ **აგაგილავე**-ს (**აგაგელავე** „გვერდში მდგომი“); 3. ბჭეს, მსაჯულს (**აბაგვე**); 4. შუამავალს, მომწესრიგებელს, ანუ **ალაბაყავე**-ს (**ალაბაყავე**) „ჯოხის მქნეველს“, ე.ი. მხარეებს შორის სიტყვის მიმტან-მომტანს; 5.

აგაყაზა-ს (**აფაყაზა**), ანუ „სიტყვის ოსტატს“, რომელიც საქმის ხმაძალა გამცნობი იყო. ოცი კარგი მეხსიერებითა და კარგი ორატორული ნიჭით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული. მედიატორები საქმის გარჩევის ცერემონიალს, სოფლიდან მოშორებით, ბუნებაში, ამაღლებულ ადგილას, რომელიმე მრავალწლიანი ხის ქვეშ აწყობდნენ. აქ დაპირისპირებული მხარეების ახლო ნათესავები, მოწმეები, ოჯახის წევრები, ამაღლებული ადგილის საპირისპირო მხარეზე იყრიდნენ თავს. მოწმეებს ფიცს ადებინებდნენ. ხატების განრისხებისა და დასჯის შიშით, სიცრუის თქმას ყველა ერიდებოდა. საქმის განხილვის შემდეგ მედიატორები „სისხლის ფასს“ – **აშაფსას** ადგენდნენ. განაჩენის გადაწყვეტილება ორივე მხარეს ულაპარაკოდ უნდა მიეღო.

აბი (აბე) – წყალი.

აბიგაწვი (აბეგაწვი), აბხაწვი (აბხაწვი) – შამფური.

აბიმიანხარათა (აბემიანხარათა) – წისქვილის წყლის არხი, რუ.

აბიქვა (აბიქა < მკვრ. ბიქვა) – შარვალი. იკვრებოდა საეციალური თასშით (**ახუმჯარ**), რომელიც იყრებოდა ზემოთ მიკვრებულ ნაკეციში. ეს ნაკეცი შარვლის მთელ ზემო ნაწილს მიჰყვებოდა და მას **აბიქვა ახაფსა** ეწოდებოდა.

აბლაგარა – წყლის წისქვილი. მისი ძირითადი ელემენტები იყო: **აბკერთა** – წყალღობე, **აბემგარგართა** – არხი, **აბცართა**, **აბეშითერთა** – წყლის ჩამკეტი.

აბლაგარახინა, აბლაგარახინა – მეწისქვილე, „წყლის წისქვილის მცველი“ (**ახინა** = მცველი; მწვემსი), წისქვილის მცველი.

აბნაშა (აბნაშა) – პირველი თოხი.

აბნიუ (აბნეუ) – „ხაბონის ყურძენი“, ყურძნის ჯიში, რომლისაგანაც სუფრის ღვინოს აყენებენ.

აბხილარა (აბხელარა) – „წყალზე ყოფნა, ტივტივი“, სახელვო მეკობრეობა.

აწერგუაგა = ალაბას ჯოხი.

აწერკანტ – წერაქვის მსგავსი ქვის სათლელი (<ქართ. წალკატი – წერაქვი).

აწიე – თხილის ტოტისგან გაკეთებული შამფური. ხის შამფური უმეტესად ოჯახისა და პატრონიმის რელიგიური ღოცვების დროს მოიხმარებოდა. ხის შამფურზე წამოცმული ზვარაკის გულ-ღვიძლითა და ფილტვებით, ერთ ხელში და ღვინით სავსე ჭიქით, მეორე ხელში, უხუცესი მამაკაცი თავის მემკვიდრეებს დალოცავდა. ზვარაკის შიგნეული მხოლოდ პატრონიმის წვერებისათვის იყო გამიზნული. რაც შეეხება საკლავის სხვა ნაწილებს, პატრონიმის ოჯახების დედა ქალებსა და რძლებსაც შეეძლოთ დაეკმარებინათ.

აწიპი-ციმითა – კაუჭიანი სახნავი იარაღი, სახელურით. ზემოდან ხელნა კქონდა. ქუსლი და სახელური შეყენებული, ქუსლზე იყო ბოლოში დამაგრებული. მეორე ბოლოთი ხელნასთან იყო დაკავშირებული.

აწაბირგ (აწაბერგ) – სიმართლე, ჭეშმარიტება (იურიდიული ტერმინი).

აწან – ზღაპრული ჯუჯა ხალხი, ქონდრისკაცები, ჯუჯები. ბუნებრივია, უმწერლობო ხალხებში ფოლკლორული გადმოცემებითა და ეპოსით დატვირთული იყო ხალხური შემოქმედება. აფხაზეში არსებობდა ლეგენდა ხალხზე, რომლებიც თითქოს ძალიან ძველ წარსულში აფხაზეთის დღევანდელ ტერიტორიაზე სახლობდნენ. მათ აწანები ეწოდებოდათ და მესაქონლეები იყვნენ, რომელთა თავისებური საცხოვრებელი ქვის ღობეებით **აწანგვართა** იყო გარშემორტყმული. გადმოცემით, ისინი ღონიერნი და მოხერხებულნი ყოფილან, ცხოვრობდნენ ურჯულოდ. არ ცნობდნენ ღმერთს, რის გამოც ღმერთმა მათ ბამბის წვიმა მოუვლინა, რომელსაც ელვით ცველით გაუჩინა და ამბობენ ურჯულო წანები.

აწანგვარა (აწანგვიარა) – 1. წანების (მითიური ჯუჯა ადამიანების) საცხოვრებელი. 2. ქვის მშრალი წყობით აგებული ბაკი საქონლისათვის იალალზე.

აწას (< ქართ. წესი), **აფსუაწას** – აფხაზეში წესი. აფხაზეში ჩვეულება **ადათ** ტერმინით გამოიხატებოდა. როგორც ჩანს, ეს ტერმინი მათ ჩრდილო კავკასიიდან უნდა ჩამოეტანათ. **ადათი** (< არაბ.) უმეტესად ისლამის აღმსარებელ ხალხში უნდა გავრცელებულიყო. „წესი, ადათი“, **აწასქია** „წესები, ადათები“ – წეს-ჩვეულება, ზნე-ჩვეულება. აფხაზერ ენაში წესი, ჩვეულება, ადათი ორი ტერმინით – „**აშცეღლარა**“ და „**აწას**“ აღინიშნება. პირველი ტერმინი ჩერქეზული ზმნიდან – „მიჩევეა“, „დაჩევეა“-დან უნდა იყოს მიღებული. რაც შეეხება მეორეს, იგი ქართულიდან არის ნახესხები.

კავკასიელ მთიელებში და მუსლიმურ აღმოსავლეთში (ოსებშიც) ტერმინი „აღათი“-ა გავრცელებული.

აწაპვართა (აწაპართა „სიმართლის თქმის ადგილი“) // **ნარცვი (ნარცვი „გაღმა“)** – საიქიო. აფხაზებს სწამდათ, რომ სიკვდილის შემდეგ აღამიანი ცხოვრებას განაგრძობდა. ამიტომ რაც მას ხიცოცხლეში აუცილებლად სჭირდებოდა, ცდილობდნენ თან გაეტანებინათ, განსაკუთრებით ყოველდღიურად სახმარი ნივთები.

აწარა // აწატი (აწატი) – ცხარედ შეკაზმული საჭმელი.

აწიჯ // აჭემ (ბზიფ.) – ჭა (< ქართ. ჭის წყალი).

აწვა (აწია) – ვაშლი.

აწვარგია (აწიარჯა) – „ხმელი ვაშლი“, ვაშლის ჩირი. ზოგჯერ ძაფზე აგებული.

აწვაყიაქვა (აწიაყიაქია) – ხის დაფა, ძაფით წვნის დროს (საქსოვი დაზვის ნაწილი).

აწვაშა (აწიაშა) – „მლაშე ვაშლი“, მაშალო.

აწვაპე (აწიაპი, აწიაპი) – „კაუჭი“. სახენელი იარაღი, კავი, ლაკარტი (ბაწრის საგრეხი კავი).

აწვაპე-ცემათვა (აწიაპი-ციმათია) – კავი, აჩაჩა. ძველი სახნავი იარაღი. ბზიფში – ეწოდება **აცხეხვა (აცხია)**.

აწვეზურ (აწივეზურ) – „კაუჭიანი ნემსი“. ანკესი.

აწვი (აწივ) „წნელი“ // **აძიგაწვი (აძგაწივ „შესაწვავე წნელი“)** – ხის შამფური.

აწვიმყა (აწივმყა) – 1. სატეხი. 2. ხვეწი..

აწვიმყა (აწივმყა) – სატეხი.

აწვიწვირა (აწიწვირა) – „მჟაეობა“. სხვადასხვა სახის მწნილეული: 1. შინდის, მარწყვისა და ბროწეულისაგან დამზადებული საწნელებიანი საკაზმი, რომელსაც ზამთრისთვის ინახავენ. 2. კიტრის, ან პომიდურის მწნილი.

აწვიჯ (აწივჯ) – წუნწუბა, გოგირდით გაჟენილი ქსოვილის ნაჭერი, ცეცხლის დასანთებად.

აწვიჯთრა (აწივჯთრა) – ხის კოლოფი, მიღი ან ჩოხის ქილა, რომელშიც მამაკაცები ძველად გოგირდით გაჟენილი ქსოვილის ნაჭერს ინახავდნენ. იგი ცეცხლის დასანთებად ესაჭიროებოდათ. ამ ხის მიღს ჩოხის მასრებთან ერთად ატარებდნენ.

აწვიჯმცა (აწივჯმცა) – კვარი. ძველად აფხაზები ღამით სახლს კვართაც ანათებდნენ. წუნწუბას ცეცხლი.

აწვი (აწივ) – ბერწი. **აწვიწვი (აწიწვი)** „ბერწი ძროხა“. ქ. ღომთათიძის შესედეულებით სიტყვა ქართულ **წვირვილს** („გამოწურულს“) უკავშირდება.

აწვიუარა (აწივუარა) – დატირება (მიცვალებულის).

აწვირკანტ (აწივრკანტ) – წერაქვი. სიტყვა შესულია მეგრულიდან, შდრ.: მეგრ. **წალკანტი** // **წარკანტი** „წალკატი“.

აწის-ლაპა (აწეს-ლაპა) – „ჩიტის ლევი“, ლეღვის ჯიში. შდრ. იმერ. **ჩიტლეღვა**.

აწიწინდრა (აწიწინდრა) – მარწყვი (მეგრ., რაჭ. **წიწინდრა**).

აწიქისფუშ – ქალის გრძელი კაბა, წელში გადაჭრილი. ზემო ნაწილი წელში გამოყვანილი, მჭიდრო და ვიწრო. მეგრულზე ჭრილით, რომელიც თავისებური ლითონის შესაკრავებით (**აწაფრანჯ**) იკვრებოდა.

აწი (აწივ) – კაბა, ქალისა. საყელოიანი. წინ წელამდე ჩაჭრილი, მჭიდროდ მორგებული, წელს ქვემო თავისუფალი და განიერი. მკლავები ხელის მტკვანთან შეკრული. საყელო და გულ-მკერდი ოქროსა და ვერცხლის ძაფებით ან სხვადასხვა ფერის თასმებით გაწყობილი. მის ქვეშ ქალებს უსაყელო და გრძელმკლავიანი პერანგი ეცვათ. პერანგის ზემო ნაწილი

სხვადასხვა ფერის სირმებით იყო შემოვლებული, რომელსაც **აილაქი** ეწოდებოდა. იგი კაბის გადაწველი საყელოსა და წინ ჩაჭრილიდან კარგად ჩანდა. **აილაქი** ბოლომდე შეკრული იყო.

აწუმღ (აწიმღე) – ლურსმანი (შრომის იარაღი).

აწუნგანა (აწუნგანა) – „კუდის მწყემსი“, რომელიც ბოლოში მოჰყვებოდა ფარას, ჯოვს და ჩაბორჩენილ ცხოველებს აკონტროლებდა.

აწლუბა (აწლუბა) – ქეჩის ფარდაგი. ძველად, ქეჩის ფარდაგებს მიწურ საცხოვრებელში კერის გარემოში აგებდნენ ღამე და ზედ იძინებდნენ.

აწს – „ღამე“, საერთო ქართულ-აფხაზური სიტყვაა: შდრ. ქართ. **მ-წუნ-რი**, **წუნ-ელ**.

აჭტუ – უძველესი მარცვლის შესანახი. მრგვალი ან ოთხკუთხა წნული.

აჭად // **აჭადღი (აჭადღე)** – ყურძნის ერთგვარი ჯიში, რომელსაც ქართულად **ჭოტი** ეწოდება.

აჭან – 1. პარტახი, უმეკვიდროდ დარჩენილი ქონება. 2. გაპარტახებული, ნაოხარი, უპატრონოდ დარჩენილი მემკვიდრეობა.

აჭათარა – პირობის მიცემა, აღთქმის დადება.

აჭათახა (აჭათახა) – აღთქმა, დაპირება.

აჭან // **ალაზ** – ჭანი, ღაზი < ქართ.

აჭაპ ბიფი // **აკაცხე (აკაცხი აბჟ. < მეგრ. კაცხუ)** – კაბის შესაკრავი კაუჭი.

აჭარპენ – საღამურის მსგავსი ჩასახები საკრავი. მას ზედაპირზე აქვს 3, იშვიათად 6 ხვრელი, რომელთა საპირისპიროდ დამკვრელის მხარეს არის კიდევ ერთი ხვრელი. აჭარპინი, ქართული საღამურისაგან განსხვავებით, უფრო გრძელია და ხმა უფრო ყრუ აქვს.

აჭარარა – გვირგვინი. ძველად სახურავის სიმაგრისთვის ლატანების ზემოთა წვერები ჩვეულებრივ ზემოთ ორ ადგილას იკვრებოდა გვირგვინებად.

აჭარტრა (აჭიარტრა) – „პირის გახსნა“, მაჰმადიანური მარხვის ურახას დროს შეღამების შემდეგ ჭამა-სმა, გახსნილება.

აჭაფარა – სამზად სახლზე მიშენებული სადგომი, ფარდული. გამოიყენებდნენ სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებისათვის. ხმარობდნენ როგორც საკუჭნაოს, ასევე ზამთარში საქონელსაც აბამდნენ.

აჭაფშარა – ავადმყოფისათვის, მიცვალებულისათვის ახლობლებისა და მეზობლების მიერ ღამის გათევა ანუ გატეხა. ავადმყოფთან, ტრადიციულად, გასართობად მოსული მნახველების, ღამისმთევველების თამაშობები, საუბრები, სიმღერები. დაავადებულ და სასიკვდილოდ განწირულ ადამიანს აფხაზები მარტო არ ტოვებდნენ. მასთან მუდმივად მიდიოდნენ, ახალგაზრდები ახალგაზრდებთან, ხოლო ხნიერთან ხნიერები. ავადმყოფს არ აძლევდნენ საშუალებას თავის ავადმყოფობასთან მარტო დარჩენილიყო, ამიტომ მას მუდმივად ართობდნენ.

აჭახში // **ამპახში (აჭახშე // ამპახშე)** – პირსახოცი.

აჭახუ (აჭიახი) – ჩვენება (იურიდიული ტერმინი).

აჭისა (აჭეშა) – ძაფი, უფრო რბილი და თხელი შალის ნართისაგან.

აჭიქე (აჭექი) – ნარმისაგან შეკერილი, სხვადასხვაფერად შეღებილი გლეხის ქალის კაბა.

აჭიშე (აჭეში) – მური, ჭკვარტლი.

აჭიშერა (აჭეშერა) – გამურვა (**იჭეშიუ** – გამურული).

აჭოუ – აჭარელი.

აჭყარაპტ // აჭრაპტ – 1. ორთითი, ორკაპი. სამითთა ფიწალი, შდრ. მეგრ. **ჭყოროპოტი**. 2. ხის ფიწალი, ორთითა. სიმინდისა და ჭკვიანის მოჭრილ წალას, მოსავლის აღების შემდეგ აგროვებენ ხის ფიწლით.

ახდარშე (ახარში), ხუდხდარშე ქეწარა (ხედხდარში ქიწარა) – ქარგვისათვის გამოყენებული საშუალება – ნაკერი „ძეწკვი“.

ახდათრა // ახდათირ (ახათრ // ახათერ) – თხის ტყავისგან დამზადებული ხალთა, გულა საგზლის, ფქვილის, სიმინდისა და მარილისათვის.

ახე – ტყვია.

ახემეჯარ აიკაწა – შარვლის ქვეშ, საცელის სათავეში გაყრილი თოკი.

ახიშა – კარაქი | ერობ | ზეთი.

ახეშაპ/აიშაახანა – ოჯახის უზუცესის იღვიღალური მრგვალი სამფეხა მაგიდა (ტაბლა).

ახესრა – სროლა. **ახე** – ისარი; **ახეც** – მშვილდ-ისარი; **ახსრა** – დარტყმა. თოფიდან სროლა (**ახე** „ტყვია“, **ახსრა** „ცემა, დარტყმა, სროლა“).

ახა – წაბლი.

ახდათრა – 1. მწვემის ტყავის ჩანთა, პირადი ნივთებისათვის. 2. ტიკი, რუმბი, რომელშიაც საკვებ პროდუქტებს ინახავენ.

ახდარუიტი – მეწველი (ძროხა) საქონელი.

ახაჩაფა – „შეკმაზული წაბლი“, წაბლისაგან მომზადებული საკვები. კარგად გამომშრალ წაბლს კანისაგან გასუფთავების შემდეგ ქებაში დიდხანს ხარშავდნენ სქელი ფაფის მიღებამდე. გახეხილი ნივთებით აზავებდნენ. მაგიდაზე ცალკეულ ულუფებად დებდნენ. შუაგულში კი ნივთის ზეთს ასხამდნენ. ეს საკვები ღომს ცვლიდა. ხშირად დაფქულ ნივთსაც ურევდნენ.

ახეფში (აფეშიე „დამოკიდებული“) – ყმა.

ახანა – მწვემს; **ახნერ** – მწვემის დაქირავებული (<ქართ. -მეგრ. ჩინორი)

ახანა-ლა – „მწვემის ძალი“.

ახეში – შევარდენი.

ახა – ფიწალი.

ახააბაშვარა (ახააბაშიარა) = ფუტკრის ძებნა, ნადირობა ფუტკარზე.

ახააწა – დვრიტა, მაჭიკი, კვეთი, რძის ან მაწვნის კვეთი.

ახამე – 1. ქურქი. 2. მამაკაცის ზედა მოსაცმელი. იგი თვითნაქსოვი მაუდისაგან იკერებოდა, ცხვრის ტყავის სარჩულით. გვერდებზე ჯიბეებით და ტყავის შესაკრავებით. მას წოხის ფორმა ჰქონდა და მხოლოდ თავადები და აზნაურები იცვამდნენ.

ახა ყულა, აცა ყულა – ლობიოს ჯიშები, რომლებიც სიმინდთან ერთად ითესებოდა და გაზრდის დროს მის ღეროს ეხვეოდა.

ახაპარა – გოგრა (< მეგრ. **ხაპერა**).

ახართეაარა (ახართიაარა) – „შეესება, ზემოდან დამატება“, ანაზღაურება.

ახარფა – 1. გადახურვა ზემოდან. 2. წირთხლი (კარის, ფანჯრის).

ახარფაბუა – შუა გადახურვა.

ახარფი (ახარფე) – პერანგი.

ახარშე (ახარში) – 1. „თავზე გადაგდებული“, საჩუქრები, რომელთაც ქორწილის სუფრასთან მსხდომთაგან ავროვებენ პატარძლისა და სასიძოს შეგობრები (ხელისმომკიდები). 2. „თავზე გადაგდებული“, პატარძლის მისალოცი საჩუქარი, პირის სანახავი.

ახარწიე სეძბალ – შეკმაზული მაწვნის ცხარე საწებელი.

ახარწიე (ახარწიე) – მაწონი (< მეგრ. **ხარწა** „მაწვნის დედა“). მაწონს **აბყულა**-ში (ხის პატარა ქოთან) ან დერგში **ადგრგილა**-ში (თიხის პატარა ქოთან) აყენებენ. ადუღებულ რძეს ოდნავ ავრილებენ. შიგ ახააწა-ს, ე.ი. მაწვნის დედას (ერთ კოვზს) გაურევენ შესადეგებლად და შედარებით თბილ

ადგილას დგამენ. ზამთარში თუ თბილი ადგილი არა აქვთ, ჭურჭელს თბილად შეახევენ. 5-6 საათის შემდეგ მაწონი მზადაა.

ახარწი საძბალი (ახარწი სძბალი) – მაწვნის საწებელი. დანაყიდ ქინძს, მარილს, ნიორს ერთად ათქვევენ ხის კოვზით მაწონში. ზოგჯერ მწვანე ხახვს უმატებენ. ხმარობენ საკვების მისატანებლად.

ახარწი-წიწი (ახარწი-წიწი) – წყალში გაზავებული მაწვნის სასმელი.

ახარწიძრძ (ახარწიძრძ) – მარილ-წიწაკით, მწვანელით შეზავებული მაწონი.

ახარხა – 1. თლიანი ქსოვილის (80-100 სმ) ფარდა („გაჭიმული თავზე“, ახე – თავი, არხხარა – გაჭიმვა). ნახჭზე ზემოდან გადახლართულ ქსოვით ფრთებს ან მაქმანებს ადებენ. ფარდა იქსოვებოდა ხელის, ბამბის ან შალის ძაფით. ამ ფარდას ძველად ჭიმავდნენ ტახტზე ან ფარდაზე დაკეცილი ლოკინის ზემოდან. ამითი ლოკინს ჭვარტლისა და მტერისაგან იცავდნენ. 2. კედელზე გასაკრავი თეთნახსოვი ქსოვილი. გარდა საცხოვრებლის კედლებისა. თეთნახსოვ ქსოვილებს ხმარობდნენ თაროებისთვისაც, სადაც ჭურჭელი ინახებოდა.

ახატარა (ახატარა „ხედ დაჯდომა“) – ჩასიძება, ხედსიძედ მისვლა. თუ ოჯახს მარტო ერთი ქალიშვილი ჰყავდა, მაგრამ ამავე დროს მისი პატრონიმის მამაკაცებს ამ ოჯახის მიწაზე პრეტენზია არ ჰქონდათ, მაშინ მამაკაცი, რომელიც მათ ქალიშვილზე ქორწინდებოდა და ურვადის გადახდის საშუალება არ ჰქონდა, საცოლის ოჯახს ჩაესიძებოდა და თავისი შრომით იხდიდა გადასახადს. ეს ყველაზე ხშირად ხდებოდა იმ შემთხვევაში, როცა ოჯახს დედისერთა ქალიშვილი ჰყავდა. თუმცა, არც მამაკაცის და არც ქალის ნათესაობა მსგავს ჩასახლებას იოლად არ ეგუებოდა, რაც ჩანს აფხაზური ანდაზიდან: „ხედსიძე ვირს ჰვავსო“.

ახახუარა (ახხურარა) – მიცვალებულისათვის წესის აგება.

ახაშაღა – 1. ბატონს, მფლობელს შეეძლო მონისთვის დაქორწინების უფლება მიეცა. იგი მონას მიწის ნაკვეთს გამოუყოფდა, ძროხას თავისი ხბოთი, ლოკინს, საოჯახო ჭურჭლიდან ქებას და სხვა საჭირო ნივთებს მცირე რაოდენობით მისცემდა. ჩვეულებრივ მონას ბატონი ამ დროს ანმას (საქორწინო გადასახადსაც) უხდიდა. ამ აქტის შედეგად მონა მამაკაცი საბატონეშო გლეხი ხდებოდა – **ახუუე (ახიუუე)**. 2. „შემოსავალი, გასამრჯელო, ჯამაგირი“, ტყვედ ჩავარდნილი გლეხი. მწარმოებული კლასის ყველაზე დაბალი კატეგორია. 3. ტყვე, სახლის მონა. თარეშის დროს ფეოდალის, არა მარტო ფეოდალის, მიერ მოპოვებული ტყვე. ტყვეს უმეტესად ოსმალთ ვაჭარებზე ჰყიდდნენ. იშვიათად სახლის მონებადაც მიჰყავდათ. 4. გლეხობის უდაბლესი ფენა, მათგან ნაწილი ყოფილი ტყვე იყო. 5. შემოსავალი, სარგებელი. 6. ხელფასი, გასამრჯელო.

ახანაფა – ცხარე საკვები, რომელსაც უმატებენ ნივთის ზეთს.

ახაცაფარა // ალაცაფარა (ახცაფარა // ალაცაფარა) – განსჯა, განხილვა (იურიდიული ტერმინი). აფხაზთა ჩვეულებითმა სამართალმა გვიან შუა საუკუნეებში დანაშაულის განსჯა-განხილვა დაიწყო. მკვლელობის, დაჭრის, დასახინრების, ქურდობის და ა.შ. შემთხვევებში დაპირისპირებული მხარეები სამედიატორო სამართალს მიმართავდნენ. ორივე მხარე მედიატორებს ირჩევდა, მხოლოდ დაზარალებული ერთი მერტ მოსამართლეს ასახელებდა. საქმის განსჯისა და განხილვის დროს მედიატორები ჩამოყალიბებულ სამართლის ნორმატიულ წესებს მკაცრად იცავდნენ. მათი გადაწყვეტილება საბოლოო იყო და ორივე მხარე კამათის გარეშე იღებდა.

ახცეფარა (ახცეფარა) – „დაწნული ნაწნავი“, დაწნული ყველი.

ახცე-კუკუნ (ახცე-კეკეიგენ – თავის თხემზე დატოვებული გრძელი თმა. აფხაზების წინაპრებს, ჩამოსახლების დროისთვის ჩერქეზების მსგავსად,

ჩვეულებად ჰქონდათ თავის გადაპარსვა და მხოლოდ თხემზე გრძელი თმის დატოვება, რომელიც ჩახვეული იყო ნაბდის ქედში და რომელსაც სპეციფიკური და დამახასიათებელი ვიწრო, მსხვილად წაწვეტებული, ზემოთ აწეული ბოლო ჰქონდა. ეს „ქუდი“ სკვითების „წაწვეტებულ ქუდს“ ჩამოგავდა.

ახამშარა – ტაბუჯია სახელებზე. ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელებით არ მიმართავენ. ახალი რძალი ვერც მამამთილსა და დედამთილს, ვერც ქმრის უფროსი ძმების სახელს ხმამაღლა ვერ იტყვობდა. რძალი მთელი სიცოცხლე „პატივისცემის გამო“ მყარი ჩვეულებით დედამთილ-მამამთილის წინ ჩუქად უნდა მდგარიყო, იგი მათ ვერ დაელაპარაკებოდა. იგივე წესი ოდნავ მსუბუქად მოქმედებდა სიძესა და მისი მეუღლის ნათესავებს შორისაც.

ახაწა – 1. კაცი, მამაკაცი. 2. ქმარი, მეუღლე (ნათესაური ტერმინი). // **აფშიმა** – ქმარი; **აფშიმაფშიმა** – ცოლი.

ახაწამუსხე (ახაწამუსხე) – „მამაკაცის წილი შრომაში“. ძველად, მამაკაცის სამუშაოდ, ძირითადად, მესაქონლეობა ითვლებოდა. ქალებს ეკრძალებოდათ მთებში ასვლა, სადაც საქონელი ძოვდა, მამაკაცები ნადირობდნენ, ტყიდან შეშა და ხის მასალა მოჰქონდათ. ტყეში ველური ფუტკრის თაფლზეც ნადირობდნენ.

ახაწარა – 1. კაცობა; 2. ვაჟკაცობა; 3. მამაკაცის კულტი – გმირის კულტი.

ახაწავეზა (ახაწავეზა „ქმრის მეგობარი“) – „მამაკაცი მეგობარი“, გამცილებელი ქორწილის დროს, სასიძოს სახელში. ხელისმომკიდე სასიძოს მხრიდან, რომელსაც ევალება პატარძლის თანხლება ნეფის სახლამდე.

ახაჭა – ხაჭო. ჭამენ აჯიკითა და პიტნის ფოთლებით შეკმაზულს, ღომთან ერთად (< ქართ. ხაჭო). ყველის ამოყვანის შემდეგ შრატს ადუღებენ და შემდეგ დიდი ხის კოეხით **აჩამსყულ**-ში ნადგომს ხსნიან, მას ახსამენ თავისებურ ჩანთაში **ამაკან**-ში, რომელიც შეკერილია ნარმისაგან. იგი აქ იწურება. წყლისაგან გასუფთავებულ ნარმის ჩანთაში ხაჭო რჩება.

ახაპეგვარა (ახაპეგვარა, ახაპეგვარა) – 1. ქვის ღობე ეზოს გარშემო; 2. ქვის ღობე, რომელიც მთის საძოვრებზე საქონლის შესარეკად ეკიდებოდა.

ახაპეტევენი (ახაპატი-უნე „ქვის სახლი“) – ორსართულიანი ქვის სახლი. ორსართულიანი ქვის და აგურის საცხოვრებლები – **აქერმეტტი უენქუა** აფხაზეთში მხოლოდ საბჭოთა პერიოდში გავრცელდა ფართოდ. ბზ. **აქერმეტ**. აბუ. **აკერმეტ** – კრამიტი. კრამიტის გამოყენება აფხაზეთში საკმაოდ გვიან დაიწყო, ამიტომ ბუნებრივია, ეს ბერძნული სიტყვა აფხაზეთში ქართული ენიდან ისესხა. **აკეც** – კრამიტი (ე.ი. კეცი) (იხ. თ. გვანცელაძე, ლექსიკონი).

ახაპე-წვაპე (ახაპი-წიაპი) – დაკიდული ნივნივი. საცხოვრებელს ან სამეურნეო ნაგებობის კონუსური ფორმის გადახურვის დროს ერთ ან რამდენიმე ძელს იყენებდნენ. ეს ნივნივი ზემოთ ოთხ მეტრამდე აღიოდა და მისი ბოლოები იკვრებოდა, ე.ი. ერთის ბოლო მეორეში შედიოდა და წირებით მაკრდებოდა. მეორე, ქვედა ბოლო, ნაგებობის კედელს თავისუფლად ეყრდნობოდა, რითაც კონუსური ფორმის სახურავის ჩონჩხი იქმნებოდა. სიტყვის პირველი ნაწილი **ახაპე (ახაპი)** ქვას ნიშნავს, მეორე ნაწილი **წვაპე (წიაპი)** კი კაუჭს.

ახგაუი – ჭვავის კვერი. შდრ. მეგრ. **ხოზო** (ქ. ლომთათიძე)

ახგაუე (ახაუი) – შქერი, როდოდენდრონი.

ახგაუეა (ახაუეა) – კონუსური ფორმის კვერი. ძვ. ქართ. **კუეხაძ**, მეგრ. **ხოზოკვარი**, რელიგიური რიტუალისთვის. ყოველი დღესასწაულის დროს ოჯახის ყველა ძირითადი წევრისათვის ინდივიდუალურად ოჯახის უფროსი ქალი აკეთებდა. ეს მისი მოვალეობა იყო. სიტყვა ნახესხებია მეგრულიდან,

მდრ. მეგრ. **ხოლოკვარი** და ქვ. ქართ. **კუეზაი**. კვერი სიმინდისა და ხორბლის ფეკილისგან მზადდებოდა, რელიგიური დღესასწაულისთვის მსხლის ფორმის.

ახეაუეკირა (ახიაუეკრა „ხოლოკვერის დაკაეება“) – ყველიერი. ყველიერის კვირის ბოლოს სპეციალურ მსხვერპლშეწირვის რიტუალს ასრულებენ. ყველიან კონუსისებურ კვერებს ხარშავენ და ლოცულობენ. უმეტესად გავრცელებული იყო აბჟუის აფხაზეთში, ე. ი. ოჩამჩირის რაიონში. სიტყვის პირველი ნაწილი **ახეაუე** მომდინარეობს ყველიანი კვერის მეგრული **ხოლო** სახელისაგან.

ახეართა (ახიართა) – 1. ჩამოსაკიდებელი ხელიანი კალათა (მეგრ. კარახა). ამ კალათაში საკვებს ინახავდნენ. 2. ლატანი, წნული, ჩამოკიდებული კვირის თავზე, რომელზედაც ზამთრის მარაგს – ყველს, ხორცს და სხვ. აშრობდნენ და ბოლავდნენ.

ახეარხი (აბჟუური დიალ. **ახიარხ**) // **ახიარხი** (ბზიფ. დიალ. **აწარხ**) – ხერხი. სიტყვა **ახეარხი** აჟუურ დიალექტსა და სამწიგნობრო აფხაზეთ ენაში შესულია მეგრულიდან, ხოლო ბზიფურს სამწიგნობრო ქართულიდან აქვს ნასესხები **ახიარხი** (მდრ.: სამწიგნ. ქართ. ხერხი, მეგრ. ხორხი).

ახეაფ (ახიაფ) – 1. ნიხაბი. 2. ნავის ხოფი.

ახეშა (ახიშა) – კარაქი.

ახეშვარა (ახიშვარა) – „ფასის გადახდა“, ანაზღაურება ქონების ქურდობის ან ცეცხლის გაჩენის, რაიმე დანაშაულის ჩადენის შედეგად (იურიდიული ტერმინი). **ახთალარშვარა (ახთალარშირა)** – კალიბრი.

ახთარფა – ყაბალახი (სიტყვა-სიტყვით: „სადაც ქუდიან თავს ჰყოფენ“). ყაბალახს შალის ქსოვილისგან ამზადებდნენ და სხვადასხვა ფერის ბუზმენტებით (სირმებით) აწყობდნენ. ყაბალახი მამაკაცს წვიმის, შხის, სიცვისა და სიცხისგან იცავდა. იგი ორი ფერისა არსებობდა, უმეტესად თეთრი აბრეშუმის თასმებით, ბუზმენტით გაწყობილი. მეორე მუქი ფავისფერი, შავი ბუზმენტებით გაწყობილი. ყელის თასმაზე ბურთულა ჰქონდა ჩამოცმული, შესაკრავის რეგულირებისთვის. ზამთარში, ნაბდიანი ცხენოსანი ყაბალახის ბოლოებს ყელზე ჯვარედინად უკან გადაადგებულს ატარებდა. ზაფხულში ყაბალახი სახის გასწვრივ იკეცებოდა და თავზე ისე იხურებოდა, რომ სახეზე ჩამოვარდნილი ტოტები უკან ყოფილიყო გადავარდნილი. გრილ ამინდში, მამაკაცი ყაბალახის მარხენა ტოტს თავზე მოივლებდა და მარჯვნივ, სახის გასწვრივ ჩამოუშვებდა. მარჯვენა ტოტს, ასევე თავზე მოივლებდა და მარცხნივ სახის გასწვრივ ჩამოუშვებდა, ხოლო ორივე ბოლოს უკან ნასკვავდა. ყაბალახის ქვეშ მცირე ზომის ნაბადის ქუდებს ატარებდნენ, რომელსაც **აუკცვა ხილფა** ეწოდებოდა. ყაბალახი გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, დამახასიათებელია მეგრელების, იმერლებისა და გურულებისათვის. მამაკაცის თავსაბურავი, წოწოლა, ძაბრის მოყვანილობის, გრძელტოტებიანი. მოსხმული აქვთ უმეტესად მხრებზე. ჩრდილო კავკასიელები და აფხაზები ყაბალახს სხვანაირად ატარებენ. ჩერქეზები მას ქუდთან ახლოს იხვევენ და ბოლოებს დაბლა ჩამოშვებულს არ ატარებენ. ზოგჯერ მარცხნივ ან მარჯვნივ, მისი ბოლოები თავზე აქვთ გამოწვერილი. აფხაზების ყაბალახი თხელი მაუდისგან იკერება. ძალიან ღია ფერის, ორი ქსოვილის ნაჭრისგან მზადდება და ჩვეულებრივ, წვეტიანი ნაწილით მთავრდება. ყაბალახის ქვეშ მოხუც აფხაზებს დღესაც თქვის კონუსური ფორმის ქუდები ახურავთ.

ახთრა – 1. ტყავის ჩანთა. 2. სატყევი, ხის ბრტყელი და მრგვალი, ბუდეებიანი კოლოფი ტყეებისათვის.

ახი – ოქრომჭკველი, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობების ოსტატი.

ახიფში (ახიფშე) – დამოკიდებული გლეხი.

ახილაფშე (ახელაფშე) – ფეოდალი, გლეხის მფლობელი. ზედამხედველი. XV საუკუნეში ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლას, ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას, საქართველოს ტერიტორიაზე, სამი სამეფოსა და ხუთი სამთავროს, მათ შორის, აფხაზეთის სამთავროს ჩამოყალიბება მოჰყვა, რომელიც მანამდე ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. თუმცა, აფხაზეთი დამოუკიდებელი სამთავრო არ გამხდარა, იგი ოდიშის მთავარს ექვემდებარებოდა. მმართველ აპარატს სათავეში ერისთავი ედგა, მალე იგი მთავრის ინსტიტუტმა შევალა. ფეოდალიზმი აფხაზეთში, საერთო ფორმით, ყველა რეგიონში ერთნაირად ვითარდებოდა. მიწის საკუთრების უფლება პრივილეგირებული კლასის ხელში დანაწევრებული ხასიათის იყო. ფეოდალი თავისი მიწის ერთ ნაწილს თავისთვის იტოვებდა, მეორეს თავის ქვეშევრდომს სამსახურის პირობით აძლევდა. კერძო მემამულური საკუთრების ფორმაში, ფეოდალის მიწაზე დამოკიდებული გლეხების ექსპლუატაცია რენტის ფორმით ხდებოდა. განვითარებული ფეოდალიზმი, როგორც მიწაზე ფეოდალურ საკუთრებას, ისე მწარმოებელზე უშუალო ექსპლუატაციას გულისხმობდა. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან მიგრანტების ახალი ტალღის შემოჭრისა და იქიდან ქართველი გლეხების განდევნის შედეგად, ფეოდალმა მებეგრე გლეხები დაკარგა. მიგრანტმა მოსახლეობამ თავდაპირველად მთიელისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური და საკუთარი ტრადიციული მეურნეობა – მესაქონლეობა დაამკვიდრა და ბუნებრივია, ინტენსიური მიწათმოქმედი მეურნე სწრაფად ვერ გახდა. მიგრანტებმა ყოფა-ცხოვრების პრიმიტიული ბახთან ერთად, მთური კულტურა და საკუთარი ჩვეულებითი სამართლის სისტემა ჩამოიტანა. ქართულ განვითარებულ ფეოდალურ წყობაში, ამ ელემენტების დამკვიდრებამ, ფეოდალისა და გლეხის დამორიშორება გამოიწვია. თუ ფეოდალს მათ გადმოსახლებაზე ორი ფენა – მსახური და მებეგრე გლეხი ჰყავდა, ამის შემდეგ დაქვემდებარებული ყმა-გლეხობა შეუმცირდა. ყველაფერმა ამან აფხაზეთში ფეოდალიზმის განმსაზღვრელი, წამყვანი მიწათსარგებლობის ფორმა, ნაწილობრივ სათემო სარგებლობის ფორმით შეცვალა. ფეოდალიზაციის პროცესი დასუსტდა, რაც ჩრდილო კავკასიიდან მთიელ მიგრანტთა ახალ-ახალი მძლავრი ტალღების, თავისუფალი მეთემეების მრავალიცხოვანი მასის ჯერ თარეშსა და შემდეგ მათ ჩამოსახლებას უნდა გამოეწვია. „ფშე“ = „მადლა“ ე.ი. ზემოთ მდგომი (ანუ „თავადი“). რადგან ფშეს არანაირი ზედმეტი საკუთრება არ გააჩნდა მას მხოლოდ „მფარველისა და დამცველის“ სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. **ახელა** „თავით, ზემოდან“, **აფშირა** „ცქერა, ყურება“, **-ჰე** არის მოქმედის გამოხატველი სუფიქსი.

ახილფა (ახელფა) – ქუდი, მამაკაცის. ძველად აფხაზი მამაკაცები მთელ თავს იპარსავდნენ და მხოლოდ თავის თხემზე იტოვებდნენ თმას, ამიტომ კონუსური ფორმის ქუდები ეხურათ. ქუდის ქსოვილი ითელებოდა, შემდეგ იკვრებოდა. სველ ქუდს ხის კუნძურაზე (კონუსური ფორმის) გადააკრავდნენ, რომ ფორმა მიეცათ. ასეთი კონუსური ფორმის, მახვილი ქუდები მუქი ფერისა იყო – **აუაპციახელფა ქიაცი** – კონუსური ფორმის, მახვილი ქუდები, მუქი ფერის.

ახილფარჩი (ახელფარჩი) – „ფუმფულა ქუდი“, ფაფახი, ბობოხი.

ახიმაა (ახემაა) – „სამი სახელური“, სიმებიანი საკრავი ინსტრუმენტი. გადმოცემით პირველი საკრავი იყო **ახემაა**. საკრავს სამკუთხა, ხის გეჯის ფორმა ჰქონდა. ღრმა ცარიელი გულით, რომელზედაც ცხენის ძუის სამი, მოგვიანებით ოთხი სიმი იყო გაბმული. ამ ინსტრუმენტმა განვითარების

შემდეგ ტრაპეციის მსგავსი, ცარიელი ყუთის ფორმა მიიღო, რომელზედაც ზემოდან ორ პარალელურ რიგად გადაჭიმულია 15 და ზოგჯერ 16 სიმი (სულ ორივე მხარეს 30 ან 32 სიმი). თქმულების მიხედვით, საკრავი პირველად შეიღმკედარმა მამამ დაამზადა მწუხარების გამოსახატად: მან იმ ხის ვარცლს, რომელშიც მის ვაჟს ბანდნენ პატარაობისას, ზემოდან ტრაპეციის ფორმის ხის ჩარჩო დაამატა და ამ ჩარჩოზე სიმები გააბა. ლეგენდა პირველად ი. აჯინჯალს ჩაუწერია (И.А. Аджинджал, Из этнографии Абхазии Сухуми, 1969, 505-506).

ახიმცა // იათიმხარა // აჰუმცა (ახემცა // იათემმარა // აჰიმცა) – საქონლის დასაცავად საძოვრებზე მწყემსების მიერ გაჩაღებული კოცონი.

ახისშა (ახესშია) – „სროლის წილი“ „– ნადირობის დროს შემთხვევით შესწრებული (ახთიველარა (ახთევილარა) „წასწრება, შესწრება, თავზე წამოდგომა“) მოწმის წილი, მოკლული ცხოველის მარცხენა ფეხი, ბუჭის ძელით.

ახიქვააცვა (ახექვააცია) – თანამოფიცარი ნათესავეები. სასამართლო საქმეების განხილვის დროს დანაშაულში ეჭვმიტანილისათვის „გამწმენდი ფიცის“ ჩუქულება გამოიყენებოდა. იმ შემთხვევაში, თუ იგი თავს დამნაშავედ არ თვლიდა, მისი ახლო ნათესავეები მას ეხმარებოდნენ და თანამოფიცარნი ხდებოდნენ. თუ ეჭვმიტანილი ან ნათესავეები უარს ამბობდნენ „გამწმენდ ფიცზე“, მაშინ ყველასათვის ნათელი ხდებოდა, რომ ეჭვმიტანილი ნამდვილად დამნაშავე იყო. ფიცს დიდი ძალა ჰქონდა. ძველად ფიცი ღვთის მიერ სამართლის მქონე იყო და სარწმუნოებიდან მომდინარეობდა. მართალია, თანამედროვე აფხაზები ჭეშმარიტი ქრისტიანები არ ყოფილან, მაგრამ ქართული ეკლესიისა და ხატის შიში ყოველთვის ჰქონდათ. ხატთან დაფიცების ყველას ეშინოდა, თუმცა, რიტუალი უმეტესად ოჩამჩირის რაიონში იყო გავრცელებული, სადაც აფხაზები ქრისტიანი ქართველების (მეგრელების) გვერდით ცხოვრობდნენ. ფიცის შემღახველს ღვთის რისხვის და უხილავი სასჯელის შიში ჰქონდა. მომჩივანს, მოსამართლეებსაც ჯერ ფიცი უნდა მიეღოთ, ხოლო შემდეგ უნდა შესდგომოდნენ ბჭობას. ფიცს მხარეებიც დებდნენ, რომ განაჩენს შეასრულებდნენ და კვლავ შურისძიებას არ დაუბრუნებოდნენ. მოფიცართა რაოდენობა ზოგჯერ ოცდაათამდეც კი აღწევდა. დაფიცება ხატის წინ ხდებოდა. ოთხშაბათსა და პარასკევს არ იფიცებდნენ. ფიცის რიტუალი ასეთი იყო: მოფიცარი ან ეჭვმიტანილი ხატის წინ თავშიშველი დგებოდა, იგი სიტყვებით ადასტურებდა თავის სიმართლეს. იქვე მდგარი მისი თანამოფიცრები ნათქვამს უდასტურებდნენ. თუ პროცესი წარმართულ წმინდა ადგილას ხდებოდა, თანამოფიცარი ნათესავეები ახექვააცია სათითაოდ დგებოდნენ ორი წმინდა ხის შუაში, პირით ტარისკენ (რადგან ყველა აფხაზური წმინდა ადგილი ყოფილი ქრისტიანული ეკლესიის ან სალოცავის ნანგრევებზე ან მის ახლოს იყო დაფუძნებული). ხელში იღებდნენ მუხის ტოტს, მაღლა სწევდნენ და ყველა მოფიცარი მათთვის შესაფერ „გამწმენდ ფიცს“ წარმოთქვამდა. ამ ტოტს „**ალაბიწეშირა**“ ანუ საფიცარი ჩხირი ეწოდებოდა. ცხადია, ფიცის მომენტში მხარეებსა და მედიატორებს კულტმსახური ანუ „**ანიხაფააგი**“ ემსახურებოდა. ფიცის დადების შემდეგ ეჭვმიტანილი ბრალისაგან თავისუფლდებოდა.

ახიშე (ახეში) – 1. სარკმელი. ძველად წნულ ფაცხეებსა და ძელურ სახლებს ფახჯარა არ ჰქონდა. უფანჯრო საცხოვრებლის კედელში ოთხკუთხ დიობ ნახვრეტს აკეთებდნენ კვამლის გასასვლელად და სინათლისთვისაც. ღამე მას ხის ფიცრის დარაბით (საკეტი) კვტავდნენ. **ახიშე (ახეში) –** 2. სახლის წინაკარი; წინკარის ამოშენება აივანზე აფხაზებმა გვიან დაიწყეს.

ახიც (ახეც) – ისარი.

ახიცგუგუერ (ანტე-კიგეფერ) – თავისებური, წვეტიანი ქუდი. ჩვეულების თანახმად, ძველად აფხაზების წინაპრები ისეთ თავსაბურავს აკეთებდნენ, რომელიც სკვითური ქუდის მსგავსი იყო. აფხაზებსა და ადიღებს შორის დადასტურებულია, რომ მამაკაცები თავს იპარსავდნენ და მხოლოდ თავის თხემზე იტოვებდნენ თმას. თმა წვერში ექცეოდა, ხელს არ უშლიდა ქუდს. ქალები კი პირიქით, ძველად თხემზე თმას იპარსავდნენ და ქუდს იხურავდნენ, ხოლო ქვემოდან თმები უჩანდათ. როგორც ჩანს, ეს ჩვეულება მათ ჩრდილოეთ კავკასიიდან უნდა ჩამოყოლოდათ, რომელიც თანდათანობით შეიცვალა. აფხაზ ქალებში ქუდი მალე თავშალმა (პატარა, სამკუთხა და ზემოდან დიდმა, ოთხკუთხა თავშალმა) შეცვალა.

ახიც-ახუმპალი (ახეცი-ახიგმპალი) – მშვილდ-ისარი. ოდესღაც დიდ როლს თამაშობდა აფხაზების წინაპართა სამხედრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ახიბი (ახიბე) – ოქროს წყალი.

ახ – ქალის პერანგი.

ახარა – 1. წველა. სახლში დარჩენილ საქონელს, რომელიც მთაში არ მიჰყავდათ, ქალები უვლიდნენ და სადამოებით წველიდნენ. მთაში არსებული საქონელი მწვემების მოსავლელი იყო. აფხაზებს ქალები მთაში ბოლო დრომდე არ მიჰყავდათ. მხოლოდ მას შემდეგ ჩერდებოდნენ ქალები მთაში, როდესაც იქ სამეურნეო სახლის, ანუ დამხმარე სამეურნეო ბაზის მშენებლობა დაიწყო. 2. რძე და რძის პროდუქტები.

ახკარა – „შემოკავებული“, სამეურნეო ეზო საკარმიდამოში. სამეურნეო ეზოს საკარმიდამოს თითქმის ერთი მეათედი ნაწილი ეკავა, რომელიც ოჯახს იმდენ ნორს, ხახვს, წიწკას, მწვანილს, კიტრსა და პომიდორს, ხილსა და მწვანე საკვებ ბალახებს აძლევდა, რომ ადამიანთა რაციონში მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. საერთოდ მათ ყოველთვის მოხმარებითი ხასიათი ჰქონდა, იმდენი ითვისებოდა, რაც ოჯახს სჭირდებოდა. ასე მაგ., საზამთრო, ნესვი, გოგრა სიმინდის ყანის გარშემო, ხოლო ღობით სიმინდთან ერთად ითვისებოდა და იგი სიმინდის ღეროზე აღიოდა. სადაც მწვანილს, ნორს, ხახვს და სხვ. თესავდნენ, იმ ნათეს ადგდეს, შემოღობილი რომ არ ყოფილიყო, მაინც **აბაჩა-ს** „ბაღნას“, ან **აუთრა-ს** „ბოსტანს“ ემახდნენ. სამეურნეო ეზოში, **ახკარა**-ში ღობით შემოკავებული იყო აგრეთვე ხბორების საბაღასო ადგილი. ზოგჯერ იქ ცხენებსაც აყენებდნენ. სიტყვა ხკარა ფორმით შესულია მეგრულში.

ახკარშირა – „ტყვიის დაგდება“. საცოლის დანიშვნა მის ეზოში, სახლში, ან ოთახში ტყვიის შეგდება. დაწინდვის შემდეგ საქმროს შუამავლები ან თვით ტყვიას ტოვებდნენ საცოლის სახლში, ან თოფს ეზოში გაისროდნენ, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ თუ მოლაპარაკება ჩაიშლებოდა, მათ შორის „სისხლი“ ჩადგებოდა. ამ წესის შესრულების შემდეგ ქალის ხელზე პრეტენზია არაფერს ჰქონდა.

ახლა // აიხლა – ცოლ-ქმრის დედები ერთმანეთისთვის, მძახლები. სიტყვა მძახ-ლი არაბულია, ნახესხებია თურქულის მეშვეობით.

ახმასია – ცხვრის ყველი.

ახმაჭერ – პატარა, ტყავის ან ხის ტოლჩა, სახელურით, მგზავრობისას ქამარზე ჩამოკიდებული ჰქონდათ.

ახნირპეცი (ახნერპიცი) – „გამოსაბრუნებელი“, ავადმყოფობისთვის გამო-ლოცვა, ატარებდა სოფლის მოხუცი ექიმბაში (ქალი ზოგჯერ კაცი).

ახნირპეგა (ახნერპიგა) – „მოსატრიალებელი“, ფოლადის სახრახნისი.

ახნიშირ აწგარა (ახნეშერ აწგარა) – აფხაზები, ავადმყოფ და სუსტ ბავშვს კარიის ჯაჭვის ქვეშ ატარებდნენ (**ახნიშირ დიწორგონ**) ლოცვით, გამოსაჯანმრთელებლად.

ახრათა // აფსათ – „სულელების ადგილი, სულეთი“, სასუფეველი. აფხაზებს სწამდათ, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანი ცხოვრებას სასუფეველში განაგრძობდა. ამიტომ, მას რაც სიცოცხლეში აუცილებლად სჭირდებოდა, ცდილობდნენ თან გაეტანებინათ, მით უმეტეს, ყოველდღიური სახმარი ნივთები.

ახრაშხა – ქედისა და კლდის ფუტკარი.

ახრაძაბა – 1. გოგრის ქერქისგან გაკეთებული ხელიანი ხაპერა, რომელიც წყლის, რძის და სხვა სითხის ამოსაღებად იხმარებოდა. 2. **ახრაძაბა** – საწური. მოწველილ რძეს აუცილებლად ხის ღურკში, საწურში ატარებდნენ.

ახრაჭა (ახრაჭია) – 1. ნადირობის დროს ქამარზე დამაგრებული ხის ტოლჩა, ნახევრადმრგვალი, რგოლისებრი სახელურით. 2. **ახრაჭა** – ხის თასი.

ახრიცქარა (ახრეტქარა) – „თავის გასუფთავება“, თავის განწმენდა ლოცვის წინ.

ახსაალათრა // ადაფა (ბზიფ), ახსაალათრა (აბუ) – თარგების, საქსოვი ძაფებისა და სხვა საშუალებების სათავსი, ხის ყუთი. ყუთის ზემოთა გასასხნელი დაფა ზედ ამოჭრილი ჯვრებით, წრეებით, კვადრატებით, რომბებით და სხვა ორნამენტებით იყო დამშვენებული. **ადაფა** <ქართ. **დაფა**.

ახსაზაწი – საკუთრების ნიშანი, როდესაც საქონელს ყური აქვს გაჭრილი.

ახსაზაწი-ილწარა (ახსაზაწი-კელწარა) – „ერთადერთი წანაკვეთი-ნახერეტი“, საკუთრების ნიშანი, როდესაც საქონელს ყური წანაკვეთილი ან მრგვალი ნახერეტი აქვს.

ახსაზაწი-ხუმპალ (ახსაზაწი-ხიმპალ) – „ერთადერთი წანაკვეთი-მშვილდი“, საკუთრების ნიშანი, როდესაც საქონელს ყურზე მშვილდის ფორმის წანაკვეთი აქვს.

ახუ (ახიე) – წილი (მაგ. მემკვიდრეობის).

ახუაც-ჩაფა (ახიაც-ჩაფა) – „შეკმაზული ჭინჭარი“, ჭინჭრის ფხალი.

ახუმლ – კოჭი, დედაკოჭი. აფხაზები დედაკოჭს უკვე გაუმჯობესებულ საცხოვრებელ ნაგებობებში მოიხმარდნენ, როგორც იყო ქართველების ჯარბეგალური, ფიცრის და ოლა სახლები.

ახუეე (ახიეეე ახუეე) „ეკრძის მკეთებელი“ – სახლის მომსახურე. სოციალური ტერმინი.

ახულა (ახიულა) – ხვიშირი, წისქვილის ძაბრი (< ქართ. **ხულა**).

ახულჩაფა (ახიულჩაფა) – ფხალეულის საკეები ნიგვზით და სუნელებით შეზავებული კეფერა მხალი (**ახიულ** < მეგრ. **ხული** „კეფერა“).

ახუმპალ (ახიემპალ) – მშვილდი.

ახუმპალ (ახიემპალ) – საკუთრების ნიშანი, რომელიც საქონელს ყურზე აქვს გამოხატული.

ახურჯინ (ახიურჯინ) – ხურჯინი (<ქართ.).

ახურმა – ხურმა.

ახუსხვა-ჯიკა (ახიუსხვა-ჯიკა) – „ქინძის აჯიკა“ (შდრ. **ახუსხვა (ახიუსხვა)** „ქინძი“) ცოცხალი მწვანელებით, მწვანე წიწაკით და ნივრით აპყადა-ზე აკეთებენ მწვანე აჯიკას.

ახუეეე (ახიეეეე) – „ეკრძის მომზადებელი“. შ. ინალი-ფვას ვარაუდით, ეს მიანიშნებს სოციალურ კატეგორიას, რომელიც თავდაპირველად მონა იყო, ე.ი. სამხედრო ტყვე, რომელიც თარეშის დროს შეიძლება გამოეყენებინათ

საჭმლის მომზადებლად (Ш.Д. Инал-ипа, Абхазы, Сухуми, 1965, გვ. 512-513). „კერძის მომზადებელი“, მსახური, ყმა (ბატონყმური დამოკიდებულების). სიტყვას ზოგჯერ მცდარად წერენ როგორც **ახოიუ**.

ახუფა (ახიფა) – მამამუქეობის წესით აღსაზრდელი პირი გამზრდელის ოჯახისათვის.

ახუფა იხუ (ახიფა იხი) – „აღსაზრდელის წილი“.

ახუშტრა (ახიშთრა) – საპრისწამლე. მრგვალი და ბრტყელი ხის ყუთი, ბუდეებით ტყვიისათვის – **ახა**. მამაკაცს ჩამოკიდებული ჰქონდა ქამარზე.

ახუშთარა (ახიშთარა) – კერა, „საკვების განაწილების ადგილი“. კერა მრგვალ წნულ **აქვაცე**-ში, მრგვალი, ხოლო **აბიცა-თბი**-ში ოთხკუთხედი კეთდებოდა. სახლის კარის მოპირდაპირე მხარეს, უკანა კედელთან დებდნენ გათლილ ქვას სიმაღლით 15-25 სმ – „**ახნგმა**“. მასზე ჩამოდებდნენ მსხვილი შეშის ბოლოებს, რაც ჩქარ ააღებას უწყობდა ხელს. როდესაც აფხაზემა კერის ჯაჭვის – „**არხნგშა**“-ს გამოყენება ისწავლეს, მაშინ კერა წნული ფაცვის შუაში მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის ჩაღრმავების კეთება დაიწყო მისი იატაკზე, რომელსაც თიხით ლესავდნენ. იგი ზომით 100×60 სმ იყო, რომელიც იატაკს თითქმის უსწორდებოდა. **ახუშთარა** საოჯახო ყოფის ცენტრს წარმოადგენდა **არხნგშა**-სთან (= საკიდი ჯაჭვი) ერთად. იგი ოჯახის ერთობლიობის სიმბოლო იყო. უცხო ადამიანის მიერ საკიდ ჯაჭვზე ხელის შეკლება, ჩამოსხნა ან რაიმე სხვა შეურაცხყოფელი საქციელი ჩვეულებითი სამართლის სისხლს-მესისხლეობის წესს ექვემდებარებოდა.

ახუძ (ახიძე) – 1. ფეტვი. 2. ღომის ღომი. აფხაზეთს XIX ს-ში ორი ჯიშის მარცვალი მოჰყავდათ, რომელიც დასავლეთ საქართველოში იყო გაავრცელებული: ღომის ღომი და **აში** // **აშიგრძ** „ფეტვი“.

ახუჭკურშა // აგარალაჰვა (ახიჭკიერშა // აგარალაჰა) – არტახი აკნის.

ახშ – რძე.

ახშაპი (ახშაპე „სამი ფეხი“ // აიშეანა (აიშეანგნა) – მცირე ზომის, დაბალი, სამფეხა მაგიდა. მასზე საკვებს უხუცესს ინდივიდუალურად უდებდნენ.

ახშართა (ახშარა „რძეობა“ < ახშ „რძე“) – „რძით ნათესაობა“. მეარი ნათესაური კავშირი.

ახშბირ (ახშბერ) – „რძის ფასი“ (გადასახადი). 1. ნატურალური გადასახადი: გლეხი ფეოდალს რძით უხდიდა. 2. როცა გლეხის ოჯახი ქალს ათხოვებდა და აჩმა იღებდა, წილს თავის მფლობელ ფეოდალსაც გამოუყოფდა. ჩვეულებრივ იგი ერთ ძროხას, ან ათ მანეთს შეადგენდა. ამრიგად, ეს წილი აჩმისაგან გამოიყოფოდა. როგორც ჩანს, ეს იმ რძის ფასი იყო, რომელი ძროხის რძითაც კვებავდა შვილს გლეხი გაზრდის დროს. ფეოდალი ქალის მამამუქედ ითვლებოდა.

ახშირცა (ახშერცა) – „გაცხელებული რძე“, სასმელი. მზადდებოდა ძროხის რძისა და თხის რძის შერევის შედეგად. ასეთ სასმელს ჩვეულებრივ აფხაზი მწყემსები იყენებდნენ. რძიან ქვაბში ცეცხლზე ძალიან გახურებულ დიდ ქვას აგდებდნენ რძის გასაცხელებლად.

ახყაღა „მოხეტიალე ტყვია“ // ახიშვიას (ახშეშას „გამეფელი ტყვია“) – ბრმა ტყვია. ძველად არსებობდა გამონათქვამი: „მოვკლა და დავლიო მისი სისხლი“ – „**ღეშე იშა ზეიაიტი**“.

ახყა – ტყვია და სისხლი. სისხლ-მესისხლეობის დროს შურისმაძიებელი შავი ყაბალახით იფარავდა თავს და სახეს გლოვის ნიშნად და სახლიდან შურისძიების აღსრულებამდე მიდიოდა. თუ შემთხვევით თავის მტერს ხალხმრავალ ადგილზე შეხვდებოდა, მას ადვილს უთმობდა და იქიდან მიდიოდა. მაგრამ როდესაც ცალკე მოხელთებდა თავის მესისხლეს, ამ

შემთხვევაში პირველი გასროლის უფლება დაზარალებულს ეკუთვნოდა. დაზარალებული ჩუმად დასდევდა მესისხლეს, მაგრამ კუთხიდან ჩუმად ნასროლი ტყვია ვაჟკაცობაში არ ჩაეთვლებოდა.

ახბე – 1. ფარფლი. 2. კვერცხის ცილა.

ახწვრა // **ახწარ** – 1. სერი, ნიშანი. წვრილფეხა საქონლის საკუთრების ფორმის ნიშანი. დიდი ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების დროს, ბუნებრივია, საქონლის განაწილებაც ხდებოდა. დიდი ოჯახის საერთო საკუთრების ნიშანს გამონაყოფი ოჯახის კუთვნილი წვრილფეხა საქონლის გამოსარჩევად, რაღაც თავისებური განსხვავებული დამატებითი ნიშანი უკეთდებოდა. 2. ჭდე. ზოგადად საკუთრების ნიშანი (= იგივე მეგრული **ხენწირი** და სვანური **ხენწირ** „ნიშანი“).

ახწვრუარა (ახწიშუარა) – მიცვალებულის დატირება.

ახწისთა (ახწსთა „ხემოდან გადასასვლელი“) – საბიჯელი, საკარმიდამოებს შორის დამაკავშირებელი ღობეში დაბალი გადასალაჯებელი, ანუ ბაღის კუტიკარი. ძველად ერთ უბანში ერთი დიდი ოჯახიდან გამოყოფილი ინდივიდუალური, ძმათა ოჯახები, პატრონიმიები – სახლობდნენ. ამიტომ ისინი ერთმანეთთან მოკლე გზით, საერთო ღობეში არსებული კუტიკარის საშუალებით ამჯობინებდნენ დაკავშირებას. აფხაზები, ბაღის კუტიკარი-სთვის, ღობეზე გადასასვლელად ხმარობდნენ **აკიბა**-საც (შდრ. აფხაზ. **აკუბა** < ქართ. **კიბე**), იგი მსხვილი ძელის გადანაჭერი იყო, რომელსაც ჩათლილი საფეხურები ჰქონდა, ანუ კიბეს წარმოადგენდა. ბაღის კუტიკარისთვის ასევე ხმარობდნენ **ასაყვა**-ს (**ასაყა**), რომელიც წარმოადგენდა ღობის დაბალ ნაწილზე გადასასვლელად მიღებულ ხის უსაფეხურო ნაჭერს, მორს.

ახჭათ – მჟავე ნაღები.

ახჭარა – ახოს გატეხვა (ტყეში ახოს გატეხვა). მთაში, როდესაც მიწა დიდი ოჯახის დიფერენციაციის შემდეგ აღარ ყოფნიდათ, ტყეში ახოს გამოტეხდნენ.

ახჭიტი აზაანდაყი – მშვილდ-ისარი.

ახხმა – ფერადი თასმა.

აჯგკა – აჯიკა (შდრ. თურქული **აჯგქ** „მწარე“). წიწაკის, მარილისა და სუნელის ნახავი.

აჯგმშგ – ხახვი.

აჯ – მუხა.

აჯაბბა – ჯაფა, გარჯა.

აჯაბავე (აჯაბავეჯი) – მგლოვიარე.

აჯაბარა – გლოვა.

აჯანათ – რელიგიური – სამოთხე; სასუფეველი (თურქ. **ჯენეთ**).

აჯარ – ჯვარი, სიტყვა ნახესხებია ქართულიდან.

აჯამ – სპარსელი < თურქ.

აჯამ – ჯამი, ხის, ან თიხისა (< ქართ. **ჯამი**).

აჯანახ – მარხილი. პირველი თოვლის მოსვლის შემდეგ ხის მასალა, შეშა და სხვ. მარხილით მოჭქონდათ ტყიდან.

აჯანჯუხვა (აჯანჯუხვა) // აჯანჯუხვა – ჯანჯუხა (<მეგრ. ჯანჯუხა), ჩურჩხელა. ამზადებენ თხილისა და ნიგეზისაგან. აფხაზებმა ჩურჩხელა ქართველებსგან აითვისეს.

აჯარ ხახმა – უბრალო ჯვარი, გარდიგარდმო ლამბვა (ქსოვის დროს).

აჯარგვალ გვარა (აჯარგვალ გიარა „ჯარგვალის, მორების ღობე“) – საკარმიდამოს გარშემო შემორტყმული წნული ღობე. სიტყვა **აჯარგვალ**

ნასესხებია მეგრულიდან, შდრ.: მეგრ. **ჯარგვალი** = ძელური სახლი (ჯა „ძელი“, რგვალი „მრგვალი“).

აჯარგვალი-ენი (აჯარგვალი-ენე „ძელური სახლი“) – ოთხკუთხა ფორმის, ხის ძელური საცხოვრებელი. სახელწოდება მოდის მეგრული საცხოვრებლის დასახელებიდან **ჯარგვალი** (ჯა = ხე, ძელი; **რგვალი** = მრგვალი). ასეთი ძელური სახლები გავრცელებული იყო მთელ დასავლეთ საქართველოში. **აჯარგვალ ენე**-ს კედლები მრგვალი, სწორი, კანცაცლილი ძელებისგან კედლებოდა. ხის მაგარი ჯიშები გამოიყენებოდა. ძელის ჩაჭრილ ბოლოებს უღურსმნოდ ერთმანეთში ჩასვამდნენ, ამიტომ კუთხეებში ეს ძელები 15-20 სმ-ით გამოწეული რჩებოდა. თავდაპირველად, ეს საცხოვრებელი ტრადიციულად მიწის იატაკით, შუაცეცხლით, ჭერისა და ტიხრის გარეშე, ორ ან ოთხფერდა სახურავით, თივით ან ლელქაშით დახურული კედლებოდა. ფასადის მხარეს, შესასვლელი კარის წინ შეერილი ჰქონდა. საცხოვრებელი ორკარიანი იყო – ფასადსა და უკანა მხარეზე. უკანა მხარის კარს **წაყბეგი** (**წაყბეგი** „ქვედა, ქვემოთ“) ეწოდებოდა. საცხოვრებლის ზომა დაახლოებით 4,5მ×5,5მ, სიმაღლე 2,5მ იყო. აფხაზეზმა ჯარგვალური საცხოვრებელი ქართველური მოსახლეობისაგან შეითვისეს. მათ ქართველი ოსტატები უშენებდნენ. ჯარგვალური ტიპის კედლებოდა საჯინბო, სასიმინდე და სხვა სამეურნეო ნაგებობებიც. მოგვიანებით ამ საცხოვრებელს ორად გაჭრილი ძელებით აკეთებდნენ. ამასთან, ძელის სწორი მხარე შიგნით შენობაში იყო მიმართული. საცხოვრებელიცა და სახელწოდებაც ქართველურია (მეგრულ-იმერულ-გურული).

აჯგვარა // **აჯგვარა** – ჭუჭრუჭანის დაცობა. ხშირად საცხოვრებლის ფასადის კედელზე პატარა დიობს აკეთებდნენ, რომელსაც ზამთარში, სიცვიის გამო ამოაგსებდნენ.

აჯიბა (**აჯება**) – ჯიბე (ტანსაცმლის). არაბული **ჯიბა** აფხაზურში ქართულდან უნდა შესულიყო.

აჯინჯტილა (**აჯენჯტილა**) – სამშობლო. **აჯენჯ** < მეგრ. **ჯინჯი** „ძირი, ფესვი“ და აფხაზ. **ატილა** „ქვეყანა“, ანუ „ფესვის, ძირის ქვეყანა“. აფხაზური ტერმინი შექმნილია მას შემდეგ, რაც აფხაზურმა ენამ ისესხა მეგრული სიტყვა **ჯინჯი** „ძირი, ფესვი“.

აჯიქური (**აჯექირე**) – სიმინდი (< მეგრ. **ჯიქურა**, სიმინდის ჯიში). თეთრი ფერის სიმინდის ჯიში იყო და 5-6 თვე უნდოდა მის დამწიფებას.

აჯმათრა – სათხე (ნაგებობა), ძელებზე შემდგარი. ნაგებობა თხის, ცხვრისთვის. შენდებოდა სამეურნეო ეზოში, საცხოვრებლის უკან, თუ წვილფეხა საქონელი 100-120-ზე ნაკლები იყო. თუ მეტი ჰყავდათ, მაშინ მათთვის შენობას ცალკე, სახლის გარეთ აშენებდნენ. აჯმათრა მრგვალი, წნული, კონუსურსახურავიანი ნაგებობა იყო, დახურული თივით ან გვიმრით, ან აშენებდნენ ოთხკუთხა შენობას ორფერდა სახურავით. მოგვიანებით ძელური შენობის აშენებაც დაიწვეს და ფიცრულიცაც. ორ- ან ოთხფერდა სახურავით. გადახურვა თივით ან გვიმრით. იატაკი ხის ფიცრებისგან ჰქონდა გაკეთებული. საღამოს თამასებიან ფიცარნაგს მიადგამდნენ, რომლითაც თხები სათხეოში ადიოდნენ. ზოგჯერ აჯმათრა სასაქონლე „აბორაში“ ჰქონდათ გამოყოფილი.

აჯმაზნა (**აჯმაზნა**) – თხის მწეშისი.

აჯრა // **აძრა** – შეწვა (ხორცისა, კვერცხისა...).

აძინამაკა – მაკე ღორი. < ქართ. მაკე.

აძიბიაგა – ფოცხი

აძ – 1. ბატონი. 2. მფლობელი, მთავარი. მებატონე. **აძცვა** (**აძცა**) – მებატონეები, ფეოდალური მმართველები.

აპა – მსხალი.

აპა – ძაფი, მსხვილი და უხეში ნაქსოვისთვის.

აპაბლა – უბანი, სოფლის. ჩვეულებრივ, უბანში ერთი გვარის, ერთი პატრონიმის წევრები სახლობდნენ, რომელთა შორის უხუცესი მამაკაცი მათი მეთაური და ამავე დროს იგი სოფლის საკრებულოში ამ უბნის წარმომადგენელიც იყო. სიტყვა არაბული წარმომავლობისაა, მაგრამ ნასესხებია თურქულიდან. როგორც ჩანს, XVI საუკუნიდან ჩრდილო კავკასიიდან ჩამოტანილი ტერმინია, რომელმაც ძველი ტერმინი **აცუთა** „უბანი/სოფელი“ შეცვალა.

აპაზა – ბეგარა (ნატურალური). სიტყვის წარმომავლობა უცნობია.

აპაზირ // აკალამ (აპაზირ // აკალამ) – ჩოხის მასრა. მამაკაცები ძველად ამ მასრაში გოგირდს ინახავდნენ.

აპაზერთა – სამასრე, ჩოხის გულისპირზე მიმაგრებული ჯიბეები, ბუდეებით, რომლებშიც ქილვაშები და მასრები **აკალამქვა**, ე.ი. კალმები ეწყობოდა.

აპათა – ტიკი, გულა, ციკნის ტყავის აბჯა სხვადასხვა წვრილმანისთვის, ტყავის თასმით. იყენებენ სასთუმლადაც. შდრ.: სალიტ. ქართ. **ხალთა**, მეგრ. **ხართა**.

აპათაშე (აპათაში) – გუდის ყველი. მას სპეციალურ გულაში **აბააბატი-პათა**-ში აკეთებდნენ. გულაში რამდენიმე ახალ ამოყვანილ ყველს დებდნენ, შამდეგ ყოველ დღე მცირე რაოდენობის ახალ რქეს ასხამდნენ და გარკვეული რაოდენობის ნადუღარ მარილწყალს უმატებდნენ. ყველი მარილიანი გამოდიოდა.

აპათხუევი (აპათხუევი) – ბეწვიანი გულა, ზურგზე მოსაკიდებელი, მწყემსების საგზელისთვის.

აპაივან (აპაფუან < თურქ. < არაბ.) // არახე (არახი) – პირუტყვი.

აპალალ – „ალალი; კარგი; სასარგებლო“. აპალალ იყო, მაგალითად, თხის, ძროხის, ქათმის ხორცი.

აპალუკ – თაფლისა და დუმის ქონგარეული, სიმინდის ან ფეტვის ფქვილის ტკბილი კვერი, ხალვა, ალვა, ალვახაზი (< თურქ.). მიღებულ თხელ ფაფას ასხამდნენ მაგიდაზე ან ფიცარზე თხელ ფენებად და როცა გაცივდებოდა, კეადრატულ ნაჭრებად ჭრიდნენ.

აპამმ – მიწურიატაკიანი სახლის უკანა კუთხეში, სოხანეში ამოღრმავებული და ქვადაყრილი ადგილი, სადაც ჭურჭელს, სარეცხს რეცხავდნენ და ბანაობდნენ. 1. შინაური აბანო, ანუ კუთხე საცხოვრებელში, სადაც ტანს იბანდნენ; 2. დაქანება, რომლითაც გამოყენებული წყალი სახლიდან გარეთ, ხერელის საშუალებით ჩადიოდა თხრილში. იგი კეთდებოდა მიწის იატაკიანი სახლის ერთ კუთხეში. მიწის იატაკი დაქანებული იყო და ხის საფუძველის გავლით, უფრო ქვემოთ, გარე თხრილთან იყო შეერთებული. მიწის ამ დაქანებაზე წვრილ კენჭებს აწყობდნენ. სიტყვა ნასესხებია თურქულიდან.

აპამთა – საჩუქარი.

აპამპალ – 1. ყველიანი მოხარშული კვერი ნახევარმთვარის ფორმისა. შდრ. მეგრ. **ყვალამ კვარი** „ყველიანი კვერი“. 2. ღომის ღომის, ფეტვის ან სიმინდის ფქვილისაგან მოხედილი, კონუსური ფორმის, რიტუალური მოხარშული კვერები. კვერებს ყველის შიგთავსით აკეთებდნენ, ან მის გარეშე. ჩვეულებრივ ასეთ კვერებს სხვადასხვა ღვთაებების სახელზე აკეთებდნენ, მსხვერპლშეწირვის ჩვეულების დროს. სხვადასხვა ღვთაებების კვერებს ფორმას უცვლიდნენ.

აპარამ – „არამი; უვარგისი; უსარგებლო“. პარამი იყო ღორის, ცხვრის ხორცი. < არაბ. პარამ „პარკაღულიდან“ (ჰალალის საპირისპირო).

აპარჯ – მაქმანი. ხმარობდნენ ტანსაცმლის, გადასაფარებლების, პირსახოცების მოსართავად.

აპარჯ – ხარჯი.

აპაფი (აპაფე) – გამოქვაბული.

აპაფშა – ქვევრი, ჭური. სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, რომ აფხაზელებში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ღვინის დაყენების საკმაოდ პრიმიტიული ხერხი იყო გავრცელებული. მიწაში ორმოს თხრიდნენ, შემდეგ თიხით ამოლესავდნენ, შიგ ცეცხლს დაანთებდნენ და გამოწვავდნენ. ამოსუფთავებულ ორმოში ყურძენს ჭყლეტდნენ, გვიმრის ფოთლებს გადააფარებდნენ და დაღუღებამდე ორმოშივე ტოვებდნენ. შემდეგ წვენი ხის კასრებში, ზოგჯერ თიხის ჭურჭელში გადაჰქონდათ (ი. აჯინჯალი). „აპაფშას“ მოგვიანებით ბზიფ. აფხაზები ღია ცის ქვეშ, ამაღლებულ ადგილზე, რომელიმე ხილის ხის ქვეშ მარხავდნენ. აბუ. აფხაზებმა ქართველების მსგავსად ქვევრები მარნის მიწის იატაკში ჩაფლეს. ღვინის ჩასხმამდე ისინი ქვევრებს სანთლით ან თხის ქონით პოხავდნენ, რომ ღვინოს წყალი არ შეეროდა. მეღვინეობასთან დაკავშირებული აფხაზური ენობრივი, ფოლკლორული მასალა, ინვენტარი და ღვინოსთან ან ვაზთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, ქართველებისაგან განსხვავებით მწირია. მათი ტერმინოლოგია მეორადი, გვიან გაჩენილი, აღწერილობით ან ქართულიდან (მეგრულიდან) არის ნასესხები.

აპყა (აპყა) „ბრტყელი ქვა“ – ბრტყელი მოგრძო ფილა ქვა, რომელსაც შუა ნაწილში აქვს ჩაღრმავება. იგი იხმარება **აჯიკის** გასაკეთებლად წიწაკის, მწვანისა და და მარილის გასაქნელად (სანაყის ნაცვლად). **აპყა**-ს ესაჭიროება უფრო მკვირე ზომის მეორე ბრტყელი რიყის ქვა **აფხნგვა** „გასაქნელი, გასალესი“, რომელიც დიდი მუჭის სიდიდისაა და ასევე მოიხმარება ნიგეზის გასაქნელადაც.

აპაშა – მსხლის ჯიში, პანტა მსხალი, „მლაშე, მშლატე მსხალი“.

აპაჭაშე // აპაჭიშე (აპაჭეშე) – სტუმრის მისაღები სახლი სოფლად. სიტყვა ნასესხებია ჩერქეზულიდან.

აპვა (აპია) – ხმალი, ჩვეულებრივ ვერცხლით მოპირკეთებული.

აპვართრა // აპუსთრა (აპართრა // აპიგსთრა) – სახბორე.

აპვასა (აპიასა), აპვასა (აპიასა) – „წერილი ქლიავი“, ტყემალი, აღუნა.

აპვასასაძბაღ (აპიასასაძბაღ) – საწებელი, ტყემლისაგან ხარშავენ.

აპვაყარა (აპიაყარა ხმლის ქნევა) – ხელჩართული ბრძოლა, ხმალდახმაღ ბრძოლა.

აპვირთა (აპივრთა) – საძოვარი.

აპვისთა (აპივსთა) – საძოვარი.

აპვჭვაგა (აპიპიაგა) – ფოცხი.

აპვჭვარა (აპიპიარა) – კივილი, შეცხადება. აფხაზებს ადამიანის გარდაცვალებით სთანავე მიცვალებული საწოლიდან ტახტზე გადაჰქონდათ. სხეულის სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთანავე შეცხადების წესის თანახმად, ოჯახის ჭირისუფალი ქალები ემოციურ მოთქმასა და ხმაძალად ტირილი იწყებდნენ, რომ მეზობლად მცხოვრები ნათესავებისა და მეზობლებისათვის ოჯახის უბედურება შეეტყობინებინათ. სახლში თავმოყრილი ნათესავები და მეზობლებიც ხმაძალად მოთქამდნენ.

აპვჭვაცვა (აპიპიაცია „მკივანები, ვინც კივის“) – მაუწყებელი. ომის დროს რაიმე საშიშროების მაუწყებელი. მის ვაღდებულებას გზის კონტროლი წარმოადგენდა. ასევე სოფელში „მაუწყებელი“ ჭირისუფლის თხოვნით სხვა სოფელში მცხოვრები ახლობლის გარდაცვალების ან ქორწილის დღეს აცნობებდა.

აპთირფარ (აპთერფარ) – „სასახლის ჭაბუკები“, ფეოდალის მსახური ვაჟები.

აპოთეკუს (აპოთეკი) – „სასახლის ქალი“ – ფეოდალის მოახლე, მოსამსახურე ქალი.

აპონე – მთავრის მამული.

აპონექალაქი – დედაქალაქი. ქალაქი – დიდი დასახლებული პუნქტი; სავაჭრო და კულტურული ცენტრი. ქალაქი, არც ქალაქური ცხოვრების გამოცდილება აფხაზებს არასდროს ჰქონიათ, ისინი ყოველთვის სოფლებში ცხოვრობდნენ. ქალაქის აღმნიშვნელი სიტყვა ქართულიდან არის შესული.

აპონი // აპონირა (აპონე // აპონერა) – 1. აფხაზეთის მთავრის რეზიდენცია. 2. თავად-ანაურთა საცხოვრებელი ადგილი. 3. სასახლე.

აპონიუაე (აპონუაე) „სასახლის ადამიანი“ – შინაემა, მოჯალაზე (მამაკაცი).

აპონიფუს (აპონეფიუს) „სასახლის ქალი“ – ქალი მოსამსახურე (სასახლის, ანუ მთავრის ან თავადაზნაურთა სახლის).

აპოტრფიუს – მთავრის და აგრეთვე თავად-ზნაურთა სასახლის მსახური (ქალი).

აპოტრფუს – (მრ. **აპოტრფარ**) მთავრის და აგრეთვე თავად-ზნაურთა სასახლის მსახური (ვაჟი).

აპოტეფიუს – „სასახლის ქალი“, მხევალი, მოახლე, მზარეული ქალი.

აპკეაე (აპკეაეი) – მთავრის და ასევე თავადის ან აზნაურის ცოლი, ასევე ქალბატონი.

აპრა – 1. სამთავრო; 2. მთავრის უფლება. **აფსნე აპრა** – აფხაზეთის სამთავრო.

აპრატერა (აპრატირა) – ბატონყმობა.

აპუზა (აპიუზა) – რკინის დანა, ძვლის სახელურით, 30-40 სმ სიგრძის.

აპუზაცქია (აპიუზაცქია) – „წმინდა დანა“, ცხოველის დასაკლავი დიდი დანა.

აპუნთქარ (აპიუნთქარ, აპიუნთქარ) – მეფე, ხონთქარი, ხელმწიფე (< თურქ).

აპუნთქარა (აპიუნთქარა) – 1. მეფობა. 2. სახელმწიფო.

აპუნწერა (აპიუნწირა) – დიდი.

აპუს-ხჩა (აპიუს-ხჩა) – მესბორე.

აპუჟა – აღსაზრდელი მამაკაცი (მამამეუქეობა – შვილის სხვის ოჯახში აღსაზრდელად გაბარების წესი).

აპიემცა – კოცონი, რომელიც მთაში ანთია, მწვემსების ქოხის წინ, საქონლის ბანაკში.

აპიუნწირა – დიდი. მას მსხვილი თასმით თვითონვე ამზადებდნენ. დიღებს ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და თავსაბურავის მოსართავად ხმარობდნენ.

აპიეთთა – მწვემსების საწოლი მთის ქოხში, სადაც შუა ცეცხლი ენთო. ღამით ყველა მწვემსი წვებოლა შუა ცეცხლის ირგვლივ, მისკენ ფეხმიშვერობდა.

აპიეზა – აჩაგა ე.ი. დანა.

გარგება (გარგება) – წმ. გიორგის დღესასწაული, გიორგობა. < ქართულიდან.

დად // დადრა – 1. ასე მიმართავდნენ უხუცეს მამაკაცს. 2. ასე მიმართავდა ხანდაზმული მამაკაცი უმცროსებს.

დიდრიფი ნეხა ანუ ანიფს ნეხა – სალოცავი. ფსჟუ ნეჰას „წილი“ („დიდრიფის სალოცავი“ ანუ „დედის სულის სალოცავი“. გუდაუთის რაიონში სოფ. აჭანდარაში ჩასახლებულმა აფხაზებმა, ამ სოფლის თავზე არსებულ მცირე მთაზე „დააფუმნეს“ ეს სალოცავი. ამას ერთ-ერთი ნართული ლეგენდა ადასტურებს. ნართ დიდი სამხრეთისაკენ პირველი მოგზაურობის დროს, ამ მთას ჰქეპა-ქუხილით „დაეპატრონა“. აქედან გამომდინარე ამ მთას „დიდრიფი“ უწოდეს. ლეგენდა გვამცნობს, რომ დიდს ამის შემდეგ მოძრავე წესი ჩამოუყალიბდა. იგი მდ. ყუბანის ველსა და დიდრიფს შორის ხშირად მოგზაურობდა. თუმცა, სამშობლოს არ ტოვებდა. ამ მთაზე აფხაზების გადმოცემით, „ყოველისშემძლე წმინდანი იყო დასადგურებელი“, მათ იხილეს მისი სახლის ნანგრევები და დიდრიფში მასზე დააფუმნეს.

მისი მეორე სახელწოდება „ანგუს ნგზა“ – დედის სულის სალოცავი სწორედ ღვთისმშობლის სალოცავს გულისხმობს. აფხაზების ჩამოსახლებაშივე ქართველებს ტაძარი ჰქონდათ იქ აშენებული და მტრისგან უკვე დანგრეულიც იყო.

ღვინი ატვარა (ღვინე ატვარა „სახელდებულად ჯდომა“) – საქმროსაგან დანიშნული ქალის მდგომარეობა ქორწილამდე.

ემბა – წულა. წულა მილიანი, უკულმა ტყავისაგან იკერებოდა. ღანჩა და ძირი არ ჰქონდა, თუმცა, ცხვირები მახვილი ჰქონდა. ნაკერი მხოლოდ ძირზე, შუა ნაწილზე ედებოდა. ქალის წულა გაწყობილი იყო თასით (ტყავისავე), სხვადასხვა ფიგურებით (**აჭალა აქუარპირა**). მამაკაცის წულებს ყურები ჰქონდა და შესაკრავი კოჭთან უკეთდებოდა (**აშაპირძეძე**). მონადირეების წულებში ძირზე ბლახს ფენდნენ, რკინის კაუჭსაც (**აიხაც**) ღანჩზე უმაგრებდნენ.

ემქაწია – შავი ფერი. შავი ფერი გამძლე რომ ყოფილიყო მასში „შავ მიწას“ ურევდნენ, რომელსაც მდინარის ნაპირებზე მოიპოვებდნენ. გამძლეობისათვის ასევე მუხის ქერქსა და შახსაც უმატებდნენ. ყავისფერი ძაფისთვის ორკილას ღეროები და ფოთლები გამოიყენებოდა. წითელი ფერისთვის მინერალურ საღებავს (**აჭესფერ „ჭიისფერს“**), კაკლის ქერქსა და მინდვრის გვირილებს მოიხმარდნენ, რომელიც ძაფს სხვადასხვა ელფერს აძლევდა.

ეგრე – ენგური < ქართ.

ეიჟელანტეუ (ეიჟილანტიუ) – მოგვარეები.

ეირის-ააცენეხ – ქურდობისა და თარეშის ღვთაება. გადმოცემით, ეს ღვთაება დღისითაც და ღამითაც ყველაფერს ამჩნევდა და ხედავდა. მას პატივს მხოლოდ ქურდები, ყაჩაღები, ავაზაკები და მოთარეშეები სცემდნენ. ღვთაებას საკუთარი სალოცავი ადგილიც ჰქონდა მდ. აფხისისა და მცირე ღელე ხურთას შორის (სოფ. ააცისთან, გუდაუთის რ-ში). მლოცველებს შესაწირად კონუსური ფორმის **ახეაუე** – პურის კეურები მიჰქონდათ. ისინი ღვთაებას მათ საქმიანობაში კეთილდღეობასა და დოვლათიანობას შესთხოვდნენ. წარმატების შემთხვევაში ჰპირდებოდნენ, რომ მსხვერპლად შესწირავდნენ რომელიმე მოპარულ ნივთს, ან გატაცებული საქონლის ბაღანს. ამ ნივთებს ისინი იქვე ხეებზე ჰკიდებდნენ და ტოვებდნენ. ქ. გაგრის ციხის გარეთ, მდ. ბზიფის ზემო მხარეს ეს ღვთაება **ჩუგურხ-ნგზის** სახელით იყო ცნობილი და ყველა აფხაზი, ვინც სათარეშოდ მიდიოდა, ამ ღვთაებას სწირავდა მსხვერპლს. ღვთაება ჩუგურხ-ნგზის ადგილსამყოფელი – მდ. ბზიფის ზემო მხარე, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აფხაზების წინაპრები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან თარეშით იპყრობდნენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას.

ერეშ – ფიქრების მფარველი ღვთაება. იგი ყველა ქალური საქმის მფარველიცაა.

ერეგაშვა (ადრეაშვა // აერგაშვა „აერგის სიმღერა) – 1. მიქელ-გაბრიელისადმი მიძღვნილი სიმღერა; 2. „წმინდა ცეცხლის“ მოპოვების დროს ტრადიციული რელიგიური სიმღერა. აღამიანის ან ცხოველის ეპიდემიის შემთხვევაში, აფხაზები კერიაში ცეცხლს აქრობდნენ, შემდეგ კი, ორი მშრალი თხილის ტოტის ხახუნით „წმინდა ცეცხლს“ მოიპოვებდნენ. XVIII საუკუნიდან XIX ს-ში მებრელი და აფხაზი მწყემსები სამურზაყანოს საძოვრებზე ერთად მწყემსავდნენ საქონელს, გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ მთაში. სამურზაყანოელი ქართველი (მებრელი) მწყემსების ყველაზე დიდი მფარველი მთავარანგელოზი იყო, რომელსაც ისინი მიქამ-გარიოს უწოდებდნენ. იგი მიუბის, ცის მნათობების, მზის ბატონ-პატრონი იყო და მას დარი, ელვა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა ემორჩილებოდა. მებრელი და აფხაზი მწყემსები „მიქამ-გარიოს“ სიმღერით ერთად ადიდებდნენ. აფხაზები მიქელ-

გაბრიელს „ერგეს“ (ე.ი. მეგრელი – ხალხის მნიშვნელობით), ხოლო მიქამ გარიოს ტბას „ერგე-მშორას“ (ე.ი. მეგრელთა შთამომავლების წყალს) უწოდებდნენ.

ვახხია (უახხია) – ვახშია, სავახშიო კერძი.

ვენტიერშირა (ვენტიერშიგრა) – „ორჯერ აღუღებული“, ორნახაღი (არაყი).

თაგლან – შემოდგომა.

თაგლარა – მოსავლის, ჭირნახულის აღების დრო, იგივე შემოდგომა.

თარგაღლაზ (თარგაღლაზ) – მთავარანგელოზი < ქართულიდან.

თიღლაწან (თიღლაწან) – „ვაცის გამოშვების დრო“. ნოემბერი (მთვარის კალენდარით).

თურღუ (ათიერღიუ) – ხის ნიჩაბი, აქანდაზი, ნაგვის მოსაგროვებელი.

იღაიშა იაღწიზ (იღაიშა იაღწიზ) „ვინც მისი (ე.ი. საერთო წინაპრის) ძარღვ-სისხლიდან გამოვიდა“ – ღვიძლი ნათესავი, სისხლი და ხორცი.

ინაღ კუბე ნისა (ინაღ კუბე ნესა) – აბაზი ინაღის საფლავი, რომელიც ჩრდილო კავკასიიდან ფსჰუს ტაფობში დარჩა საცხოვრებლად, მაგრამ მალე გარდაიცვალა. იგი იქვე დაახაფლავეს. „ფსჰუ ნისა“ და მისი „წილი“ „ინაღ კუბე“ დღემდე აფხაზების მფარველი ღვთაების ფუნქციას ასრულებს. თანამედროვე ძირითადი გვარები წარმოშობით იქ დაფუძნებულ მფარველ ღვთაებებთან არიან დაკავშირებული. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მათი ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლების ვარაუდს.

იხშარაღოუ ათააცვა (იხშარაღოუ ათააცვა) – უშვილო, უმემკვიდრო ოჯახი.

კიარაზ – ურთიერთდახმარება. სოფლის მეურნეობის სამუშაოებისათვის ჩამოყალიბებული ურთიერთდახმარების ფორმა. იგი აფხაზების ყველა სოფელში და თემში იყო გავრცელებული. როგორც წესი სამიწათმოქმედო სამუშაოების შესრულების დროს ფუნქციონირებდა. იგი ხელს უწყობდა საერთო ძალებით გაერთიანების ყველა წვერის ნაკვეთის დროულად დამუშავებას, რიგის დაცვით. კოლექტიური შრომა არ წყდებოდა მანამ ყველა ნაკვეთს არ დაამუშავებდნენ. შრომის დროს მონაწილეები ორ პარტიად გაყოფილი სპეციალურ საგუნდო სიმღერებს ასრულებდნენ. შესვენებებზე სხვადასხვა თამაშობებითა და შეჯიბრებებით ერთობდნენ. აფხაზეთის თავადები კიარაზის მონაწილეების დახმარებით ყოველთვის სარგებლობდნენ. მოგვიანებით, საბჭოთა წყობილების დასაწყისში კიარაზი რევოლუციური ჯგუფის სახელწოდება გახდა, რომელსაც სათავეში ნ. ლეკობა ჩაუდგა. კიარაზის წევრებიდან მთავრის პირად მცველებსაც ირჩევდნენ, თუმცა, იგი შარვაშიძეების ნათესაური ჯგუფის წარმომადგენლებისგან უფრო დგებოდა, რადგან დაცვა გარანტირებული იყო. კიარაზის წევრები ერთგული სამსახურისთვის მთავრისგან ჯილდოს იღებდნენ.

კიიკიეა – ბამბის სული (იგივე მეგრ. **კვირკვი** = სიმრგალე ანუ ნართის გორგალი. სწორედ მეგრელებში არსებობდა კვიკინას სული ანუ კანაფის, რომელსაც „კვიკვილ დო ქქერს“, თესლ-ფესვს სწირავდნენ). კვიკინასთვის მიძღვნილ დღეს, აფხაზებში, ისევე როგორც მეგრელებში, დილით ადრე, ოჯახის უხუცესი ნართის გორგალს მიძინარე ოჯახის ყველა წევრს ფეხზე აბამდა და გორგალის ქსელს ქმნიდა. ამით იგი, სიმბოლურად ოჯახის ერთიანობას, სიმყარეს აძლიერებდა.

კურკვა ხუჭი (კიერკია ხიუჭე) – „მცირე კვირიკობა“, ივნისი (მთვარის კალენდრით).

კურკაღუ (კიერკია ღუ) – „დიდი კვირიკობა“, ივლისი (მთვარის კალენდრით).

ლაღვი-ღიადვი (ლაღვი-ჯადვი) – „ზემოთ-ქვემოთ“, ბურთის თამაშის დროს ორი მოპირისპირე მხარე.

ლაწარამზა – „თესვის თვე“, მაისი (მთვარის კალენდრით).

ლიმტიმზა (ლემტემზა) – „ჭუჭყის თვე“, ნოემბრის თვე (მთვარის კალენდრით).

მაშვირშაქე იყაწოუ არხვრა (მაშვირშაქე იყაწოუ არხირა) – სხეულის დაზიანება გაუფრთხილებლობით. სხეულის დაზიანების შემთხვევაში მედიატორები ითვალისწინებდნენ, სხეულის რომელი ნაწილი იყო დაზიანებული. სწორედ ამის შემდეგ ადგენდნენ „სისხლის ფასს“ დაზარალებულის სასარგებლოდ. დამნაშავეს ქონებრივი კომპენსაცია ეკისრებოდა.

მაძალა – „ფარული“, ქორწინების ფორმა. ეს არის ქორწინების ძალადობრივი საშუალება მშობლების უკითხავად. უმეტესად ხდება ქალისგან უარყოფითი პასუხის გამო.

მაპვრაცარა (მაპირა-ცარა „სასიოდ წასვლა“) – უფლება პატარძლის სახლში სასიოდ თავისუფალი მიმოსვლისთვის, რომელსაც ახალი სიძე ცოლუერს ოფიციალური ვიზიტისა და ცოლის ოჯახის წევრებისა და ნათესავებისათვის სანუქრების გადაცემით მოიპოვებდა.

მზავირი (მზავრე) – თებერვალი (მთვარის კალენდრით). აბუჟაში – **ჩვლვა დუ.**

მიშ-ნუყვა (მეშ-ნეყვა) – „ფეხით სიარულის ერთი დღე“, ერთი დღის სავალი მანძილი. აფხაზური ზომა, რომელიც დაახლოებით 50 კმ. უდრიდა.

მორუალი – მსაჯულ-მედიატორთა სასამართლო (< ქართ. **მორევი**). სასამართლო პროცესის ერთ-ერთ ძირითად, დამადასტურებელ სახეს ფიცი წარმოადგენდა. იგი ყველა რელიგიის წარმომადგენლებში, მათ შორის წარმართებშიც ღვთის სახელით ხდებოდა. ფიცი მოწმეთა ჩვენებებთან ერთად ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთი იყო. მოწმეებსაც ჩვენების დასამტკიცებლად კვლავ ფიცის დადება ესაჭიროებოდათ. ფიცის მიცემისთვის აფხაზთა საზოგადოებები თავიანთი სოფლების ამალგებულ სალოცავ გორაკს, ჭაღას, სამკედლოს, გრდემლს ან ქრისტიანული ძეგლების ნანგრევებზე ადმოცნებულ, წარმართულ წმინდა ადგილებს იყენებდნენ. უმეტესად მათი სახელებიც ქრისტიანულ წმინდანებს უკავშირდებოდა. ოჩამჩირის რაიონის აფხაზები ფიცის მისაცემად უმეტესად მართლმადიდებლურ ეკლესიას და სასწაულმოქმედ ილორის წმ. გიორგის ხატს იყენებდნენ. მედიატორული სასამართლო მორუალები ეჭვმიტანილს აიძულებდნენ ილორის ხატის წინ „გამწმენდი ფიცი“ დაეღო. დაპირისპირებული მხარეების მოფიცრებს ემატებოდნენ ნათესავები დედისა და მამის კვარდიანს. თუ მოფიცარი **ანიჭევე (ანეჭიჯე, მრ. ანეჭიცვა)** ადასტურებდა ნათქვამს, საქმე ამით თავდება. თუ ეჭვმიტანილი ფიცზე უარს იტყოდა, მაშინ მას განსჯის შედეგი უკამათოდ უნდა მიეღო. ცრუ ფიცის დამდებს ხატი უსათუოდ გამოამჟღავნებდა. მოფიცარნი ორი წმ. ხის შუაში დგებოდნენ, პირთ ტაძრისკენ, მოწმეთა თანდასწრებით ხელში მუხის ტოტს იღებდნენ და **„გამწმენდი ფიცს“** წარმოთქვამდნენ. ფიცის წარმოთქმის მომენტში კულტმსახური **„ანიხაფაჯე“**-ი ემსახურებოდა და შერიგების რიტუალშიც მონაწილეობდა. ფიცის რიტუალში მორუალები აუცილებლად იღებდნენ მონაწილეობას. ფიცის დადების შემდეგ ეჭვმიტანილი ბრალისგან თავისუფლდებოდა.

მსიგაშხვა (მსეგაშხვა) – ნავი.

მშააფრგარა – ადღგომის მარხვა, დიდმარხვა.

მშაფიშა (მშაფეშა) – „ადღგომის თვე“, აპრილი (მთვარის კალენდრით).

ნანჰვა (ნანჰია) – 1. „დედის ღოცვა“, აგვისტო (მთვარის კალენდრით). 2. **ნანჰვა (ნანჰია)** – მარიამობა.

ნანჰვაჩგარა (ნანჰიაჩგარა) – მარიამობის მარხვა.

ნართაა რხელჟა – ნართების თავსაბურავი, ნართების ქუდი.

ნირცე-აარცე (ნერცი-აარცი) – „გაღმა-გამოდმა“, თამაშის დროს ორი დაპირისპირებული მხარე.

ნხეცენტე იაიზ (ნხეწენტი ააიზ) – „(მთების) გადაღმიდან მოსულნი“. ეთნოგენეტიკურ ლეგენდებში აფსუას, ე.ი. აფხაზების ტომი ხან ეგვიპტიდან, ხან მცირე აზიიდან, ხან მესოპოტამიიდან, ზოგჯერ ეთიოპიიდანაც არიან მოსულნი, ასევე მთების გადაღმიდან ანუ ჩრდილო კავკასიიდან მოსულები.

ჟთაარა – „ეურძნის მოკრევის თვე, რთველის თვე“, ოქტომბერი.

ჟგაბრან – ძროხების ღედა,

ჟგაბრან-მგიალ (ჟიბრან მგიალ) – ღვთაება ჟგაბრანის მჭადი. ყველიერის შაბათ ღღეს ღვთაება ჟაბრანის სახელზე თავისებური სარიტუალო მჭადი ცხვება. მას აუცილებლად ოჯახში არსებული „სუფთა“ ქალი (ე.ი. უხუცესი) ამზადებდა. წვრილად დაფქული ფქვილისაგან თხელ ცომს ზელდა და შემდეგ ახალი ფქვილით ფენებად ბრტყელებდა. სარიტუალო მჭადი ცხელ კერიაში ცხვებოდა. მუგუზლებისაგან გამოსუფთავებულ კერიაში, ცხელ ნაცარზე დააფენდა სველ შქერის, წაბლის ან ღვინის ფართო ფოთლებს. მასზე ფენა-ფენად, ერთმანეთზე დააწობდა გაბრტყელებულ ცომის ფირფიტებს. ზემოდან, შუაგულზე დაადებდა ახალ ამოყვანილ, უმარილო ყველის გულს გრძელად (აშე-ცქა „წმინდა ყველი“). მჭადი უმარილო უნდა ყოფილიყო. ოჯახის უხუცესი მამაკაცი თხილის ჯოხით და თან ღორკვით ცომის ნაწილს ზღვისკენ და ნაწილს მთისკენ ისროდა. თან „რრეიტ“, „რრეიტ“-ის ძახილით საქონლის გამრავლებასა და მის სიმრთელეზე ღლოცულობდა. შემდეგ ცომს ზემოდანაც დააფარებდნენ რამდენიმე ფენად ფოთლებს და ზედ ცეცხლდობებულ მუგუზლებს აყრიდნენ, გამოსაცხობად. საყურადღებოა, რომ სხვადასხვა ღვთაებებს, იქნებოდა ეს მესაქონლეობისთვის განკუთვნილი, თუ ოჯახისა და მისი წევრების, აფხაზები თავდაპირველად მუდმივად საქონლის გამრავლებასა და სიმრთელეს შესთხოვდნენ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩრდილოეთის მთიდან მათი მიგრაციის გზით მოსულობას საქართველოში.

რაფხია აშა აღიზხივე (რაფხია აშა აღეზხევე) – ნადირობის დროს ვინც პირველმა გამოუშვა სისხლი, ე.ი. ვინც პირველმა ესროლა და მორატეა ტყვია ნადირს. მას ეკუთვნის ნანადირევის თავი რქებით, მხარი და ასევე ტყავი, გარდა თანაბრად განაწილებული ხორცისა.

რაშეარამზა (რაშაარამზა) – „მარგვლის თვე“, ივნისი.

საუნა(უ) – საფქვავის ღვთაება (წარმართული).

ტლეუშ – თესლი. საერთო წინაპრებისგან წარმოშობილი ნათესავები.

ტყვას აგარა (ტყაას აგარა) – ტყვედ წაყვანა, დატყვევება.

ფსჟუ ნიხა (ფსჟუ ნეხა) „ფსჟუ სალოცავი“ – ღვთაების სალოცავი საკულტო „ცენტრი“. კავკასიის ქედის სამხრეთ კალთაზე აღმართული მცირე ზომის მთა ფსჟუ აფხაზთა რელიგიაში როგორც კულტურულ ფენომენს წარმოადგენდა. აფხაზების წარმოდგენით ფსჟუ ნიხა ლეგენდარულ თუ რეალურ წინაპრებთან აკავშირებდა ჩამოსახლებულ ხალხს. აფხაზების წინაპრებმა კავკასიის ქედის უღელტეხილები გადმოლახეს და სამხრეთით გადმოვიდნენ საცხოვრებლად. პირველად ბრტყელფსკერიან ქვაბულში დასახლდნენ და იქ პირველი სოფელი ფსჟუ დააფუძნეს. ამის შემდეგ ეს მთა აფხაზებისთვის საკრალური ობიექტი გახდა. აფხაზური გვარების უმეტესობა სწორედ ამ მთასთან, სოფელთან და იქ დაფუძნებულ „ფსჟუ ნეჰასთან“ არის დაკავშირებული, ის მთა სალოცავია.

ფხინგუ (ფხენგიე) – „ზაფხულის გული, შუა ზაფხული“, ივლისი.

ფხუნჯკუნ (ფხენჯკიენ) – „მცირე ზაფხული“, დეკემბერი (მთვარის კალენდარით).

ქიერსა – 1. ქრისტე; 2. ქრისტეშობა, შობა. 3. დეკემბრის თვე (< მერ. ქირსე).

შიანგ – სვანეთი.

შარფნიპვა (შარფნეპა) „ცისკრის, განთიადის ღოცვა“ – ქრისტეშობის ღოცვა.

შაშიგ-აძღუ – „შაში მეთაური დიდი“. ვ. არძინბას თვალსაზრისით სამჭედლოს ღვთაების სახელი **შაშიგ-აძღუ** იყო. იგი თავის დროზე თვით მჭედელი ღმერთი უნდა ყოფილიყო, რომელსაც საერაღმერთი „სამხელი“ ინსტრუმენტები – გრდემლი, მარწუხი და ურო გააჩნდა. ნართული ეპოსის დახმარებით, იგი შრომის სამი წმინდა იარაღის „სამხელის“ მნიშვნელობას ასე ხსნიდა: „მჭედლის ტანზე“ – მარჯვენა ხელი უროა, მარცხენა მარწუხი, მარცხენა (ან ორივე) მუხლი კი გრდემლია“. ამ სამხელის წინ ხდებოდა ავადმყოფის განკურნება, ფიცისა და აღთქმის დადება, ზოგჯერ მტრისადმი წვევლის გაგზავნაც, ამიტომ აუცილებელი იყო მათი განათვლა მსხვერპლშეწორებით. პ. ჭარბიას აღწერილობის თანახმად „სამჭედლოსა და მჭედელს იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც მორწმუნე ქრისტიანისათვის საყდარსა და მღვდელს...“ შაში 363 ხელობის გამყენი და მფარველი იყო.

შაშიგ-აბუნისა (შაშიგ-აბუნესა) „შაშის შვიდი ხატი“, ანუ შვიდსახოვან წმინდა ღვთაებას აღნიშნავდა.

შიბუხა (შებუხა) – 1. შუადღის კერძი, სადილი. **შიუხა (შეუხა, შეუნა)** – 2. დილის კერძი, საუზმე.

შლაბა – ახერწოვ, ე.ი. მაწონი,

შსცან – ცხოველების მოაში გადარეკვის დრო. ჩვეულებრივ ეს იენისის დასაწყისში ხდებოდა.

შხა-ნეპია – ფუტკრის ღვთაება, სალოცავი.

ჩაჩხადილი (ჩაჩხადელი) – დიდი ხუთშაბათი, სიტყვა ნახესხებია მეგრულიდან, შდრ. ცაშხადილი: „დიდი ხუთშაბათი“. სიტყვის ვარიანტი **ჩხადელ** ბიჟიფის აფხაზეთში ავგისტოში გამართულ მოსახლის ღოცვას ეწოდება.

ჩოუპა // აჩუპა – მადლი (< სპარს.-თურქ. **ჩუპა** „მადლი“).

ცაღდგ – ნაჯახი ხელის (<მეგრ. წაღდი).

ცვახიხრაღა აცვაჟვარა (ციახეხრაღა აციაჟვარა – ცილისწამება.

ციბიბინ (ციბიბინ) – „ხარის ბღავილის, ხარირმის მევირალობის თვე“, შდრ. ქართ. **მევირალობა**, ოქტომბერი (მივარის კალენდრით).

ძიგოლუ (ძიგოლუ „წყალი იშოვე“) – რიტუალი გვალვის დროს. რიტუალში სოფლის ახალგაზრდობა იღებდა მონაწილეობას. ისინი ბარისპირს თოჯინასავით რთავდნენ. მდინარეზე მხიარულ მსვლელობას აწყობდნენ. ბარისპირს სახელდასხელოდ შეკრულ ტივზე დაფენილ თივაზე დადებდნენ და აღმოდებულს მდინარეს გაატანდნენ. თან ღოცვითა და სიმღერით ღვთაება **„ძიგოლუს“** წვიმას შესთხოვდნენ. როგორც ჩანს, წყლის კულტთან დაკავშირებული აგრარული დღესასწაული და ტერმინიც ქართულ-აფხაზეთური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო აფხაზეთში. ეს დღესასწაული ქართველებშიც და აფხაზეთშიც ერთნაირად იყო გავრცელებული. ბარის ტართან დაკავშირებული ეს სამიწათმოქმედო, გვალვის საწინააღმდეგო და წვიმის გამომწვევი რწმენის დღესასწაული აფხაზეთში ინტენსიურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის შემდეგ უნდა დაარსებულიყო. იგივე უნდა ითქვას, აფხაზეთში მიწათმოქმედების მეორე ღვთაების „ადგილ დედოფლის“ ჩამოყალიბების შესახებაც. აფხაზეთის მიწის აღსანიშნავად სწორედ ქართულ ტერმინს „ადგილ“-ს იყენებენ.

ძიხლან (ძეხლან) – წყლის ნიშვა.

ძებლან-ძაპკუაჯი – „წყლების დედოფალი“. წყლების სტიქია მდებრობითი სქესის იყო. აფხაზეთის რწმენით, მას ბინა წმინდა ტბაში, წყაროებსა და გამოქვაბულებშიც ჰქონდა. წყლის სტიქიის დედოფალი ლაბაზ ქალებს

მართავდა, რომლებსაც ცისფერი თვალები და გრძელი, გაშლილი ქერა თმები ჰქონდათ. ეს ღამაზმანები შუშის სასახლეში ცხოვრობდნენ. მათი ფეხისგულები მიმართული იყო უკან, ხოლო ქუსლები წინ. ამის გამო ბრძოლის დროს მათი ზურგზე წაქცევა შეუძლებელი იყო. ისინი დედაშიწაზე მხოლოდ ღამით გამოდიოდნენ და მამაკაცებს იტყუებდნენ თავისთან. აიძულებდნენ მათ სიყვარულს, სამაგიეროდ ყველანაირ მიწვიერ კეთილდღეობას ჰპირდებოდნენ. თუ მამაკაცი მათ სიყვარულზე უარს იტყვოდა, იგი იძულებული იყო ქაღს შებრძოლებოდა. თუ ქალი მამაკაცს წააქცევდა, მაშინ მამაკაცი ვადღებულები იყო, ათი წელი ქალთან ერთად ეცხოვრა. თუ კაცი უარს ამბობდა, იგი რამდენიმე დღით იკარგებოდა სოფლიდან, როდესაც ისევ გამოჩნდებოდა სოფელში, მას ნახევრად შეშლილის სახე ჰქონდა. თუ მამაკაცი დაძვებოდა ქალს, ქალი პირობას აძლევდა, რომ მის ახლობლებს არ შეეხებოდა. თუ მამაკაცი ბრძოლის დროს რამდენიმე ღერ თმას მაინც მოაძრობდა თავიდან, ქალი მამაკაცს ნებდებოდა და მისი მსახურიც კი ხდებოდა. სხვა შემთხვევაში მამაკაცს სიკვდილი ელოდა, რადგან მან ღამაზმანის სიყვარული უგულვებელყო. ძიხლანს შეეძლო მამაკაცი ნორმალური ცხოვრებისათვის „დაებრუნებინა“. ეს იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, როდესაც სრულიად „სუფთა ქალი“ ზვარაკებით მზაკვარ წყლის სტიქიის მეუფეს დაამწყალოებდა.

ჭეჭეთობა (ჭეჭათობა) – ჭეჭეთობა. ტარდება აგვისტოს, ღამით აბუკუსა და სამურზაყანოში. მოსახლეობა ატყვდა თოფის სროლას და ხმაურს, რომ გველეშაპი (ატტუ) დაეფრთხო, რომელიც ნელ-ნელა მივარდეს ყლაპავდა. ჭეჭეთობა || ჭიჭეთობა < ქართ. მეგრ. ჭიკოკონობის ხალოცავი.

ხაჩხეამა (ჩაჩხაამა) – ახალი წლის დღესასწაული, კლანდა. ტერმინი მეგრულია: „ხელ-მხარის დალოცვა“ მეგრ. **ხეშხეამა** „ხელის დალოცვა“, ანუ ხელ-მხარის დალოცვა, ანდა **დეჯიშხეამა** „ღორის დალოცვა“, ანუ სახაალ-წლოდ დაკლებული ღორით დალოცვა. სამეგრელოში ახალი წლისთვის ღორის დაკვლა, რომელსაც ამ დღისთვის სპეციალურად ზრდიდნენ, აუცილებელი იყო. ეს ჩვეულება ძველად უმეტესად ბზიფის აფხაზებში იყო გავრცელებული.

ხაჩხეამა ამა – „ხელ-მხარის დალოცვის თვე“, იანვარი (მთვარის კალენდრით) (< მეგრ. **ხეშხეამა** „ხელ-მხარის დალოცვა“).

ხაცეშხა – რცხილის ფუტკარი (ველური).

ხუბა-ფიბა (ხიბა-ჭიბა) – მტკაველი. მტკაველით იზომებოდა ადამიანის სიმაღლე. მაგ., სისხლ-მესისხლეობის ჩვეულებაში 4 მტკაველის სიმაღლის ბიჭი 30 ძროხად იყო შეფასებული, 5 მტკაველის – 50 ძროხად, 6 მტკაველის – 70 ძროხად და ა.შ.

ხეაყვიინ (ხაიყეინ „ხოზოკვერის დაკავების დრო“) – ყველიერი.

ხეაყვიირა (ხაიყეირა „ხოზოკვერის დაკავება“) – 1. ნადირის მფარველი აითარისადმი ღოცვის ციკლი, რომელსაც მარტში ასრულებდნენ. ღვთაება „აითარის“ სახელით ცნობილი იყო შესაქონლეობის ღვთაება. მას განახლებებაზე, ნაყოფიერებასა და საქონლის გამრავლებაზე ზრუნვა ევალებოდა. მას შეიდანაწილანი სახე ჰქონდა. თითოეულ ნაწილს კი, თავისი მცირე ღვთაება ჰყავდა: „ჯაბრან“ – თხების დედა, „ყვიბრან“ ძროხების დედა, „ინაშანა“ – ცხენების დედა, „აღშენტრ“ – ძაღლების, „ამზა“ – მთვარის, ამრა – მზის და ბოლოს იმ სამეურნეო ყოფის, რომელიც საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ აითვისეს – „ანაფა-ნავა“ – ნათესებისა და კვლავ პირუტყვის. იგი შინაური ცხოველების შემქმნელიც იყო. ამგვარად, მიუხედავად ამისა მთვარისა და მზის კულტივ მესაქონლეობას ემსახურებოდა, ხოლო, რაც შეეხება „ანაფა-ნავას“ მასში შერწყმული იყო მაინც

საქონლისა და ნათესების ნაყოფიერების ღვთაება. თვით ტერმინი „აითარი“ ქართულ-აფხაზური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგი უნდა ყოფილიყო. შდრ. მეგრ. „ჟინი-ანთარი“ (ხენა ანთარი მესაქონლეობის კულტი). „აითარის“ კულტის მნიშვნელობა იმაზე მიუთითებდა, რომ თანამედროვე აფხაზების პოლითეისტურ პანთეონში ყველაზე მთავარი და ძირითადი, სწორედ მესაქონლეობის კულტი იყო. 2. მარტი. **ხვაჟეირა (ხიაჟეირა)** – „ხოხო-კვერის ხელში დაკავევის თევ“, მარტი (მთვარის კალენდრით). შდრ. **ახვაჟე (ახიაჟე)** < ძვ. ქართ., მეგრ. **ხოხო** „ღვეხელი“. მოსახლეობა მთვარის, მზის, ძაღლის, ცხენის, „**ალაჟგარა**“-ს (დიდი სანაჟი, რომლითაც მარცვალი ჩენჩოსაგან თავისუფლებოდა) ფორმის კვერებს აკეთებდნენ და ხარშავდნენ.

ხუბა – **ჭება** – ხელის გული, 5-6 მტკაველი, 5-6 ციდა. აფხაზეთის მთავრის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის ან ქურდობის შემთხვევაში დამნაშავე დანაშაულის დადგენილ საფასურსაც იხდიდა და კიდევ, ორი პატარა მცირეწლოვანი ბიჭით ჯარიმდებოდა, ან ფულადი ანაზღაურებით. პატარა ბიჭების სიმადლე იმ ადამიანის ხელით იხოებოდა, ვისაც გადასახადი უნდა ამოეყო.

ხშლა აშვარიცარა // ახშშვარა (ხშშლა აშვარიცარა // ახშშვარა) – შვარდნით ნადირობა.

ხიენჩხამა (ხიენჩხამა) – ახალი წლის დღესასწაული. აფხაზები დღესასწაულებზე ძველით 1 იანვარს (13 იანვარს). სამჭედლოში ლოცვაზე თავს იყრიდა პატრონიმია, სიტყვა მომდინარეობს მეგრული ტერმინისაგან **ხეშ ხეამა // ხე-ხუჯიშ ხეამა** „ხელის დალოცვა, ხელ-მხრის კურთხევა“, რაც წარმოადგენდა ხელოსანთა ლოცვას, ოსტატის მიერ შევირდის ხელდასხმას, ხელოსნად კურთხევასა და მასთან დაკავშირებულ რიტუალს.

ჯაბრან – თხებისა და ცხენების ღვთაება. ყველიერის დღეებში აბჟის აფხაზეთში **აითარ-ნეხა**-ს მსხვერპლშეწირვისთვის ემზადებოდნენ. **აითარ** – ბუნების განახლების, გამრავლების, მით უმეტეს საქონლის მაღალი ღვთაება. **ნეხა** – ლოცვა > **აითარ-ნეხა** – ე. ი. „ღვთაება აითარისადმი მიძღვნილი ლოცვა, მსხვერპლშეწირვა“. თავდაპირველად, ეს ღვთაება მხოლოდ თხების მფარველი იყო, მოგვიანებით, მას ცხვრების მფარველობაც დაემატა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ აფხაზები ჩრდილო კავკასიიდან არიან ჩამოსახლებულნი. ისინი იქ თავდაპირველად სწორედ თხებს ამრავლებდნენ. ყველიერის ხუთშაბათ დღეს **აფჟუს-ცქა (აფბიეს-ცქა** „სუფთა ქალი“, ე. ი. უხუცესი ქალი, რომელსაც დედათა წესი აღარ ჰქონდა) შვრის ცომს მოხელდა მჭადისთვის. შქერის ფოთლებში გახვეულ გამზადებულ ცომს ცხელ ნაცარში, კერიანზე გამოაცხობდა. ცომის დადებისთანავე შუაგულს ამოაჭრია, შემდეგ ახალ ამოყვანილ უმარილო სულგუნს ცომის შუაგულში ჩადებდა, შემდეგ შქერის ფოთლებს დააფარებდა და ზემოდან ცხელ ნაცარს დააყრიდა. ამის შემდეგ დარჩენილ შვრის ცომს ჯერ ზღვის მხარეს და შემდეგ მთების მხარეს გადააკვებდა „**რრეიტ-რრეიტ**“-ის შეძახილით, რაც თხების მოხმობისთვის იხმარებოდა. შემდეგ დაილოცებოდა და თხებს სიმრთელესა და გამრავლებას უსურვებდა. როცა თხები სახლში დაბრუნდებოდნენ და მჭადიც მომზადებული იყო, ოჯახის უხუცესი მამაკაცი ოჯახის წევრების თანდასწრებით დაილოცებოდა თხების გამრავლებასა და სიმრთელეზე, ანთებდა სანთლებს და მიმართვის დროს ღმერთს **მქამგარა**-ს სახელით მოიხსენიებდა (**მიქამგარო // მიქამგარა** მეგრული სახელწოდება მთავარანგელოზების – მიქაელისა და გაბრიელის). მჭადს ჯერ ოთხ ნაჭრად დაჭრია, მეგრ

მათაც მცირე ნაწილებად დაყოფდა და ყველას პატარა ნატეხს მისცემდა. მეზობლებსაც აუცილებლად უგზავნიდნენ.

ჯანგერი – ავი სული, ეშმაკი, მაცილი. < თურქ.

ჯახაშქარინია (ჯახაშქარნება „ჯახაშქარის ხატი“) – სალოცავი სოფ. წებელდაში. სიტყვის პირველი ნაწილი < მეგრ. **ჯიხაშქარი** „ცისხიკარი“, ანდა მეგრ. **ჯეგეშქარი** „წმინდა გიორგის კარი“. მდრ. **ჯეგე** – წმ. გიორგი. სიტყვის მეორე ნაწილია აფხაზ. **ანება** „ხატი“.

ჯაჯა – 1. მემინდვრობის ღვთაება, ნათესი მინდვრის მფარველი. მის მფარველობაში შედიოდა მებოსტნეობა, მევენახეობა, საერთოდ მიწაზე მუშაობა, რომლის დროსაც **ჯაჯა**-ს მიმართავდნენ, როგორც მიწის ნაყოფიერების ძლიერ ღვთაებას. დედოფალი **ჯაჯა** წარმოდგენილი პყავდათ დაბალ, ჩაფსკენილ ქალად. გადმოცემით, იგი სიმინდის ყანაში ხშირად დადიოდა. **ჯაჯა** არ უნდა გაენაწეებინათ, რადგან მის სურვილზე იყო დამოკიდებული კარგი და ცუდი მოსავალი. 2. ნაყოფიერების, მოსავლიანობის ქალღმერთი. აუცილებელია მისთვის მსხვერპლის შეწირვა. გადმოცემით, თუ მას მსხვერპლი არ შესწირე, შეიძლება გაბრაზდეს და ნათესი გააფუჭოს. აფხაზებს „**ჯაჯა**“ დაბალტანიან, მხარბეჭიან ქალად პყავდათ წარმოდგენილი, რომელსაც დათესილი მინდვრებისა და ჭირნახულის გაზრდა და ასევე საპირისპიროდ, ზარალის გამოწვევაც შეეძლო. აფხაზების წარმოდგენით, ოჯახი, რომელიც **ჯაჯას**თვის მსხვერპლს ზვარაკის სახით გაიღებდა, უხვ მოსავალს მიიღებდა, ხოლო ის, ვინც მის სახელზე ზვარაკის შეწირვას დაინანებდა, მოსავალს წაუხდენდა. მსგავსი ნათესების, ჭირნახულისა და მინდვრის ღვთაება, რომელიც ადგილის დედასთან იყო დაკავშირებული ქართველებშიც ჩანს – „ჯოჯორობა დღე“ გავრცელებული. ადგილის დედას ქართველი ქალები გამოქვაბულში შაქარს უტოვებდნენ, ხოლო მიწას მსხვერპლად ქათმებს უძღვნიდნენ. ჩვენი ვარაუდით, მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული კულტები და რწმენა-წარმოდგენები აფხაზებში, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე უნდა შექმნილიყო. სამიწათმოქმედო რელიგიური კულტურა ქართულ კულტურასთან მჭიდრო ურთიერთობაშია წარმოქმნილი და განვითარებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Аджинджал И.А., Из этнографии Абхазии, Сухуми, 1969.
2. Акаба Л.Х., Из мифологии абхазов, Сухуми, 1976.
3. Акаба Л.Х., Абхазы Очамчирского района, КЭСМ, 1955.
4. Антелава И.Г., К вопросу о феодальных отношениях в Абхазии в XVII-XVIII веках, Труды АГМ, вып. I, Сухуми, 1947.
5. Аншба А., Абхазский фольклор и действительность, Тб., 1982.
6. Анчабадзе З.В., Из истории средневековой Абхазии (VI-XVIII вв.), Сухуми, 1959.
7. Бахиа С.И., Абхазская “абипара” – патронимия, Тб., 1986.
8. Бжания В.Н., Из истории хозяйства и культуры абхазов, Сухуми, 1973.
9. Бигвава В.Л., Современная сельская семья у абхазов, Тб., 1983.
10. Генко А.Н., Абхазско-русский словарь, Сухуми, 1998.
11. Джанашия Н.С. Статьи по этнографии Абхазии, Сухуми, 1960.
12. Инал-ипа Ш.Д. Абхазы, Сухуми, 1965.
13. Инал-ипа Ш.Д., Очерки об абхазском этикете, Сухуми, 1984.
14. Касландзия В.А., Абхазско-русский словарь, I-II тт. Сухуми, 2005.
15. Малия Е.М., Народное изобразительное искусство Абхазии, Тб., 1970.
16. Малия Е.М., Акаба Л.Х., Одежда и жилище Абхазов, Тб., 1982.
17. Русско-абхазский словарь, Сухуми, 1964.
18. Приключения атра Сасриква и его девяноста девяти братьев, М., 1962.
19. Салакая Ш.Х., Абхазский героический эпос, Тб., 1966.
20. Харания В.Л. Словарь юридических терминов, Сухуми, 2002.
21. Чурсин Г.Ф., Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1957.

